პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! ... ლიტადი მეათე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბ. საოლქო კომიტეტების — და — სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე დღის 12 საათიდან 5 საათამდე და საღამოს 8 საათიდან 12 საათამდე.
ტელეფ. რედაქტორის . . . 14—76; რედაქტორის მოადგ. 23—17; მდივნის . . . 10—58; მახიური განყოფილ. 22—44

მთავარი კანტორა — თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი: მუშა - მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის — 1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.
საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონის ტექსტის ბოლოში—1 მან., ტექსტის შიგნით — 2 მან.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; გა[ნ]ცხადებული, გარდა გან[ცხადებ]ების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

დღიური

— ავსტრიის კომკავშირის შეკრება. — შეტაკებები პოლიციასთან.
— უნგრეთ — სამხრეთ-სლავიის საზღვარზე მოკლულია კომუნისტი გაბნეი.
— დემონსტრაციები იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ ვარშავაში.
— რუმინეთის ლიბერალებმა გადასწყვიტეს იბრძოლონ კაროლის გამეფების წინააღმდეგ.
— გამოუშვეს „იუნგის სესხის" პირველი ნაწილი.
— საბჭ. კავშირის გზათა სახალხო კომისრად დაინიშნა ამხ. რუხიმოვიჩი.

პარასკევი, 13 ივნისი 1930 წ. — ყოველდღიური გაზეთი — ფასი 5 კაპ. № 136 (2784)

ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ტემპისათვის

საქართველოს კომპარტიის და ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების ყრილობაზე ფართოდ გადაიშალა ჩვენი სოციალისტური მრეწველობის განვითარების სურათი. ჩვენ მტკიცედ და სწრაფი ნაბიჯებით მივდივართ წინ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის გზით.

თუ ავიღებთ კერძოდ საქართველოს, რომელიც მრეწველობის მხრივ ყოფილ მეფის იმპერიის ერთ-ერთ უკანასკნელ ჩამორჩენილ კუთხეს წარმოადგენდა, დავინახავთ, რომ მისი სამეურნეო სახე დიდად შეიცვალა. საბჭოთა ხელისუფლებამ არა მარტო პოლიტიკური უფლებები მიანიჭა დღეს კავშირში შემავალ, ხოლო წინად დაჩაგრულ ხალხებს, არამედ ამასთან ერთად, შექმნა ყველა პირობები მათი ეკონომიურ-კულტურულ წინსვლისათვის, რათა ისინი დაეწიონ კავშირის წინ წაწეულ ნაწილებს. კავშირის განაპირა რესპუბლიკებს და ჩამორჩენილ რაიონებში სამრეწველო მშენებლობის გაცილებით ჩქარი ტემპი აღებული, ვიდრე სამრეწველო განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე მდგომ ცენტრალურ რაიონებში. ეს ნათლად სჩანს ჩვენი ქვეყნის მაგალითზედაც. 5 წლიანი გეგმით მთლიანად საბჭოთა კავშირში მრეწველობის ზრდა 5 წლის განმავლობაში გათვალისწინებულია 267- პროცენტით, ხოლო საქართველოში—587 პროცენტით. ასეთი განსხვავება იმით აიხსნება, რომ ჩვენში მრეწველობა, მცირედი გამოკლებით, თითქმის სულ არ არსებობდა, და ხელისუფლება ქმნის ახალ-ახალ სამრეწველო დარგებს; რათა საქართველო აგრარულ სამრეწველო ქვეყნიდან სამრეწველო აგრარულ ქვეყნად იქცეს.

აღნიშნული მაღალი პროცენტის დასახვა როდია რეალურ საფუძველს მოკლებული ვარაუდი, ან სააგიტაციო მანევრი. გათვალისწინებული გეგმის განხორციელება სავსებით შესაძლებელია და ის კიდეც ტარდება. ასე, მაგ., საქართველოს მრეწველობის პროდუქტების ზრდა 28—29 წ., წინა წელთან შედარებით, უდრიდა—33,1 პროცენტს, მაშინ, როცა მთელი კავშირის მრეწველობის პროდუქციის ზრდა 24 პროცენტს შეადგენდა, 29-30 წლისათვის ჩვენი მრეწველობის პროდუქციის ზრდა ნავარაუდევია 54,2 პროცენტით, მთლიანად საბჭოთა კავშირის მრეწველობის პროდუქციისა კი—32,1 პროც., მიმდინარე წლის პირველ ნახევარში სახ. მ.უ. საბჭოს გამგებლობაში მყოფ მრეწველობამ დავალება შეასრულა 97,7 პროცენტით.

როგორც ვხედავთ, გეგმის განხორციელება, რამდენადაც საქმე ნახევარი წლის შედეგებს ეხება, უშუალოდ მიუახლოვდით, მაგრამ ის მთელი ასი პროცენტით მაინც არ არის შესრულებული. ამ გარემოებას ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ. ჩვენი ამოცანაა მრეწველობის პროდუქციის არა მარტო დასახული 54,2 პროცენტით გადიდება, არამედ გეგმის საგრძნობლად გადაჭარბებაც, რაც უეჭველად შესაძლებელია, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ზოგიერთ დარგებში სამრეწველო გეგმების შედგენის დროს ყველა რეალური შესაძლებლობანი ზედმიწევნით არ ყოფილან გათვალისწინებული.

კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა სამრეწველო მშენებლობის გეგმის შესრულების მხრივ. რით აიხსნება ეს? პირველ ყოვლისა საამშენებლო მასალის სიმცირით. საბჭოთა კავშირში ასეთი მასალა ამჟამად საკმაო რაოდენობით არ მოიპოვება, და იქიდან მათი შემოზიდვა ამიტომ ძნელდება. მაგრამ მთავარი ის არის, რომ ჩვენ დღემდე ვერ შევძელით ადგილობრივ საამშენებლო მასალების მრეწველობის ფართოდ დაყენება, თუმცა ამისათვის საჭირო პირობები აქ არსებობს. საქმის ამ მხარეს უდიდესი ყურადღება უნდა დაეთმოს. ბოლო უნდა მოეღოს ისეთ შეუწყნარებელ მდგომარეობას, როცა, მაგ., ხე-ტყე ჩვენში საკმაოდ არის, მაგრამ ხე-ტყის მასალის დაუმზადებლობის გამო სამრეწველო მშენებლობა ფერხდება. ასე ითქმის მთელ რიგ სხვა საამშენებლო მასალების შესახებაც.

ეს კიდევ ცოტაა, ცუდადაა დაყენებული თვით საამშენებლო მასალების განაწილებაც. საქართველოს საამშენებლო მასალების მომარაგების სამმართველო, რომელსაც ეს საქმე ეკისრება, მოწყობილი იქნა ძალზე დაგვიანებით, როცა გასანაწილებელი თითქმის არაფერი იყო დარჩენილი. აგრეთვე არის შემთხვევები, როცა ზოგიერთი სამეურნეო ორგანიზაცია ისეთ უთავბოლობას და უმწეობას იჩენს, რომ დროზე ვერ ახერხებს საწყობისა თუ რკინის გზის სადგურიდან საამშენებლო მასალის გამოტანას, რის გამო საწარმოთა მუშაობა ჩერდება. მსგავსი მოვლენები და მათი განმეორების შესაძლებლობა ჩვენ ძირშივე უნდა აღვკვეთოთ.

დაუდევრობასთან ერთად ყოველივე ამაში მოსჩანს უგეგმო მუშაობა. გეგმიანობის განმტკიცების მხრივ ჩვენ დიდი მიღწევები გვაქვს (5 წლიანი გეგმა და საკონტროლო ციფრები ამას მეტყველებენ), მაგრამ მრავალ შემთხვევაში ამ მხრივ არსებითი გარდატეხა კიდევ არ მომხდარა. აიღეთ, მაგ., ასეთი ფაქტი: ბევრ საწარმოს ანგარიშიანობა,— გეგმიანობის ეს საფუძველი,—არაა აქვს მოგვარებული. როცა სოციალისტური შეჯიბრების ერთი წლის თავის და სამეურნეო წლის პირველ ნახევრის შედეგების შემოწმება ხდებოდა, სამეურნეო ორგანიზაციებმა თავის დროზე ვერ შესძლეს საფუძვლიანი ანგარიშების წარმოდგენა თავიანთი მუშაობის შესახებ.

ასევე არა დამაკმაყოფილებლად არის დაყენებული საამშენებლო პროექტების შედგენის საქმე. გარდა იმისა, რომ ამ პროექტების დიდ ნაწილს მრავალი არსებითი ტეხნიკური ნაკლი ახასიათებს, მათი განხილვა - დამტკიცება ჭიანურდება, და ორივე ეს გარემოება, რა თქმა უნდა, იწვევს მშენებლობის დაგვიანებით დაწყებას და მის გაძვირებას.

ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლასთან ერთად, აქ ჩვენს წინაშე იჭრება კადრების საკითხი, რომელიც რეკონსტრუქციის პერიოდის ერთ-ერთ ძირითად პრობლემას წარმოადგენს. როგორც მაღალი და საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტების, ისე მცოდნე სამეურნეო ხელმძღვანელ მუშაკების მომზადება და მუშათა მასების კვალიფიკაციის აწევა—არ მიმდინარეობს საჭირო ტემპით. ამ მდგომარეობის გამოსწორება ჩვენს დამკვრელ ამოცანას შეადგენს.

კადრების და კვალიფიციურ მუშების სიმცირე უდიდეს გავლენას ახდენს მთელ ჩვენს მშენებლობაზე. კერძოდ ის მნიშვნელოვან როლს თამაშობს ჩვენი მრეწველობის საგრძნობ ჩამორჩენაში ხარისხობრივ მაჩვენებლების მხრივ. შრომის ნაყოფიერება, თუმცა ბოლო დროს ის საგრძნობლად გაიზარდა, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ მისულა სათანადო დონემდე. თვითღირებულების დაკლება, მიუხედავად მთელი რიგი საწარმოებში ამ მხრივ არსებულ მიღწევებისა, საერთოდ ძალზე ჩამორჩა მოცემულ დავალებას. უფრო უარესი მდგომარეობაა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საქმეში. მთელი ყურადღება ამ ნაკლოვანებათა გამოსწორებისაკენ უნდა იქნას მიქცეული.

მიუხედავათ აღნიშნულ დეფექტებისა, ჩვენ სამრეწველო გეგმების შესრულების დარგში დიდი მიღწევები გვაქვს. მთელ რიგ სამრეწველო დარგებში ეს გეგმები გადაჭარბებითაა განხორციელებული. ამაში განსაკუთრებული როლი ითამაშა მუშათა მასების შრომითმა ენტუზიაზმმა, რამაც გამოხატულება ჰპოვა სოციალისტურ შეჯიბრების და დამკვრელობის ფართოდ გაშლაში. ამის შედეგად საგრძნობლად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, განმტკიცდა საწარმოო დისციპლინა და სხვ.

მაგრამ ეს მიღწევები, რა თქმა უნდა, საკმარისი არაა დასახულ ამოცანებთან შედარებით, რომელთა გადასაჭრელად კიდევ უფრო უნდა დავჭიმოთ ჩვენი ენერგია და მასების ინიციატივის და თვითმოქმედების გაშლის ნიადაგზე, მედგრად შევებრძოლოთ იმ ნაკლოვანებებს, რომელნიც ჩვენს სამრეწველო მშენებლობას აფერხებენ.

ამავე დროს, თავის თავად ცხადია, რომ ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა და საქართველოს ინდუსტრიალიზაციის დაჩქარება გულისხმობენ ჩვენი ძალღონის გაერთიანებას არა მარტო ჩვენი რესპუბლიკის მასშტაბით. აქ პირველ ყოვლისა აუცილებელია მეზობელ რესპუბლიკებთან სამეურნეო თანამშრომლობის გაძლიერება, ამიერ-კავკასიის ფედერაციის სამეურნეო ბაზის განმტკიცება. მავნე პარალელიზმის მოსპობა და ხელმძღვანელობის და ორგანიზაციულ საქმიანობის მთლიანობის ნამდვილად გატარება ა.-კ. რესპუბლიკების სამეურნეო მშენებლობაში აუცილებელი პირობაა როგორც მთელი ფედერაციის, ისე მისი თვითეული წევრის შემდგომ ეკონომიური განვითარებისათვის. ამ მხრივ მუშაობა, რომელიც დღემდე ნელა მიმდინარეობდა, უნდა დაჩქარდეს. საქ. კ.პ. (ბ) დადგენილება ა.-კ. ფედერაციის სამეურნეო ბაზის გაძლიერების შესახებ ყოველმხრივ უნდა იქნეს გატარებული ცხოვრებაში.

შესდგა ჩინეთის საბჭოთა ყრილობა

რევოლიუციონური პროფოპოზიცია 16 ივნის ბერლინში აწყობს დიდ დემონსტრაციას

ფინანსიური კრიზისი ამერიკაში.—ფასიანი ქაღალდების კურსი შეუჩერებლად ეცემა

ჩინეთის საბჭოების ყრილობა
ყრილობის დადგენილებები

შანხაი, 11 ივნისი. არალეგალური კომუნისტური ორგანო „შანხაი-ბაო" ათავსებს ჩინეთის საბჭოთა პროვინციების პირველი ყრილობის ანგარიშს. ყრილობას ესწრებოდნენ ჩინეთის სხვადასხვა საბჭოთა რაიონების მუშათა, გლეხთა, ჯარისკაცთა და რევოლიუციონური ახალგაზრდობის დელეგაციები და აგრეთვე უმნიშვნელოვანეს ცენტრალურ პროვინციების და სამრეწველო ცენტრების დელეგატები.

ყრილობამ აუცილებლად სცნო მიწაზე კერძო საკუთრების მოსპობა და მემამულეთა, ეკლესიებისა და მონასტრების მიწების კონფისკაცია და მათი გადაცემა საბჭოთა ხელისუფლების განკარგულებაში უმიწყულო და ღარიბ გლეხობისათვის გასანაწილებლად. ყრილობამ საჭიროდ სცნო აგრეთვე მიწის გადასახადებისა და სხვადასხვა სახის ფეოდალური ბეგარის გაუქმება. ყრილობამ დაამტკიცა შრომის დაცვის კანონი, შემოიღო 8 საათის სამუშაო დღე დიდებისათვის და 6 საათის სამუშაო დღე მოზარდებისათვის და დააწესა შრომის ხელფასის მინიმუმი.

მიღებულია დადგენილებები ავადმყოფთა და ინვალიდთა სოციალური დაზღვევის შემოღებისა და კაპიტალისტების მიერ საბჭოთა მთავრობის კანონების შესრულებაზე მუშათა კონტროლის დაწესების შესახებ.

რეზოლიუციაში იმპერიალიზმთან ბრძოლის შესახებ ყრილობა საჭიროდ სცნობს არა მარტო იმპერიალისტების პრივილეგიების მოსპობას ჩინეთში, არამედ მათი ეკონომიური ბატონობისაც ჩინეთზე. ამიტომ „საბჭოთა მთავრობამ,—ყრილობის დადგენილებით,—უნდა გააუქმოს უცხოელთა ვალები და მოახდინოს უცხოელთა კონცესიების, ბანკებისა და საწარმოების კონფისკაცია გამოუსყიდავად".

ყრილობამ მოუწოდა მშრომელთ იბრძოლონ გომინდანისა და იმპერიალიზმის თეთრი ტერორის წინააღმდეგ, გამოიყენონ საბჭოთა ტერიტორიების დასაცავად. ყრილობამ მიიღო მოწოდება საერთაშორისო პროლეტარიატისა და ჩინეთის მშრომელებისადმი.

ნიუ-იორკის ბირჟაზე
ეცემა ფასიან ქაღალდების კურსი

ნიუ-იორკი, 11 ივნისი. გაზეთების გადმოცემით, ნიუ-იორკის ბირჟაზე 9 ივნისს ფასიანი ქაღალდების კურსი ძალიან დაბალი იყო. კურსის დაცემა აიხსნება მრეწველობისა და ვაჭრობის შეფერხებით. (ადს).

ინდოეთში
ნაც. კონგრესის მორიგი რეზოლიუცია

ლონდონი, 11 ივნისი. ალლახაბადიდან მიღებული ცნობით, ინდოეთის ნაციონალური კონგრესის აღმასკომმა მეფის ნაცვლის ახალი ბრძანების საპასუხოდ გამოაქვეყნა რეზოლიუცია, რომელიც მოუწოდებს მასებს სამოქალაქო ურჩობის კამპანიის გაგრძელებისაკენ. რეზოლიუცია წინადადებას იძლევა — გაგრძელდეს მთავრობის დაწესებულებათა ბოიკოტი და გაძლიერდეს კამპანია მიწის გადასახადის გადახდის წინააღმდეგ. (ადს).

ავსტრიის კომკავშირის შეკრება
პოლიციის აკრძალვის მიუხედავად

ვენა, 11 ივნისი. აკრძალვის მიუხედავათ, ტრიეზენტალში მოხდა სრულიად ავსტრიის კომკავშირის შეკრება, რომელსაც 700 კაცი დაესწრო. გზაში პოლიციამ დააკავა შეკრების მონაწილეთა მრავალი საბარგო ავტომობილი, ხოლო მგზავრები დააპატიმრა. რადგან ტრიზენტალში ტყვიამფრქვევებით შეიარაღებულ ჟანდარმერიის დიდი რიცხვი იყო თავმოყრილი, ამიტომ არ შესდგა ღია ცის ქვეშ განზრახული მიტინგი. დახურული მიტინგის გარეკვის დროს მოხდა სასტიკი შეტაკება ჟანდარმებთან. დაიჭრა 10 კაცი, მათ რიცხვში 3 მძიმედ. დარბაზში მყოფი მუშები დააპატიმრეს და პოლიციის გაძლიერებული რაზმების თანხლებით ჩაატარეს ქუჩებში. გზადაგზა დაპატიმრებულები, რომელსაც ადგილობრივი მუშები სალამით ეგებებოდნენ, მღეროდნენ რევოლიუციონურ სიმღერებს. ღდისით რამდენიმე ასმა სოციალ-დემოკრატმა მუშამ სცადა ფაბრიკის ეზოში შემწყვდეული მუშების განთავისუფლება. ისინი თავს დაესხნენ ჟანდარმებს, რომლებმაც ხმლებით შეუტიეს და დააპატიმრეს მრავალი მუშა. კომუნისტების გაგზავნის დროს სადგურზე მოხდა ახალი შეტაკება. ხმლებით დაიჭრა რამდენიმე კაცი, მათ შორის ავსტრიის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრი ლაუშერი. (ადს).

საფრანგეთის სოციალ-ფაშისტების ყრილობა
შეთანხმება მემარჯვენეებსა, ცენტრისტებსა და „მემარცხენეებს" შორის

პარიზი, 11 ივნისი. საფრანგეთის სოციალისტების ყრილობაზე „მემარცხენეებსა", ცენტრისტებსა და მემარჯვენეებს შორის შეთანხმების გამო დაადგინა მოხსნას დღის წესრიგიდან ფრიად სერიოზული საკითხი, რომელსაც ოფიციალურად „განიარაღება" უწოდებენ. კამათი, რომელიც ამ საკითხის გარშემო არ გაიმართა, არაჩვეულებრივის ინტერესით ელოდნენ როგორც მუშათა, ისე ბურჟუაზიულ წრეებში.

შეთანხმება აშკარად არის ნაკარნახევი შიშით, რომ პარტიას კიდევ უფრო არ გასტეხოდა სახელი მუშათა მასებში. ყველა ჯურის სოციალ-ფაშისტებს შორის მიღწეული შეთანხმებამ, რომელიც სოციალისტური პარტიის საპარლამენტო ფრაქციის მემარჯვენე უმრავლესობას საშუალებას აძლევს განაგრძოს სოციალ-იმპერიალისტური პოლიტიკა, „მემარცხენეებს"—არსებითად ისეთივე სოციალ-ობორონცებს ივარგებინონ მასების წინაშე ცრუ ინტერნაციონალისტურ ფრაზეოლოგიაში, ყოველგვარ კამათზე უფრო გამოააშკარავა საფრანგეთის სოციალ-ფაშიზმის ნამდვილი სახე. განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ყრილობაზე მუშა გრანფოჟელის გამოსვლას. გრანფოჟელმა განაცხადა, რომ მუშები საშინლად არიან აღშფოთებულნი იმით, რომ დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე—სოციალისტ ბუისონს პირადი მეგობრობა აქვს ტარდიესთან და მონაწილეობას იღებს შოვინისტურ სამხედრო დღესასწაულებსა და აღლუმებში. გრანფოჟელმა აღნიშნა, რომ ბუისონი, როგორც სჩანს, თავის მთავარ ამოცანად თვლის კომუნისტების გამოსვლების ჩაშლას დეპუტატთა პალატაში. გრანფოჟელმა მოითხოვა, რომ ბუისონმა დატოვოს პალატის თავმჯდომარის პოსტი. ბუისონის დასაცავად გამოვიდა „მემარცხენე" ბრაკე. ასეთივე სურათი განმეორდა, როცა ყრილობა იხილავდა უკიდურეს მემარჯვენე სოციალისტ რენოდელის ავიაციის სამინისტროს ბიუჯეტის შესახებ მოხსენებისათვის პოსტზე დარჩენის საკითხს. ყველაფერმა ამან მთელი სიცხადით გამოაშკარავა მანევრი „მემარცხენე" პროვინციალური ორგანიზაციებისა, რომლებმაც წამოაყენეს ბუისონისა და რენოდელის თავიანთ პოსტებზე დარჩენის დაუშვებლობის საკითხი. „მემარცხენეობა" აღმოჩნდა დემაგოგიური ტრიუკი, რომლის მიზანი იყო მუშებისათვის თვალის ახვევა. სინამდვილეში კი ე. წ. „მემარცხენე უმცირესობა", რომელიც შესდგება ცენტრისტებისა და „მემარცხენეებისაგან", უფრო და უფრო აშკარად თანამშრომლობს რენოდელების, ბონკურების და გრუმბახების მემარჯვენე „უმცირესობასთან". (ადს).

კლასობრივი განაჩენი

ნიუ-იორკი, 11 ივნისი. ნიუ-იორკის (ნიუ-ჯერსის შტატი) ზანგ-კომუნისტ გრახამს, სენატის კანდიდატს, 7 წლის ციხე გადაუწყვიტა „ამბოხებისათვის", რაც გამოიხატა უმუშევართა მიტინგის მოწყობისათვის ხელის შეწყობაში. იმავე სასამართლომ, აგრეთვე „ამბოხებისათვის" 7 წლის ციხე გადაუწყვიტა კომპარტიის ადგილობრივი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგეს ფლაიანს.

იუნგის სესხის გამოშვება

პარიზი, 11 ივნისი. იუნგის სესხის პირველი ნაწილის გამოშვებაში დაინტერესებულმა ბანკირებმა საბოლოო შეთანხმებას მიაღწიეს. 300 მილიონი დოლარიდან (რომელსაც შეადგენს სესხის პირველი წილი) გერმანია ხელს მოაწერს 36 მილიონ მარკაზე, ბელგია — 35.000.000 ფრანკზე, ინგლისი — 12 მილ. გირვანქა სტერლინგზე, იტალია — 110 მილიონ ლირაზე, ჰოლანდია — 73.000.000 გულდენზე, შვეცია 110 მილ. კრონზე და შვეიცარია — 92 მილიონ შვეიცარულ ფრანკზე. (ადს).

კლასობრივი ბრძოლა გერმანიაში

მანსფელდის მუშების ცენტრალური საგაფიცვო კომიტეტის სხდომა

მანსფელდი, 11 ივნისი. ეისლებენში მოხდა მანსფელდის რაიონის მუშების ცენტრალური საგაფიცვო კომიტეტის გაფართოებული სხდომა. სხდომამ დაადგინა—მიღებულ იქნას უფრო გადამჭრელი ზომები შტრეიკბრეხერებისათვის წინააღმდეგობის გასაწევად. გაფიცულებს მიაწოდონ საკვები პროდუქტები და დაამყარონ უფრო მჭიდრო კავშირი პროფკავშირებში გაერთიანებულ და გაუერთიანებელ მუშებს შორის. ამ უკანასკნელთა რიცხვი დაახლოებით მანსფელდის მუშების ნახევარს უდრის. (ადს).

უმუშევრობა

ბერლინი, 11 ივნისი. უმუშევართა რიცხვი ბერლინში, ბრანდენბურგში და გრენცმარკში 31 მაისისათვის უდრიდა 413.000 კაცს, რომელთაგან მხოლოდ 294.000 კაცი ღებულობდა დახმარებას. (ადს).

მოუწოდებენ მუშებს გამოვიდნენ 16 ივნისის დემონსტრაციაზე

ბერლინი, 11 ივნისი. რევოლიუციონური პროფოპოზიციის ბერლინის რაიონული კომიტეტი მოუწოდებს ბერლინის მუშებს, გამოვიდნენ 16 ივნისს დემონსტრაციაზე. ამ დღეს იხსნება რეიხსტაგის სესია, რომელიც განიხილავს მთავრობის პროგრამას უმუშევრობისაგან დაზღვევის შესატანის (მუშების შესატანის) გადიდებისა და უმუშევრობის დროს დახმარების შემცირების შესახებ. (ადს).

წითელფრონტელების შეკრება

ბერლინი, 11 ივნისი. საარის ოლქში გამართულ შეკრებასთან ერთად, წითელფრონტელთა კავშირმა რაიონული შეკრება მოაწყო დანციგში, რომელზედაც გერმანიიდან მრავალი დელეგაცია ჩამოვიდა. დემონსტრაციას და მის შემდეგ გამართულ ჩირაღდნებით სვლას მშრომელი მოსახლეობა დიდი აღტაცებით შეხვდა. (ადს).

მდგომარეობა რუმინეთში
ლიბერალებმა დაადგინეს იბრძოლონ კაროლის წინააღმდეგ

ვენა, 11 ივნისი. რუმინეთის პარლამენტის და სენატის გაერთიანებულმა სხდომამ 486 ხმით ერთის წინააღმდეგ კაროლი მეფედ გამოაცხადა. სოციალ-დემოკრატებმა გამოაქვეყნეს დეკლარაცია, რომელშიაც მათ თავიანთი „პრინციპიალური" გეზი გამოხატეს: ისინი საჭიროდ სცნობენ პერსონალურ ცვლილებებს მთავრობაში და აღნიშნავენ, რომ მონარქიისათვის მნიშვნელობა აქვს უზრუნველყოფილ იქნას რუმინეთის „დემოკრატიული განვითარება". ლიბერალებმა ბოიკოტი გამოუცხადეს სხდომას და მოიწვიეს თავიანთი ც. კ-ის პლენუმი, რომელზედაც ლიბერალების ნაწილი, გეორგ ბრატიანუს მეთაურობით, მოითხოვდა კაროლის ცნობას. მიუხედავად ამისა, პლენუმის უმრავლესობამ დაადგინა იბრძოლოს კაროლის წინააღმდეგ, ხოლო ბრატიანუ გამორიცხოს პარტიიდან.

კაროლის ბრძანებით, ბევრი ცნობილი ლიბერალი პასუხისგებაში მისცეს.

კაროლის მეფედ გამოცხადების შემდეგ მირონესკუს მთავრობა გადადგა. სწარმოებს ახალი მოლაპარაკება მთავრობის შედგენის შესახებ. კაროლის მომხრეები ჯერ ვერ გრძნობენ თავს მტკიცედ. მთელ რუმინეთში, უმთავრესად ბუქარესტში, ჯარი საომრად არის მომზადებული. დიდი ცვლილებები მოხდა არმიის მეთაურთა შემადგენლობაში. რუმინეთის სამხედრო ძალების უფროსად დაინიშნა გენერალი ჩიხოსკი, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს პოლონეთის სამხედრო წრეებთან. ცნობილი პირები, რომელთაც თავის დროზე კაროლის გაძევებაში მონაწილეობა მიიღეს, პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ არიან. ლიბერალებმა ბუქარესტში რამდენიმე საპროტესტო მიტინგი გამართეს. ფაშისტურმა სტუდენტობამ და უნტერ-ოფიცრებმა სხვადასხვა ქალაქში დემონსტრაციები მოაწყვეს კაროლის აპტივსაცემად. (ადს).

ვარშავაში გაიმართა დემონსტრაცია
გრანდის წინააღმდეგ

ვარშავა, 11 ივნისი. იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრ გრანდის ჩამოსვლასთან დაკავშირებით ვარშავაში გაიმართა მუშათა საპროტესტო დემონსტრაცია ფაშისტ - მინისტრის წინააღმდეგ. დემონსტრაციაზე სიტყვით გამოვიდა კომფრაქციის დეპუტატი ბოპულა. პოლიციამ გაფანტა დემონსტრანტები. გრანდის წინააღმდეგ დემონსტრაცია მოაწყვეს პეპეესოვლებმა და ბუნდმაც. ეს დემონსტრაციაც გაფანტა პოლიციამ. ბუნდის ორგანო „ფოლკსციტუნგ" და პეპეესოვლების ორგანო „რობოტნიკ" გამოვიდნენ დიდი [illegible]გით, რომლითაც მკითხველებს მოაგონებენ, რომ გრანდი ვარშავაში ჩამოვიდა იტალიის სოციალისტ - დეპუტატ მატეოტის მოკვლის 6 წლის თავზე.

„რობოტნიკ" ამტკიცებს, რომ გრანდი პირადათ იღებდა მონაწილეობას ამ მკვლელობაში. ორივე გაზეთის ნომერს კონფისკაცია უყვეს. ქალაქის თვითმმართველობის სხდომაზე ბუნდის წევრებმა და სოციალისტებმა შეიტანეს წინადადება მატეოტის ხსოვნის აღნიშვნისა და გრანდის ვარშავაში ჩასვლის წინააღმდეგ პროტესტის გამოცხადების შესახებ. პილსუდსკიმ ადვილად ჩაშალა ეს დემონსტრაცია.

სამოქალაქო ომი ჩინეთში
იოჯიუს დაპყრობა დასტურდება

პეიპინი, 11 ივნისი. ჩინური წყაროების ცნობები ადასტურებენ გუანსის ჯარის მიერ იოჯოუს აღებას (იოჯოუ მდებარეობს შუა გზაზე ხანკოუსა და ჩანშას შორის). ლუნხაის ფრონტზე სიწყნარეა. მოწინააღმდეგენი ელიან მოვლენათა განვითარებას შანდუნსა და ხუბეიში. ძინანი (შანდუნის მთავარი ქალაქი) ჯერ კიდევ ხანფუ-ჩუს (ნანკინის მომხრე) ხელშია. მაგრამ ჩრდილოელების სიტყვით სწარმოებს მოლაპარაკება ძინის უბრძოლველად დამორჩილების შესახებ. (ადს).

ამხ. გაბნეის მოკვლა

ვენა, 11 ივნისი. უნგრეთის სამხრეთ-სლავიის საზღვარზე სამხრეთ-სლავიის სანაპირო სადარაჯო რაზმმა მოკლა სამხრეთ-სლავიელი კომუნისტი გაბნეი. (ადს).

დანიშვნა

მოსკოვი, 12 ივნისი. საკავშირო ცაკის პრეზიდიუმმა დააკმაყოფილა ამხ. რუძუტაკის თხოვნა მისი განთავისუფლების შესახებ გზათა სახალხო კომისრის მოვალეობისაგან.

გზათა სახალხო კომისრად დაინიშნა ამხ. რუხიმოვიჩი, ამავე დროს იგი განთავისუფლებულ იქნა საკავშირო ს. მ. უ. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობის ასრულებისაგან. (ადს).

ინციდენტი პოლონეთ-გერმანიის საზღვარზე

პარიზი, 11 ივნისი. „ტან" იტყობინება, რომ გამოძიება პოლონეთ - გერმანიის საზღვარზე მომხდარი ინციდენტის გამო დამთავრდა. მხარეებს შორის შეთანხმება არ მომხდარა. გერმანიის მთავრობა საპროტესტო ნოტას უგზავნის პოლონეთს. ვარშავაში დააპატიმრეს გერმანელი მოქალაქე ფიდლი, რომელსაც აბრალებენ კონფლიქტის პროვოკაციას და პოლონეთის სანაპირო რაზმელის მოკვლას. (ადს).

მუშა-ხელის ცვალებადობის წინააღმდეგ

მოსკოვი, 12 ივნისი. საბჭოთა კავშირის შრომის სახ. კომისარიატმა გადასწყვიტა, მიიღოს სხვადასხვა ზომები საწარმოებზე მუშა-ხელის ცვალებადობის წინააღმდეგ. შრომის სახ. კომისარიატი სცნობს, რომ მუშა-ხელის ცვალებადობასთან საბრძოლველად მთავარი ღონისძიებაა კადრების მომზადება, მეტადრე მძიმე ინდუსტრიისათვის. შრომის სახ. კომისარიატის დადგენილებით, იმ მუშა-მოსამსახურეებს, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში მუშაობენ საბჭოთა მეურნეობის მთავარი დარგების ერთსა და იმავე საწარმოში, უნდა მიეცეთ უპირატესობა ხელფასში, შეღავათებში და სხვ. შრომის სახ. კომისარიატმა გადასწყვიტა მიიღოს ზომები, რათა მუშებს გაუადვილოს დაწინაურება უფრო კვალიფიციურ სამუშაოზე. გადასინჯულ იქნება კანონმდებლობა დროებითი სამუშაოების შესახებ ვადების შემცირების მიზნით. საწარმოებში ჩატარებულ უნდა იქნას ფართო კამპანია მუშების ზედმეტი ცვალებადობის წინააღმდეგ. (ადს).

ს. კ. პ. (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტის შემადგენლობა

წევრები:

ავქსენტიევსკი, აკოფოვი, ალიხანოვი, ალეკპერ ალიევი, ამატუნი, ამასი, ანანიანი, ასრიბეკოვი, რუხულა ახუნდოვი, ახუნდ-ზადე, ჯაფარ ბაგიროვი, ბანოიანი, ბარინოვი, ბეკზადიანი, ბერია, ვანო ბოლქვაძე, ბუნიატ-ზადე (მუშა), გალოიანი, გენკინი, გიკალო, გოგია, ლევან ღოღობერიძე, გოლდბაუმი, გუმედინი, დარახველიძე, ჯაბიევი, ს. ჯუღელი, ხუბრა ზეინალოვა, ოვსად ზეინალოვი, იპპო, კალაშიანი, ქარაევი, კასიანი, იუსუფ კასიმოვი, კვანტალიანი, კრილოვი, კუზნეცოვი, ყურულაშვილი, ლაკობა, ლომინაძე, საკინე მამედოვა, ს. მამულია, მახარაძე, მგალობლიშვილი, პავლე მელაძე, მაჩაიძე, მუსაბეკოვი, მამია ორახელაშვილი, დ. ფანცულაია (მუშა), პოზდეევი, რასულ-ზადე, რახმანოვი, რედენსი, ნ. სვანიძე, სტოლიაროვი, ლ. სუხიშვილი, ი. ტაგიევი, თაქთაქიშვილი, ტერ-ეგიაზარიანი, ტერ-ვართანოვი, ტერ-გაბრიელიანი, მ. ტოროშელიძე, ფროლოვი, ხანჯიანი, ცხაკაია, ჩაპლინი, მუშედ ჩალიანი, ჭკვიანოვა, ელიავა, ასკარ ეფენდიევი, იულფრედი (დაზგის მუშა), მელიქ- იაკუბოვი (მუშა).

კანდიდატები:

მათიკაშვილი, გ. დევდარიანი, ლუკა ლომიძე, რ. ალმალიანი, ნ. ბახტაძე, ფეოდოსია გეგეშიძე, სეფი, ა. ერზინკიანი, ვ. მამკევიჩი, ლისოვსკი, გობეჩია, აიკუშ იშხანიანი, ჩერტკინი, აბდულაევი, პ. გაზაევი, მეხტი ჯაბარი, მაკაროვი, გრიგორიანი, ლეონ სტეფანიანი.

სარევიზიო კომისია

ხაჩიევი, აკიმოვი, ვარუნცი, ლიციონოვი, საყვარელიძე, ნადირ იბრაგიმოვი, ალი-მამედოვი, იაგჯიანი.

ს. კ. პ. (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტის პლენუმი

12 ივნისს საღამოს 6 საათზე, შესდგა პლენუმი საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის, რომელიც არჩეულ იქნა ამიერ-კავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების მე-6 ყრილობაზე.

ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის პლენუმის დადგენილებით, გადაწყდა ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმს ეწოდოს საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის ბიურო, ამგვარათვე დადგენილება იქნა მიღებული ამიერ-კავკასიის ყველა პარტორგანიზაციების მიმართ.

ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მდივნებად არჩეულ იქნენ: ამხ. ბ. ლომინაძე (პირველ მდივნად), ჩაპლინი და რუხულა ახუნდოვი.

ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის ბიუროში არჩეულ იქნენ: ახუნდოვი, გიკალო, ღოღობერიძე, კუზნეცოვი, ლომინაძე, მახარაძე, მუსაბეკოვი, მამია ორახელაშვილი, ტერ-ეგიაზარიანი, ხანჯიანი, მიხა ცხაკაია, ჩაპლინი, ელიავა; ბიუროს კანდიდატებად: ამხ. ბუნიატ-ზადე, ტერ-გაბრიელიანი, რედენსი, ავქსენტიევსკი, ყურულაშვილი და სუხიშვილი.

„ზარია ვოსტოკა"-ს პასუხისმგებელ რედაქტორად დამტკიცებულ იქნა ამხ. მამია ორახელაშვილი.

ს. კ. პ. (ბ.) ა.-კ. საოლქო საკონტროლო კომისიის წევრები

ალაჯალოვა, თ. ადამიძე, ს. აკოფოვი, ბაბა ალიევი, გ. არუთინოვი, არუშანოვი, ლ. არუთინიანი, ბალახლინსკი, ბაბაჯანოვი, ს. ბაბაიანი, ს. ვარდანიანი, ი. ვარძიელი, ვაცეკი, ა. ვართანოვი, ვატაგინი, ვორონინი, გაბერკორნი, გოლოკოლენცევი, გულიევი, საფარ გუსეინოვი, ლვინიაშვილი, გელაშვილი, გლინსკი, აბას გაჯიევი, გაზარდაი, ა. დამბარიანი, გორჩაევი, მ. გრიგორიანი, გულამოვი, ვ. ჯაფარიძე, დაუთოვი, ს. ესაკია, ერმოხინი, ი. ჟვანია, ნ. ზარიფიანი, ივანოვ-კავკაზკი, კოპლამაზაშვილი, კვარაცხელია, კარაკოზოვი, ვ. კილოსანიძე, კირვალიძე, კვიშილი, კორნეევი, ალამალი კასუმოვი, ლ. კაზარიანი, მ. კამარიანი, ს. კომაშიანი, ლაზარიშვილი, ლავცილავა, შ. ლექავა, მეშკოვი, მირზაბეკიანი, მარქაროვი, მ. მაშკევიჩი, მზარეულიშვილი, მამედხანოვი, მანუჩაროვი, მოლოტოვი, ტ. მანდალიანი, ნიკოლაევი, ნადირშინი, ვ. ნოვიკოვი, ნასიროვი, ნაზაროვი, ნემერზელი, ოვანესიანი, ორეშინა, პოტერიახინი, პეტრუხინი, პარსუგიანი, ფოფხაძე, რაგიმოვი, რაჯაბოვა, რასულოვი, სააკოვი, გ. სალთენიანი, სალმანოვი, სტერნინი, ვ. სტურუა, მ. სარქისიანი, ა. სამოილოვი, გ. სტურუა, ნ. სურგულაძე, ტაგიევა, ვ. თალაკვაძე, თაქთაქიშვილი, ს. თოდრია, ა. ხუმარიანი, ს. ხანოიანი, ჩურიკოვი, ჩხეიძე, შავერდოვა, შაუმოვი, შენგელაია, შაბროვი, ა. შახბაზოვი, შმელევი, შახსუაროვი, შირინოვი, შაზანოვი, ეიბატ გადაში, ბალა ეფენდიევი, ს. მ. ეფენდიევი, ელერდაშვილი, იაგნეტინსკი, იაკოვლევი, იაკუბოვი.

ა.-კ. საოლქო საკონტროლო კომისიის პირველი პლენუმი

12 ივნისს შესდგა ამიერ-კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიის პირველი პლენუმი, რომელზედაც არჩეულ იქნენ საკ. კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიის ხელმძღვანელი ორგანოები.

ამიერ-კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიის თავმჯდომარედ პლენუმმა აირჩია ამხ. იაკოვლევი, პარტკოლეგიის მდივნად ამხ. ვანო სტურუა.

საკ. კომპ. (ბ) ა.-კ. საოლქო საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმი არჩეულია შემდეგი შემადგენლობით: წევრები: 1) ბალახნისკი, 2) სტ. ვარდანიანი, 3) ი. ვარძიელი, 4) აბრ. ვართანოვი, 5) ვაცეკი, 6) გორჩაევი, 7) ივანოვ-კავკაზსკი, 8) მანდალიანი, 9) მირზაბეკიანი, 10) ვანო სტურუა, 11) შავერდოვა, 12) იაკოვლევი, 13) იაკუბოვი.

კანდიდატები: 1) გოლოვოლენცევი, 2) თაქთაქიშვილი, 3) ბალა ეფენდიევი, 4) პოტერიახინი, 5) კოპლამაზაშვილი.

პარტკოლეგია არჩეულია შემდეგი შემადგენლობით: ალაჯალოვა, ვაცეკი, ესაკია, ნიკოლაევი, ვ. სტურუა, შავერდოვა, იაკუბოვი.

მუშათა კლასის მოღალატეთა გასამართლება

მოსკოვი, 12 ივნისი. საბჭოთა კავშირის უზენაეს სასამართლომ მოისმინა საბჭოთა კავშირის საფრანგეთში არსებული სავაჭრო წარმომადგენლობის ბეწვეულის და ნედლეულის განყოფილების გამგის ბაიტინის და ამავე წარმომადგენლობის სატყეო განყოფილების სპეციალისტის შტრომბერგის საქმე. ბაიტინს და შტრომბერგს ბრალდებოდათ ის, რომ მათ უარი განაცხადეს საბჭოთა კავშირში დაბრუნებაზე.

ბეწვეულისა და ნედლეულის განყოფილების გამოკვლევით დადასტურდა, რომ ბაიტინი, პირადი გამდიდრების მიზნით, სდებდა საზარალო ხელშეკრულებებს, იღებდა ქრთამებს და ეწეოდა სიყალბეს კალკულიაციაში. ბაიტინმა იცოდა, რომ საბჭოთა კავშირში დაბრუნებისას მას პასუხი უნდა ეგო ჩადენილ ბოროტმოქმედებაში, ამიტომ უარი განაცხადა საბჭოთა კავშირში დაბრუნებაზე.

როგორც წინასწარი გამოძიების მასალებიდან გამოირკვა, შტრომბერგი — სატყეო ექსპორტის სპეციალისტი — ქრთამს იღებდა უცხოეთის ფირმებისაგან; იგი ხე-ტყის ამ ფირმებს ხელსაყრელ პირობებში აწვდიდა. 1929 წლის ივნისში, შტრომბერგს წინადადება მიეცა დაბრუნებულიყო საბჭოთა კავშირში, მაგრამ მან სავაჭრო წარმომადგენლობაში შეიტანა განცხადება, რომლითაც თხოულობდა სამუშაოდან განთავისუფლებას, საბჭოთა კავშირში დაბრუნებაზე კი შტრომბერგმა უარი განაცხადა.

საბჭოთა კავშირის უზენაესმა სასამართლომ ბაიტინი და შტრომბერგი სცნო „დამნაშავეებად იმაში, რომ მათ საბჭოთა კავშირს უღალატეს და მუშათა კლასის და გლეხობის მტრების ბანაკში გადავიდნენ". სასამართლომ, იხელმძღვანელა რა საბჭოთა კავშირის ცაკის 21 ნოემბრის დადგენილებით, გადასწყვიტა—გამოცხადებულ იქნას ბაიტინი და შტრომბერგი კანონს გარეშე და მოხდეს მთელი მათი ქონების კონფისკაცია. (ადს).

გავაუმჯობესოთ მმართველობა— უზრუნველვყოთ ტემპები

თავის 12 აპრილის დადგენილებაში პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ „საწარმოების მიმართ ხელმძღვანელობის მეთოდები დღემდე არ არის შეფარდებული რეკონსტრუქციის პერიოდის ახალ პირობებთან". წარმოების მმართველობის დეფექტები წარმოადგენდენ და ამჟამადაც წარმოადგენენ ჩვენი ტემპების ერთ-ერთ უდიდეს შემაფერხებელ გარემოებას. ისინი თვალსაჩინოდ განსაზღვრავდენ ჩამორჩენას გეგმის შესრულებაში, რასაც ადგილი ქონდა მიმდინარე სამეურნეო წლის პირველ თვეებში; ამ დეფექტებითვე აიხსნება ცალკე ჩამორჩენები, რასაც ადგილი ჰქონდა ამ უკანასკნელ დროს ზოგიერთ საწარმოში.

წარმოების მმართველობის დეფექტებს მოწმობს ის გარემოება, რომ, გეგმის რაოდენობით მაჩვენებელთა შესრულებაში ფრონტის გამოსწორებასთან ერთად, ჩვენ ჯერ კიდევ ძალიან ჩამორჩენილი ვართ ხარისხობრივი მაჩვენებლების მხრივ, სოციალისტური შეჯიბრების უდიდესი გაშლის მიუხედავად, ჩვენ დღემდე ვერ მივაღწიეთ გეგმით დასახულ შრომის ნაყოფიერების გადიდებას, დღემდე კიდევ ბევრი აკლია სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების დასახული შემცირების შესრულებას.

სოციალისტური შეჯიბრების ამჟამად მიმდინარე თვითშემოწმებამ ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ... პარტიული ორგანიზაციების მხრივ არასაკმაო ხელმძღვანელობასთან ერთად, შეჯიბრებას ძალიან აფერხებენ წარმოების მმართველობის სისტემის დეფექტები.

სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესრულებისათვის ბრძოლის იმ ამოცანების მიხედვით, რომელნიც დგანან ჩვენს წინაშე მიმდინარე სამეურნეო მშენებლობის დარჩენილ პერიოდში და რომლებიც ჩვენ უნდა გადავჭრათ ხუთწლედის მომავალ მესამე წელს, საწარმოების მმართველობის საკითხები ამჟამად განსაკუთრებულ მნიშვნელობას ღებულობენ.

გეგმის რაოდენობითი შესრულებისათვის ბრძოლის გაგრძელებასა და ჩამორჩენილ საწარმოთა დაწინაურებასთან ერთად, ჩვენ ამჟამად მოვალენი ვართ მთელი ყურადღება მივაქციოთ ხარისხობრივ მაჩვენებელთა შესრულებას. ეს მოითხოვს მუშაობისა და მრეწველობის მმართველობის მთელი სისტემის ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესებას პირველ ყოვლისა გადამწყვეტ საფეხურში — საწარმოში. წარმოების ძირათ ხელმძღვანელობის გაუმჯობესება აუცილებელი პირობაა იმ ბუმბერაზული ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის, რომლებიც ჩვენთვის მომავალ წელს მოაქვს. წარმოების მმართველობის დეფექტები და აქ წმინდა „რუსული" დაუდევრობის უამრავი ნაშთების ჯერ კიდევ არსებობა წარმოადგენს ერთ-ერთ უდიდეს „ობიექტიურ" სიძნელეს ინდუსტრიალიზაციის ტემპების განხორციელების გზაზე.

მას შემდეგ, რაც ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება სამრეწველო საწარმოთა მმართველობის შესახებ, დახლოებით ორმა თვემ განვლო. მაგრამ ამ უმნიშვნელოვანესი პრობლემის ირგვლივ ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის დარაზმული პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციების ყურადღება. ჯეროვანი ტემპებით არ ხორციელდება ცენტრალური კომიტეტის ეს უმნიშვნელოვანესი დადგენილება.

ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ აღნიშნა ის ძირითადი მიმართულებანი, რომლებითაც უნდა სწარმოებდეს მუშაობა საწარმოს ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისათვის. მთავარია კადრების პრობლემა, საწარმოების ხელმძღვანელ მუშაკთა გადამზადება თვით მუშაობის პროცესში და საწარმოს ძირითადი საფეხურების — საამქროების ხელმძღვანელობის განმტკიცება, შემდეგ — წარმოებაში ერთმმართველობის ნამდვილი გაუმჯობესება უგეგმობასთან ბრძოლაში.

უნდა აღვნიშნოთ, რომ თუ ზოგი რამ გაკეთდა დირექტორების დაუსწრებელი გადამზადების საქმეში, სამაგიეროდ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება საამქროების ხელმძღვანელი კადრების გაძლიერების შესახებ და საამქროების უფროსებს — ოსტატების, ბრიგადირების და სხ. თანამდებობებზე დაწინაურება... (გამოტოვებულია) საწარმოო აქტივის მუშაკების, როგორც პარტიის წევრების, ისე უპარტიოების, და არ უნდა მოვერიდოთ უპარტიო მუშების, ოსტატების და სპეციალისტების დაწინაურებას ყველაზე საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. პრაქტიკაში ჯერ კიდევ არ არის ასეთი ფართო დაწინაურება.

საჭიროა ეხლავე, დაუყოვნებლივ ფართოდ გავშალოთ მუშაობა ხელმძღვანელი კადრების განმტკიცებისა და გაუმჯობესებისათვის. კადრების ნაკლებობა და სისუსტე ხელს გვიშლის მთლიანად გამოვიყენოთ ის ბუმბერაზული შესაძლებლობანი და უპირატესობანი, რომლებსაც იძლევა ჩვენი გეგმიანი სისტემა. პარტია უდიდეს ყურადღებას აქცევს კადრების მომზადების საკითხს. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია უცადოთ იმას, თუ როდის მივიღებთ ახალ ძალებს უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებლებისაგან. ჩვენ არ შეგვიძლია ახალი კადრების მომზადებამდე გადავდოთ უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადაწყვეტა. სხვანაირად საკითხის დასმა ნიშნავს მემარჯვენეთა პოზიციაზე დადგომას, რომელნიც მოითხოვდნენ „ვიწრო ადგილებზე" გათანაბრებას. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა ხელმძღვანელი მუშაკების გადამზადებას თვით მუშაობის პროცესში, მუშათა მასების წიაღიდან საუკეთესო ელემენტების გულდასმით შერჩევას — მუშათა ფართოდ დაწინაურებას. ამ ამოცანების გადაწყვეტას ამჟამად უნდა მივაპყროთ ყველა პარტიული ორგანიზაციების სამეურნეო მუშაკებისა და მუშათა ფართო საზოგადოებრივების ყურადღება.

ცენტრალური კომიტეტის დადგენილება მოითხოვდა, რომ „1 ივნისისათვის დამთავრებულიყო სამეურნეო ანგარიშის მიყვანა ყოველ საამქრომდე, ხოლო საწარმოო დავალებების მიყვანა ყოველ აგრეგატამდე, ყოველ ბრიგადამდე". ცენტრალური კომიტეტის მიერ მოცემული ვადა გავიდა. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ცენტრალური კომიტეტის ეს მოთხოვნა მთლიანად არის განხორციელებული. თუ საამქროები ღებულობენ საგეგმო დავალებებს, სამაგიეროდ ბევრად უარესი მდგომარეობაა საწარმოს დაბალ საფეხურებში. მრავალ შემთხვევაში მუშათა ბრიგადის მიერ მიღებულ საგეგმო დავალებას აქტუალური მნიშვნელობა არა აქვს და ქვედა საფეხურამდე გეგმის მიყვანა ფორმალურ ხასიათს ატარებს, განსაკუთრებით ეხება ეს ხარისხობრივ მაჩვენებლებს, რომლებიც მეტ წილად ამ დავალებებში არ მოიპოვებიან. თვით საამქროების საგეგმო დავალებებიც ბევრად არ განსხვავდებიან წინანდელი განწესებისაგან.

უმრავლეს შემთხვევაში სამეურნეო ანგარიშის საამქრომდე მიყვანა ჯერ კიდევ დამთავრებული არ არის. აქ საჭიროა გადამჭრელი ზოგადლენა. სამეურნეო ანგარიშის გაფართოება ჩვენს პირობებში მოასწავებს სოციალისტური აღრიცხვის სისტემის გაუმჯობესებას, საწარმოთა დაგეგმვის სისტემის გაუმჯობესებას. სამეურნეო ანგარიში უპასუხისმგებლობის თავიდან აცილებისა და ერთმმართველობის განმტკიცების ერთ-ერთი პირობაა. არ შეიძლება დავუშვათ, რომ საამქროების სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის შემდეგ კვლავ მეორდებოდეს ის სურათი, რომელსაც ჩვენ ვხედავდით ახლო წარსულში სამეურნეო ანგარიშზე საწარმოების გადაყვანის დროს.

საწარმოებში დაგეგმვის სისტემის დეფექტების აღმოსაფხვრელად უნდა მოვახდინოთ მუშათა მასების მობილიზაცია. სოციალისტური შეჯიბრების ამჟამად მიმდინარე შემოწმება მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ იმისათვის საბრძოლველად, რომ გეგმა, როგორც რაოდენობითი, ისე ხარისხობრივი მაჩვენებლებით, ნამდვილად და არა მარტო ფორმალურად მიყვანილ იქნას დაზგამდე და მუშათა ბრიგადამდე.

ამასთან ერთად, ბოლოს და ბოლოს უნდა მივაღწიოთ იმასაც, რომ, როგორც ამას ცენტრალური კომიტეტის დადგენილება მოითხოვს, ეს გეგმები წინასწარ განხილულ იქნას მუშების მიერ, მათი საუკეთესოდ და გადაჭარბებით შესრულების შესაძლებლობის თვალსაზრისით. საკავშირო პროფსაბჭოს უკანასკნელი დადგენილება საწარმოო თათბირების მუშაობის გარდაქმნის შესახებ აღნიშნავს ამისათვის საჭირო ორგანიზაციულ ფორმებს. მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ამოცანები ეკისრება არა მარტო ადგილობრივ პროფკავშირულ ორგანიზაციებს, არამედ სამეურნეო მუშაკებსაც. დროა ბოლო მოეღოს სამეურნეო მუშაკებს შორის ჯერ კიდევ საკმაოდ გავრცელებულ იმ თვალსაზრისს, რომ მასების აქტივობის გაშლა მხოლოდ პროფკავშირების საქმეა.

სამრეწველო-საფინანსო გეგმისათვის ბრძოლის განვლილმა პერიოდმა ცხადჰყო, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მასების როლი ამ საქმეში და რომ წარმატება წარმოუდგენელია, თუ სათანადოდ დარაზმული და გამოყენებული არ იქნება მასების აქტივობა. ცუდია ის სამეურნეო მუშაკი, რომელსაც ეს არ ესმის, რომელიც სამუშაო აუცილებლობად სთვლის იმას, რომ საწარმოო თათბირებზე მოხსენება უნდა გააკეთოს. ბოლოს და ბოლოს უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მეტი ყურადღება ექცეოდეს მუშათა წინადადებებს, უნდა მივაღწიოთ ამ წინადადებათა განხორციელების სხვა უფრო სწრაფ ტემპებს.

და ამავე დროს, ცენტრალური კომიტეტის არა ერთი მითითების მიუხედავად, მთელ ფრონტზე ჯერ კიდევ სრულიად არ ნამდვილად არ ხორციელდება ერთმმართველობა.

უპასუხისმგებლობას წარმოებაში ჯერ კიდევ არ მოშლებია ბოლო. ხოლო უპასუხისმგებლობის აღმოფხვრა წარმოადგენს ცენტრალური კომიტეტის იმ დადგენილების ძირითად აზრს, რომელიც ეხება წარმოების მმართველობის მოწესრიგებისათვის და ერთმმართველობის დაწესებისათვის საჭირო ზომებს. ამ დადგენილების მნიშვნელობა მასებმა ჯერ კიდევ ყველგან საკმაოდ ვერ შეიგნეს. ერთმმართველობისათვის სრულად და ნამდვილად განხორციელებისათვის უნდა განვაგრძოთ სისტემატიური და მედგარი ბრძოლა.

ისეთი საკითხები, როგორიც არის წარმოების მმართველობის მოწესრიგება, საწარმოთა ხელმძღვანელი კადრების განმტკიცება, საქარხნო დაგეგმვის სისტემის გაუმჯობესება, უპასუხისმგებლობის აღმოფხვრა და ამასთან მასების აქტივობის შემდგომი გაშლა იმ ღონისძიებათა დამუშავებისა და გატარებისათვის, რომელნიც უზრუნველყოფენ საგეგმო დავალების შესრულებას, —წარმოადგენენ ცენტრალურ საკითხებს ჩვენს ბრძოლაში ხუთწლედის მეორე წლის საკონტროლო ციფრების შესრულებისათვის და მესამე წლის ტემპების უზრუნველყოფისათვის. ამჟამად მთავარი საკითხია მუშაობის ხარისხის გაუმჯობესება. მდგომარეობა მოითხოვს, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა ამ საკითხებს ბევრად მეტი ყურადღება მიაქციონ, ვიდრე ამას ამჟამად აქცევენ. საჭიროა მასების ფხიზელი კონტროლი იმაზე, რომ სწორად სრულდებოდეს ცენტრალური კომიტეტის დირექტივები საწარმოს მმართველობის შესახებ. აქ დახმარება უნდა გაგვიწიოს პრესამ, რომელიც დღემდე ამ საკითხს აშკარად არასაკმაო ყურადღებას აქცევდა. უნდა გვახსოვდეს, რომ წარმოების მმართველობის გაუმჯობესების საკითხები ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ტემპების საკითხებია.

„პრავდა."

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში მოთავსებულ ამხ. ბ. ლომინაძის სიტყვის ანგარიშში გაიპარა შეცდომა. სწერია: „რაც შეეხება შემოდგომის ნათესებს, მათი გამოყოფა კოლმეურნეობიდან გამოსულ გლეხისათვის ჩემის აზრით მიზანშეწონილი არ იქნება". უნდა იყოს: „რაც შეეხება გაზაფხულის ნათესებს, მათი გამოყოფა კოლმეურნეობიდან გამოსულ გლეხისათვის, ჩემის აზრით, შემოდგომამდე (მოსავლის აკრეფამდე) მიზანშეწონილი არ იქნება".

მოსკოვი
(ტელეგრაფით საკუთარ კორესპონდენტისაგან)

ყალბი ჩერვონცების დამამზადებელთა პროცესზე

მოსკოვი. 12 ივნისი. „იზვესტია"-ს ბერლინელი კორესპონდენტი იუწყება: ყალბი ჩერვონცების დამმზადებელთა პროცესი დაიწყო ისე, რომ დარბაზში არც ხალხი იყო და არც პრესის წარმომადგენლები. ამ გარემოებას უკავშირებენ იმ საერთო შთაბეჭდილებას, რომ საქმის ხელახლა განხილვა მხოლოდ ფორმალობაა და რომ პროცესი არაფერს ახალს არ მოიტანს და შედეგი ძველი იქნება.

საქმე იხილება კრიუგერის თავმჯდომარეობით. პროკურორად გამოდის შტეინეკერი.

პროცესის პირველ სენსაციას წარმოადგენს ის, რომ ქარუმიძე და ბელე არ გამოცხადდნენ სხდომაზე. ქარუმიძის დამცველი ბერი ცდილობს ეს გარემოება გაამართლოს საქმის „პოლიტიკური გართულებით". ბერი აცხადებს: „პოლიტიკურ საქმეებს, რასაკვირველია, ქარუმიძისათვის უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე სასამართლო პროცესს". ბერის ცნობით, ქარუმიძე უკანასკნელ ხანებში ხშირად მოგზაურობს ჟენევაში, სტამბოლში და სოფიაში. ყალბი ჩერვონცების დამმზადებლებზე ამნისტიის გავრცელებამ მათთვის რეკლამის როლი ითამაშა.

სასამართლომ დაადგინა — განაგრძოს საქმის გარჩევა.

ბრალდებულთა პიროვნებების დადასტურების დროს მკაცრი შეჯახება მოხდა პროკურორისა და სადათიერაშვილს შორის. სადათიერაშვილმა უარი სთქვა თავისი ფინანსიური რესურსების დასახელებაზე. შემდეგ პროკურორი ეკითხება სადათიერაშვილს — ხომ არ სარგებლობს ის პოლიციის დახმარებით.

სასამართლოს თავმჯდომარე განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს ბრალდებულთა ტიტულებისა და სამხედრო ჯილდოებისადმი. თავმჯდომარის ამგვარმა მოქმედებამ დაუყოვნებლივ ასწია ბრალდებულთა განწყობილება: დაკითხვის დასაწყისი აშკარავებს, რომ ბრალდებულები, რაღაც გაფიცვის მაგვარს ატარებენ: ისინი უარს ამბობენ პასუხის გაცემაზე მათთვის მიცემულ ყველა კითხვებზე.

პროცესის პირველი დღე წააგავს იანვარში საქმის გარჩევის დროს არსებულ ატმოსფერას.

„იზვესტია" ეხება რა პროცესს, აღნიშნავს, რომ გერმანიის სასამართლომ უნდა გამოასწოროს სერიოზული პოლიტიკური და უფლებრივი შეცდომა, რომელიც მან წინა პროცესზე დაუშვა.

აფხაზეთში მეთამბაქოების განვითარებისათვის

მოსკოვი, 12 აპრილი. საკავშირო სახკომსაბჭოსა და შრომისა და თავდაცვის საბჭოს მოსამზადებელმა კომისიამ ამხ. მამულიას მოხსენების მიხედვით მოიწონა ა.-კავკასიის მთავრობის ღონისძიებები აფხაზეთში მეთამბაქოობის განვითარებისათვის. საკ. ფინანსთა სახალხო კომისარიატს წინადადება მიეცა შეადგინოს ამ ღონისძიებების ფინანსებით უზრუნველყოფის გეგმა,

დაიხურა ამიერ-კავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების მე-VI ყრილობა

კამათი ამხ. შ. ელიავას მოხსენების გარშემო

ამხ მელიტონ ფილია

პირველად მე მინდა შევჩერდე ამხ. ელიავას მოხსენების იმ ნაწილზე, რომელიც ამიერ-კავკასიის პოლიტიკურ მდგომარეობას შეეხებოდა. დღეს გაზეთებში თქვენ წაიკითხეთ, ამხანაგებო, ცნობა, რუმინეთში ფაშისტური გადატრიალების შესახებ და აგრეთვე საბჭოთა და პოლონეთის წარმომადგენლების ნოტების გაცვლის შესახებ. ეს ნიშნავს, რომ საერთაშორისო მდგომარეობა დაჭიმულია.

საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის საშიშროება აქტუალურია და ჩვენ ფხიზლად უნდა ვიყოთ. რაც შეეხება ამიერ-კავკასიის საშინაო მდგომარეობას, ამ მხრივ ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, გვმართებს სოფლის საბჭოების გამაგრება და საშუალო გლეხთან კავშირის გაძლიერება, რაც რამოდენიმე შესუსტდა კოლექტივიზაციის საქმეში დაშვებულ ცთომილ გადახვევების გამო. ასეთ პირობებში ლაპარაკიც არ შეიძლება რაიმე უპრინციპო ჯგუფური ბრძოლის შესახებ.

ეს მდგომარეობა გვავალებს კიდევ უფრო მჭიდროთ დავირაზმოთ ცეკას გარშემო. პარტიის მთლიანობა და მონოლიტობა წარმოადგენს აუცილებელ პირობას ყოველგვარი დაბრკოლებათა დასაძლევად. ამხ. ლენინი წიგნში „მემარცხენეობის საყმაწვილო სენი კომუნიზმში", შემდეგს სწერდა: „ვინც, თუნდაც რამდენიმედ მაინც ასუსტებს პროლეტარიატის პარტიის რკინისებურ დისციპლინას, განსაკუთრებით მისი დიქტატურის დროს, იგი ფაქტიურად ეხმარება ბურჟუაზიას პროლეტარიატის წინააღმდეგ".

საერთოდ, ჩვენ არ გვიწყენს ხშირ-ხშირად ჩავიხედოთ ლენინის თხზულებებში. სრულებით უმართებულოა, როცა ლაპარაკობენ, რომ ლენინის დებულებები მოძველდა. ჩვენ ვხედავთ, რომ ლენინის ყოველი ნაწარმოები აქტუალურია ამჟამად.

მეორე საკითხი, რომელსაც მე მსურს აქ შევეხო,—ეს არის ჩვენი შეცდომები საკოლმეურნეო მშენებლობის დარგში. საკოლმეურნეო მშენებლობაში პარტიის ხაზი იყო სწორი. ჯერ კიდევ საკ. კ. პ. (ბ) ცეკას 1929 წლის ნოემბრის პლენუმი გვაფრთხილებდა ჩვენ, ფორმალურად არ მივდგომოდით საკოლმეურნეო მშენებლობას. საკ. კ. პ. (ბ) ცეკას 6 იანვრის დადგენილებაში ნათქვამია: „ცეკა მთელი სერიოზულობით აფრთხილებს პარტორგანიზაციებს არ დაუშვან საკოლმეურნეო მოძრაობის ზევიდან „დეკრეტით" გატარება". შემდეგ საკ. კ. პ. (ბ) ცეკა, მიმდინარე წლის 20 თებერვალს, თავის მიმართვაში „ყველა პარტორგანიზაციებს მიმართ" სწერდა: „საკოლმეურნეო მშენებლობა ჩამორჩენილ რაიონებში არ შეიძლება არ ვითარდებოდეს შედარებით შენელებული ტემპით და იგი მოითხოვს ადგილობრივ ეკონომიურ და სოციალ-პოლიტიკურ პირობების თავისებურებათა საგანგებო ანგარიშს".

საკ. კ. პ. (ბ) ცეკას 10 და 15 მარტის დადგენილებები უკვე ლაპარაკობენ „პარტიული ხაზის დამახინჯებებთან ბრძოლის შესახებ".

საკ. კ. პ. (ბ) ცეკას 2 აპრილის წერილში კიდევ უფრო გადამჭრელი ტონით არის ნათქვამი, რომ აუცილებლად საჭიროა პარტიის ხაზის დაუყოვნებლივ გამოსწორება.

ამის შემდეგ სრულიად კანონიერია ვიკითხოთ: რატომ დაუშვით ჩვენ შეცდომები? ამხ. ელიავა ვცდილა ეს „რატომ". ჩვენ დაუშვით შეცდომები და ჩვენვე გვსურს გამოვარკვიოთ მათი მიზეზები, გვსურს ანალიზი გაუკეთოთ მათ. ამას გვასწავლიდა ლენინი და ეს საჭიროა შეცდომათა გამოსწორებისათვის.

ჩემი სურვილი იქნებოდა, რომ ის ამხანაგები, რომლებიც ჩემს შემდეგ გამოვლენ, შეჩერებულიყვნენ ამ საკითხზე. თვითეულმა ჩვენგანმა თავის თავს უნდა მისცეს კითხვა: რატომ ვერ გავიგეთ ჩვენ მკაფიოთ ბოლშევიკური თვალსაზრისი? ნუ თუ ჩვენ ისეთი ურეცხვა ვართ პოლიტიკურად, რომ ამაში გარკვევა ვერ შევძლეთ? მე ვფიქრობ, რომ თვითეული ბოლშევიკი პასუხისმგებელია ისტორიის წინაშე და ამიტომ ისეთ ფართო პარტიულ კრებაზე, როგორიც არის ყრილობა, თვითეულმა ჩვენგანმა უნდა სთქვას სრული სიმართლე, რომ ამ შეცდომების ყოველგვარი ინტრიგის გარეშე მოეღოს ბოლო.

დაწყებული ამ.-კავკ. სოლქო კომიტეტის წევრებიდან და გათავებული სამხარო კომიტეტის წევრებით, ყველა ცდილობდა საკ. კ. პ. (ბ) ცეკა დაეყენებინა მომხდარი ფაქტის წინაშე: „თუმცა შენ გვითხარი, რომ არ შეიძლება კოლექტივიზაციის ზევიდან გატარება დეკრეტებით, ისიც გვითხარი, რომ საჭიროა ანგარიში გაუწიოთ ნაციონალურ და სოციალ-პოლიტიკურ პირობებს, მაგრამ ჩვენ მოგეცით 100 პროცენტიანი კოლექტივიზაცია და ამისთვის შენ გვეტყვი: გმადლობთ, თქვენ კარგი ბიჭები ხართ".

ამიერ-კავკასიის სოლქო კომიტეტში იყვნენ ბრძოლებში გამოწრთობილი ძველი ბოლშევიკები, მაგრამ სამწუხაროდ, მათ ვერ შესძლეს თავის დროზე შეეჩერებინათ ის ამხანაგები, რომლებსაც სწრაფი სვლა სურდათ. ესევე სურდათ ნაცკომპარტიების ცენტრ. კომიტეტებს. მათაც უნდოდათ 100 პროცენტიანი კოლექტივიზაციის მიღწევა და ამ.-კავკ. სოლქო კომიტეტის დაყენება ფაქტების წინაშე: თუმცა შენ ა.-კ. სოლქო კომიტეტი ხარ, მაგრამ ჩვენც ყოჩაღები ვართო. სოლქო კომიტეტის მდივნებსაც ასეთივე ფაქტის წინაშე სურდათ დაეყენებინათ რესპუბლიკანური კომპარტიების (ბ) ცენტრალური კომიტეტები.

ეს შეცდომება იყო ცეკას მკაფიო, გარკვეული ბოლშევიკური ხაზის არ შესრულების ერთ-ერთი მიზეზი. ჩვენ გვსურდა გაგვესწრო ისტორიისა და საკ. კ. პ. (ბ) ცეკასათვის. ამხ. სტალინმა იხსნა მდგომარეობა. ის, რაც ამხ. სტალინმა დასწერა წერილში „თავბრუდახვევა წარმატებებისაგან" იყო მრავალი და მრავალი ამხანაგების აზრი. ბევრი ჩვენგანი ასე ფიქრობდა და ასე ლაპარაკობდა კრებებზე. ამხ. სტალინმა მხოლოდ შეაჯამა ეს აზრები. სხვანაირად იგი ვერ გაიმარჯვებდა.

შემდეგ, მე მინდოდა რამოდენიმე სიტყვა მეთქვა პარტიული კადრების შესახებ. ხშირად ლაპარაკობენ ჩვენი პარტიის ძველი და ახალი თაობის შესახებ. მე ვამბობ „ძველს" და „ახალს", რადგანაც შეცდომა იქნებოდა, რომ ხაზი გამესვა ძველი თაობისათვის, ან პირიქით, ახალი თაობისათვის. ძველი და ახალი თაობის შორის უნდა იყოს მემკვიდრეობა. ასეთია ბოლშევიკების აზრი. ამხ. ლომინაძემ საქართველოს კომპარტიის ყრილობაზე სთქვა: „ჩვენ ძირითადი კადრები აღიზარდნენ მწვავე ბრძოლებში პრინციპიალური საკითხების პოლიტიკური ხაზისათვის, ჩვენ გვქონია სერიოზული ბრძოლები გადამწყვეტ საკითხებში ქართველ უკლონისტებთან, დაწყებული 1921 წლიდან 1924 წლამდე და შემდეგ კვლავ 1926 წელს". ეს სწორია, მაგრამ არაა სრული, იმიტომ, რომ იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს კადრები აღიზარდნენ მხოლოდ 1921-24-26 წლებში. ბოლშევიკური კადრები აღიზარდნენ ჯერ კიდევ 1903-4-5 წლებში, როდესაც ბოლშევიკები აწარმოებდნენ გმირულ ბრძოლას მენშევიკების წინააღმდეგ.

ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ ბოლშევიკების ეს ძველი კადრები, რომელთა რიცხვში იმყოფებიან ამხ. სტალინი, ორჯონიკიძე, მიხა ცხაკაია, ფილიპე მახარაძე, მამია ორახელაშვილი, ბ. სტურუა, გ. სტურუა, კვანტალიანი და მრავალი მუშა-ბოლშევიკები. ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ ეს კადრები. ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ ის ძველი ბოლშევიკები, რომლებიც ხელი-ხელ ჩაკიდებული მუშაობენ ახალ თაობასთან, ჩვენ უნდა გავუფრთხილდეთ ბოლშევიკების იმ ახალგაზრდა თაობასაც, რომლებიც ხელი-ხელ ჩაკიდებული მუშაობს ძველ გამოცდილ ბოლშევიკებთან. ესეთი უნდა იყოს ბოლშევიკური პარტიის ამოცანა.

შემდეგ მე მინდა ვსთქვა რამდენიმე სიტყვა თვითკრიტიკის შესახებ. ხანდახან კრიტიკა და თვითკრიტიკა იღებს ცუდ ფორმას. ესაა ამა თუ იმ ამხანაგის პირად ცხოვრებაში, პირად საქმეებში ხელების ფათური. ამის წინააღმდეგ უნდა ვაწარმოოთ დაუნდობელი ბრძოლა.

ხშირად სამეურნეო მუშაკებს აზიანებენ. ჩვენ, გაზეთის მუშაკებს, დიდი სიძნელეები გვხდება ამ მხრივ. ხანდახან კარგ სამეურნეო მუშაკის შესახებ იბარება ყოვლად უსაფუძვლო შენიშვნები, ეს ხდება იმიტომ, რომ ჩვენ გვყავს ჯგუფი ამხანაგებისა, რომლებიც თითქოს მხოლოდ იმას აკეთებენ, რომ აკრიტიკებენ, ფიქრობენ, რომ მხოლოდ ამაშია მათი მოწოდება. განსაკუთრებით აკრიტიკებენ სამეურნეო მუშაკებს. ჩვენში რატომღაც შეიქნა ისეთი შეხედულება თითქოს სამეურნეო მუშაკები მეორე ხარისხის მუშაკები არიან. ეს არ არის მართალი. ამიტომ პრესა ფხიზლად უნდა იყოს, პრესა უნდა დაეხმაროს სამეურნეო მუშაკებს მათ მუშაობაში და არავითარ შემთხვევაში ხელი არ უნდა შეუშალოს მათ.

რამდენიმე სიტყვა მინდა ვსთქვა პარტიული „სამზარეულოს" შესახებ. ამხ. ლენინი ამბობდა: „პრინციპიალური პოლიტიკა არის ყველაზე უფრო სწორი პოლიტიკა"-ო. სამწუხაროთ ამხანაგები ყოველთვის არ იცავენ ლენინის ამ სწორ თვალსაზრისს. ამხ. ლომინაძემ არაპრინციპიალური უთანხმოებების შესახებ წარმოსთქვა მშვენიერი სიტყვა საქართველოს კომპარტიის ყრილობაზე. ჩვენ ყველა, ძველი და ახალგაზრდა ბოლშევიკები, აქტიურად უნდა დავეხმაროთ ამხ. ლომინაძეს მის მიერ აღნიშნული არანორმალური მდგომარეობის გამოსწორების საქმეში.

ამხ. მალანია (აფხაზეთი)

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ახალ მშენებლობათა მუშა-ხელით მომარაგებას. უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ დიდ დაბრკოლებებს აქვს ადგილი. ახალ მშენებლობაზე მუშათა შემადგენლობა ძალიან ხშირად იცვლება. მოსკოვის პრესაში ამის შესახებ უკვე იყო დასმული საკითხი. „პრავდა" სრულიად სამართლიანად აღნიშნავდა, რომ ახალ მშენებლობაში არიან ე. წ. მუშა „მფრინავები". შრომის ბირჟებს უფრო მეტი აქტიობა მართებს იმისათვის, რათა ეს არანორმალური მდგომარეობა აღმოფხვრილ იქნას. ამ ამოცანის შესრულებისათვის შრომის ბირჟებმა უნდა გარდაქმნან მთელი თავიანთი საქმიანობა.

რამდენიმე სიტყვა ოჩემჩირეში მეტალურგიული ქარხნის აგების შესახებ. უნდა ითქვას, რომ ამხ. ლაკობას გამოსვლა ამ საკითხის გარშემო აქ ზოგიერთებმა სწორად ვერ გაიგეს. საკითხი ეხება იმას, თუ სად უფრო მიზანშეწონილია ამ ქარხნის აგება. გამორკვეულია, რომ მეტალურგიული ქარხნის მუშაობაში თითო ფუთ მადანს სჭირდება სამი ფუთი ქვა-ნახშირი. ცხადია, რომ ეკონომიის მოსაზრებით ქარხანა უნდა აგებულ იქნას იქ, სადაც ნახშირის მადნები მოიპოვება, ე. ი. ტყვარჩელის რაიონში.

კოოპერაცია სოფლად სუსტად მუშაობს. ის შეცდომები, რომელიც ჩვენ გვაქვს დღეს კოლექტივიზაციის დარგში მნიშვნელოვნად აიხსნება კოოპერაციისა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციების მოუწესრიგებლობით.

ყრილობის დელეგატები აზერბაიჯანიდან

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ კოოპერაციამ უფრო სწორად და მიზანშეწონილად განაწილოს სოფლის მოსახლეობაში დეფიციტური საქონელი.

ამასთანავე უნდა ითქვას, რომ ხშირად სოფლად ადგილი აქვს შეცდომებს გადასახადების აკრეფის დროს. საშუალო შეძლების გლეხები შეჰქვთ კულაკების სიაში და კულაკობის ნაწილი დაუბეგრავი რჩება. ამასთან დაკავშირებით მწვავედ სდგას სამინდე გადასახადის საკითხი. ამ გარემოებას პარტიულ ხელმძღვანელ ორგანიზაციებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ.

ამხ. ყარაევი (აზერბეიჯანი)

უდაოა, რომ საკოლმეურნეო მშენებლობაში ჩვენ დიდი შეცდომები გვაქვს, მაგრამ საკითხი იბადება იმის შესახებ, თუ სად არის ამ შეცდომების ფესვები.

მიმდინარე წლის 22 იანვარს შეიკრიბა საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის სოლქო კომიტეტის ცნობილი პლენუმი და რომ ამ პლენუმზე ისეთივე გამოსვლებს ჰქონდა ადგილი კოლექტივიზაციის საკითხის გარშემო, რომლის მოწამენიც ჩვენ ამ ყრილობაზე ვართ, ცხადია, ასეთი დიდი შეცდომები დაშვებული არ იქნებოდა, მაგრამ იქ მაშინ სულ სხვა განწყობილება იყო. დაისვა საკითხი იმის შესახებ, რომ 1931 წ. ბოლოს უნდა დამთავრებულ იქნას ა.-კავკ. კოლექტივიზაცია, საქართველოს შესახებ კი ამბობდნენ, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ათი წლის თავზე საქართველოში უნდა დამთავრდეს მთლიანი კოლექტივიზაციის პროცესი. ამრიგად ამხანაგებო, შეცდომები დაუშვა სოლქო კომიტეტმა და მასთან ერთად რესპუბლიკანურმა ცენტრალურმა კომიტეტებმაც, საჭიროა ეს ხაზგასმით აღინიშნოს და იმის პასუხისმგებლობის მოხვევა მარტო სოლქო კომიტეტზე დაუშვებლად უნდა იქნას ცნობილი.

ჩვენ ვერ გავითვალისწინეთ ამიერ-კავკასიის ცალკე რაიონების თავისებურებანი, განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას თურქებით დასახლებულ რაიონებზე. ფიქრობდნენ თითქოს ერთი ხელის დაკვრით შეიძლება კოლექტივიზაციის ჩატარება ყოფ. ბორჩალოს მაზრაში, ნახიჩევანის რაიონში და სხვ. ჩვენ გადავაჭარბეთ საკუთარი ძალები და ვერ შევაფასეთ მტრის ძალები.

აიღეთ თუნდაც ასეთი ფაქტი. აზერბეიჯანის სოფლის საბჭოების თავმჯდომარეთა შორის 65 პროცენტი წერა-კითხვის უცოდინარია. რაც შეეხება საბჭოს წევრებს, მათ შორის წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი 89 პროც.-ს აღწევს. ამასთანავე აზერბეიჯანში არ არის დიდი სოფლები. მოსახლეობის რიცხვი თვითეულ სოფელში არ აღემატება 100 კომლს. გლეხკაცობაში ჯერ კიდევ ძლიერია ძველი ყოფა-ცხოვრების და ადათების მავნე გავლენა. თვითეულ სოფელში ხშირად მოიპოვება მეთაური რომელსაც აღსაგალს ეძახიან. ის ტიპიური კულაკია, მაგრამ აღსაგალი მჭიდრო ნათესაური ძალებით არის დაკავშირებული მთელ სოფელთან. ის ზოგის ბიძაა, ზოგის სიძე, ზოგის ცოლის ძმა და ზოგის ბიძაშვილი. ამიტომ როდესაც ჩვენ კოლექტივიზაციას ვატარებდით აზერბეიჯანის ჩამორჩენილ სოფლებში, პირველ ყოვლისა ისეთი მუშაობა უნდა ჩაგვეტარებინა, რომ აზერბეიჯანელ მოჯამაგირეს და ღარიბ გლეხს გადაელახა ნათესაური გრძნობები და საკუთარი კლასობრივი ინტერესების შეგნებით მწვავედ დაერტყა აღსაგალისათვის.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი ხშირად გვაფრთხილებდა იმის შესახებ, რომ ჩამორჩენილ ეროვნულ რაიონებში საჭიროა მეტი სიფხიზლის გამოჩენა და პარტიის ხაზის უფრო მოქნილად გატარება. ჩვენ ეს მითითებანი დავივიწყეთ და ჯიუტად შევუდექით საკოლმეურნეო მშენებლობას.

ამასთანავე სოფლად ძალიან სუსტად მიმდინარეობდა ღარიბ გლეხობაში მუშაობა. საბჭოთა აპარატის მუშაობა აზერბეიჯანის სოფლებში არ იყო გამართული იმდენად, რომ ამ აპარატს დახმარებოდა ავეულო კოლექტივიზაციის დაჩქარებული ტემპები.

აი ამხანაგებო, აქედან ღებულობენ სათავეს ის შეცდომები, რომლებიც დღეს გვაქვს სოფლად მუშაობაში. რაც ღირს თუნდაც ის ფაქტი, რომ აზერბეიჯანის ერთ-ერთ ოლქში საქონლის 75 პროც. ყურებმოჭრილი დაიარება. გამოჩნდნენ ისეთი ჭკუისკოლოფები, რომელთაც საქონლის აღრიცხვის საშუალებად ყურების მოჭრა შემოიღეს. არის შემთხვევები, როდესაც ადგილობრივი მუშაკები გაურბიან თავიანთი შეცდომების აღიარებას. ისინი ამბობენ, რომ ეს დასცემს ჩვენს ავტორიტეტს გლეხობაშიო. მე ვფიქრობ, რომ სწორედ ასეთი ჯიუტობა უფრო მეტ ზიანს აყენებს პარტიასა და ხელისუფლების პრესტიჟს მშრომელ გლეხობაში. ამიტომ ასეთი ყალბი ავტორიტეტის მიმდევარნი სასტიკად უნდა გაიკიცხონ. დაშვებული შეცდომები უნდა აღიარებულ იქნას მთლიანად და სავსებით და აქედან შესაფერი პრაქტიკული ღონისძიებები უნდა იქნას დასახული.

ამხანაგ უდიდესი ყურადღება ექცევა სოფლად საუკეთესო მუშაკების გაგზავნას. ეს ზომა მხოლოდ მაშინ გამოიღებს საჭირო ნაყოფს, თუ სოფლად წასული ამხანაგები არ შერჩებიან სოლქო და სარაიონო ცენტრებში. ისინი უნდა ჩავიდნენ სამუშაოდ თვით სოფელში. უნდა ჩაუდგნენ სათავეში სოფლის საბჭოს ან სოფლის უჯრედს.

შეცდომების გამოსწორებათა დროს მემარჯვენე გადახრა უფრო გამოცოცხლდა. გაისმის ხმები იმის შესახებ, რომ კულაკობას და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტებს დაუბრუნდეს საარჩევნო ხმის უფლება. უფრო მეტიც, არის შემთხვევა, როცა მოითხოვენ რათა მოსპობილს დაუბრუნდეს ხმა.

კოლექტივიზაციის ჩატარების დროს ჩვენ უკეთ გავიცანით სოფელი. მიუხედავად იმისა, რომ დიდი შეცდომები გვქვს, შეიძლება ითქვას, რომ საკოლმეურნეო მშენებლობამ ერთგვარი სამსახური გაგვიწია. ჩვენ მთელი თავისი მნიშვნელობით და შინაარსით ვაყენებთ ეხლა სოფლად მუშაობის საკითხს.

ამხ. იაკუბოვი (აზერბეიჯანი)

მე მგონია სცდებიან ის ამხანაგები, რომლებიც ამბობენ, თითქოს კოლექტივიზაციის „თავბრუდამხვევი" ტემპით გატარების წინ აზერბეიჯანშიაც ასეთი მდგომარეობა იყო, როგორიც საბჭოთა კავშირის სხვა რაიონებში, უნდა ითქვას, რომ აზერბეიჯანში არ ქონია ადგილი გლეხობის ძლიერ ლტოლვას კოლმეურნეობებისადმი, და ეს უნდა აიხსნას იმით, რომ აზერბეიჯანში არ ყოფილა ჩატარებული საჭირო წინასწარი მუშაობა ღარიბ და საშუალო გლეხობის დასარაზმავად, მათი პოლიტიკური დონის და აქტიობის ასამაღლებლად. გლეხობის ეს ნაწილი ბევრ შემთხვევაში უფრო კულაკობის გავლენის ქვეშ იდგა. კლასობრივი მტრის პოლიტიკური და ეკონომიური იზოლაციის გარეშე დიდი შეცდომა იყო კოლექტივიზაციის ისეთი დაჩქარებული ტემპით გატარება, როგორიც ამას ჰქონდა ადგილი კერძოთ აზერბეიჯანში.

ამასთანავე ამხანაგებო უნდა ითქვას, რომ აზერბეიჯანის კომუნისტურ პარტიას ზოგიერთ ფენებში ადგილი ჰქონდა უპრინციპო ჯგუფობრივ ბრძოლას. დღეს ეს მდგომარეობა გამოსწორებულია, მაგრამ სოლქო კომიტეტის ახალი ხელმძღვანელობა მოვალეა ენერგიული ზომები მიიღოს ასეთი მდგომარეობის ალაკვეთად მომავალში.

ამხ. ამატუნი (სომხეთი)

პირველ ყოვლისა მე მინდა შევეხო ამხ. ვანო სტურუას საბოლოო სიტყვის იმ ნაწილს, სადაც ლაპარაკი არის თოფჩიანის პარტიიდან უსამართლოდ გამორიცხვის შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ თოფჩიანმა დაიმსახურა ასეთი სასჯელი. ის პარტუჯრედის დახურულ კრებაზე გამოვიდა და მის სიტყვაში აშკარად გამოსჭვიოდა დაშნაკური იდეების ზეგავლენა. ამიტომ მე ვფიქრობ ამხ. ვანო სტურუა არ არის სავსებით მართალი, როდესაც ის თოფჩიანის პარტიიდან უკანონო გამორიცხვაზე ლაპარაკობს. ამხ. სტურუას არა აქვს საკმაო და სწორი ინფორმაცია ამ საკითხის შესახებ.

კოლექტივიზაციის მშენებლობაში დაშვებულ შეცდომებმა სოფლად მუშაობის მრავალი მტკივნეული მხარე გამოააშკარავა. ჩვენ სავსებით უნდა გამოვიყენოთ ის გაკვეთილები, რომლებიც მივიღეთ ახლო წარსულში და ყოველივე ღონისძიება უნდა მივმართოთ იმისათვის, რომ სოფლად მუშაობა თავის დონეზე დავაყენოთ.

დღემდე ჩვენ ასე გვქონდა წარმოდგენილი, რომ სოფლად არიან მოჯამაგირენი, ღარიბი გლეხობა, საშუალო გლეხობა და კულაკობა. ჩვენ ზოგიერთები არ კმაყოფილდებიან სოფლის ასეთი სოციალური კლასიფიკაციით. საშუალო გლეხობას ისინი თავის მხრივ ყოფენ სამ ფენად: ნაკლებად შეძლებული საშუალო გლეხი, შეძლებული საშუალო გლეხი და კულაკობის კანდიდატი. თავისთავად ცხადია, რომ ასეთ ორიგინალობას შეუძლია დიდი არევ-დარევა შეიტანოს საქმეში. ამიტომ საჭიროა მთელი ყურადღება მივმართოთ სოფლად მომუშავეების პოლიტიკური მომზადების გასაღრმავებლად.

ამხ. კასუმოვი (აზერბეიჯანი)

ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ ის მდგომარეობა, რომელიც ჩვენ ეხლა გვაქვს სოფლად საკოლმეურნეო მშენებლობაში დაშვებულ შეცდომების სახით, არ არის მარტო იმის შედეგი, რომ უვარგისი იყო პარტიული ხელმძღვანელობა უკანასკნელ დროს. აშკარაა, რომ სოლქო და რესპუბლიკანური ცენ-

ყრილობის დელეგატები კახეთის ოლქიდან

ტრალური კომიტეტების სუსტმა ხელმძღვანელობამ დიდი შეცდომები გამოიწვია კოლექტივიზაციის გატარების დროს. მაგრამ ეს შეცდომები უფრო გასაგები იქნება ჩვენთვის, თუ გავითვალისწინებთ წინა პერიოდის მდგომარეობასაც.

უნდა ითქვას, რომ აზერბეიჯანის სოფელი არ იყო მზად საკოლმეურნეო მშენებლობის იმ გაშლილი ტემპებისათვის, რომელიც ჩვენ ავიღეთ. ღარიბი გლეხების მასა არ იყო მჭიდროდ დაკავშირებული საშუალო გლეხობასთან. არ სწარმოებდა სათანადო ენერგიული მუშაობა კულაკობისა და სასულიერო წოდების გავლენის ალაკვეთად. ასეთ პირობებში თავისთავად ცხადია, არ შეიძლება გამართლებულ იქნას ის ხაზი, რომელიც მიუხედავად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის სწორი დირექტივებისა, აიღეს ამიერ-კავკასიის ხელმძღვანელ პარტიულ ორგანიზაციებმა საკოლმეურნეო მშენებლობაში.

წარსული მუშაობის უვარგის მემკვიდრეობას ზედ დაერთო უკანასკნელი თვეების უხეში შეცდომები. საგადასახადო პრაქტიკა მეტად უვარგისი იყო. დიდ შეცდომებს ჰქონდა ადგილი სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებებისაც. საკმაოდ ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც ღარიბ გლეხს ათი მანეთი ვალის დაგვიანებით გადახდისათვის უწერდნენ ქონებას და საჯაროდ ყიდდენ მას. თვით კოლექტივიზაციის ჩატარების დროს უხამსი შეცდომების მოწმენი ვიყავით. მაგალითად, ინდივიდუალურ მეურნეებს ართმევდნენ საუკეთესო მიწებს და აძლევდნენ მათ კოლექტიურ მეურნეობებს. აშკარაა, რომ ამან დიდად შეუწყო ხელი ურთიერთობის გამწვავებას კოლექტიურ მეურნეობებს და ინდივიდუალურ მეურნეებს შორის.

საკმაოდ თანამიმდევრობას და ბოლშევიკურ გამბედაობას ვერ იჩენდნენ ჩვენი პარტიული ორგანიზაციები თავიანთი შეცდომების აღიარების დროსაც. უნდა ითქვას, რომ აქაც ადგილი ჰქონდა მდგომარეობის ერთგვარ შეშვებას და დამნაშავეების ძებნას სულ სხვაგან. თვითკრიტიკა ჯერ კიდევ საკმაოდ გაშლილი არ არის, ის მოკლებულია საჭირო ცხოველმყოფელობას. ეს რომ ასე არ იყოს დღევანდელი შეცდომები უფრო ადრე იქნებოდა გამოსწორებული.

რამდენიმე სიტყვა უნდა ვთქვა ჯგუფური ბრძოლის შესახებ აზერბეიჯანის კომუნისტურ პარტიაში. მართალია ამას ჰქონდა ადგილი და ამაში ბრალი მიმიძღვის პირადათ მეც. ეს აშკარად უნდა ითქვას. ამ შეცდომის აღიარებას მე არ გაურბივარ. ეს ბრძოლა აღმოფხვრილ იქნა და ასეც უნდა მომხდარიყო, მაგრამ ბოლშევიკურ პარტიას არ ახასიათებს უპრინციპო ბრძოლა. საჭიროა ყოველი ზომები მივიღოთ იმისათვის, რომ შევამჭიდროვოთ აზერბეიჯანის პარტიული კადრები და ერთიანი ფრონტით მივიტანოთ იერიში კლასობრივი მტრის წინააღმდეგ, ენერგიულად შევუტიოთ იმ ნაციონალისტურ განწყობილებებს, რომლებმაც ბოლო დროს იჩინა თავი აზერბეიჯანის კომპარტიის ნაწილში.

ამხ. გიკალო (აზერბეიჯანი)

უკანასკნელი დროის განმავლობაში ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებმა საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტისაგან მიიღეს მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტებისა. მე ვლაპარაკობ იმ დადგენილებათა შესახებ, რომლებიც შეეხებიან ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციათა შემდგომ მუშაობას. ჩვენი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მთელი ძალღონე დავსჭიდოთ ცენტრალური კომიტეტის ამ დოკუმენტებში მოცემულ დირექტივების წარმატებით განხორციელებისათვის.

აზერბეიჯანის კომუნისტურ პარტიას უკანასკნელი დროის განმავლობაში უდიდესი მუშაობის ჩატარება შეუხვდა. ჩვენ უკვე დავაწინაურეთ 800 მუშა, მომავალშიაც მუშათა დაწინაურების გაძლიერებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

ბოლო დროს ყურადღებას იპყრობს კოლმეურნეობებში დაშვებულ შეცდომათა საკითხი ლოთათ აღიარება. გამოდიან მონანიებელი სიტყვებით ცალკე კომუნისტები, უჯრედების წარმომადგენლები, რაიკომის მუშაკები და რესპუბლიკანური და სოლქო კომიტეტების წარმომადგენლებიც. თავისთავად ცხადია, შეცდომების მონანიება კარგია, მაგრამ ამას თანვე უნდა ახლდეს შესაფერი პრაქტიკული მუშაობა დაშვებულ შეცდომების გამოსწორებისათვის. ეს კი ყველგან არ ხდება.

რამ გამოიწვია კოლექტივიზაციის შეცდომები? პირველ ყოვლისა სუსტი აღმოჩნდნენ სოფლად პარტიისა და კომკავშირის ორგანიზაციები, ცუდათ იყო დაყენებული ღარიბი გლეხკაცობის შორის მუშაობა, არ ყოფილა ჩატარებული საჭირო მუშაობა კულაკობის იზოლაციისათვის. თავისთავად ცხადია, რომ ამ პირობებში შეუძლებელი უნდა ყოფილიყო ცნობილი კოლექტივიზაციის დაჩქარებული ტემპით ჩატარება. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. და აი ჩვენ მივიღეთ ის შედეგები, რომლის მოწამენიც ეხლა ვართ.

დაშვებულ შეცდომათა გამოსწორების წინადგაზე თავი წამოჰყო მემარჯვენე გადახრის პრაქტიკამ. გაისმის ხმები კულაკობისათვის საგადასახადო ტვირთის შემსუბუქებაზე, ამბობენ აგრეთვე, რომ შესაძლებელი არ არის სეკრეტარი დავალებანი აკრეფა სოფლად, მოითხოვენ იერიშის შესუსტებას კულაკობაზე. არის მაგალითები, როცა სოფლად წასული მუშაკები მოლაპარაკებას აწარმოებენ კულაკებთან ან ამა თუ იმ ბანდიტთან, სრულ ამნისტიას აძლევენ ბანდიტს. ასეთი მეთოდებით კოლექტივიზაციის მშენებლობაში დაშვებულ შეცდომების გამოსწორება ყოვლად შეუძლებელია. მემარჯვენე პრაქტიკის წინააღმდეგ უნდა გავაძლიეროთ იერიში, უნდა გვახსოვდეს, რომ სოფლად ჯერ კიდევ არ არის სავსებით გამოსწორებული დაშვებული შეცდომების შედეგები.

აზერბეიჯანის კომუნისტურმა პარტიამ თავის ყურადღების ცენტრში დააყენა სოფლად მუშაობის საკითხები. ჩვენ ყველა შესაძლებლობანი მივიღეთ იმისათვის, რომ გავამაგროთ სოფლის ორგანიზაციები ბაქოს პროლეტარიატის საუკეთესო წარმომადგენლებით. რამდენიმე ასეული მუშა უკვე გადავისროლეთ სოფლად. აზერბეიჯანის პირობებში, სადაც კადრების ასეთი ნაკლებობაა, ეს დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

მაგრამ, ამხანაგებო, არიან ისეთები, რომელნიც გაურბიან სოფლად მუშაობას. ისინი თავს არიდებენ იმ სიძნელეებს, რომელნიც ბუნებრივად ხვდება მუშაობაში სოფლად გაგზავნილ ამხანაგებს. და აი ჩვენ გარკვეულად და კატეგორიულად უნდა განვაცხადოთ —ვინც გაურბის სოფლიდან—უნდა გარიცხულ იქნას პარტიიდანაც.

სისულელეა იმის ფიქრი, თითქოს შესაძლებელი არის აღმოფხვრას კოლექტივიზაციის დროს დაშვებულ შეცდომათა შედეგები შეთანხმების პოლიტიკით. არა შეთანხმება, არამედ პარტიის გენერალური ხაზის განუხრელად და სწორად გატარება. შეუნელებელი მუშაობა იმისათვის, რომ უფრო სწორი მეთოდებით, მდგომარეობის ზუსტად გათვალისწინებით გაძლიერდეს ბრძოლა აზერბეიჯანის სოფლის სოციალისტური რეკონსტრუქციისათვის. ასეთია ჩვენი ხვალინდელი ამოცანა.

ჩვენი წარმატებითი მუშაობის ერთ-ერთი მთავარი პირობაა თვითკრიტიკის ფართოდ გაშლა. უნდა ითქვას, რომ აზერბეიჯანის კომუნისტურ პარტიას ამ მხრივ დიდი მიღწევები აქვს. ჩვენში უკანასკნელი დროის განმავლობაში თვითკრიტიკა გაცხოველებული იყო. ჩვენ არ გვეშინოდათ და არც გვეშინია თვითკრიტიკის, ჩვენ მას არ ვუფრთხით, რადგან პარტია თვით მეთაურობს თვითკრიტიკას. ამიტომ ჩვენ მომავალშიაც ყოველნაირად შევუწყობთ ხელს თვითკრიტიკის გაფართოებას.

აზერბეიჯანში მეტად თავისებური პირობები გვაქვს. აქ ერთი მხრივ არის მსხვილი ინდუსტრიალური ცენტრი ბაქო, სადაც თავმოყრილია ამიერ-კავკასიის მოწინავე პროლეტარიატის საუკეთესო ნაწილი. ამავე დროს აზერბეიჯანის სოფელი უაღრესად ჩამორჩენილია. ამ დიდ სხვადასხვაობის პირობებში პარტიული მუშაობა მოითხოვს განსაკუთრებულ გამჭრიახობას და ენერგიის მაქსიმალურად დაძაბვას.

მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ დაშვებულ შეცდომათა სავსებით გათვალისწინებით და ქალაქისა და სოფლის მშრომელი მასების მჭიდრო შეკავშირებით ჩვენ აღმოვფხვრით დაშვებულ შეცდომების შედეგებს და მტკიცედ წავალთ წინ ჩვენი კავშირის მთელ მუშათა კლასთან ერთად სოციალიზმის მშენებლობის გზით.

ამხ. შ. ელიავას საბოლოო სიტყვა

ამხანაგებო, მე არ შემიძლია ჩემი ამხანაგური მადლობა არ უთხრა ამხ. ბესო ლომინაძეს, რომელმაც ეხლა ილაპარაკა და ამრიგად განმტვირთა საკმაოდ მძიმე მოვალეობისაგან საბოლოო სიტყვაში.

პირველ ყოვლისა მე უნდა ვთქვა რამდენიმე სიტყვა იმ საყვედურის შესახებ, რომელიც ჩემს მიმართ გაისმოდა კამათში გამოსულ ზოგიერთ ორატორების სიტყვაში. მე თავიდანვე ვთქვი, რომ ვერ შევძლებ ყველა იმ საკითხების შეხებას, რომლებიც დაკავშირებულნი არიან სოლქო პარტიულ კომიტეტის მუშაობასთან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში. გაისმოდა ხმები იმის შესახებ, რომ მომხსენებელს არ უთქვამს ის, არ უთქვამს ესო და სხვ. ამხანაგ ტაიროვმა კი მისაყვედურა, რომ მე ყრილობაზე არ წამოვაყენე პროექტი მომთაბარეთა მეურნეობის ლიკვიდაციის შესახებ. ეს საკითხი უნდა დაემუშავებია იმ ორგანიზაციებს, რომელნიც პირველ ყოვლისა დაინტერესებულნი არიან მომთაბარეობის ლიკვიდაციით. მე მხედველობაში მაქვს აზერბეიჯანისა და სომხეთის მთავრობები, მართალია ეს საკითხი მთლიანად ამიერ-კავკასიას შეეხება, მაგრამ ჯერჯერობით, ვიმეორებ, პროექტი წარმოდგენილი არ არის. ექვსი წელიწადია, ყველა საზოგადო კრებებზე და ყრილობებზე ამაზე არის ლაპარაკი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, დღემდე კონკრეტული პროექტი დამუშავებული არ არის. ეხლა არსებითად მოხსენების ირგვლივ წარმოებულ კამათის შესახებ.

არც ერთ აქ გამოსულ ორატორს არ დაუპირისპირებია ახალი გარემოება ჩემს მიერ წამოყენებულ თეზისების წინააღმდეგ. მოხსენებაში აღნიშნული ყველა დებულებანი როგორც სამრეწველო აღმშენებლობის, ისე სოფლის მეურნეობის და ამიერ-კავკასიის პარტიულ ხელმძღვანელობის შესახებ ყრილობამ თითქმის სავსებით მიიღო.

საერთო ხაზიდან გამონაკლისს შეადგენს ამხ. კუზნეცოვის გამოსვლა პროფკავშირების შესახებ. მას არ მოეწონა, როდესაც მე აღვნიშნე, რომ პროფესიონალური კავშირების მუშაობა დამაკმაყოფილებელი არ არის. ამხ. კუზნეცოვმა მისაყვედურა, რომ მე ვიმეორებ იმას, რასაც სამი წლის წინად ვლაპარაკობდი. უდაოა, რომ პროფკავშირების მუშაობა, მიუხედავად მისი დიდი მიღწევებისა, ჯერ კიდევ არ შეეფერება იმ ამოცანებს, რომლებიც ჩვენს წინაშე ხდება მიმდინარე პერიოდთან დაკავშირებით. იმის არ თქმა, რომ პროფკავშირების მუშაობა ჯერ კიდევ ბევრად არ არის გამოსწორებული, არ შეიძლება. არ შეიძლება აგრეთვე იმის არ აღნიშვნა, რომ ჩვენს პროფესიონალურ ორგანიზაციებს ჯერ კიდევ არ განუხორციელებიათ პარტიის დირექტივა „პირით წარმოებისაკენ". ამხ. კუზნეცოვი თავს იმართლებს იმით, რომ პროფკავშირთა ცენტრალურ გამგეობაში სუსტი მუშაკები არიან. მე უნდა გითხრათ, სრულიადაც არ მქონია განზრახვა, შევხებოდი პერსონალურად გამგეობის თავმჯდომარეს. მე ვლაპარაკობდი სისტემაზე და არა პიროვნებაზე. ამ შემთხვევაში ყველაზე ნაკლებად მაინტერესებდა ცენტრალურ გამგეობის თავმჯდომარის პიროვნება. მართალი რომ ვთქვათ, მე უფრო დაუნდობელი ვიყავი სოლქო პარტიულ კომიტეტის მუშაობის კრიტიკულად შეფასებაში, ვიდრე პროფკავშირების საქმიანობის დახასიათების დროს. ვფიქრობ, რომ ჩვენ არ შეგვიძლია შესაფერი ოპერატიული ხელმძღვანელობა გაუწიოთ მრეწველობას თუ გვერდით არ გვეყოლა თავის სიმაღლეზე მდგომი პროფესიონალური ორგანიზაციები.

ჩემთვის გაუგებარია ამხ. კორსაკოვის გამოსვლა. მან სთქვა: მომხსენებელმა ბუნდოვანად და „დიპლომატიურად" ილაპარაკა პარტიაში არსებულ დაჯგუფებებზეო, არსებითად ამის შესახებ არაფერი გვითხრა და საქმის გარკვევა თვით ჩვენ მოგვანდოო. საჭიროა პირდაპირ გვითხრას ამხ. მომხსენებელმა, რას გულისხმობდა ის, როცა ამ საკითხზე ლაპარაკობდაო.

ამხანაგებო, მე აღვნიშნე ჩემს მოხსენებაში, რომ სოლქო პარტიულ კომიტეტმა ვერ შესძლო სწორი ხელმძღვანელობის გაწევა, რომ ხელმძღვანელ მუშაკებს შორის პრინციპიალური უთანხმოება არ ყოფილა, რომ ეს ყოფილიყო შესაძლებელი, საქმე უკვე წავიდოდა. მაგრამ ვიმეორებ, რომ ამას ადგილი არ ჰქონია. ამიტომ არავითარი „დიპლომატია" მე არ მხმარია მოხსენებაში. მე გავაკეთე ანგარიში სოლქო პარტიული კომიტეტის და არა რესპუბლიკანური პარტიული კომიტეტების მუშაობაზე. ამიტომ ბუნებრივად ვერ შევეხებოდი რესპუბლიკანურ ცენტრალური კომიტეტების მუშაობას ამომწურავად. ისე კი ეხლა უნდა ითქვას, თქვენი ეჭვები გაფანტულია. თქვენ უკვე იცით, თუ რა „პრინციპიალური" უთანხმოება იყო ხელმძღვანელ მუშაკებს შორის. ამხანაგ ლომინაძემ საკმაოდ ილაპარაკა იმის შესახებ, რომ რესპუბლიკანურ პარტხელმძღვანელობაში იყო დაჯგუფებანი, რომელნიც მოკლებული იყვნენ სერიოზულ პრინციპიალურ საფუძველს.

მოხსენების გარშემო გამოსული ამხანაგები ეხებოდნენ სახალხო მეურნეობის ცალკე კონკრეტულ საკითხს. მე არაფერი მაქვს საკამათო მათ მოსაზრებებთან. კამათმა მხოლოდ გაამდიდრა და შეავსო მოხსენებაში წამოყენებული დებულებანი და ამიტომ მე ამ საკითხებზე არ შევჩერდები. მე შევეხები მხოლოდ ერთ სერიოზულ საკითხს. ეს არის საკითხი ხელმძღვანელობის შესახებ.

ამხ. მელიქსეტოვი, ამატუნი და კიდევ ორი-სამი ორატორი კამათობდნენ ჩემ თეზისის ორ გვერდზე, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: საოლქო პარტ. კომიტეტის სუსტ ხელმძღვანელობას და იმ შეცდომებს, რომელიც სოლქო კომიტეტმა დაუშვა, საფუძვლად უდევს სრულიად არა პრინციპიალური გადახვევანი პარტიის გენერალური ხაზისაგან. დაშვებული შეცდომები აუცილებელი იყო მუშაობის იმ სისტემის ფონზე, რასაც აქ ჰქონდა ადგილი. ფედერალიზმის პრინციპი, ნუ თუ ფედერალიზმის პრინციპის გადმოტანა პარტიულ მუშაობაში არ ასუსტებს ჩვენი ორგანიზაციების ნებას? რასაკვირველია ეს ასეა. საუცხოო იყო ამ მხრივ ამხ. იუსუფ კასუმოვის გამოთქმა, რომელმაც სოლქო პარტიული კომიტეტის როლი საარბიტრაჟო კომისიის როლს შეადარა. აზერბეიჯანის კომპარტიის ძველი ხელმძღვანელობის საკითხების მაგალითზე ჩვენ ნათლად დავრწმუნდით, თუ რა მავნე შედეგები მოაქვს ფედერალიზმის პრინციპს. პარტიულ მუშაობაში ეს პრინციპი კი სოლქო პარტიულ კომიტეტის პირველყოფილი ცოდვაა.

როდესაც ამიერ-კავკასიის სოლქო კომიტეტმა გამოიტანა დადგენილება აზერბეიჯანის კომპარტიის ძველი ხელმძღვანელობის შესახებ ეს ხელმძღვანელობა ყალყზე შედგა. აზერბეიჯანის კომპარტიის ცეკას და ბაქოს კომიტეტს ეყოთ მაშინ გამბედაობა გაელაშქრათ საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების წინააღმდეგ, რომელშიაც ნათქვამია, რომ ამიერ-კავკასიის სოლქო პარტიული კომიტეტის დადგენილება აზერბეიჯანის პარტიულ ხელმძღვანელობის შესახებ საკმაო არ არისო.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ბაქოში თავმოყრილია ამიერ-კავკასიის მოწინავე მრავალრიცხოვანი პროლეტარიატი, რომელსაც ეყრდნობა თავის მუშაობაში აზერბეიჯანის კომუნისტური პარტია, გასაგები იქნება ის ყალბად გაგებული თავისი მდგომარეობა, რასაც ძველი პარტიული ხელმძღვანელობა იჩენდა სოლქო კომიტეტის მიმართ. გამოდიოდა ის, თითქოს აზერბეიჯანის კომპარტიის ძველი პარტიული ხელმძღვანელობა ამბობდა: სოლქო პარტიული კომიტეტი კი ხარო, მაგრამ ჩვენ საქმეში ნუ ერევიო. ეს გარემოება საკმაოდ მჭევრმეტყველურად არის იმის დასახასიათებლად, თუ რა პირობებს ქმნის პარტმუშაობაში ფედერალიზმის პრინციპის გადმოტანა.

აიღეთ თუნდაც სომხეთის კომპარტიის საკითხი. სოლქო პარტიულ კომიტეტმა ეს საკითხი გადაწყვიტა მეტად გვიან.

ფედერალიზმის პრინციპის გადმოტანა პარტიულ მუშაობაში არ გვაძლევდა შესაძლებლობას საერთოდ სწორად აღებული ხაზი გაგვეტარებინა ცხოვრებაში. ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევა ვერ მოახერხა ამიერ-კავკასიის პარტიულ ხელმძღვანელობამ. ამიტომ, მიუხედავად სწორი პარტიული ხაზისა, მაინცდამაინც მაინც ჰქონდა სოლქო პარტიულ კომიტეტს. მაშ რა, რამდენჯერ მომხდა, რომ სოლქო პარტიული კომიტეტის დადგენილება დაუცველად იქნა დაუცველიყო? ეს უმსგავსოება მეორდებოდა მას შემდეგაც, რაც უკვე მიღებული გვქონდა საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითება იმის შესახებ, რომ ძირშივე ამოგვეკვეთა ფედერალიზმის პრაქტიკა პარტიულ მუშაობაში. ამ მითითების შემდეგაც გაისმოდა რესპუბლიკანურ ცენტრალური კომიტეტებიდან ხმები იმის შესახებ, რომ როგორ შეიძლება გამოიტანოთ სოლქო პარტიულ კომიტეტში დადგენილება ჩვენი თანხმობის გარეშე. ამის საილუსტრაციოთ მე შემიძლია მოვიყვანო მთელი რიგი ფაქტები.

ჩემს მოხსენებაში პირდაპირ ვთქვი, რომ ის პერიოდი, როცა სოლქო პარტიულმა კომიტეტმა დაიწყო მუშაობა მრავალ რიცხოვანი სამდივნოს შემადგენლობით, რომელშიაც 5 კაცი შედიოდა, ფედერალიზმის პრინციპმა პარტიულ მუშაობაში გაცილებით იმაზე უფრო მკაფიოთ იჩინა თავი, ვიდრე ამას ადგილი ჰქონდა ოდესმე. ამის დაფარვა საჭირო არაა. ამიერ-კავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციათა ყრილობამ გადაჭრით და მთელი სისასტიკით უნდა გაკიცხოს მუშაობის ასეთი მეთოდი.

ამრიგად შეცდომების საფუძველში ძირითადი მიზეზია ფედერალიზმის პრინციპი პარტიულ მუშაობაში.

ეხლა ორიოდე სიტყვა ამხ. საბსოვის ბარათის შესახებ. ის სწერს, რომ თავის დროზე ვაფრთხილებდით პარტიას შეცდომებისაგან, ამისათვის მუშებს აკრავდნენ მემარჯვენე გადახრის იარლიყს. ეს კი საკ. კ.პ. ცეკას არა სწორი ხაზის გამო ჩვენ გვაქვს შეცდომებიო.

შემდეგ ამხ. საბსოვმა თვითვე აღიარა თავისი შეცდომები. მან გამოგზავნა ყრილობის პრეზიდიუმში განცხადება, სადაც ის გმობს თავის შემცდარ შეხედულებებს. საკითხი ამრიგად ამხ. საბსოვის შესახებ ამოწურულია, მაგრამ მე ეს ცნობა იმიტომ მოვიყვანე, რომ ზოგიერთების თავში კიდევ ბოგინობს აზრი იმის შესახებ, თითქოს საკ. კ. პარტიის ცეკას ხაზი შემცდარი იყო. მთელ პასუხისმგებლობას კოლმეურნეობათა მშენებლობაში დაშვებულ შეცდომებისათვის, როგორც ეს უკვე ვთქვი, უნდა დაეკისროს სოლქო პარტიულ კომიტეტს და ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს. მე მოვალედ ვრაცხ თავს ერთხელ კიდევ განვაცხადო, რომ ყველაზე მეტი პასუხი შეცდომებისათვის უნდა აგოს სოლქო პარტიულმა კომიტეტმა. საჭიროა კატეგორიულად უარვყოთ ისეთი აზრი, თითქოს საკავშირო კომპარტიის ცეკა სცდებოდა. ეს არ შეეფერება სინამდვილეს საზოგადოთ და მით უფრო ამიერ-კავკასიაში. ჩვენ ხომ არა ერთი გარკვეული დირექტივა გვქონდა ცენტრალური კომიტეტისაგან იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გვეწარმოებია საკოლმეურნეო მუშაობა ადგილობრივ პირობებში.

ვიმეორებ, დაშვებულ შეცდომებისათვის პირველ ყოვლისა პასუხს აგებს სოლქო კომიტეტი და, რა თქმა უნდა, ამიერ-კავკასიის ყველა პარტიული ორგანიზაცია, რადგან ამ დიდ აქტივიდან არავინ აღმოჩნდა ისეთი, რომ შესძლებოდა შეეტანა მუშაობაში და შეეჩერებინა ის უსაფუძვლო გატაცება, რომელსაც ადგილი ჰქონდა საკოლმეურნეო მშენებლობაში.

ჩვენი შეცდომებით უფრო გავაძლიერეთ კლასობრივი მტრების პოზიცია სოფლად, ამიტომ მორიგი ამოცანაა გავაძლიეროთ ბრძოლა შეცდომების გამოსასწორებლად და ყოველ ზომებით მივდიოთ კლასობრივი მტრის ჩასაძირავად. ამასთანავე გავაძლიეროთ მუშაობა ღარიბ და საშუალო გლეხკაცობასთან და მთელი ძალღონე მივმართოთ გლეხკაცობის და მუშების ერთმანეთთან მჭიდრო შეკავშირებისათვის.

გვყავს თუ არა ჩვენ საკმაო ძალები იმისათვის, რომ დავძლიოთ დღევანდელი სიძნელეები. რასაკვირველია, ჩვენ საკმაოდ გვყავს ჩვენი დღევანდელი დაბრკოლებების აღმოფხვრისათვის იდეური და ორგანიზაციული საშუალებანი. მე არაფერს ვლაპარაკობ ფიზიკურ შესაძლებლობათა შესახებ. ამიტომ საჭიროა ყველა ჩვენი აქტიური ძალების მიზანშეწონილად გამოყენება. საჭიროა სოფლის გამაგრება საუკეთესო მუშაკებით. ეს იქნება უეჭველად უკეთესი წინასწარი პირობა იმისათვის, რომ დაშვებულ შეცდომებს ჩვენ მალე გამოვასწორებთ. შეჩერება ან უკან დახევა ყოვლად შეუძლებელია. მიუხედავად დიდ დაბრკოლებებისა ჩვენ არავითარ დათმობაზე არ წავალთ, გავსწმინდოთ სოფელს კონტრრევოლუციონურ ელემენტებისაგან და კიდევ ფართოდ გავშლით სოციალისტურ მშენებლობას სოფლადაც. ვიმეორებ, რომ განსაზოგადოებულ მსხვილ სამეურნეო ერთეულების შექმნის გარეშე სოფლად ჩვენ სოციალიზმს ამიერ-კავკასიაში ვერ ავაშენებთ. დაყოვნება ამ მხრივ არ შეიძლება, ესეც დათმობა იქნება ჩვენი კლასობრივი მტრებისათვის. მაგრამ ახლად წარმოებულ მუშაობის დროს სავსებით უნდა გათვალისწინებულ იქნას წარსული შეცდომები და კოლექტივიზაციის ფორმები უაღრესად უნდა შეეფარდოთ კონკრეტულ პირობებს.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ორი-სამი თვის შემდეგ ჩვენ შევუდგებით საშემოდგომო სახოფლო-სამეურნეო კამპანიას. საჭიროა აქედანვე ვემზადოთ ამ მუშაობისათვის, რათა განვამტკიცოთ ახალი პოზიციები სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის.

რაც შეეხება დანარჩენს, რომელზედაც აქ იყო ლაპარაკი მოხსენების გარშემო, მე მთლიანად და სავსებით ვეთანხმები იმ მოსაზრებებს, რომელიც ამხ. ლომინაძემ გამოსთქვა ამ საკითხების გამო.

მე მჯერა, რომ ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციათა ყრილობა გამოიტანს შესაფერ დადგენილებებს, რომლებიც მაგარ საძირკველს ჩაუყრის ამიერ-კავკასიის პარტიულ ხელმძღვანელობის შემდგომ განმტკიცებას. მხოლოდ ასეთ პირობებში შევძლებთ ჩვენ საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დირექტივების ნამდვილ განხორციელებას ამიერ-კავკასიის სამეურნეო ბაზის გაძლიერების შესახებ, რაც ასე აუცილებელია ამიერ-კავკასიის სოციალისტური რეკონსტრუქციისათვის. (ხანგრძლივი ტაში).

ყრილობის დახურვა

ამიერ-კავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციათა მეექვსე ყრილობის მეთოთხმეტე სხდომაზე მოსმენილ იქნა სამანდატო კომისიის მოხსენება.

სამანდატო კომისიის მოხსენება

ამხ. იაკუბოვი

სულ ამიერ-კავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციათა მეექვსე ყრილობაზე სამივე რესპუბლიკიდან წარმოგზავნილი იყო 341 დელეგატი, აქედან ყრილობაზე გამოცხადდა 887 დელეგატი. აზერბეიჯანიდან არ ჩამოვიდა 7 კაცი, სომხეთიდან—3 კაცი, საქართველოდან 3 კაცი.

დელეგატების აღნიშნულ რიცხვიდან გადამწყვეტი ხმის უფლება მიეცა 309 კაცს, ქალთა რიცხვი მათ შორის უდრის 19-ს.

ასაკის მიხედვით დელეგატების შემადგენლობა ასეთია: 23 წლის ორი დელეგატი, 23-დან 30 წლამდე—87 დელეგატი, 30-დან 35 წლამდე—99 დელეგატი, 35—40 წლამდე—62 დელეგატი, 40 წელზე ზევით—78 დელეგატი.

პარტიული სტაჟის მიხედვით ყრილობა შემდეგ სურათს იძლევა: 1917 წლამდე პარტიაში შესულთა რიცხვი უდრის 60 კაცს, 1917-დან 1926 წლამდე შესულთა რიცხვი—168 კაცს, 1922-1924 წლამდე—37 კაცს, 1925 წლის შემდეგ პარტიაში შესულთა რიცხვი უდრის 63 კაცს, დელეგატებს შორის სულ 22 კომკავშირელია.

ეროვნების მიხედვით ქართველები—90 კაცი, სომხები—70 კ., თურქები—75 კაცი, რუსები—64 კაცი და დანარჩენი სხვა ეროვნებანი.

სოციალური მდგომარეობის მიხედვით — დაზგის მუშების რიცხვი ყრილობაზე უდრის 87 კაცს, ყოფ. მუშების რიცხვი—90 კაცს, გლეხების რიცხვი—6 კაცს, სამხედრო პირნი —20, მოსამსახურეთა რიცხვი—120 კაცს.

ყრილობამ დაამტკიცა სამანდატო კომისიის მოხსენება.

———

ამის შემდეგ არჩეულ იქნა საკავშირო კომპარტიის ამიერ-კავკასიის სოლქო პარტიულ კომიტეტის და სოლქო საკონტროლო კომისიის ახალი შემადგენლობანი.

დასასრულ ყრილობამ მიიღო რეზოლიუციები სოლქო პარტიული კომიტეტისა და სოლქო საკონტროლო კომისიის მუშაობის შესახებ, რის შემდეგაც თავმჯდომარემ—ამხ. მ. ცხაკაიამ ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციათა მეექვსე ყრილობა დახურულად გამოაცხადა.

რეზოლიუცია

ა.-კ. საოლქო საკონტროლო კომისიის--მუშ-გლეხინის ანგარიშის გამო

მიღებულია ამიერ-კავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების მე-6 ყრილობის მიერ

1. ამიერ-კავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების მე-6 ყრილობა აღნიშნავს ამიერ-კავკასიის სოლქო საკონტროლო კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ ჩატარებულ დიდ მუშაობას პარტიის რიგების უცხო და გახრწნილი ელემენტებისაგან გასაწმენდად და მთელი რიგი საგამომკვლევო სამუშაოების დამაკმაყოფილებლად ჩატარებას (წყალთა მეურნეობა, რკინის გზის ტრანსპორტი, ელექტრომშენებლობა, საფეიქრო მრეწველობა და სხვ.). ამავე დროს ყრილობა აღნიშნავს უდიდეს დეფექტებს ამიერ-კავკასიის სოლქო საკონტროლო კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობაში. ამიერ-კავკასიის სოლქო საკონტროლო კომისიამ და მუშათა და გლეხთა ინსპექციამ თავისი ყურადღება არ მიაპყრო ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის სამეურნეო მშენებლობის ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებს, როგორიც არის ნავთის, მარგანეცის, ქვანახშირის მრეწველობა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამიერ-კავკასიის სოციალისტურად გარდაქმნისათვის; ამიერ-კავკასიის სოლქო საკონტროლო კომისიამ და მუშათა და გლეხთა ინსპექციამ ვერ მიაღწია რაიმე არსებით შედეგს პარტიის იმ დირექტივების განხორციელების საქმეში, რომლებიც ეხებიან მომჭირნეობის რეჟიმს, სახელმწიფო აპარატის რაციონალიზაციას და მის გამარტივებას.

ცალკე პარტიული ორგანიზაციებისა და საბჭოთა ორგანოების გახრწნის ფაქტები, რომლებიც გამოაშკარავებულ იქნა ამ უკანასკნელ დროს ამიერ-კავკასიის მთელ რიგ რაიონებში, მოწმობენ იმას, რომ ამიერ-კავკასიის საკონტროლო კომისიისა და მუშგლეხინის ორგანოებმა არა თუ ვერ შესძლეს თავის დროზე აღეკვეთათ თავიდან ეს მოვლენები, არამედ ისინი არც კი ებრძოდნენ გადაჭრით ამ მოვლენებს.

2. ამიერ-კავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების მე-6 ყრილობა წინადადებას იძლევა ამიერ-კავკასიის საკონტროლო კომისიისა და მუშგლეხინის ორგანოების ყურადღების ცენტრში მოქცეულ იქნას სისტემატიური შემოწმება იმ პარტიულ და საბჭოთა დირექტივების შესრულებისა, რომლებიც სოციალისტური მშენებლობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს შეეხებიან, და გადამჭრელი ბრძოლა პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების გახრწნის ცალკე ელემენტებთან, „პიროვნების მიუხედავად" თვითკრიტიკის ნამდვილად გაშლის საფუძველზე. კერძოდ, საკონტროლო კომისიისა და მუშგლეხინის ორგანოებმა მთავარ და უმნიშვნელოვანეს ამოცანად უნდა დაისახონ პარტიულ კომიტეტებთან ერთად იმ გადაწყვეტილებათა სისტემატიური შემოწმება, რომლებიც გამოიტანეს პარტიის წმენდის ჩატარებისათვის შემოწმების კომისიებმა, და უზრუნველყოფონ ყველა იმ დეფექტების და არაჯანსაღი მოვლენების აღმოფხვრა პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებაში, რაც გამომჟღავნებულ იქნა წმენდის დროს.

საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებმა მეტი ყურადღებით უნდა მოეპყრან იმ საჩივრებსა და განცხადებებს, რომლებიც მიუთითებენ არაჯანსაღ მოვლენებზე, არ უნდა დასტოვონ ასეთი მოვლენები შეუმოწმებლად და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში პასუხისგებაში მისცენ პარტიული და სასამართლოს ხაზით ყველა, ვინც არღვევს პარტიულ დირექტივებს, მისი თანამდებობის მიუხედავად.

3. ამიერ-კავკასიის სოლქო საკონტროლო კომისიამ და მუშათა და გლეხთა ინსპექციამ განუხრელად უნდა განაგრძოს ბრძოლა პარტიის გენერალური ხაზიდან გადახვევების წინააღმდეგ და თავისი მთავარი ყურადღება უნდა მიაპყრონ მემარჯვენე გადახრასთან და მისდამი შემრიგებლობასთან ბრძოლას, რამდენადაც მემარჯვენე გადახრა წარმოადგენს მთავარ საფრთხეს სოციალისტური მშენებლობის ეხლანდელ ეტაპზე. ამავე დროს არ უნდა შესუსტდეს ბრძოლა ტროცკიზმის ნაშთებთან, „მემარცხენე" გადახვევებთან და მათდამი შემრიგებლურ დამოკიდებულებასთან.

საკონტროლო კომისიისა და მუშგლეხინის ორგანოებმა გადაჭრით უნდა იბრძოლონ პარტიული ხაზის ყოველი გამრუდებისა და პრაქტიკაში პარტიული დირექტივების დამახინჯების წინააღმდეგ.

ყოველი ორგანიზაციის, პარტიის ყოველი წევრის მუშაობის შემოწმება უნდა ხდებოდეს, უმთავრესად, იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად ატარებენ ისინი პარტიულ ხაზს პრაქტიკულ მუშაობაში.

4. ყრილობა ავალებს ამიერ-კავკასიის ყველა პარტიულ ორგანიზაციებს მიაღწიონ გადამჭრელ გარდატეხას სახელმწიფო აპარატის მუშაობის გაუმჯობესებისა და მისი გამარტივების საქმეში. კერძოდ, ყრილობა წინადადებას იძლევა უახლოეს დროში გამოჰყოს ამ.-კავკასიის ყველა რესპუბლიკებში საცდელი ოლქები და რაიონები მათში საცდელი მუშაობის დასაყენებლად საბჭოთა აპარატის ქვედა საფეხურების და პირველ რიგში რაიონების მაქსიმალური განმტკიცების, მათთვის მაღლა მდგომი საბჭოთა ორგანოების ფუნქციებისა და უფლებების გადაცემის და იმავე დროს ქვედა აპარატის სათანადო გამოცდილი და გამობრძმედილი მუშაკების კადრებით უზრუნველყოფის საფუძველზე. ეს მუშაობა ისეთნაირად უნდა იქნას დაყენებული, რომ ამ საცდელი უბნების მიღწევები შემდგომში გავრცელდეს სხვა ოლქებსა და რაიონებზედაც.

ყრილობა აღნიშნავს ამიერ-კავკასიის საბჭოთა აპარატის წმენდის ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელ მსვლელობას. პარტიულმა და პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა, შესამოწმებელი დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა და მათმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა (უჯრედი, ადგილკომი და სხვა) არ უზრუნველჰყვეს შესრულება პარტიული დირექტივებისა, კერძოდ ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის 1929 წლის 12 სექტემბრის დადგენილებისა საბჭოთა აპარატის წმენდის შესახებ, ხოლო საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოები საკმაო ხელმძღვანელობას არ უწევენ ამ საქმეს.

საბჭოთა აპარატის წმენდა დღემდე მიმდინარეობს მასების საკმაო მონაწილეობის გარეშე; ჯერ კიდევ არ არის გაშლილი საწარმოთა შეფობა დაწესებულებებზე, აპარატის წმენდას თან არ ახლავს, როგორც წესი, აპარატის სტრუქტურის გამარტივება და მისი შემცირება.

ყრილობა წინადადებას აძლევს ყველა პარტიულ, პროფესიონალურ და საბჭოთა ორგანოებს, საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებს მიაღწიონ ძირითად გარდატეხას ამ მუშაობაში და სრულით შეასრულონ პარტიის დირექტივები საბჭოთა აპარატის წმენდისა და დაწესებულებების საწარმოთა შეფობის გაშლის შესახებ.

5. ყრილობა აღნიშნავს მუშათა და მუშაქალთა სახელმწიფო აპარატში სისტემატიური დაწინაურების მუშაობის სისუსტეს, დაწინაურებულთა არადამაკმაყოფილებელ მომზადებას და ამ უმნიშვნელოვანესი საქმისადმი პარტიული, განსაკუთრებით პროფესიონალური ორგანიზაციების არა საკმაო ყურადღებას და წინადადებას აძლევს ამიერ-კავკასიის სოლქო საკონტროლო კომისიას, ამიერ-კავკასიის სოლქო კომიტეტთან ერთად, ჩაატაროს მთელი რიგი ღონისძიებანი სახელმწიფო აპარატის შემდგომი გამუშურების, აპარატში მუშების, კოლმეურნეების და საუკეთესო ღარიბი და საშუალო გლეხების დაწინაურების, დაწინაურებულთა მომზადების, მათი კვალიფიკაციის ამაღლების და სახელმწიფო აპარატში მუშაკების შერჩევის საერთო გაუმჯობესებისათვის.

6. ყრილობა აღნიშნავს, რომ ამიერ-კავკასიაში არაა შესრულებული პარტიის დირექტივა მომჭირნეობის რეჟიმის გატარებისა და ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯების შემცირების შესახებ და წინადადებას აძლევს ამიერ-კავკასიის სოლქო საკონტროლო კომისიას და მუშათა და გლეხთა ინსპექციას აწარმოოს უფრო გადამწყვეტი ბრძოლა, ყოველგვარ უსაფუძვლო ხარჯების წინააღმდეგ და მიაღწიოს მომჭირნეობის რეჟიმის შესახებ პარტიის დადგენილებათა სრულ გატარებას ცხოვრებაში, კერძოდ გაატაროს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის დადგენილება ამიერ-კავკასიის და მასში შემავალი რესპუბლიკების გაბერილი აპარატების შემცირებისა და გამარტივების შესახებ.

7. სამეურნეო მშენებლობის დარგში საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებმა თავისი მთავარი ყურადღება მიაქციონ სახალხო მეურნეობის, პირველ რიგში მრეწველობის და სოფლის მეურნეობის მთავარი დარგების განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესრულების შემოწმებას, ერთმართველობის შესახებ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების ცხოვრებაში გატარების, წარმოების დანაკარგებთან ბრძოლის იმ მიზნით, რომ დაძლეულ იქნას „ვიწრო ადგილები" სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე და შეიქმნას პირობები ინდუსტრიალიზაციის და სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის ტემპების შემდგომი დაჩქარებისათვის.

საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებმა სისტემატიურად უნდა შეამოწმონ, რამდენად სრულდება პარტიის დირექტივები წარმოების რაციონალიზაციის, წარმოების შინაგანი რესურსების მობილიზაციის, თვითღირებულების შემცირების და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების შესახებ.

სახელმწიფო მრეწველობის და სოფლის მეურნეობის სოციალისტური სექტორის მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლები საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოების მთავარ ყურადღების საგნად უნდა იქცეოდეს. ამასთან ერთად, საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებმა უნდა ჩაატარონ მთელი რიგი ღონისძიებები შესასრულებლად პარტიის დირექტივებისა რეალური სამუშაო ხელფასის გადიდების, საქონლის გამტარებელი აპარატის გაიაფებისა და გამარტივების, სახელმწიფო ვაჭრობის და კოოპერაციის მუშაობის გაუმჯობესების და ხაჭურ-სარტო გეგმის შესრულების უზრუნველყოფის საქმეში.

8. ყრილობა წინადადებას აძლევს საკონტროლო კომისიას და მუშათა და გლეხთა ინსპექციას მოამზადონ კადრების მომზადების მიმდინარეობის სისტემატიური შემოწმება, პირველ რიგში მრეწველობისა და სოფლის მეურნეობისათვის და გააძლიეროს მუშაობა სოციალურ-კულტურული მშენებლობის დარგში, (სახალხო განათლების სისტემის და ჯანმრთელობის დაცვის რეორგანიზაცია, შრომელთა ყოფა-ცხოვრების სოციალისტურად გარდაქმნა და სხვა).

9. ყრილობა აღნიშნავს ამიერ-კავკასიის საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის და საკონტროლო კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ადგილობრივი ორგანოების მასიური მუშაობის სისუსტეს და საჭიროდ სთვლის მიღწეულ იქნას ამ დარგში ძირითადი გარდატეხა და რეალურად იქნას დაწყებული მე-16 პარტკონფერენციის იმ დადგენილების შესრულება, რომელიც მუშათა და გლეხთა ინსპექციის, როგორც მასიური კონტროლის ორგანიზატორის როლს შეეხება. ამასთან დაკავშირებით, უნდა შეიცვალოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის, კერძოდ საჩივართა ბიუროს მუშაობა მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ ჩატარებულ გამოკვლევებში მოხალისეების, საწარმოთა აქტივის და ფართო მასების ჩაბმის და განცხადებებისა და საჩივრების უფრო სწრაფი და გულდასმით განხილვის საფუძველზე, აგრეთვე მუშათა მონაწილეობით საჩივართა ბიუროს ღია სხდომების და საჩვენებელი სასამართლოების ჩატარებით იმ საკითხებზე, რომლებიც დიდ საზოგადოებრივ ინტერესს იწვევენ მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობაში უფრო მეტად უნდა ჩაიბას მსუბუქი კავალერია, პროფკავშირების აქტივი და სპეციალისტების აქტივი, მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებმა მთავარი ყურადღება უნდა მიაქციონ სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებას და მასში ბიუროკრატიულ დამახინჯებათა წინააღმდეგ ბრძოლას, უარი უნდა სთქვან, კერძოდ, საჩივართა ბიუროს, საშინაო, საკონფლიქტო და სხვა საკითხების უშუალო გარჩევაზე და უნდა მიაღწიონ ამ საკითხებს საჩივრების სწორ და თავის დროზე გარჩევას სათანადო ორგანოებში.

10. ყრილობა საჭიროდ სთვლის გაძლიერებულ იქნას საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის კავშირი პროფესიონალურ ორგანიზაციებთან და მოეწყოს საკონტროლო კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოთა დადგენილებების შემოწმება ქვედა საფეხურის საზოგადოებრივი ორგანოების მიერ (საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების, ადგილკომების, საწარმოო თათბირების, ეკონომ-კომისიების და სხვა). განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საწარმოო თათბირების და საწარმოო კომისიების დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებას, მუშათა გამოგონებების ხელის შეწყობას და სხვა.

11. ყრილობა აღნიშნავს საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოების სუსტ კავშირს პრესასთან და საჭიროდ სცნობს უზრუნველყოფილ იქნას საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის, პრესის, სასამართლოს და პროკურატურის მუდმივი საურთიერთო მოქმედება ბიუროკრატიზმთან და საქმის გაჭიანურებასთან და თვითკრიტიკისა და მისი მოქმედების ანაბისათვის და სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებისა და გამარტივებისათვის ბრძოლაში. საკონტროლო კომისიამ და მუშათა და გლეხთა ინსპექციამ უნდა დაამყაროს დაუღალავი კონტროლი სასამართლოს და საგამომძიებლო ორგანოების მუშაობის მიმართ იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას რევოლუციონური კანონიერების ჩატარება და გარკვეული კლასობრივი ხაზი სასამართლოს და პროკურატურის მუშაობაში. უზრუნველყოფილ იქნას „მუშათა და გლეხთა ინსპექციის ფურცლის" რეგულიარული გამოსვლა ცენტრალურ და ადგილობრივ გაზეთებთან და გაუმჯობესდეს ამ „ფურცლების" ხარისხი, დაწესდეს საკონტროლო კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სისტემატიური კავშირი მუშკორებთან. ამ მიზნით ყრილობა, კერძოდ, წინადადებას იძლევა გატარდეს ცხოვრებაში ცენტრალური საკონტროლო კომისიის დადგენილება საკონტროლო კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებთან მუშკორების თათბირების მოწყობის შესახებ ცენტრში და ადგილებზე და მუშგლეხკორების ნამდვილი დაცვის უზრუნველყოფა დევნისაგან.

12. ყრილობა წინადადებას აძლევს ამიერ-კავკასიის საკონტროლო კომისიას და მუშათა და გლეხთა ინსპექციას გააძლიეროს ხელმძღვანელობა რესპუბლიკანური და საოლქო საკონტროლო კომისიებისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციების მიმართ, კერძოდ, მათი პერიოდული გამოკვლევის, მათთვის ინსტრუქციების მიწოდების და სამეურნეო მშენებლობის და საბჭოთა აპარატის გაუმჯობესების ძირითად საკითხებში მათი მუშაობის სისტემატიური წარმართვის საშუალებით.

13. ყრილობა ამიერ-კავკასიის ყველა პარტიულ ორგანიზაციების ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ ამიერ-კავკასიის საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოების მუშაობის ხარისხის გაუმჯობესება და ამ ორგანოების გადაქცევა ნამდვილ დამხმარებლად სოციალისტური მშენებლობის უმნიშვნელოვანეს საკითხების გადაწყვეტაში, მოითხოვს მუშაკების სათანადო შერჩევას საკონტროლო კომისიისა და მუშათა და გლეხთა ორგანოებისათვის. ყრილობა აღნიშნავს პარტიულ ორგანიზაციების მიერ მე-16 პარტკონფერენციის დადგენილების არ შესრულებას საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ორგანოებისათვის საუკეთესო მუშაკების გამოყოფის საქმეში და ავალებს ამიერ-კავკასიის სოლქო კომიტეტს და ნაციონალური კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს მახლობელი სამი თვის განმავლობაში გამოჰყონ მუშაკები საჭირო კადრი საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ორგანოების განსამტკიცებლად პირველ რიგში ოლქებისა და ავტონომიურ ერთეულებში.

14. ამიერ-კავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების მე-6 ყრილობა სავსებით იწონებს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის 1929 წლის 22 დეკემბრის დადგენილებას ამიერ-კავკასიის საკონტროლო კომისიის მუშაობის შესახებ და წინადადებას აძლევს ამიერ-კავკასიის საკონტროლო კომისიის ახალ შემადგენლობას მტკიცედ გაატაროს ცხოვრებაში ცენტრალური საკონტროლო კომისიის ყველა წინადადებები.

გაზაფხულის სას.-სამ. კამპანია და კოლმეურნეობათა მშენებლობა საქართველოში

ამხ. ფ. მახარაძის მოხსენება საქ. კ. პ. (ბ) მე-VII ყრილობაზე 3 ივნისს

ამხანაგებო! ჩემი მოხსენება შეიცავს ორ დიდ საკითხს: საკოლმეურნეო მოძრაობის შედეგები და პერსპექტივები—ერთის მხრივ და საგაზაფხულო თესვის კამპანიის გეგმა—მეორეს მხრივ. თვითეული მათგანი შეიძლება იყოს დამოუკიდებელი მოხსენების საგანი, ვინაიდან თესვის გეგმა დღეს ჩვენში წარმოადგენს უკვე გეგმას ჩვენი სოფლის მეურნეობის გარდაქმნისას.

წინანდელი მომხსენებლები უკვე შეეხნენ ორივე ამ საკითხს, როგორც ამხ. ლევან ლოლობერიძე, ისე ამხ. ივანოვ-კავკასიელიც. განსაკუთრებით ამხ. ლევანმა აღნიშნა დეფექტები და შეცდომები, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ ამ ახლო წარსულში და აგრეთვე ის მიღწევები, რომლებიც ჩვენ გვაქვს ამ დარგში. მიუხედავად ამისა, ორივე ეს საკითხი იმდენად მნიშვნელოვანი არის დღეს არა მარტო ჩვენში, არამედ მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით, რომ საჭიროა ყრილობამ ერთხელ კიდევ მიაქციოს მათ ყურადღება.



ამხ. ფ. მახარაძე

როგორ მიმდინარეობს თესვა

უწინარეს ყოვლისა მე შევჩერდები თესვის კამპანიის გეგმაზე და უმთავრეს მომენტებზე თესვის კამპანიის ჩატარების ირგვლივ. ჯერ მე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას გასული წლის შემოდგომის თესვის კამპანიის გეგმის შესრულებაზე. ეს მუშაობა უკვე დასრულებულია, ჩვენ უკვე გვაქვს შედეგები და შეგვიძლია აქედან გარკვეული დასკვნა გამოვიტანოთ.

ამხანაგებო, შარშან შემოდგომაზე განზრახული იყო ნათესების ფართობის გადიდება დაახლოვებით 7 პროც., ანუ 16 ათასი ჰექტარით. მაგრამ ჩვენ ეს გეგმა დიდი გადაჭარბებით შევასრულეთ—42.500 ჰექტარით გადავამეტეთ 1928 წლის შემოდგომის ნათესს, ე. ი. შევასრულეთ გეგმა 18 პროც. გადაჭარბებით. ეს გადიდება მოხდა უმთავრესად დასავლეთ საქართველოში. თუ გახსოვთ, ჩვენ ამოცანად გვქონდა დასმული დასავ. საქართველოს მდგომარეობის გაუმჯობესება. თქვენ იცით, ამხანაგებო, რომ დასავლეთ საქართველოს ეწვია გვალვა, რის გამო სიმინდის მოსავალი დიდად შემცირდა. ჩვენ რამე საშუალება უნდა მოგვენახა, რომ რამოდენიმეთ მაინც უზრუნველგვეყო მომავალში ხალხი ასეთი კატასტროფისაგან. ამ მხრივ შემოდგომის ნათესი ყველაზე მეტ გარანტიას იძლევა. ჩვენ ვხედავთ, რომ თუ 28 წლის შემოდგომის ნათესების ფართობი დასავლეთ საქართველოში უდრიდა 16.481 ჰექტარს, გასული 1929 წლის შემოდგომის ნათესების ფართობი უკვე 36.061 ჰექტარამდე ავიდა, ე. ი. მოიმატა თითქმის 120 პროც. ეს იყო პირველი წელიწადი, როდესაც ჩვენ გეგმით შევუდექით ცვლილებების შეტანას დასავლეთ საქართველოში ხორბლეულის კულტურების თესვაში. მე მგონია ეს პირველი ცდა მეტად კარგ შედეგს მოგვცემს და მომავალ წლებში იგი კიდევ უფრო გაფართოვდება.

როგორ ნაწილდება შემოდგომის ნათესის ფართობი სექტორებს შორის? ის ნაწილდება ამნაირად: საბჭ. მეურნეობებმა დათესეს ათასი ჰექტარი, კოლმეურნეობებმა—17.500 ჰექტარი და კერძო სექტორმა—252.500 ჰექტარი.

თესვის გეგმა სრულდება

მე ეხლა გადავალ წლევანდელ გაზაფხულის თესვის კამპანიის დახასიათებაზე. ამ კამპანიის საბოლოო შედეგები ჩვენ ჯერ კიდევ არ გვაქვს, რადგანაც თესვა, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, მხოლოდ ამ დღეებში თავდება. ჩვენ გვაქვს 25 მაისის ცნობები. რა მდგომარეობაშია თესვის გეგმის შესრულება?

წლის საგაზაფხულო თესვის გეგმაში დასახული გვქონდა ნათესების ფართობის გადიდება: მარცვლეულ კულტურებს—4,8 პროცენტით, ტექნიკური კულტურებს—106,6 პროც. და მრავალწლიანი ნარგავების ფართობის—12 პროც.

ხორბლის კულტურა წელს გამოიხატება 583.500 ჰექტარში. აქ არის გადიდება 21.873 ჰექტ., ე. ი. 3,9 პროც. ტექნიკურ კულტურებისათვის გეგმით გათვალისწინებულია 61.620 ჰექტარი—106,6 პროც. მეტი წარსულ წელზე.

ამხანაგებო, ჩვენ გვაქვს მეორე ნიშანი, რომელიც დამახასიათებელია ჩვენი სოფლის მეურნეობისათვის. ეს არის ტექნიკური კულტურების ხვედრითი წონის ზრდა. გასულ წელს ტექნიკურ კულტურების ხვედრითი წონა უდრიდა 8,4 პროც., წელს კი უდრის 9,4 პროც. აქ აშკარად ჩანს, რომ გეგმა, რომელიც ჩვენ დავისახეთ ტექნიკურ კულტურის განვითარებისათვის, ეს გეგმა ნამდვილად უკვე ხორციელდება. ჩვენ შემოვიღეთ აგრეთვე ნათესი ბალახის კულტურა. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს მესაქონლეობის განვითარებისათვის. წინათ ამ კულტურას ჩვენში ყურადღება არ ექცეოდა. წელს გეგმით დასახულია 12.170 ჰექტარი მიწის დათესვა ბალახით.

მთელი ნათესების ფართობი გეგმით იზრდება 76,727 ჰექტარით, ანუ 14,6 პროც., მაგრამ საქმე ის არის, თუ როგორ სრულდება ეს გეგმა სინამდვილეში. აქ ჩვენ გვაქვს შემდეგი მაჩვენებლები: 25 მაისისათვის ხორბლეული კულტურის გეგმის შესრულება გამოიხატება 83,8 პროც., მაგრამ როგორც მოგახსენეთ, ჯერ არა გვაქვს საბოლოო ცნობები. ყოველ შემთხვევაში იმის დასახასიათებლად, რომ გეგმას ჩვენ ასე თუ ისე უახლოვდებით, მე მოვიყვან შემდეგ ციფრებს: 20 მაისისათვის ხორბლეულის კულტურების გეგმა შესრულებული იყო 72,1 პროც., 5 დღის განმავლობაში, ე. ი. 25 მაისისათვის ჩვენ გვაქვს დიდი ცვლილება—72,1 პროც.-დან უკვე 83,8 პროც.-მდე, თუ ასე წავედით წინ, გეგმას უეჭველად შევასრულებთ.

ტექნიკური კულტურების გეგმა 20 მაისისათვის დაახლოებით შესრულებული იყო 54,6 პროც., 25 მაისისათვის კი ჩვენ გვაქვს 64,1 პროც., ე. ი. 5 დღის განმავლობაში მომატება უდრის 10 პროც.

თესვის საერთო გეგმა 20 მაისს შესრულებული იყო 69,4 პროც. ხუთი დღის შემდეგ 25 მაისისათვის—87 პროც., ე. ი. ამ ხუთ დღეში ნათესების ფართობმა იმატა 18 პროც.

ჩვენს ყურადღებას განსაკუთრებით იქცევს ტექნიკური კულტურები, როგორიც არის სოია, ბამბა, თამბაქო, კენაფი. ამ კულტურებიდან: სოიას თესვის გეგმა შესრულებულია 92,8 პროც., ბამბის—81,1 პროც., თამბაქოს—19 პროც., კენაფის—82,2 პროც., შაქრის ჭარხლის—100 პროც. არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ სოიას თესვის გეგმა მთლიანად შესრულდება და შეიძლება მას კიდევაც გადავაჭარბოთ. რაც შეეხება ბამბას, აქაც მიუახლოვდებით გეგმას, მაგრამ არის ზოგიერთი მნიშვნელოვანი კულტურები: კარტოფილი და სხვა, რომელთა გეგმა ვერ შესრულდება, განსაკუთრებით იმიტომ, რომ თესლის შოვნა შეუძლებელი შეიქნა.

ახლა შევეხები იმას, თუ აღნიშნულ ფართობიდან რამდენია განსაზოგადოებულ სექტორში და რამდენი კერძო, ინდივიდუალურ სექტორში. ჩვენ გვაქვს ასეთი ცნობები: განსაზოგადოებულ სექტორში ხორბლის კულტურით დათესილია 103,816 ჰექ., ტექნიკური კულტურებით კი 18.272 ჰექტარი. საერთოდ კი განსაზოგადოებული სექტორი უდრის 128.076 ჰექტარს. ასეთი მდგომარეობა იყო 25 მაისისათვის.

რაც შეეხება კონტრაქტაციის გატარებას, ამის შესახებ ასეთი ცნობები გვქონდა: 15 მარტისათვის კონტრაქტაცია ხორბლეულის კულტურაზე ადიოდა 77,1 პროც.-მდე, მხოლოდ 10 აპრილისათვის სურათი შეიცვალა შემცირების მხრივ და ჩვენ გვქონდა 37,8 პროც. რაც შეეხება ტექნიკურ კულტურებს, აქ რასაკვირველია, მდგომარეობა უკეთესია. ბამბა დაკონტრაქტებულია გეგმით გათვალისწინებულის 97 პროც., თამბაქო—97 პროც., კენაფი გადაჭარბებულია 8 პროც. და ასე შემდეგ. რამ გამოიწვია მდგომარეობის გაუარესება კონტრაქტაციის საქმეში? თვითეულ თქვენთაგანმა კარგად იცის, რომ ეს გამოიწვია მთლიანი კოლექტივიზაციის დამლამ. კონტრაქტაცია ხორბლეულზე მაშინ ჩატარდა, როცა ჩვენ მთლიანი კოლექტივიზაცია გვქონდა და საერთოდ კოლექტივიზაციის პროცენტი საქართველოში 65 შეადგენდა. შემდეგ დაიწყო გლეხკაცობის მასიური გამოსვლა კოლექტივებიდან, საქმე აირდაირია და ამან გაუარესა კონტრაქტაციის საქმეც.

მესაქონლეობა ჩამორჩენილია

ერთი გარემოება, რომელსაც აქ უნდა მივაქციოთ ყურადღება, ეს არის მესაქონლეობის საკითხი. თუ ნათესების მხრივ ჩვენ უახლოვდებით გეგმით გათვალისწინებულ რაოდენობას, მესაქონლეობის მხრივ ჩვენ დაკლება გვაქვს. ამ უკანასკნელ წელს მესაქონლეობა იძლევა შემცირებას. რასაკვირველია, დაკლება მაინცდამაინც არ არის დიდათ საგრძნობი, მაგრამ ამ გამაფრთხილებელ მოვლენას მაინც ყურადღება უნდა მიექცეს. კლებულობს მეცხვარეობა და მეღორეობა. მეღორეობის დაკლება დაკავშირებულია სიმინდის მოსავალთან. რაც შეეხება მეცხვარეობას, იგი რამოდენიმე წლითა კრიზისს განიცდის. სწორედ მთლიანი კოლექტივიზაციის გატარების დროს გვქონდა დიდი გაუგებრობა ამ დარგში. რასაკვირველია, ამას არ შეეძლო უარყოფითი გავლენა არ მოეხდინა მესაქონლეობაზე.

საბჭოთა მეურნეობები

უნდა მოგახსენოთ, ამხანაგებო, რომ ჩვენში საბჭოთა მეურნეობები ძალიან ნაკლებად არიან განვითარებული. ჩვენ არ გვაქვს ამ მხრივ რამე დიდი ცვლილება, თუმცა მიმდინარე წლის განმავლობაში ბევრი ღონისძიება იყო მიღებული.

საბჭოთა მეურნეობები აქვთ საქ. მიწსახკომს, „საქართველოს ჩაი“-ს, აფხაზეთის, აჭარისტანის, სამხრეთ-ოსეთის მიწათმოქმედების სახ. კომისარიატებს, საზოგადოება „კენაფს“, საქცეთი საზოგადოება „სკოტოვოდს“, ბამბის კომიტეტს და სამომხმარებლო კოოპერაციას. გარდა ამისა, საბჭოთა მეურნეობები აქვთ საოლქო და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს. სამწუხაროდ, აქამდე არ გვაქვს სწორი ცნობები იმის შესახებ, თუ რას აკეთებენ ყველა ეს დაწესებულებები საბჭოთა მეურნეობებისათვის. ეს, ამხანაგებო, აიხსნება იმით, რომ არ არის ისეთი ორგანო, რომელიც კრეფავდეს ასეთ ცნობებს და ერთგვარ ხელმძღვანელობას უწევდეს ამ დაწესებულებებს. არ არსებობს ზოგიერთი ამხანაგის აზრით ასეთი ორგანო, არ არის საჭირო, ზოგნი ამბობენ, რომ ასეთი ორგანიზაცია საჭიროა ამიერ-კავკასიის მასშტაბით; მე მგონია ა.-კ. მასშტაბითაც უნდა იყოს, მაგრამ სრულებით არ იქნება ზედმეტი ასეთი ცენტრი იყოს საქ. მასშტაბითაც. ეს ხელს შეუწყობს საერთოდ საბჭ. მეურნეობების განვითარებას.

უნდა მოგახსენოთ, რომ საბჭ. მეურნეობის განუვითარებლობამ ჩვენში, საქართველოში, პირდაპირ შეგვიძლია ვთქვათ, უარყოფითი როლი ითამაშა კოლმეურნ. მოძრაობაში. საბჭ. რუსეთში და საბჭ. უკრაინაში უკვე გვაქვს გიგანტური საბჭ. მეურნეობები, რომლებმაც უდიდესი როლი ითამაშეს იქ კოლმეურნეობის მშენებლობაში. ეს უდაო ფაქტია. ამისათვის მომავალში ჩვენ სათანადო ყურადღება უნდა მივაქციოთ საბჭ. მეურნ. განვითარებას.

მე დამავიწყდა მეთქვა, რომ საბჭოთა მეურნეობებში ჩვენ წელს წარმატება გვაქვს. 1928-29 წელში საბჭოთა მეურნეობაში ნათესების ფართობი უდრიდა 2080 ჰექტარს, მიმდინარე წელს კი ეს ფართობი უდრის—5900 ჰექტარს.

როგორც მოგახსენეთ, ამომწურავი ცნობები საბჭოთა მეურნეობის შესახებ ჩვენ არ გვაქვს იმის გამო, რომ არ არის ისეთი ორგანო, სადაც ყველა ეს ცნობები უნდა იკრიბებოდეს და ხდებოდეს მათი შეჯამება.

მე აქ მივაქცევ თქვენს ყურადღებას კიდევ ერთ გარემოებას, თქვენ ამ რამდენიმე დღის წინად გაზეთ „კომუნისტ“-ში წაიკითხავდით ამხ. ჩხენკელის წერილს, აგრო-ინდუსტრიალური კომბინატის შესახებ. ეს კომბინატი არსებობს სენაკის მაზ. და ქუთ. ოლქის რაიონში და წარმოადგენს სრულიად ახალ მოვლენას არა მარტო ჩვენში, არამედ საბჭოთა კავშირშიაც. არ არის გამორკვეული რა სახე მიეცემა ამ აგროკომბინატს მომავალში, ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით, იქნება ის საბჭოთა მეურნეობა, თუ მეურნეობის სხვა რაიმე ახალი სახე. ყოველ შემთხვევაში, ამ აგროკომბინატს ჩვენ ვაძლევთ უდიდეს მნიშვნელობას. სწორედ მოგახსენოთ, ეჭვი მეპარებოდა ამ კომბინატის მუშაობაში. ეს იმიტომ, რომ ჯერ-ერთი ამ ხნის განმავლობაში ჩვენ უფრო სხვა საქმეებით ვიყავით დატვირთულნი, მეორეც აგროკომბინატს არ ჰქონდა საკმაო საშუალებები თავისი გეგმის განსახორციელებლად. მაგრამ ამხ. ჩხენკელის წერილმა ძლიერ დამაინტერესა. აქედან გავიგე, რომ უკვე ბევრი რამე გაკეთებულა, ყოველ შემთხვევაში კომბინატს ისეთი პირობები შეუქმნია, რომ მომავალში მას შეუძლია გააფართოვოს და გაშალოს თავისი საქმიანობა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ძვირფასი ტექნიკური კულტურების გაშენებას. სენაკის, აბაშის, ქუთაისის და სამტრედიის რაიონებში ჯერ ასეთი კულტურები არავის ახსოვს. შეიძლება ითქვას, რომ ეს კულტურები გარდაქმნიან ამ რაიონების სოფლის მეურნეობის სახეს. მე აქ არ შევჩერდები ამ წერილზე. მე მგონია ამხანაგებმა წაიკითხეს ხსენებული წერილი და გაეცნობიან ამ მუშაობას, რომელსაც აგროკომბინატი აწარმოებს.

აქ ორიოდე სიტყვით უნდა მივაქციო თქვენი ყურადღება სოიას კულტურას. სოიასაგან მზადდება 23 სხვადასხვა ნივთიერება. სოიასაგან შეიძლება გაკეთდეს სხვადასხვა სახის ნაწარმოები, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც ადამიანის საზრდოთ, ისე საქონლის საკვებად. სოიას კულტურა განსაკუთრებით გავრცელებულია აღმოსავლეთში: ჩინეთ-იაპონიაში და აგრეთვე ჩრდილო-ამერიკაში. სოია ჩინეთში დიდი ხანია მოჰყავთ, ჩვენში კი მხოლოდ ბოლო ხანებში მიექცა ყურადღება ამ კულტურას. ჩინეთსა და იაპონიაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სოიას, როგორც ცილოვან ნივთიერებას. სოია შეიცავს 35-45 პროც. ცილას, ასე, რომ მასში მეტია ცილა, ვიდრე ხორცში და, რასაკვირველია, სხვა რომელიმე მცენარეში. ევროპაში და ამერიკაში კი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სოიას ფქვილს, მისგან აცხობენ პურს, კვებავენ საქონელს და ამზადებენ მშვენიერ ერბოს.

აი, ამხანაგებო, ამით ვათავებ მე ჩემს სიტყვას თესვის შესახებ.

პარტიის გენერალური ხაზი სოფლად

ეხლა მე გადავდივარ საკოლმეურნეო მოძრაობის ამოცანებზე ჩვენში. თქვენ კარგად იცით, რომ დღეს ჩვენი პარტიის მთელი ყურადღება მიქცეულია სოფლისაკენ, კონკრეტულად რომ ვთქვათ, მიქცეულია სოფლის კოლექტივიზაციაზე. ეს მეტად სერიოზული საკითხი არის. მე მინდა აქ შევნიშნო, რომ სანამ მეორე ამოცანებზე გადავიდოდეთ, ჩვენ მოვეშვებით იმ დეფექტების, იმ უხეში შეცდომების აღნუსხვა, რომლებიც დაშვებულ იქნენ უკანასკნელ დროს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საქმეში. არავის არ უნდა ეწყინოს, როცა ჩვენ აქ მოგვიხდება ლაპარაკი ასეთ შეცდომებზე, რადგანაც პირადად ამ შეცდომებში ყველა ჩვენთაგანს მიუძღვის ბრალი.

მეორე გარემოება, რომელზედაც მე მინდა თქვენი ყურადღება მივაქციო, არის შემდეგი: ზოგს ეგონა და შეიძლება დღესაც ჰგონია, რომ ის უკანდახევა, რომელიც ჩვენ მოგვიხდა კოლექტივიზაციის საქმეში, ერთნაირი მარცხი, რომელიც ჩვენ განვიცადეთ ამ მხრივ,—ეს არის თითქო ჩვენი პარტიის გენერალური ხაზის დამარცხება, პარტიის გენერალური ხაზიდან უკან დახევა, ეს ნიშნავს თითქო, რომ არ იყო სწორი პარტიის ხაზი, რომელიც ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში ტარდებოდა სოფლად. ასეთი მსჯელობა პირდაპირ რეაქციონურია. მართლაც, თუ დამარცხდა პარტიის გენერალური ხაზი, ეს იმას ნიშნავს, რომ სწორი ყოფილა მემარჯვენეების პოლიტიკა, რომ საჭირო ყოფილა კულაკებისათვის ხელისშეწყობა, მათი მეურნეობების გაძლიერება, რაც თავისთავად ნიშნავს ბურჟუაზიული ხაზის გატარებას სოფლის მეურნეობის განვითარების დარგში. რასაკვირველია, ამის მსგავსი არაფერი არ ყოფილა და არც არის. თუ ჩვენ უკან დავიხიეთ, დავიხიეთ მხოლოდ იმისათვის, რომ რაც შეიძლება ჩქარა გამოგვესწორებინა შეცდომები და გადახრები. პარტიის გენერალური ხაზი, რა თქმა უნდა, მთლიანად რჩება ისეთი, როგორიც დღემდე იყო. აქ ლაპარაკია მხოლოდ იმ გადამახინჯებებისა და შეცდომების გამოსწორებაზე, რომლებიც სწორედ პარტიის გენერალურ ხაზიდან გადახრას წარმოადგენს.

ამხანაგებო, მე თავიდანვე ვთქვი, რომ შევეცდები არ გავიმეორო ის, რაც აქ იყო ნათქვამი იმის შესახებ, თუ რა აზრის იყო ამხ. ლენინი სოფლის დაქუცმაცებული მეურნეობის შესახებ, თუ რა მნიშვნელობას აძლევდა ის თავის კოოპერატიულ გეგმაში სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას, ე. ი. დაქუცმაცებულ წვრილ გლეხურ მეურნეობიდან მსხვილ კოლმეურნეობათა შექმნას. მე მგონია ამის შესახებ ლაპარაკი აქ არ არის საჭირო. ამაზე აქ ბევრი იყო ნათქვამი და განმეორება საჭირო აღარაა.

პარტიის გადაწყვეტილებანი კოლექტივიზაციის შესახებ

მე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას უპირველეს ყოვლისა იმაზე, თუ როგორ ესმოდათ ჩვენს პარტიულ ყრილობებს და კონფერენციებს ეს საკითხი. სულ მოკლედ აღვნიშნავ მე-15 ყრილობის რეზოლუციიდან ერთ ადგილს, სადაც ნათქვამია: „დღევანდელ ხანაში პარტიის ძირითად ამოცანას სოფლად უნდა შეადგენდეს წვრილ ინდივიდუალურ გლეხთა მეურნეობების გაერთიანება და გარდაქმნა მსხვილ კოლექტივებად. ამასთანავე ყრილობა კატეგორიულად მიუთითებს, რომ ეს გადასვლა შეიძლება მოხდეს მხოლოდ მშრომელი გლეხობის თანხმობით“.

შემდეგ მე მოგაგონებთ იმ რეზოლუციის მოკლე შინაარსს, რომელიც მიღებული იქნა მე-16 პარტკონფერენციაზე, დაახლოებით ერთი წლის წინათ. აქაც ხაზი აქვს გასმული იმას, რომ სოფლის მეურნეობა, გლეხური დაქუცმაცებული მეურნეობა, უნდა გადაყვანილ იქნას კოლმეურნეობაზე. რა თქმა უნდა, რეზოლუციაში ყურადღება ექცევა საბჭოთა მეურნეობების განვითარებასაც, რადგანაც საბჭოთა მეურნეობები მჭიდროდ არიან დაკავშირებული სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციასთან. ამ კონფერენციაზე აღნიშნული იყო, რომ საშუალო გლეხი უკვე მიილტვის კოლექტივიზაციისკენ. ეს ფაქტი იყო. მე-16 პარტკონფერენცია მოხდა იმ დროს, როცა ჩვენ პარტიას დიდი შეტაკება ჰქონდა მემარჯვენეებთან. მემარჯვენეები, როგორც იცით, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ტემპის დაჩქარების წინააღმდეგნი იყვნენ. ისინი ამტკიცებდნენ: ეს შეუძლებელიაო და მომხრენი იყვნენ, რომ კულაკებისათვის რაც შეიძლება მეტი თავისუფლება მიგვეცა. აი, ამ პირობებში ჩატარდა მე-16 პარტიული კონფერენცია. მე-16 პარტკონფერენციამ აღნიშნა, რომ ყოველმხრივ უნდა შეეწყოთ ხელი მთელი სოფლების და რაიონების გადასვლას მთლიან კოლექტივიზაციაზე. ამასთან ერთად გლეხების გაერთიანების ყველაზე უფრო მისაღებ ფორმად მიჩნეულ იქნა უმთავრესად არტელური ფორმა და რამოდენიმეთ კომუნა.

მე-16 პარტკონფერენციის შემდეგ კოლექტივიზაციის საქმეში განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს საკავშირო კომუნისტური პარტიის ცეკას 1929 წ. ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი. საკითხმა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის შესახებ ამ პლენუმზე უკვე ცენტრალური ადგილი დაიჭირა. პლენუმმა შეაჯამა კოლექტივიზაციის მდგომარეობა იმ დროს მთელ საბჭოთა კავშირში. ოქტომბრის 1-ლისათვის მთელს საბჭოთა კავშირში კოლექტივიზაციის პროცენტი უდრიდა 7,5 პრ., მაგრამ, თუ ავიღებთ სხვადასხვა რაიონებს, მათ შორის დიდ განსხვავებას ჰქონდა ადგილი. მაგალითად, ჩრდილოეთ კავკასიაში კოლექტივიზაციის პროცენტი გასული წლის ნოემბრისათვის უდრიდა 25-ს, ყირიმში—25-ს, ქვემო ვოლგის მხარეში 12-ს. იყვნენ ისეთი ოლქები და რაიონები, სადაც პროცენტი კიდევ უფრო მაღალი იყო. მაგალითად, მინერალურ წყლებზე კოლექტივიზაციის პროცენტი უფრო მაღალი იყო, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ იქ სატრაქტორო-სამანქანო სადგური არსებობდა. კრასნო-პოლიანის რაიონში კოლექტივიზაციის პროცენტი 62-ს უდრიდა, არმავირის რაიონში—71-ს, ბევრ ადგილას მთელი რიგი სოფლები ფაქტიურად გადასული იყვნენ მთლიან კოლექტივიზაციაზე.

უკრაინის სხვადასხვა რაიონებში კოლექტივიზაციის საკმარისი დიდი პროცენტი იყო. ზოგ რაიონში კოლმეურნეობებში გაერთიანებული მოსახლეობა 25 პროც. უდრიდა, 15 რაიონში კოლმეურნეობათა წევრები მოსახლეობის 70-80 პროც.-მდე ადიოდა, 9-10 რაიონში, კერძოთ ნიკოლაევსკში და ხერსონში, კოლექტივიზაცია 30-31 წ. პირველ ნახევარში უნდა დასრულებულიყო.

ამხანაგებო, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია ყველა ამ რაიონებში ტარდებოდა პარტიული ხაზის დაუმახინჯებლად, ე. ი. ნებაყოფლობით, არავითარ ძალდატანებას ადგილი არ ჰქონია. ნოემბრის პლენუმზე აღიარებულ იქნა, რომ ზოგიერთი რაიონები მზად არიან გადავიდნენ მთლიან კოლექტივიზაციაზე, ზოგიერთები კი ფაქტიურად უკვე გადასული არიან. პლენუმზე გამომუშავებულ იქნა ის ზომები, რომლებიც ხელს უწყობდნენ კოლექტივიზაციაზე გადასვლას.

ასეთი მდგომარეობა იყო საბჭოთა რუსეთში და საბჭოთა უკრაინაში. საინტერესოა ვიკითხოთ რა მდგომარეობა იყო ამ ხანებში საქართველოში. მე მოვიყვან ცნობებს ამ ახლო ხანებში გამოსულ წიგნიდან „საქართველოს კოლმეურნეობანი“, რომელიც იძლევა 1928 და 1929 წ. ჩატარებულ გამოკვლევების შედეგებს. რა სურათი იყო ჩვენში კოლექტივიზაციის ფრონტზე? კოლექტივების წევრები მთელ საქართველოში 28-29 წელში მოსახლეობის 3,1 პროცენტს უდრიდა. ეს იყო დაახლოებით შარშან მაისის თვეში, ეხლა ავიღოთ ცალკე რაიონები. აფხაზეთში 28 წ. სრულებით ვერ ვხედავთ კოლექტივებს, 1929 წ. მაისში კი აქ კოლექტივებში გაერთიანებული იყო მოსახლეობის 1,5 პროც., აჭარისტანში—5 პროც., ეს აიხსნება იმით, რომ აქ ეწყობოდა ჩაის კოლექტივები, სამხრეთ-ოსეთში—0,2 პროც., თუ შევადარებთ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს, დავინახავთ: აღმოსავლეთ საქართველოში კოლექტივებში გაერთიანებული ყოფილა მეურნეობათა საერთო რიცხვის 2,8 პროც., დასავლეთ საქართველოში—3,7 პროც. დასავლეთ საქართველოში პირველი ადგილი ეჭირა ოზურგეთის მაზრას. ეს იმით აიხსნება, რომ იქ იყო გავრცელებული ჩაის კულტურა, ჩაის კოლმეურნეობებში გაერთიანებული იყო მოსახლეობის 14,8 პრ., შემდეგ მიდიოდა სენაკის მაზრა—5,7 პროც., ზუგდიდის—3,6 პროც., ქუთაისის ოლქი—1 პროც.

აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთის ოლქში გაერთიანებული იყო 3,8 პროც., თბილისის ოლქში—2,9 პროც. ჩამორჩენილი იყო ახალციხე და ახალქალაქის მაზრები.

ეს ცნობები ეკუთვნის გასული წლის პირველ ნახევარს. მეორე ნახევრის განმავლობაში კოლმეურნეობათა რიცხვი უფრო სწრაფი ტემპით იზრდება და კოლმეურნეობათა მეურნეობათა პროცენტი საერთოდ საქართველოში—6,8 პროც.-მდე ადის. ამრიგად, რამდენიმე თვის განმავლობაში კოლმეურნეობათა რიცხვი გაორკეცდა. მე-6 ყრილობაზე, როდესაც ჩვენ ვარჩევდით ხუთწლიან გეგმას, მივიღეთ, რომ ხუთწლედის ბოლოს, კოლექტივებში გაერთიანებული მეურნეობათა რაოდენობა უნდა ასულიყო 20 პროც.-მდე. ასეთი იყო მთელს კავშირში. აი, ამ ვარაუდით და ასეთი ფაქტიური მდგომარეობით ჩვენ გადავდიოდით 1929-30 წლის მეორე კვარტალში.

დეკრეტების წინააღმდეგ საკოლმეურნეო მშენებლობაში

ამხანაგებო, აქ თქვენს ყურადღებას მივაქცევ საკ. კომპარტიის ერთ მეტად დიდმნიშვნელოვან დოკუმენტს. ეს არის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება გამოქვეყნებული 6 იანვარს. მე მოვიყვან იქიდან რამდენიმე მუხლს, რადგანაც, ვიმეორებ, დოკუმენტი მეტად მნიშვნელოვანია, აი, ერთ-ერთი ადგილი ამ დადგენილებიდან:

„უკანასკნელ თვეში საკოლმეურნეო მოძრაობამ ახალი ნაბიჯი გადადგა. იგი მოიცავს არა მარტო ინდივიდუალურ მეურნეობათა ცალკე ჯგუფებს, არამედ მთელ რაიონებს, ოლქებსა და მხარეებსაც კი. ამ მოძრაობას საფუძვლად უდევს ღარიბ და საშუალო გლეხურ მეურნეობათა საწარმოო საშუალებების კოლექტივიზაცია.

საკოლმეურნეო მოძრაობის გეგმით გათვალისწინებული ტემპები, გადაჭარბებით სრულდება. განსაზოგადოების საფუძველზე დამუშავებული ფართობი, 1930 წლის გაზაფხულზევე გადააჭარბებს 30 მილ. ჰექტარს, ე. ი. კოლექტივიზაციის ხუთწლიან გეგმას, რომლის მიხედვით ხუთი წლის დამლევს კოლექტიური ნათესის ფართობი 22-24 მილიონ ჰექტარამდე უნდა მიაღწიოს.

ამგვარად, ჩვენ გვაქვს მატერიალური ბაზა იმისათვის, რომ მსხვილი კულაკური წარმოება შევცვალოთ მსხვილი კოლმეურნეობრივი წარმოებით და ძლიერად წავიწიოთ წინ სოციალისტური მიწათმოქმედების შექმნის საქმეში. აღარაფერს ვამბობთ საბჭოთა მეურნეობებზე, რომელთა ზრდაც საგრძნობლად სჭარბობს გეგმით გათვალისწინებულ ციფრებს.

ამ გარემოებამ, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის მთელი სახალხო მეურნეობისათვის, საშუალება მისცა პარტიას თავის პრაქტიკულ მუშაობაში კულაკების ექსპლოატატორული ტენდენციების შეზღუდვის პოლიტიკიდან გადასულიყო კულაკობის, როგორც კლასის, მოსპობის პოლიტიკაზე“.

ეს არის სრულიად ახალი ხანა, რომელიც იწყება კოლექტივიზაციის საქმეში. ამავე დოკუმენტის მეორე ადგილას ნათქვამია:

„უდაოდ ამის საფუძველზე შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ხუთი წლის ფარგლებში ნათესი ფართობის 20 პროც.-ის კოლექტივიზაციის ნაცვლად, რაც გათვალისწინებულია ხუთწლიანი გეგმით, შესაძლებით გლეხურ მეურნეობათა დიდი უმრავლესობის კოლექტივიზაციის ამოცანის გადაჭრა. ამასთან, ისეთი უმნიშვნელოვანესი ხორბლეული რაიონების კოლექტივიზაცია, როგორიც არის ვოლგის ქვემო მხარე, ვოლგის შუა მხარე და ჩრდილოეთ-კავკასია, შეიძლება დამთავრდეს დაახლოებით 1930 წლის შემოდგომაზე ან, ყოველ შემთხვევაში, 1931 წლის გაზაფხულზე. სხვა ხორბლეული რაიონების კოლექტივიზაცია კი შეიძლება დამთავრდეს 1931 წლის შემოდგომაზე ან, ყოველ შემთხვევაში, 1932 წლის გაზაფხულზე“.

მაშასადამე, მთავარი აქ არის ორი რამ: ერთი—კულაკობის ექსპლოატატორული ტენდენციის შეზღუდვის პოლიტიკიდან ჩვენ გადავდივართ კულაკობის, როგორც კლასის, მოსპობის პოლიტიკაზე. აი, ეს მთავარი დებულება. მეორე ასეთივე მთავარი დებულებაა ის, რომ პირველ რიგში უნდა დამთავრდეს ხორბლეული რაიონების კოლექტივიზაცია. აქ არის ხორბლეულის რაიონების ორი წყება: ერთი წყება არის ვოლგის ქვემო მხარე, შუა მხარე და ჩრდილოეთი კავკასია, სადაც ფაქტიურად მთლიანი კოლექტივიზაცია თითქმის უკვე ტარდებოდა ცხოვრებაში, დანარჩენი ხორბლეული რაიონები დაყენებული არიან მეორე რიგში. პირველი რიგის რაიონებში კოლექტივიზაცია უნდა დამთავრდეს 1930 წ. შემოდგომაზე, დანარჩენ რაიონებში კი 1932 წ. გაზაფხულზე.

გარდა ამისა, დადგენილებაში ნაჩვენებია აგრეთვე, თუ კოლმეურნეობის რომელი სახე წარმოადგენს დღეს ყველაზე უფრო მისაღებ ფორმას. აი, რა სწერია ამის შესახებ:

„მთლიანი კოლექტივიზაციის გამოცდილებამ საკოლმეურნეო მოძრაობის დღევანდელ საფეხურზე კოლმეურნეობების ყველაზე უფრო გავრცელებულ ფორმად, ნაცვლად მიწის საერთოდ დამუშავებელი ამხანაგობისა, რომელთათვისაც შესაძლოა განსაზოგადოებისათან ერთად შენარჩუნებულ კერძო საკუთრება წარმოების საშუალებებზე, წამოაყენა სასოფლო-სამეურნეო არტელი, რომელშიაც კოლექტიურად გაერთიანებული არიან წარმოების ძირითადი საშუალებანი (ცოცხალი და მკვდარი ინვენტარი, სამეურნეო ნაგებობანი და პროდუქტიული საქონელი)“.

აქ ნათლად არის ნათქვამი, რომ საკოლმეურნეო მოძრაობის დღევანდელ საფეხურზე ყველაზე მისაღებ ფორმად უნდა ჩაითვალოს სას.-სამ. არტელი.

რაც შეეხება პროდუქტიული საქონლის გაერთიანებას არტელში—ეს, როგორც შემდეგ გამოირკვა, შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამ საქონლის სამრეწველო ხასიათი ექნება.

ამ დადგენილების უკანასკნელ მუხლში ნათქვამია:

„საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ. ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საჭიროა გადამჭრელი ბრძოლა ყოველგვარ ცდასთან, რომელიც მიმართულია, ტრაქტორებისა და რთული მანქანების სიმცირის საბაბით, საკოლმეურნეო მოძრაობის შენელებისაკენ. ამასთან ერთად ცეკა აფრთხილებს პარტორგანიზაციებს საკოლმეურნეო მოძრაობის საქმეში არ მიმართონ დეკრეტებს ზევიდან, რაც იქნება არა ნამდვილი სოციალისტური შეჯიბრება კოლექტიურ მეურნეობათა მოწყობის საქმეში, არამედ არასერიოზული მოპყრობა კოლექტივიზაციისადმი“.

მაშასადამე, აქ გადაჭრით არის ნათქვამი, რომ შეუძლებელია კოლექტივიზაციის საქმეში დეკრეტების პოლიტიკით ვიმოქმედოთ, ე. ი. მაღლიდან ბრძანებით გადავიყვანოთ ესა თუ ის რაიონი მთლიან კოლექტივიზაციაზე. ეს დადგენილება აშენებულია საბჭოთა სოფლის სინამდვილის, იგი შედგენილია იმ გამოცდილების და გაკვეთილის მიხედვით, რომელიც განვლილ პერიოდში მივიღეთ.

ჩვენი შეცდომები და მათი მიზეზები

იანვრის პლენუმი

მაგრამ რა ხდება ამის შემდეგ? ცეკას აღნიშნული დოკუმენტი გამოქვეყნებულ იქნა 6 იანვარს. 11-14 იანვარს მოხდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. ის განწყობილება და სულისკვეთება, რომელიც ამ პლენუმზე იყო, დამახასიათებელია. პლენუმზე გამოვიდნენ სხვადასხვა ოლქებისა და მაზრების ხელმძღვანელი მუშაკები, რომლებიც ეხებოდნენ საკოლმეურნეო მოძრაობის მდგომარეობას ამა თუ იმ ოლქში და მაზრაში.

გორის ოლქის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ამხანაგმა განაცხადა, რომ საოლქო კომიტეტმა დაადგინა: 29-30 წლის ბოლოს ოლქში კოლექტივიზაციის პროცენტი აიყვანოს 50 პროც.-მდე. არ გაუვლია ერთ თვეს და ჩვენ მოგვიხდა ამ ციფრის შეცვლა. გამოირკვა, რომ ასეთი ვარაუდი ჩამორჩენილი არის და გამოვიტანეთ დადგენილება, რომლის ძალითაც გლეხურ მეურნეობათა 50 პროც.-ის კოლექტივიზაცია უკვე მომავალ გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის დროს უნდა მოხდეს.

კახეთის პ.-მგ. ამხანაგი აცხადებს, რომ მთლიანი კოლექტივიზაცია არა თუ ცალკე სოფლებში, არამედ ცალკე რაიონებშიაც უკვე რეალური ხდება. ჩვენ უკვე გვაქვს ორი მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონი—ლაგოდეხი და შირაქი. ჩვენი ვარაუდი იყო 35 პროცენტით გაგვეტარებია კოლექტივიზაცია მომავალი გაზაფხულისათვის. ეხლა ჩვენ უნდა შევცვალოთ ეს ვარაუდი და მთელი კახეთი გამოვაცხადოთ მთლიან კოლექტივიზაციის რაიონადო.

თბილისის ოლქის წარმომადგენელი აცხადებს, რომ ოქტომბრის შუა რიცხვებში დიღომის რაიონში კოლექტივიზაცია 25-30 პროცენტამდე ავიყვანეთ, მაგრამ ეხლა არამც თუ დიღომი, ყარაიაზის რაიონშიაც გლეხობის 60 პროცენტი გვყავს კოლმეურნეობებში გაერთიანებული. დღეს მივიღეთ დეპეშა, რომ იქ უკვე მთლიან კოლექტივიზაციაზე გადავიდნენო.

ამათ არ ჩამორჩა ქუთაისის ოლქის წარმომადგენელი. იგი აცხადებს, რომ მთელ რიგ რაიონებში მოხდა გარდატეხა, გლეხობის 24-30 პროც. გაერთიანებულია კოლექტივებში. წარმოიდგინეთ, იანვრის 1-ლ რიცხვისათვის სამტრედიის, ხონის, ქუთაისის რაიონებში კოლმეურნეობებში გაერთიანებული ყოფილა გლეხობის 80 პროცენტი. „დასავლეთ საქართველოში შეგვიძლია ავიღოთ კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობის ისეთი ტემპი, რომ არ ჩამოვრჩეთ მოწინავე რაიონებს, და, თუ საჭირო იქნება, კიდევაც გავუსწროთ მათ“-ო—რიხიანად აცხადებს ის. მხოლოდ ოზურგეთის მაზრის ხელმძღვანელმა სთქვა, რომ გაზაფხულის თესვის კამპანიის ბოლოს მაზრაში კოლექტივებში გაერთიანებულ მეურნეობათა რიცხვი ავა 30-35 პროცენტამდე.

ამხანაგებო, რომ ყოველმხრივ დავახასიათოთ მაშინდელი მდგომარეობა, ნება მიბოძეთ რამდენიმე ადგილი მოვიყვანო ამხ. ლოლობერიძის სიტყვიდან და აგრეთვე ერთი ადგილი იმ რეზოლუციიდან, რომელიც მიღებული იქნა იანვრის პლენუმზე კოლმეურნეობათა შესახებ. აი, რას ამბობდა მაშინ ამხ. ლ. ლოლობერიძე, რომელიც მომხსენებელი იყო საკოლმეურნეო მოძრაობაზე:

„ჩვენ სავსებით სწორად და დროულად მიგვიჩნია აღვნიშნოთ, რომ კოლმეურნეობებში შესვლისათვის აგიტაციისა და პროპაგანდის მეთოდი უნდა შევცვალოთ, შეცვალოთ ინდივიდუალურ გლეხობაზე არაპირდაპირი ზეგავლენის ზომებით, რათა ამით მათი კოლექტივიზაცია დავაჩქაროთ. როგორია ეს არაპირდაპირი ზეგავლენის ზომები? მე მათ ჩამოვთვლი: კრედიტი, როგორც უკვე მოგახსენეთ გაცემულ უნდა იქნას მარტოოდენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხაზით, სატრაქტორო კოლონები, სამანქანო-სატრაქტორო სადგურები, ხარ-კამეჩისა და ცხენ-მანქანების კოლონები ხელშეკრულებებს მხოლოდ კოლმეურნეობებთან უნდა სდებდნენ. ეს არის ის ორი ძირითადი ღონისძიება, რომელიც წააქეზებს გლეხობას სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის დაჩქარებისათვის“.

არის აქ რაიმე ისეთი, რომლის გამო ამხანაგები უნდა გადასულიყვნენ დეკრეტების გზაზე ან და ნებაყოფლობითი პრინციპს გადასცილებოდნენ? რასაკვირველია, არა. ამხ. ლევანი აქ სრულიად გარკვევით ამბობს, რომ ჩვენ შეგვეძლო მხოლოდ ეკონომიურ ზეგავლენას მივმართოთ.

მოვიყვანთ კიდევ ერთი ადგილი ამხ. ლოლობერიძის სიტყვიდან, საიდანაც აშკარად ჩანს, რომ მომხსენებელი გადაჭრით უარყოფდა რაიმე ადმინისტრატიულ ზეგავლენას კოლმეურნეობათა მშენებლობაზე. აი რას ამბობდა ის:

„ეკონომიურ ზეგავლენის ეს ღონისძიებანი არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს კოლმეურნეობათა მშენებლობის ადმინისტრატიულ და იძულებითი ზომებით, ან დეკრეტებით გატარებას. სრულიად გადაჭრით უნდა იქნეს ხაზგასმული, რომ პარტია კატეგორიულად უარყოფს ყოველგვარ აზრს დეკრეტებისა და ბრძანების წესით კოლმეურნეობათა მშენებლობის შესახებ. ჩვენ მხოლოდ იმას ვამბობთ, რომ პარტიას შეუძლია და მან კიდევაც უნდა გამოსძებნოს იმ მიზანშეწონილ ეკონომიურ ღონისძიებათა მთელი რიგი, რომელთაც უნდა დააჩქარონ ინდივიდუალური გლეხობის კოლმეურნეობებში შესვლა“.

რაც შეეხება ცეკას იანვრის პლენუმის რეზოლუციას, მასში მექანიკურად არის გადმოტანილი ის მუხლი საკ. კომპარტიის ცეკას დადგენილებიდან, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ხორბლეულის რაიონებს შეეხება. აი, სად იყო დაშვებული შეცდომა, მოისმინეთ:

„კოლმეურნეობათა მშენებლობის განვითარების პროცესისას ასეთი სისწრაფის შედეგად უკვე შეგვიძლია მეურნეობათა კოლექტივიზაციის პროცენტი მიმდინარე წლის გაზაფხულზევე აღვიყვანოთ 30 პროც.-მდე“.

ამხანაგებო, მიაქციეთ ყურადღება ამ 30 პროც. 30-ზე ზევით არა, და ნაკლები კი შეიძლებოდა ყოფილიყო. მაგრამ აი, შემდეგ რას ვკითხულობთ ამ რეზოლუციაში:

„ხოლო 1930 წლის დამლევისათვის არსებითად დავამთავროთ კოლექტივიზაცია კახეთის, გორის და თბილისის ოლქებში და ზუგდიდის მაზრაში; 1931 წელს, ან უკიდურეს შემთხვევაში, 1932 წლის გაზაფხულისათვის საერთოდ დამთავრდება კოლექტივიზაცია მთელ საქართველოში“.

როგორც ზევით ვთქვი, ესაა სიტყვა სიტყვით გადმოტანილი საკ. კომპარტიის ცეკას დადგენილებიდან, რომელიც მხოლოდ ხორბლეულ რაიონებს ეხებოდა. აქ არის სწორედ მთავარი შეცდომა.

რაც შეეხება დეკრეტების გზას, ამის შესახებ აი რა არის ნათქვამი ამ რეზოლუციაში:

„ამ სიძნელეთა გადალახვა სავსებით შესაძლებელია, თუ ენერგიულად განხორციელდება პარტიის მიერ დასახული ყველა ღონისძიება. უნდა ჩავახშოთ ის განწყობილებანი და შეხედულებანი, რომლებიც სიძნელეებს გაზვიადებით გვეხატავენ, უნდა შევებრძოლოთ იმ მემარჯვენე ოპორტუნისტულ სულისკვეთებას, რომელსაც არ სჯერა ჩვენი სოციალისტური განვითარების შესაძლებლობა. ამასთანავე მავნებელია ის სიძნელეთა მიფუჩეჩება, რასაც შეუძლია კოლმეურნეობათა მშენებლობას უბრალო ადმინისტრატიული ზომებით და „დეკრეტებით“ გატარების ხასიათი მისცეს. პარტიული ორგანიზაციების ამოცანას შეადგენს სათავეში ჩაუდგნენ საკოლმეურნეო მოძრაობას, გაუძღვნენ გლეხობის ძირითადი მასების ქვევიდან დაწყებულ სტიქიურ მისწრაფებას კოლმეურნეობებისაკენ, უზრუნველყონ მთელი ამ მასიური მოძრაობის ხელმძღვანელობა და ამით სავსებით განახორციელონ კოლექტივიზაციის დასახული ტემპი“.

ამნაირად, საქ. კ.პ.ც.კ. იანვრის პლენუმი კატეგორიულად უარყოფდა ადმინისტრატიული ზეგავლენით, დეკრეტებით კოლექტივიზაციის გატარებას.

ა.-კ. საოლქო. კომიტეტის პლენუმზე

საქართველოს კომპარტიის ც.კ. პლენუმის დამთავრების შემდეგ, შესდგა ა.-კ.-ის საოლქო კომიტეტის პლენუმი. უნდა მოგახსენოთ, რომ აქ „აღფრთოვანებამ“ უმაღლეს წერტილს მიაღწია. თბილისის ოლქის წარმომადგენელი აცხადებს: „ჩვენ ყოველდღიურად ვღებულობთ ცნობებს, რომ ესა თუ ის სოფელი გადადის მთლიან კოლექტივიზაციაზე, რომ მთელი რაიონები თითონ აცხადებენ თავის თავს მთლიან კოლექტივიზაციის რაიონად, თბილისის ოლქის მუშაკთა თათბირზე, ამხ-ზი უსაყვედურებდნენ თბილისის საოლქო კომიტეტს იმას, რომ მან არ გამოაცხადა ოლქი მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონად. პირველ იანვრისათვის ჩვენ გვექნება კოლექტივებში გაერთიანებული გლეხურ მეურნეობათა 40 პროცენტი.

შემდეგ ამხ. ტაგიევი იცნობს პლენუმს, რომ აზერბეიჯანში კოლექტივიზაციის ჩასატარებლად გამოცხადებულია ორკვირეული და ჩვენ ვიძლევით გარანტიას, რომ უახლოეს ხანში შევიყვანოთ ყველა ღარიბი და საშუალო გლეხთა და მოჯამაგირეთა მეურნეობები კოლექტივში მთელი 100 პროცენტით. საკონტროლო ციფრები, რომელიც გამომუშავებულია ჩვენი კოლმეურნეობათა ცენტრისა და აზერბეიჯანის ცენტრალურ კომიტეტის მიერ 100 პროცენტით იქნება შესრულებული და ზოგ ადგილას 150 პროცენტსაც კი გადავაჭარბებთ. განჯის ოლქი გამოცხადებულია მთლიან კოლექტივიზაციის რაიონად და ჩვენ ვფიქრობთ, რომ 1930 წ. განმავლობაში ამ გეგმას შევასრულებთ. ჩვენ გადავსწყვიტეთ განკულაკების ჩატარება ყველგან ერთსა და იმავე დროს დავიწყოთო.

ამხ. ტაგიევი თან დასძენდა, რომ „ორკვირეულის გამოცხადებამ დაგვარწმუნა იმაში, რომ პარტიულები და კომკავშირელები ძალიან სუსტად მიდიან კოლექტივში“-ო.

მე მოვიყვან აქ ერთ აზერბეიჯანელ ამხანაგის განცხადებას, რომელიც მან პლენუმზე გააკეთა: „ღარიბები და საშუალო გლეხები მხარს აღარ უჭერენ სამღვდელოებას, კულაკობის ლიკვიდაციასთან ერთად ჩვენ უნდა მოვახდინოთ აგრეთვე სამღვდელოების ლიკვიდაცია“.

პლენუმზე გამოვიდა აგრეთვე ამხ. მამულია. მე, რასაკვირველია, არ მინდა მისი შექება, მაგრამ სიმართლე მოითხოვს აღვნიშნო, რომ მისმა სიტყვამ ერთგვარი დისონანსი შეიტანა პლენუმის საერთო განწყობილებაში. ის უდგებოდა საკითხს აჭარისტანის სინამდვილის გათვალისწინებით და ამბობდა, რომ ჩვენ არ შეგვიძლია აჭარისტანს ისე მივუდგეთ, როგორც სხვა რაიონებს. აქ საჭიროა განსაკუთრებული მიდგომა. ჩვენ ვერ გადავალთ მთლიან კოლექტივიზაციაზე, ვერ შევუდგებით განკულაკების გატარებასო. მაგრამ საინტერესო იყო აგრეთვე ამხ. ტაბოლოვის გამოსვლა, რომელმაც გააკრიტიკა ამხ. მამულია და ის, ასეთი აზრისათვის, მემარჯვენეთა ჯგუფში მოათავსა. კიდევ უფრო საყურადღებო იყო ის, რომ მეორე უფრო პ.-მგ. ამხანაგმა, სახელდობრ ამხ. კრინიცკიმ, თავის მფარველობის ქვეშ აიყვანა ამხ. ტაბოლოვი. ყველაფერი ეს დამახასიათებელი იყო ჩვენი მომავალი პრაქტიკისათვის.

კოლექტივიზაციის კამპანია

საჭირო იყო ერთგვარი ნორმების დაცვა, კოლექტივიზაციის საქმეში ადმინისტრატიულ ზომებს ადგილი არ უნდა ჰქონოდა, დეკრეტების მეთოდებისათვის ჩვენ აქ არ უნდა მიგვემართა, თუმცა ცენტრ. კომიტეტის პლენუმის დადგენილება—ესა და ეს ოლქები გამოცხადდეს მთლიან კოლექტივიზაციის რაიონებად, თავის-თავად უკვე დეკრეტიზაციას ნიშნავდა. იწყება ერთნაირი გათიშვა. დადგენილებები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ არ შეიძლება დეკრეტებით, ადმინისტრატიულ ზომებით მოქმედება. ადგილობრივი ამხანაგები კი ამას ანგარიშს არ უწევენ. აი რა სურათი იყო კოლექტივიზაციის გატარების დროს. როგორც მოგახსენეთ, ცეკას დადგენილებები დავიწყებული იქნენ. ამხანაგები ან არ იცნობდნენ მას, ანდა თუ იცნობდნენ, ანგარიშს არ უწევდნენ. კოლექტივიზაციის გატარებამ კამპანიური ხასიათი მიიღო. მაგრამ უნდა ითქვას, რომ არც ერთი კამპანია ჩვენს პარტიას არ ჩაუტარებია ისე მოუმზადებლად, ისე აუწონდაუწონლად, სხვადასხვა რაიონების თავისებურობასთან შეუფარდებლად, როგორც კოლექტივიზაციის „კამპანია“ იქნა ჩატარებული.

ზოგიერთი ოლქები, როგორიცაა მაგალითად, გორი და კახეთი, მთლიან კოლექტივიზაციის გატარებას შეუდგნენ თავისი ინიციატივით. გორის საოლქო კომიტეტს თითქმის ერთი თვის ადრე მიუღია დადგენილება, რომ 1-ლი იანვრისათვის გატარებულიყო მთლიანი კოლექტივიზაცია გორის და ტირიფონის რაიონში, 15 იანვრისათვის ამას უნდა მომატებოდა ხაშურის რაიონი და 25 იანვრისათვის უნდა დასრულებულიყო ოლქის მთლიანი კოლექტივიზაცია. რასაკვირველია, ამისათვის გორის ოლქს არავითარი საბუთი არ ქონდა. არც ერთი დადგენილება, არც საკავშირო კომპარტიის და არც საქართველოს კომპარტიის დირექტივა ამის უფლებას მას არ აძლევდა.

იანვრის პლენუმის შემდეგ, როგორც იცით, სოფლებში იგზავნებოდნენ მუშათა და წითელარმიელთა ბრიგადები. გარდა ამისა, სოფლებზე, თემებზე და რაიონებზე მიმაგრებული იყვნენ პასუხისმგებელი ამხანაგები. ყველა ამათ თავისი დანიშნულება ისე გაიგეს, რომ საქართველოში სოფლის მეურნეობა უნდა გადასულიყო მთლიან კოლექტივიზაციაზე სულ მოკლე ხნის, დაახლოებით ერთი კვირის, ანდა დიდი-დიდი ორი კვირის განმავლობაში. თუ მაგალითად, ერთ კრებაზე ვერ მოხერხდებოდა მთლიანი კოლექტივიზაციის გატარება, მეორე ან მესამე დღეს მოიწვევდნენ კრებას და აქ უკვე უზრუნველყოფილი იყო ასეთი გადაწყვეტილების მიღება. სრულიად ანგარიშს არ უწევდნენ ობიექტიურ და სუბიექტიურ პირობებს. შიგ სიაში შეჰქონდათ არა მარტო კულაკები, არამედ საშუალო გლეხები და ღარიბებიც კი. აი, ასეთ პირობებში ხდებოდა კოლექტივიზაციის გატარება.

იანვრიდან თებერვლის ბოლომდე თვით კოლექტივების შინაურ საქმეზე ნაკლებად ფიქრობდნენ. ხანდისხან დაინტერესდებოდნენ, ვისი სახელი ეწოდებინათ კოლექტივისათვის, განსაკუთრებით კი აინტერესებდათ მხოლოდ ციფრები და პროცენტები. უნდა ითქვას, რომ ადგილი ჰქონდა ყოვლად დაუშვებელ, უაზრო შეჯიბრებას. საკმარისი იყო, რომ ერთ სოფელში მომხდარიყო მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასვლა, მეორე სოფელიც ეჯიბრებოდა მას. ამნაირად შელახულ იქნა თვით სოც. შეჯიბრების იდეა. ეჯიბრებოდა ოლქი ოლქს, მაზრა-მაზრას, სოფელი-სოფელს.

ამავე დროს, ამხანაგებო, ადგილი ჰქონდა უხეშ მოქმედებას. განკულაკება ხდებოდა წინასწარ, სანამ საამისო პირობები შეიქნებოდა. განკულაკება შეეხო არა მარტო კულაკებს, არამედ საშუალო და თვით ღარიბ გლეხსაც კი. დღეს ჩვენ ბლომად გვაქვს იმის დამამტკიცებელი ფაქტები, რომ განკულაკებულთა დიდ ნაწილს საშუალო გლეხები შეადგენენ. ეს რასაკვირველია, მეტად ცუდ გავლენას ახდენდა კოლექტივიზაციის მსვლელობაზე.

განკულაკების დროს ასახლებდენ მთელ ოჯახს, რომელშიაც შედიოდნენ 80-90 წლის მოხუცებულები, ინვალიდები, ქალები, ბავშვები და ავადმყოფები. სად ასახლებდენ მათ, სად უნდა წასულიყვნენ ისინი, კაცმა არ იცოდა.

ამხანაგებო, დაშვებულმა შეცდომებმა გამოიწვია ის, რომ საშუალო გლეხკაცობამ, რომელიც არ შეიძლებოდა არ ყოფილიყო კულაკობის წინააღმდეგი, ბევრგან თანაგრძნობა გამოუცხადა გადასახლებულ კულაკებს. ამნაირმა განკულაკებამ დააშინა გლეხკაცობა და ის შიშით შედიოდა კოლექტივებში; აქ კი ჩვენ გვეუბნებოდნენ, რომ გლეხკაცობა აღტაცებით, ენთუზიაზმით შედის კოლმეურნეობაში. გარდა ამისა კულაკებისაგან ჩამორთმეულ ქონებას და საქონელს სრულიად ვერ უვლიდნენ. საქონელი ძვალტყავად იყო ქცეული. ცალკე შემთხვევაში ადგილი ქონდა გაფლანგვას. ამას დაერთო ის გარემოება, რომ კომუნა და არტელი ერთი მეორეში აურიეს. გაერთიანება უნდა მომხდარიყო სას.-სამეურნეო არტელში, მაგრამ ნამდვილად კომუნაზე გადასვლა ხდებოდა. აერთიანებდნენ მამულებს, სახლებს, ეზოებს, კარმიდამოს, წვრილფეხა საქონელს, ოჯახის მოწყობილობას, ლოგინებს, ჩურჩხელებს და სხვ. ასეთებსაც კი. ამ მდგომარეობამ ხელი შეუწყო იმას, რომ აირდაირია ყველაფერი; ქონების მოვლაზე არავინ ზრუნავდა, გაერთიანებულ ქონებას ხმარობდნენ თავიანთ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. გლეხი ხედავდა ამ უკაირათობას, მაგრამ ვერაფერს ამბობდა, რადგან დაშინებული იყო.

იანვრიდან დაწყებული უკანასკნელ თვეებში ვამჩნევდით, რომ გლეხობაში დიდი მისწრაფება იყო, შეიძლება ითქვას, რომ ადგილ-ადგილ დიდ აღფრთოვანებასაც იწვევდა კოლექტივიზაციაზე გადასვლა. მაგრამ, აშკარაა, რომ იმ უხეშმა ზომებმა, რომლებსაც ჩვენმა ამხანაგებმა მიმართეს, იმ უხეშმა შეცდომებმა, რომელიც მათ დაუშვეს გამოიწვია ის, რომ გლეხკაცობამ უკან დაიხია, ზურგი შეაქცია კოლექტივებს. ამხანაგებო, შეგვეძლო თუ არა თავიდან აგვეცილებია გლეხების უკმაყოფილება? რა თქმა უნდა შეიძლებოდა, შეიძლებოდა, რომ ჩვენ დროზე მოგვეკიდა ხელი დაშვებულ შეცდომების გამოსწორებისათვის. ცენტრალურმა კომიტეტმა ამის შესახებ ადგილებს მიმართა ორი წერილით, სადაც ნათქვამია, რომ ადგილ-ადგილ შეცდომებს აქვს ადგილი. მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა მაგრად არ მოჰკიდა ხელი ამ შეცდომების გამოსწორებას, თებერვალში უკვე იყო შემჩნეული, რომ გადახვევებს აქვს ადგილი, მაგრამ ამ გადახვევების მთელი სურათი ცენტრალური კომიტეტისათვის ნათელი არ იყო, მას არ ქონდა სწორი ცნობები ადგილობრივი ორგანიზაციებიდან. როგორც იცით, ცენტრალური კომიტეტი ეყრდნობა იმ ცნობებს, რომლებსაც იძლევა რაიონული კომიტეტები, სამაზრო კომიტეტები, საოლქო კომიტეტები და ა. შ. ჩვენ ვეყრდნობოდით საოლქო კომიტეტების ცნობას, საოლქო კომიტეტები ეყრდნობოდენ რაიონულ კომიტეტების ცნობას, რაიონული კომიტეტები კიდევ უჯრედების ცნობას. აი ამ ცნობებს ეყრდნობოდა მთელი ჩვენი მოქმედება.

ამხანაგებო, დანაშაული მიუძღვის, რასაკვირველია როგორც ცენტრს, ისე ადგილებს, მაგრამ აქ არის განსხვავება, დიდი განსხვავება. სიმართლე, რომ ვსთქვათ, განა ის დამახინჯებები, ის უხეში მოქცევა, ის შეცდომები, გადახვევები, რომლებიც ადგილებზე ხდებოდა, განა ყველაფერი ეს ცეკას დირექტივებს უნდა მიეწეროს? რასაკვირველია, არა. ეს აშკარად უნდა ითქვას. ადგილობრივი ამხანაგები ხედავდნენ ამას, მაგრამ საუბედუროდ, ანგარიშს არ უწევდნენ. იმათ უნდოდათ შიშის ქვეშ გაეტარებინათ კოლექტივიზაცია. რასაკვირველია, ეს შეუძლებელი იყო.

გარდა ამისა, კოლექტივიზაციას ემატებოდა კიდევ სხვა კამპანიები, მაგალითად, ანტირელიგიური კამპანია. მიდიოდნენ ბრიგადირები მიმაგრებულები, ცენტრიდან გაგზავნილი ამხანაგები და თავის მხრივ დამატებით ატარებდნენ ანტირელიგიურ კამპანიას, ისიც ისეთ ჩამორჩენილ ადგილებში, ისეთ ფანატიზმით გაცდენილ კუთხეებში, რომ პირდაპირ წარმოუდგენელია, რისთვის დასჭირდა ეს. ვისთვის იყო საჭირო, მაგალითად, ზარების ჩამოხსნა, მეჩეთების დახურვა? სრულებით არავისათვის. ეს მხოლოდ ართულებდა მდგომარეობას. ასეთი დირექტივები არავის მიერ არ ყოფილა მიცემული.

კულაკების „ლიკვიდაცია“ ერთ დღეში

მე ვკითხულობ, ამხანაგებო, იყო თუ არა საკავშირო ცეკას 6 იანვრის დადგენილებაში კატეგორიული მითითება იმაზე, რომ საკოლმეურნეო მშენებლობაში არ ყოფილიყო დაშვებული დეკრეტების მეთოდი, იყო თუ არა ასეთივე დირექტივა საქართველოს კომუნისტური პარტიის იანვრის პლენუმის დადგენილებაში?—იყო. მიუხედავად ამისა, კოლექტივიზაცია ხდებოდა დაკვრით წესით: ამა და ამ დღეს, ამა და ამ საათში უნდა მივიღოთ ამდენი პროცენტი, მორჩა და გათავდა. სხვას არაფერს ანგარიშს არ უწევდნენ.

ჟურნ. „ბოლშევიკში“ მე წავიკითხე ამხ. სირცოვის წერილი. აი რას ამბობს ის:—„ამას წინად მე მომიხდა წამეკითხა მოსკოვის ოლქის ერთ-ერთ სასოფლო რაიონში მომუშავე პირის გადმის წერილი. ეს წერილი, რომელიც თავისი სტილით სამხარ მოხსენებას მოგვაგონებს, შეიცავს მოკლე ცნობას იმის შესახებ, რომ ამ რაიონში რამდენიმე საათის განმავლობაში „ამა და ამ რიცხვს, ღამით მოხდა კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია და რომ უახლოეს დღეებში იგივე მოხდება სხვა რაიონებშიაც“. „ყირიმის რესპუბლიკის ხელმძღვანელმა მომუშავემ ამას წინად გადმომცა სუდაკის რაიონის ადგილობრივ მომუშავეთა ცნობა იმის შესახებ, რომ სულ მცირე დროის განმავლობაში „საღამოს 5 საათიდან დილის 7 საათამდე კულაკობა, როგორც კლასი, მოსპობილ იქნა“. რასაკვირველია, ასეთებს ჩვენშიც ქონდა ადგილი, თუგინდ ბორჩალოს რაიონის სოფ. სარვანში.

მდგომარეობა გამწვავდა, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ანტიკოლექტიურ და კულაკურ გამოსვლებს უკვე ქონდა ადგილი, ჩვენ ამას ვერ ვხედავდით. აფხაზეთში, კახეთში და ზოგიერთ სხვა რაიონებში ადგილი ჰქონდა ქალთა გამოსვლებს. ჩვენ ამას ვერ აუვლით გვერდს; ეს ჩვენ კარგად უნდა დავიხსომოთ და გავაძლიეროთ მუშაობა ქალთა შორის, რათა ისინი ჩვენი გავლენის ქვეშ დავაყენოთ.

კულაკები აყენებდნენ ისეთ მოთხოვნილებებს, რომლებიც სცდილობდნენ კოლექტივიზაციის ფარგლებს და ანტისაბჭოთა ხასიათს ღებულობდნენ. ისინი მოითხოვდნენ კომკავშირელების და კომუნისტების გაძევებას სოფლებიდან, თავისუფალ ვაჭრობას და სხვა. სწორედ ამ დროს ქვეყნდება ამხ. სტალინის წერილი „თავბრუდახვევა წარმატებისაგან“ — ეს იყო მარტის პირველ რიცხვებში. რა მოხდა ამის შემდეგ? უნდა მოგახსენოთ, რომ სტალინის წერილმა უდიდესი როლი ითამაშა ამ გაუგებრობის გასაფანტავად, რომელიც მაშინ სოფლად იყო შექმნილი. ამ წერილმა უკმაყოფილებას ნორმალური მსვლელობა მისცა და ნორმალურ მდგომარეობაში ჩააყენა. ის რომ არ ყოფილიყო, შეიძლება უკმაყოფილებას კიდევ უარესი ფორმა მიეღო. სტალინის წერილმა სწორედ მეხის ამრიდი აპარატის როლი ითამაშა.

აშკარად და გულახდილად უნდა ვსთქვა, რომ დიდი ნაწილი ადგილობრივი მომუშავეებისა, რომლებიც კოლექტივიზაციას ატარებდნენ, უკმაყოფილო დარჩნენ სტალინის წერილის გამოქვეყნებით. იყო შემთხვევები, როცა ეს წერილი დამალეს და არ უნდოდათ გამოეჩინათ. აი, სწორედ ამ გარემოებით ისარგებლეს კულაკებმა. მათ უფრო კარგად გამოიყენეს ამხ. სტალინის წერილი, ვინემ ჩვენმა ამხანაგებმა. მორთეს ყიჟინა, რომ სტალინი თავის წერილში კოლექტივიზაციის წინააღმდეგ მიდისო. ამან, რასაკვირველია, ხელი შეუწყო გლეხობის მასიურ გასვლას კოლექტივებიდან.

ყველაფერი ამის მიზეზი იყო ძალდატანება, ზევიდან მბრძანებლობა, ადმინისტრატიული ზეგავლენით კოლექტივების შექმნა. მე მგონია ზედმეტი არ იქნება მოვიყვანო ამხ. ლენინის აზრი გლეხობაზე ბრძანებლობის შესახებ. აი რას ამბობს ის:

„იმაზე მეტი სისულელე არაფერია, როგორიცაა თუნდ მარტო ფიქრი საშუალო გლეხის სამეურნეო ურთიერთობაში ძალდატანების ხმარების შესახებ. აქ ამოცანა საშუალო გლეხის ექსპროპრიაცია როდია, არამედ ის, რომ გავითვალისწინოთ გლეხის ცხოვრების განსაკუთრებული პირობები, რომ ვისწავლოთ გლეხისაგან უკეთეს წყობილებაზე გადასვლის საშუალებანი და არ გაგვებედოთ რაიმე ბრძანებლობა“. (ლენინი, ტ. 16, გვ. 151).

საჭიროა ყოველთვის ახსოვდეს ამხანაგებს ჩვენი ბელადის სიტყვები, რომ ყოვლად შეუძლებელია ძალდატანებით კოლექტივიზაციის შექმნა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენი პარტია და ხელისუფლება არავითარ გავლენას არ უნდა ახდენდეს გლეხობაზე. მემარჯვენეები სწორედ იმას ამბობენ, რომ კოლექტივიზაცია თვითდენით, თავისთავად მოხდება. ეს სისულელეა, თავისთავად არაფერი არ ხდება. ყოველივე ჩვენი ღონისძიება საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან იქით არის მიმართული, რომ სოფლის დაქუცმაცებული მეურნეობები გავაერთიანოთ კოლექტივებში. მაგრამ სხვა საქმეა ეკონომიური ღონისძიებებით ხელის შეწყობა და სულ სხვა ადმინისტრატიული ზეგავლენა...

ამხანაგებო, გლეხობის კოლექტივებიდან გასვლით საქმე არ გათავებულა, შეიქმნა ახალი სიძნელეები. კოლექტივიდან გამოსვლის შემდეგ გლეხმა მოინდომა თავისი ქონების უკან დაბრუნება. ამ ნიადაგზე წარმოიშვა ახალი უკმაყოფილება. არავინ არ იცის და არავითარი დოკუმენტი არ არის იმის შესახებ, თუ ვინ რა შეიტანა კოლექტივში. შემდეგ გამოირკვა, რომ ბევრი რამ არის გაფლანგული, საქონელი ზოგი დახოცილა და ზოგიც გაუყიდიათ. ასეთი მდგომარეობა, რასაკვირველია, დიდ უკმაყოფილებას იწვევს. ამ უკმაყოფილების მოსასპობლად ადგილობრივი ხელისუფლება ღებულობს ღონისძიებებს, გამოყოფილია კომისიები, თუმცა მათი მუშაობა ძალიან ძნელდება. უფრო ძნელი შეიქნა გლეხებისათვის იმ მიწების დაბრუნება, რომელიც ისინი წინად ამუშავებდნენ. ეს დრო იყო ხვნა-თესვის ხანა და მიწათმოწყობას ვერ შევუდგებოდით, ამიტომ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება, შემოდგომისთვის გადადოთ კოლექტივების მიწათმოწყობა. ზოგიერთ ამხანაგებს ცეკას ეს ღონისძიება არ მოსწონთ და ამბობენ, ეხლავე უნდა გვეწარმოებია მიწათმოწყობაო, მაგრამ ისინი ამ შემთხვევაში ივიწყებენ, რომ თუ მაშინ მიწათმოწყობას შევუდგებოდით, თესვის კამპანია ჩაიშლებოდა.

ჩვენში დღეს მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონები აღარ არის გარდა ოზურგეთის მაზრისა. ცენტრალური კომიტეტი იძულებული შეიქნა გადაესინჯა თავისი დადგენილება კოლექტივიზაციის შესახებ. უკანასკნელად გამოირკვა, რომ მოსახლეობის 50 პროც.-ზე ბევრად ნაკლებია გაერთიანებული კოლექტივებში, მაშასადამე, აღარ შეიძლებოდა რომელიმე რაიონი მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონად ჩაგვეთვალა. აქ ამხანაგებო, იბადება მეორე საკითხი, საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოვქცეულიყავით განკულაკებული ხალხის მიმართ: უკანვე უნდა დაგვებრუნებია მათთვის ქონება, თუ არა. მთელი ჩამორთმეული ქონების დაბრუნება, რასაკვირველია, არ შეიძლებოდა და ამიტომ გადავწყვიტეთ განკულაკებულთათვის საცხოვრებლის მინიმუმი დაგვებრუნებია. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ ადგილებში კიდევ არის ჯიუტობა, არ უნდათ ცხოვრებაში გაატარონ ის, რაც ჩვენ დავადგინეთ. აქ ერთმა ამხანაგმა სთქვა, რომ გორის ოლქში არ ასრულებენ დადგენილებას წითელ არმიელთა განკულაკებული ოჯახებისათვის ქონების დაბრუნების შესახებ. მე არ ვიცი თვით ის ოჯახები, რომლების შესახებ ეს ამხანაგი ლაპარაკობდა, კულაკური ოჯახებია, თუ არა, მაგრამ არსებითად წითელ არმიელების და უფ. წითელ პარტიზანების ოჯახები არ უნდა განკულაკდეს.

(გაგრძელება იხ. მეოთხე გვერდზე)

კოლმეურნეობათა მდგომარეობა ამჟამად

ეხლა ამხანაგებო, მე შევეხები იმას, თუ რა მდგომარეობაშია დღეს ჩვენში კოლექტივიზაციის საქმე, როგორ იხატება ციფრებში კოლმეურნეობათა დღევანდელი მდგომარეობა, იმასთან შედარებით, რაც პირველ მარტს გვქონდა. პირველ მარტს ჩვენ საქართველოში გვქონდა 2.894 კოლექტივი, 10 მაისისათვის ეს ციფრი 2.094-დე შემცირდა. კოლექტივებში 1 მარტისათვის გაერთიანებული იყო 295.131 გლეხური მეურნეობა, ანუ მთელი მათი რაოდენობის 65,25 პროც., 10 მაისისათვის —103.990 მეურნეობა, რაც მთელი მოსახლეობის 23 პროც-ს შეადგენს. 1 მარტისათვის კოლმეურნეობებში გაერთიანებული იყო მიწის ფართობის 59,8 პროც., 10 მაისისათვის 17,1 პროც. თუ ავიღებთ ცალკე მაზრებს, ოლქებს და ავტონომიურ რესპუბლიკებს შემდეგ სურათს მივიღებთ:

რაიონი	კოლმეურნეობათა რიცხვი		მათში გაერთიანებულ მეურნეობათა რიცხვი		მიწის ფართობი ჰექტარებში	
	1930 წ. 1 მარტი	1930 წ. 10 მაისი	1930 წ. 1 მარტი	1930 წ. 10 მაისი	1930 წ. 1 მარტი	1930 წ. 10 მაისი
1. კახეთის ოლქი	260	145	51.236	6.246	171.000	17.683
%%-ში			86,0	10,5	84,0	8,3
2. თბილისის ოლქი	400	258	37.107	9.481	120.900	28.254
%%-ში			59,2	15,1	42,7	10,1
3. გორის ოლქი	419	215	32.337	12.553	110.250	38.622
%%-ში			82,0	31,9	81,0	28,5
4. ახალციხის მაზრა	55	9	2.374	297	7.300	899
%%-ში			25,0	2,2	15,8	1,94
5. ახალქალაქის მაზრა	57	35	5.217	1.279	21.200	4.161
%%-ში			34,0	8,4	25,0	5,0
6. სამხრეთ-ოსეთი	167	194	13.251	6.572	19.309	14.032
%%-ში			90,8	45,0	75,4	54,8
7. აფხაზეთი	235	248	7.810	7.712	14.175	14.232
%%-ში			22,5	22,2	17,4	17,5
8. აჭარისტანი	75	86	1.486	1.863	1.092	1.396
%%-ში			11,2	14,1	5,0	7,3
9. ქუთაისის ოლქი	500	308	101.167	29.537	167.945	46.578
%%-ში			86,0	25,3	81,0	23,3
10. ზუგდიდის მაზრა	124	165	8.683	4.336	18.910	8.981
%%-ში			30,0	15,0	26,3	12,7
11. ოზურგეთის მაზრა	320	142	16.020	14.088	12.600	22.953
%%-ში			61,0	54,2	45,0	45,9
12. სენაკის მაზრა	282	289	17.443	10.029	31.350	18.033
%%-ში			63,0	36.2	55,0	31,6
ჯამი	2894	2094	295.131	103.990	705.091	215.824
%%-ში			65,25	23,0	59,8	17,1

ამ ცხრილიდან სჩანს, რომ ყველა ოლქ-მაზრებიდან მხოლოდ ოზურგეთის მაზრამ შეინარჩუნა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის შედარებით დიდი პროცენტი, სახელდობრ: ამა წლის 1 მარტს ეს პროცენტი უდრიდა 61-ს, 10 მაისს კი—54 პროც.; აქ უნდა შევნიშნოთ, რომ კოლმეურნეობათა უკანასკნელი აღწერით კოლექტივიზაციის პროცენტი ოზურგეთის მაზრაში უდრის 62,5 პროც., რაც უფრო შეეფერება სინამდვილეს. ოზურგეთის მაზრის პასუხისმგებელ მუშაკთა გამონაგარიშებით კი, კოლექტივიზაციის დღევანდელი მდგომარეობა გურიაში ასეთ სურათს იძლევა: ერთ კომუნაში, 20 არტელში და 121 მიწის საერთოდ დამმუშავებელ ამხანაგობაში სულ გაერთიანებულია 14.088 მეურნეობა,რაც ოზურგეთის მაზრის მოსახლეობის 63 პროც. შეადგენს. ყველა დანარჩენ ოლქებსა და მაზრებში, აფხაზეთისა და აჭარისტანის გარდა, სულ მცირე ხნის განმავლობაში მეტად მკვეთრად შემცირდა კოლექტივიზაციის ხვედრითი წონა. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევენ ამ მხრივ კახეთის ოლქი, შემდეგ კი ქუთაისის და გორის ოლქები, ხოლო მაზრებიდან ახალციხე და ახალქალაქი. საყურადღებოა, რომ აჭარისტანსა და აფხაზეთში*) ამ საერთო რყევისა და ქანაობის პერიოდში კოლექტივიზაციის პროცენტი თითქმის ერთ და იმავე დონეზე დარჩა, აჭარისტანში კიდევაც იგი გაიზარდა. ეს მეტად საგულისხმო ფაქტია: იქ, სადაც ყველაზე უფრო მეტ საფრთხეს მოველოდით, კოლექტივიზაცია გაცილებით უფრო ნორმალურად მიმდინარეობდა, ვინემ იქ, სადაც სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა ეხლავე თითქოს უზრუნველყოფილი იყო.

ეხლა მოვიყვანოთ ცნობები იმის შესახებ, თუ როგორია კოლმეურნეობების სხვადასხვა სახეების ხვედრითი წონა:

კოლმეურნეობათა საერთო რაოდენობაში შედგენენ

	კომუნები	არტელები	მიწის საზ. დამ. ამხანაგობები
თბილისის ოლქი	2,5%	95,3%	2,2%
სამხრეთ ოსეთი	2,8%	53,2%	44%
სენაკის მაზრა	1,4%	78,5%	20,1%
ოზურგეთის მაზრა	1,6%	62,2%	36,8%
აჭარისტანი	—	2,1%	96,9%

დანარჩენ ოლქებისა და მაზრების შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება.

როგორც ცხრილიდან სჩანს, კომუნების რიცხვი ჩვენში ძალიან მცირეა, კოლექტივების უდიდეს ნაწილს არტელები და საზოგადო წესით მიწის დამმუშავებელი ამხანაგობები შეადგენენ. ზოგ ადგილას სჭარბობს მიწის საერთოდ დამმუშავებელ ამხანაგობათა რიცხვი, რომ ავიღოთ მაგ., აფხაზეთი, იქ ასეთი ამხანაგობის პროცენტი 67,8 პროც. უდრის, ასევე არის აჭარისტანში და ახალქალაქის მაზრაშიც. სამხრეთ-ოსეთში ასეთი ამხანაგობები შეადგენენ 44 პროცენტს, ოზურგეთის მაზრაში—36,8 პროცენტს. ცხადია, ეს ციფრები პირობით უნდა მივიღოთ, რადგან არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ უკანასკნელ ხანებშიაც გრძელდება კოლექტივებიდან გასვლა, თუმცა რასაკვირველია, მას ისეთი მასიური ხასიათი აღარ აქვს, როგორც პირველ ხანებში ჰქონდა. ყველაზე უფრო ხშირია კოლექტივიდან გასვლის შემთხვევები გორის ოლქში.

სხვათა შორის მე მაქვს კოლმეურნეობათა ცენტრის უკანასკნელი გამოკვლევის სტატისტიკური ცნობები, რომლიდანაც სჩანს, რომ კოლმეურნეობათა პროცენტი ზემოდმოყვანილზე ნაკლები არის. გამოკვლევა ჩატარდა დაახლოვებით იმავე პერიოდში, რომლისაც შეეხებოდა ჩემს მიერ მოყვანილი ციფრები. კოლექტივებში გაერთიანებულთა რაოდენობა აღმოსავლეთ საქართველოში უდრის 15,3 პროცენტს, ხოლო დასავლეთ საქართველოში —26,1 პროცენტს. ეს გამოკვლევა იძლევა საინტერესო მასალას კოლექტივების წევრთა სოციალური შემადგენლობის შესახებ. მოჯამაგირეები, გამოკვლევის მიხედვით, კოლექტივებში შეადგენენ 2,1 პროცენტს, ღარიბები 59,1 პროცენტს, საშუალო გლეხები 32,5 პროცენტს, მუშები—1,6 პროცენტს, მოსამსახურეები—3,7 პროცენტს. პარტიულობის მხრივ ასეთი სურათი გვაქვს: პარტიულები შეადგენენ 4,5 პროცენტს და კომკავშირელები—10,3 პროცენტს. ეს ცნობები ჯერ არ არის სავსებით დამუშავებული და ვფიქრობ, როდესაც საბოლოოდ დამუშავდება, მეტად საინტერესო მასალას მოგვცემს.

როგორ ტარდება ახალი წესდება

მე მინდა ეხლა შევჩერდე იმაზე, თუ როგორი სულისკვეთებაა დღეს ჩვენს კოლექტივებში, ამის შესახებ მასალას იძლევიან ახლო წარსულში ჩატარებული გამოკვლევები. დაახლოვებით მაისის პირველ ნახევარში საქ. კოლმეურნეობათა ცენტრმა საქართველოს სხვადასხვა ოლქებში და რაიონებში გამოიკვლია 15-დე კოლექტივი. ასეთივე გამოკვლევა მოახდინა მეორე დაწესებულებამ—ეკონომიურ გამოკვლევათა ინსტიტუტმა, რომელიც ა.-კ. საგეგმო კომისიასთან არსებობს. ინსტიტუტმა მხოლოდ ერთი რაიონი გამოიკვლია—სტალინისის რაიონი გორის ოლქში. ორივე გამოკვლევა იძლევა მეტად საინტერესო ცნობებს ჩვენი კოლმეურნეობის დღევანდელი მდგომარეობის შესახებ.

მე შევეცდები მოკლედ გადმოგცეთ, თუ რა ხდება კოლმეურნეობებში ახალ წესდებაზე გადაყვანის მხრივ, უნდა მოგახსენოთ, რომ ამ დარგში ჩვენი მდგომარეობა არ არის მაინცდამაინც სახარბიელო. ბევრ ადგილას კოლექტივები ახალ წესდებაზე არ არიან გადაყვანილი, ანდა თუ არიან, ეს წესდება სისრულეში არ მოყავთ. გლეხებს კოლექტივიდან გასვლისას ყველაფერი გაატანეს, ეს არის წესდების დარღვევა. ხშირია შემთხვევა, როდესაც კოლმეურნეობების ხელმძღვანელნი გაურბიან წესდების ზოგიერთი საკითხის ნათლად გარკვევას წევრებისათვის, იმ მოსაზრებით, რომ გაუგებრობა შეიქმნება და წევრები კოლმეურნეობებიდან გაცვივდება. როგორც ზევით ვთქვით, ზოგან კოლმეურნეობები გადაყვანილია წესდებაზე, მაგრამ მას ცხოვრებაში არ ატარებენ. ავიღოთ კახეთის ოლქის სოფ. კარდანახის არტელი „წითელი მარანი". აქ ქონების ნაწილის განუყოფელ ფონდში გადარიცხვა არ მომხდარა. არტელიდან გასულ წევრებს წესდებაზე გადასვლის შემდეგაც მთლიანად უბრუნდებოდა მათ მიერ შეტანილი ქონება. ასევე ხდება ლანჩხუთის (ოზურგეთის მაზრა) არტელშიაც. ადგილობრივი ხელმძღვანელი მუშაკები არტელიდან გარიცხულ წევრებზე განუყოფელ ფონდის დატოვების წესს არ ავრცელებენ.

შრომის ორგანიზაცია კოლმეურნეობებში ცუდათ არის დაყენებული. კოლმეურნეობებში სამუშაოები ყველგან არაა დაყოფილი თანრიგებზე, არაა დაწესებული ამ მუშაობის ნორმები, მუშა-ხელის განაწილება არ სწარმოებს წევრთა უნარიანობის მიხედვით. ზოგჯერ მძიმე სამუშაოზე ახალგაზრდებთან ერთად მოხუცებიც მუშაობენ, ქალებისა და მოზარდთა შრომა არაა გამოყენებული. ზოგან შემოღებულია დღიური მუშაობის წესი, რომლის დროსაც მხედველობაში არ ღებულობენ მომუშავის კვალიფიკაციას, შრომის ინტენსივობას, დახარჯული დროის რაოდენობას.

ზოგიერთ კოლმეურნეობებში დაუშვებელი რამ ხდება. მაგალითად, კახეთში, კარდანახის კოლმეურნეობას „წითელ მარანს" გასულ წელს დარჩა წმინდა მოგება 2.000 მანეთი, რომელიც ძირითად თანხაში უნდა ჩაერიცხა, მაგრამ მან ეს თანხა გაანაწილა ბავშვებზე: 7 წლამდე ასაკის ბავშვებს მიეცა თვითეულს —70 მან., 7—12 წ.—120 მან., 12—16 წ-და— 160 მან. ეს განაწილება იმ მოსაზრებით კი არ იყო გამოწვეული, რომ ბავშვები უზრუნველეყოთ, არამედ იმით, რომ სოფელი გადადიოდა მთლიან კოლექტივიზაციაზე და „ახალი წევრები რატომ უნდა გამხდარიყვენ ჩვენი ნაშრომის მონაწილეო".

შევეხები მამაკაცის და ქალის შრომას. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ერთნაირად მუშაობენ, ერთ და იმავე სამუშაოს ასრულებენ, მათ ხელფასში მაინც დიდი განსხვავებაა. ქალს 50 პროცენტით ნაკლებს აძლევენ, ვიდრე მამაკაცს. მაგალითად, კარდანახის კოლმეურნეობა „წითელ მარანში" მამაკაცებისათვის დღიური ქირა განსაზღვრულია 3 მან., ქალებისათვის 2 მან. სოფ. ოსიაურის (გორის ოლქი) არტელში ქალები მამაკაცებთან შედარებით მუშაობის განურჩევლად გასამრჯელოს 50 პროცენტით ნაკლებს ღებულობენ. ამით ისინი ძალიან უკმაყოფილო არიან.

ეხლა გადავიდეთ სესხის საკითხზე. კოლმეურნეობები განიცდიან გაჭირვებას თანხების უქონლობით. განსაკუთრებით მწვავედ სდგას მუშა-საქონლის შესყიდვის და საერთო ბინების და მოსავლის ბეღლების აშენების სესხის მიღების საკითხი.

კოლმეურნეობათა მმართველი ორგანოები

შევეხები გამგეობის შემადგენლობას. კოლმეურნეობის დაარსების დროს გამგეობის შერჩევას სათანადო ყურადღება არ ექცეოდა. ამ საქმეში ხშირად ადგილი აქვს გადახრებს: ბევრგან საშუალო გლეხი საკმაოდ არაა ჩაბმული გამგეობის მუშაობაში, ზოგ ადგილას კი პირიქით, გამგეობაში მარტო საშუალო გლეხებს ირჩევენ.

ხართვა-გამგეობის ორგანოებში ნაკლებად არიან აგრეთვე წარმოდგენილი მოჯამაგირეები და ქალები. ზოგ შემთხვევაში მმართველ ორგანოებში სჭარბობენ მოსამსახურეები, აგრეთვე ადგილი აქვს მხოლოდ პარტიული ამხანაგების არჩევას. მოვიყვანოთ მაგალითები: ლანჩხუთის კოლმეურნეობის გამგეობაში არჩეულია 9 წევრი, აქედან პარტიული—7, კომკავშირელი—- და უპარტიო—1. 9 წევრიდან 5 ღარიბია, 4 მოსამსახურე, საშუალო გლეხი კი არც ერთი. სოფ. ნაგომრის კოლმეურნეობის სარევიზიო კომისიაში არჩეულია სამი წევრი, ყველა მოსამსახურე და არც ერთი გლეხი. ლაგოდეხის რაიონში არტელ „შრომას" წევრებად ირიცხება 18 ღარიბი, 10 საშუალო, 2 მოჯამაგირე, 2 მოსამსახურე, გამგეობაში კი არჩეულია 1 ღარიბი, 2 საშუალო გლეხი, არც ერთი მოჯამაგირე და არც ერთი ქალი. სენაკის მაზრის სამ კოლმეურნეობაში გამგეობის 13 წევრიდან ღარიბია 11, საშუალო 2. კოლმეურნეობაში კი 339 კომლიდან—101 საშუალო გლეხია. სოფ. ნალეპსოვის არტელის გამგეობაში არჩეულია 3 წევრი, სამივე მოსამსახურე. ასევე არის სხვა კოლმეურნეობებში.

გათანაბრების ტენდენციების წინააღმდეგ

ამხანაგებო, თქვენ კარგად იცით, რომ კოლმეურნეობებში დღეს ერთგვარ განხეთქილებას აქვს ადგილი ღარიბებსა და საშუალო გლეხებს შორის: ამის შესახებ აი რას ამბობს ეს გამოკვლევა: „კოლმეურნეობის შიგნით ადგილი აქვს წინააღმდეგობას ღარიბსა და საშუალო გლეხებს შორის ქონებრივ უთანასწორობის ნიადაგზე. შესასვლელ გამოსაღებს და განუყოფელ ფონდებს ანარიცხებს საშუალო და ღარიბ გლეხებისათვის გამგეობები თანაბარს აწესებენ იმ მიზნით, რომ შეაბრალონ ის დაპირისპირება, რასაც მათ შორის აქვს ადგილი. შეთხზულია მოჯამაგირეებისა და ღარიბ გლეხის მისწრაფება, რომ საშუალო გლეხმა მთლიანად გააერთიანოს თავისი მეურნეობა. ისინი ხშირად გამოდიან იმის წინააღმდეგ, რომ საშუალო გლეხს ნაწილი ბაღ-ვენახისა კერძოთ დაურჩეს".

სტალინისის რაიონში (ყოფ. ხაშური) კოლექტივიზაციისათვის შედარებით უფრო კარგი პირობები იყო. ამ რაიონშიაც ჰქონდა ადგილი უხეშობას და შეცდომებს. გორის ოლქის კომიტეტი და აგრეთვე რაიონული კომიტეტიც თავის დროზე ღებულობდენ ზომებს შეცდომების გამოსასწორებლად, მაგრამ ადგილობრივ უჯრედებზე მიმაგრებული ამხანაგები დირექტივებს არ ასრულებდნენ. არის ცნობები იმის შესახებ, რომ 82 კოლმეურნეობიდან ამ რაიონში არც ერთს არ აქვს საწარმოო გეგმა. რასაკვირველია, ეს აიხსნება იმ არევდარევით, რომელსაც ადგილი ჰქონდა კოლმეურნეობიდან მასიურად გასვლის დროს. წინად შედგენილი გეგმა გადაფუჭებულა და შემდეგ ახალი გეგმა არ შედგენილა. უნდა შედგენილიყო ახალი გეგმა.

მე განსაკუთრებით ხაზს ვუსვამ იმ უკმაყოფილებას, რომელიც არსებობს ღარიბ და საშუალო გლეხთა შორის. საშუალო გლეხები მიდიან კოლმეურნეობებიდან იმისთვის, რომ ღარიბი გლეხები მოითხოვენ ყველაფრის გაერთიანებას და განსაზოგადოებას.

უნდა მოგახსენოთ ამხ-ბო, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა დაახლოვებით 3—4 კვირის წინად მისცა წინადადება ოლქისა და მაზრის კომიტეტის მდივნებს, წარმოედგინათ მოხსენება თავის რაიონებში კოლექტივების მდგომარეობის შესახებ. არსებითად შეასრულა ეს დავალება მხოლოდ ოთხმა რაიონმა, სახელდობრ: სამხრეთ-ოსეთმა, ზუგდიდმა, სენაკმა და ოზურგეთმა. უნდა აღვნიშნო, რომ სამხრეთ-ოსეთის და სენაკის მოხსენება არ იძლევა ანალიზს, არ იძლევა ცნობას იმ მდგომარეობის შესახებ, რომელიც ჩვენ გვაინტერესებს, იქ ნათქვამია, რომ ამდენი და ამდენი არის გაერთიანებული, მაგრამ არაა ნაჩვენები თუ რა მდგომარეობაა თვით კოლმეურნეობებში. მხოლოდ ოზურგეთის და, განსაკუთრებით, ზუგდიდის მაზრის მოხსენება აღნიშნავს იმას, რა მოხდა და რა ხდება დღეს საკოლმეურნეო მოძრაობაში. მოხსენებაში მოყვანილია მოსაზრებები იმის შესახებ, თუ რა ზომებია საჭირო, რომ ეს მდგომარეობა განმტკიცდეს. რაც შეეხება ოზურგეთის მაზრას, ეს რაიონი დღეს თითქმის მთლიან კოლექტივიზაციის რაიონია. ამ მხრით ოზურგეთის მაზრა ეკონომიურად ყველაზე მეტად შეიცვალა. ამ საქმეში ჩვენ უსათუოდ ხელი შეგვიწყო ჩაის კულტურამ.

მორიგი ამოცანები საკოლმეურნეო მშენებლობაში

ეხლა გადავიდეთ კულაკების, როგორც კლასის, მოსპობის საკითხზე, თუ როგორ ტარდებოდა ეს მუშაობა ჩვენში, თქვენ ეს კარგათ იცით, მაგრამ ამ ამოცანის წინაშე ჩვენ დღესაც ვდგევართ. ამხანაგებო, ამ საკითხის შესახებ მე თქვენ მოგიყვანთ ამხ. სირცოვის აზრს:

„ისტორიამ არ იცის ისეთი შემთხვევა, რომ კულაკობის აჯანყებას რაიმე წარმატება მოეპოვებია, თუ ამ აჯანყებაში მონაწილეობა არ მიუღია ღარიბ და საშუალო გლეხობის ამა თუ იმ ჯგუფებს. ღარიბი და საშუალო გლეხობის ცალკე ფენებს შეუძლიათ აყვენენ ავანტიურას მხოლოდ ჩვენი განსაკუთრებით უხეში შეცდომების გავლენით. ჩვენ არ უნდა მივაფუჩეროთ კულაკური საფრთხე, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, თუ რაში მდგომარეობს იგი რეალურად. თავი და თავი ახლა ის არის, რომ არ მივსცეთ საშუალება კულაკობას იზოლიაციის მდგომარეობიდან გამოვიდეს. საჭიროა თავგანწირული მუშაობა ღარიბთა ორგანიზაციისათვის, კერძო, ღარიბთა ჯგუფების შექმნისათვის და საშუალო გლეხობასთან კავშირის განმტკიცებისათვის. ამ საორგანიზაციო-მასიურ მუშაობას, მის გაქანებას და ღარიბ და საშუალო გლეხთა აქტივის შექმნას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ პრაქტიკაში ამას ხშირად ივიწყებენ და ფიქრობენ, რომ კულაკურ მეურნეობათა ლიკვიდაცია შეიძლება განხორციელდეს ზევიდან—ბიუროკრატიული მეთოდებით".

ამხანაგებო, ეს უნდა ვიცოდეთ თავიდან, რომ ასეთი მეთოდებით კულაკების მოსპობა ჩვენ კიდევ მდგომარეობის გართულების წინაშე დაგვაყენებს. კულაკების, როგორც კლასის, ლიკვიდაცია მოითხოვს დიდ მოსამზადებელ მუშაობას. საჭიროა შექმნა ღარიბთა ჯგუფების, მოჯამაგირეთა ჯგუფების და გარდა ამისა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქალთა შორის მუშაობას. ამ მხრივ ჩვენ გვაქვს მწარე გამოცდილება: გასულ კამპანიაში გლეხი-ქალის აქტივობა მიმართული იქნა არა კოლექტივიზაციის სასარგებლოდ, არამედ კოლექტივიზაციის წინააღმდეგ.

ეხლა ბრიგადების შესახებ: მუშათა ბრიგადებმა ჩვენ დიდი სამსახური გაგვიწიეს, ამას ვერავინ ვერ უარყოფს, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ მუშათა ბრიგადებში ზოგჯერ მოხვდნენ ისეთი ამხანაგები, რომლებიც არ უნდა გაგზავნილიყვნენ სოფლად კოლექტივიზაციის ჩასატარებლად; მათ ბევრი რამ ისეთი ჩაიდინეს, რაც დაუშვებელი იყო. ჩვენ არ ვაქცევდით ყურადღებას, არ ვარჩევდით, თუ ვის ვგზავნიდით სოფლად სამუშაოდ. ვგზავნიდით ისეთ ამხანაგებს, რომლებიც არ იყვნენ გაცნობილი პარტიის დირექტივებს, არ იყვნენ გაცნობილი კოლექტივიზაციის საკითხებს, არ იცნობდნენ სოფელს, გლეხს. თუ რას სჩადიოდნენ ადგილებზე ბრიგადები, ამას ყურადღებას არ ვაქცევდით. ცენტრიდან გაგზავნილ მომუშავეებს ადგილობრივი ამხანაგები მოწიწებით უყურებდნენ, როგორც ცენტრის წარმომადგენლებს, მათ რჩევა-დარიგებას ყურს უგდებდნენ და ხმა ამოუღებლივ ასრულებდნენ. ბევრი ადგილობრივი მუშაკი ამჩნევდა, რომ ზოგჯერ ბრიგადირები ცდებოდნენ, მაგრამ მათ წინააღმდეგ გამოსვლა უხერხულად მიაჩნდა. მომავალში ამას ყურადღება უნდა მიექცეს, ასე ზერელეთ არ უნდა მოვეკიდოთ სოფელში გასაგზავნ ამხანაგების შერჩევას.

ყურადღება სოფლის კომუნისტებს

მე ეხლა ვაყენებ საკითხს სოფლის კომუნისტების შესახებ. სოფლად ორგვარ გადახრას ჰქონდა ადგილი: ერთის მხრივ „მემარცხენე" გადახრას და მეორეს მხრივ მემარჯვენეს. ორივე გადახრა უკიდურესობამდე მიდიოდა, უკიდურეს ხასიათს ღებულობდა. სოფლის მემარჯვენე კომუნისტი კულაკობის მფარველი იყო და კოლექტივიზაციის წინააღმდეგ ილაშქრებდა, „მემარცხენეები" კი ფართოდ მიმართავდნენ ადმინისტრატიულ ზომებს, იყენებდნენ იარაღს, მატარასს და სხვ. კოლექტივიზაციის გატარების საქმეში.

რასაკვირველია, ამხანაგებო, ეს ყველა სოფლელ კომუნისტზე არ ითქმის. გარჩევა საჭიროა. იყვნენ ისეთი ამხანაგები, რომლებიც ასე თუ ისე სწორად ატარებდენ პარტიის ხაზს. ამასთანავე ისიც უნდა ვთქვათ, რომ სოფლის კომუნისტის მდგომარეობა ძალიან მძიმეა, მას არანორმალურ პირობებში უხდება მუშაობა. ჯერ ერთი არიან ვეებერთელა სოფლები, სადაც კომუნისტების რიცხვს თითებზე ჩამოითვლით. რასაკვირველია, ორი-სამი კაცი წარმოადგენს მეტად სუსტ ორგანიზაციას. ამავე დროს ისინი გარშემორტყმული არიან გლეხური სტიქიით, რაც, თავისთავად ცხადია, მათზე გავლენას ახდენს. დიდი სიმტკიცე და ნებისყოფა მართებს კაცს, რომ გაუმძლოს, გავლენაში არ მოხვდეს, ეს ადვილი საქმე არ არის. ეს არ გავს ქალაქში ცხოვრებას. ამასთანავე ნუ დაივიწყებთ, რომ სოფლის კომუნისტზეა დამოკიდებული ყველაფერი: ის დატვირთული და გადატვირთულია ყოველგვარი ცირკულიარებით, დირექტივებით როგორც საბჭ. ხაზით, ისე პარტიული ხაზით. ყველაფერი, რაც კეთდება სოფლად, კეთდება კომუნისტების საშუალებით. სოფლის კომუნისტი მილიციონერის როლსაც ასრულებს, ის იჭერს, ატუსაღებს დამნაშავეებს. ასეთ გარემოებას უნდა გაუწიოთ ანგარიში. საოლქო, სამაზრო და რაიონულმა კომიტეტებმა უნდა მიიღონ ზომები იმისათვის, რომ შეამსუბუქონ სოფლის კომუნისტის მდგომარეობა, გაამაგრონ სოფლის ორგანიზაციები და განსაკუთრებით გააძლიერონ აღმზრდელობითი მუშაობა პარტიის წევრთა შორის.

განვამტკიცოთ არსებული მიღწევები

ისმება კითხვა: გვაქვს თუ არა ჩვენ მიღწევები კოლმეურნეობის მშენებლობაში? რასაკვირველია გვაქვს. ამის არ დანახვა ყოვლად შეუძლებელია. თუ ჩვენ ავიღებთ ციფრებს იმის შესახებ, თუ რამდენი იყო გაერთიანებული კოლმეურნეობებში დეკემბრის თვეში და შევადარებთ მაისის თვესთან, დავინახავთ შემდეგს: დეკემბერში კოლმეურნეობებში გაერთიანებული იყო გლეხ. მეურნეობათა 6,3 პროც., ეხლა კი გაერთიანებულია 21—23 პროც. ეს, რასაკვირველია, დიდი მიღწევაა. მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ 6 პროცენტიდან ჩვენ უცბად ავცურდით 65 პროცენტამდე და შემდეგ ისევ უცბად მოგვიხდა დაბლა დაშვება — 21—23 პროცენტამდე, რასაკვირველია, ამ შემთხვევაში მიღწევებზე ლაპარაკი უფრო რთული საკითხია. მე ვამბობდი და კვლავაც ვამბობ, რომ შეცდომები არ დაგვეშვა, ის უხეში შეცდომები, რომელსაც ადგილი ჰქონდა იანვრის, თებერვლის და მარტის თვეებში, კოლმეურნეობებში გაერთიანებულ მეურნეობათა რაოდენობა არ იქნებოდა იმაზე ნაკლები, რაც დღეს გვაქვს და შეიძლება მეტიც ყოფილიყო. მაშინ კოლექტივებიც უფრო მკვიდრი და ნიადაგიანი იქნებოდა და უფრო მეტი სტიმული იქნებოდა მომავალში კოლექტიური მოძრაობის განსავითარებლად. ეს არ უნდა დავფაროთ და მომავალში უფრო სწორად მიუდგეთ ამ საკითხს.

მე მივაქცევ თქვენს ყურადღებას იმას, რომ დღეს ჩვენს კოლექტივებში, როგორც ცნობებიდან სჩანს, დიდ უმეტესობას წარმოადგენენ ღარიბი გლეხკაცობა და მოჯამაგირეები. განსაკუთრებით ბევრნი არიან ღარიბი გლეხები—ისინი კოლმეურნეების 60 პროცენტზე მეტს შეადგენენ. ეს რასაკვირველია, ძალიან მძიმე ნივთიერ პირობებში აყენებს ჩვენს კოლმეურნეობებს, რადგან საშუალო გლეხების წასვლის შემდეგ მათ არ დარჩათ საფუძვლიანი სახსრები, საშუალება, რომ თავიანთი მეურნეობა წინ წასწიონ. ფული არა აქვთ, სესხს ვერ ვაძლევთ, მიწა კი საშუალო გლეხებმა გაიტანეს.

ამასთან დაკავშირებით უნდა შევეხო მეორე საკითხს. თქვენ კარგად იცით, მთლიანი კოლექტივიზაციის დროს ჩვენმა მუშებმა, რომლებსაც არ შეუწყვეტია კავშირი სოფლის მეურნეობასთან, გამოაცხადეს, რომ თავისი მიწები კოლმეურნეობებში შეაქვთ. მაგრამ როგორც კი კოლმეურნეობები დაიშალნენ, მათ უკანვე მოითხოვეს თავიანთი მიწები, რის გამოც მიწის ეს ერთად-ერთი ფონდიც გამოეცალა ხელიდან ღარიბ გლეხებს და მოჯამაგირეებს. მე მგონია ეს საკითხი ხელახლა უნდა დაისვას. რასაკვირველია, ის მუშა-მოსამსახურეებს. მე მგონია ეს საკითხი ხელახლა უნდა ბენ, მათ უნდა დარჩეთ მიწები, ისეთ მუშა-მოსამსახურეებს კი, რომლებიც ღებულობენ დიდ ხელფასს და თავიანთ მიწებს უმიწაწყლო გლეხებზე აზიარებენ, შეტანილი ნაკვეთები არ უნდა დაუბრუნდეთ. ასე აყენებენ საკითხს თვით გლეხები. პროფკავშირებმა უნდა მიაქციონ ყურადღება ამ გარემოებას.

ამხანაგებო, დღეს კოლმეურნეობების გამგეობები მოწყვეტილი არიან კოლმეურნეთა მასებისაგან, თავს იჩენს ბიუროკრატიზმი. გამგეობის წევრებს ადგილ-ადგილ თავი ისე უჭირავთ, როგორც ძველ მებატონეებს. მე ვიცი ერთი შემთხვევა გორის ოლქში, როდესაც კოლმეურნეობის თავმჯდომარემ სცემა კოლმეურნეობის წევრს და დაატუსაღა იგი შრომის დისციპლინის დარღვევისათვის. ასეთი წესები კოლმეურნეობაში ყოვლად დაუშვებელია. ასეთ კოლმეურნეობაში გლეხი არ გაჩერდება, არის მთელი რიგი შემთხვევები, როდესაც გამგეობის წევრები მუშაობას არ კადრულობენ, ფიზიკურ სამუშაოს არ ეკარებიან. ეს დამახინჯებაა და მის წინააღმდეგ უნდა იქნეს მიღებული გადამწყვეტი ზომები.

ამასთანავე ადგილობრივი მუშაკების და ორგანიზაციების ყურადღება უნდა მიექცეს თვით კრიტიკის გაშლას კოლმეურნეობებში.

ეხლა რამდენიმე სიტყვით შევეხები კოლმეურნეობის გამსხვილების საკითხს. ჩვენ წინეთ ძალიან წვრილი კოლმეურნეობანი გვქონდა. ა. გ. წ. თითო კოლმეურნეობაში შედიოდა 17—18 ოჯახი დაახლოებით, ზოგიერთ რაიონებში წელს ამ 17—18 ოჯახიდან უცბად 1500 3.000 ოჯახამდე ახტნენ. ეს უკვე მეორე უკიდურესობაში გადავარდნაა. პრაქტიკიდან ჩვენ დავრწმუნდით, რომ იქ, სადაც ასეთი დიდი კოლმეურნეობებია, გლეხებს უხდებათ სამუშაოზე სიარული 10—12 კილომეტრის მანძილზე და ამასთანავე გლეხების ინიციატივა სრულებით იკარგება. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ასეთი დიდი კოლექტივების შექმნა ჩვენს პირობებში არ ვარგა. გლეხები თვითონ მივიდენ ამ დასკვნამდე და ახლა უფრო ნაკლები ზომის კოლექტივებს ქმნიან.

საკოლმეურნეო მშენებლობის პერსპექტივები

როგორი პერსპექტივები აქვს საკოლმეურნეო მოძრაობას და რას უნდა მოველოდეთ ჩვენ ახლო მომავალში? ამხანაგებო, ჩვენ დღეს რთულ და ძნელ ამოცანების წინაშე ვდგევართ, უნდა მოგახსენოთ, რომ გლეხების ერთი ნაწილის თვალში კოლმეურნეობას სახელი გაუტყდა. ამასთანავე ჯერ სრულებით არ შეწყვეტილა ბრძოლა კოლექტივის გარეშე მყოფ გლეხებსა და კოლმეურნეობებს შორის. რასაკვირველია, ამ ბრძოლას დღეს უფრო ფარული ხასიათი აქვს, რითაც სარგებლობენ კულაკები და სხვა ანტი-საბჭოთა ელემენტებიც. ეს ქმნის გართულებებს. ბევრს გონია, რომ საკოლმეურნეო მოძრაობის მხრით ჩვენში ეხლა ყველაფერი რიგზეა, მე უნდა შევეხო ამხ. დარახველიძის გამოსვლას. მან აქ განაცხადა, რომ ჩვენ ქუთაისის ოლქში მტკიცე მდგომარეობა გვაქვსო. ამხანაგებო, ასეთნაირად საქმის მიყენება არ შეიძლება. ჩვენ ყველამ ვიცით, თუ როგორი სულისკვეთება იყო ქუთაისის ოლქში. მართალია იქ გამოსვლებს არ აქვს ადგილი, მაგრამ, როგორც ამხ. ლ. ღოღობერიძემ აღნიშნა სწორედ დარახველიძის სიტყვის გამო, ქუთაისის ოლქში ჩვენ დაუშვით მთელი რიგი შეცდომები. ნუ თუ ამჟამად ყველა ეს შეცდომები გამოსწორებულია? არა ამხანაგებო. ამხ. დარახველიძე რასაკვირველია, მთელი ბრალდება ცენტრალურ დაწესებულებებზე გადაიტანა; მიწადმოწყობა არ ჩატარდა თავის დროზე და ამან ხელი შეგვიშალაო. მან ყურადღება არ მიაქცია იმას, რომ კოლმეურნეობიდან გამოვიდა გლეხების 60—70 პროც., რომელიც უკანვე თხოულობდა მიწას. ასეთ დროს მიწადმოწყობის ჩატარება არ შეიძლებოდა. მერმე ამხ. დარახველიძე ამბობს, რომ ჩვენ კოლექტივიზაციის მაღალი პროცენტი გვაქვს. განა ის არის კარგი, რომ 86 პროცენტიდან უცბად 25 პროცენტამდე ჩამოვედით? კიდევ საეჭვო არის შეგვრჩება თუ არა ეს პროცენტიც. მერე საქმე იმაშია, თუ როგორი სულისკვეთებაა კოლექტივებში, როგორი მდგომარეობა იქნება მოსავლის გაყოფის დროს და როგორ მოაგვარებენ ამ საკითხს.

დღევანდელი, შედარებით მშვიდობიანი მდგომარეობით დაკმაყოფილება არ შეიძლება. აი სწორედ ეს იქნებოდა მეალილეობა, ეს „კაზიონშჩინა" იქნებოდა. მე არ ვამბობ ამას მარტო დარახველიძის შესახებ, მან მხოლოდ საბაბი მოგვცა ამაზე გველაპარაკა. ეს საერთო მოვლენა არის.

ეხლა ისეთი დროა, რომ კოლექტივის დაშლა, თუ რაღაც დიდი რამ არ მოხდა, შეუძლებელია, ყანები უმეტეს ნაწილად დათესილია და მოსავლის მოლოდინში ვართ. კოლმეურნეობების დაშლა თუ მოხდა, მოხდება მოსავლის განაწილების დროს, რაც უსათუოდ ჩვენი უმოქმედობისა და უტაქტობის შედეგი იქნება. მოსავლის განაწილებისთვის მზადება—აი, რა არის დღეს ყველაზე უფრო სერიოზული საქმე და რას უნდა მიექცეს მთელი ყურადღება.

რა წესით უნდა მოხდეს მოსავლის განაწილება? აქ საჭიროა ამხანაგებო, გამოვიყენოთ მთელი ხელოვნება, მთელი გამოცდილება და არ ავყვეთ მხოლოდ შაბლონს. შეიძლება ჩვენ წავიდეთ დათმობაზედაც. არ შეიძლება საკითხს მიუდგეთ ისე, რომ წესდება ასეთია და ის უეჭველად უცვლელად უნდა გავატაროთ თქო. ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ კოლმეურნეობა დავიხსნათ, გადავარჩინოთ დარღვევას. ყოველივე წვრილმანს რომ გამოვეკიდოთ, შეიძლება ეს უმთავრესი დავკარგოთ. წესდება იმას კი არ ნიშნავს, რომ აუცილებლად ისე იქნას გატარებული, როგორც იქ სწერია. წესდება მოცემული არის სანიმუშოდ. მე ვფიქრობ, სრულებით არავითარი დანაშაული არ იქნება, თუ სადმე პირობების და გარემოების მიხედვით, ზოგიერთ დათმობაზე წავალთ. აი ასე სდგას საკითხი. რა თქმა უნდა, ჩვენ დათმობებზე წავალთ წვრილმანებში, მეორე ხარისხოვან საკითხებში და არა არსებით მხარეებში. არსებით საკითხებში ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავთმობთ, მაგრამ სხვადასხვა ფონდების გადარიცხვის, პროცენტების და სხვა ასეთი წვრილმანი საკითხებისათვის ჩვენ საქმე არ უნდა გავაჭიანუროთ.

ნუ დავივიწყებთ ამხანაგებო, რომ ჩვენს მტრებს არ სძინავთ. ყოველ ჩვენს შეცდომას, ყოველ ნაკლს ისინი ერთი-ათად აზვიადებენ, ერთი-ათად ბერავენ და იყენებენ არა მარტო კოლექტივიზაციის, არამედ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგაც.

აქ ლაპარაკი იყო პასუხისმგებელ ამხანაგების გაგზავნის შესახებ სოფლად. ეს ლაპარაკი არ უნდა დარჩეს მარტო სიტყვებად, არამედ უნდა განხორციელდეს და თუ საერთოდ ოდესმე უნდა განხორციელდეს, სწორედ ეხლა, ვინაიდან სწორედ ეხლა გვაქვს საპასუხისმგებლო მომენტი.

მთავარი საფრთხე — მემარჯვენე გადახრა

შევეხები იმას, ვინ არის დღეს ჩვენთვის საშიშარი: ტროცკისტები, თუ მემარჯვენეები, ტროცკისტები უკვე კონტრ-რევოლუციონურ ბანაკში გადავიდნენ და ისინი არა თუ მენშევიკებს უერთდებიან, არამედ კონტრ-რევოლუციონურ ბურჟუაზიასაც კი უჭერენ მხარს. ამიტომ ისინი დღეს ჩვენთვის არ არიან ისე საშიში, მათ სახეს უკვე იცნობს მუშათა კლასი, რომელიც მათ ანკესზე არ წამოეგება. რაც შეეხება მემარჯვენეებს, ისინი დღეს უმთავრეს საფრთხეს წარმოადგენენ. მემარჯვენე კომუნისტების მოქმედებას არსებითად ჩვენ მივყავართ კულაკების გამარჯვებისაკენ და არა მათი მოსპობისაკენ. საჭიროა ადგილობრივმა ამხანაგებმა ფხიზლად ადევნონ თვალი გადახრებს, განსაკუთრებით მემარჯვენე გადახრას, როგორც პრაქტიკაში, ისე თეორიაში და ძირშივე ჩაკლან ისინი.

უკანასკნელი გადამწყვეტი ბრძოლისაკენ

მე ვფიქრობ, რომ ჩვენ უდიდესი გამოცდილება მივიღეთ. ჩვენ ეს გაკვეთილები, ეს გამოცდილება უნდა შევისწავლოთ და მომავალში შეცდომები აღარ დაუშვათ. ეს ყველაფერი უნდა გამოვიყენოთ.ამაზედ უნდა ვისწავლოთ. ეს გაკვეთილი მიღებულია თვით ცხოვრებიდან და ამიტომ ყველაზე უფრო სასარგებლოა ჩვენი მუშაობისათვის.

როგორც მოგეხსენებათ, ჩვენ ვდგევართ დიდი საპასუხისმგებლო მომენტის წინაშე, ჩვენ ვაწარმოებთ გადამწყვეტ ბრძოლას: გადამწყვეტი ბრძოლა სწარმოებს კერძო, ინდივიდუალურ მეურნეობასა და კოლმეურნეობებს შორის, ბურჟუაზიულ ეკონომიკასა და სოციალისტურ ეკონომიკას შორის. ეს [illegible] რაა, ასე დგას ეხლა საკითხი. კულაკები, რომლებიც დღეს თავს [illegible] ლროს და მომავალში კიდევ უფრო ძლიერ იერიშს მოიტანენ ჩვენზე, ისინი უბრძოლველად არ დასთმობენ თავიანთ პოზიციას. ვინ გაიმარჯვებს, ვინ ვის მოერევა, ვინ გადაიბირებს საშუალო გლეხობას, შევძლებთ თუ არა მის შენარჩუნებას—აი, როგორ დგას დღეს საკითხი. მე ვფიქრობ, რომ ეს საკითხი აუცილებლად ჩვენს სასარგებლოდ გადაიჭრება. მაგრამ იგი გადაწყდება არა თავისთავად, არა „თვითდენით", არამედ ამ მუშაობაში შეჭრით და მასების დაპყრობით. (მხურვალე ტაში).

*) აფხაზეთში 1929 წ. 1 აპრილისათვის კოლმეურნეობებში გაერთიანებულ მეურნეობათა რიცხვი უდრიდა 1 პროცენტს; ამავე წლის 1 დეკემბრისათვის— 3 პროცენტს.

ამხ. ფ. მახარაძის საბოლოო სიტყვა

ამხანაგებო! მე ჩემს მოხსენებაში ვერ შევძელი სანახევროდაც ამომეწურა ის მასალა, რომელიც მქონდა. ეს შეუძლებელი გახდა იმიტომ, რომ დიდ დროს მოითხოვდა.

უნდა მოგახსენოთ, რომ მე უფრო მეტს მოველოდი აქ გამოსულ ამხანაგებისაგან, მე მეგონა, რომ ისინი პრაქტიკულად მიუდგებოდნენ საკითხს და საკმაო მასალას მოგვცემდენ საკოლმეურნეო მოძრაობიდან. მაგრამ ეს იმედი არ გამართლდა. არაა საჭირო საერთო ფრაზები, ათასჯერ გადაღეჭილ-გადმოღეჭილი სიტყვები. ნუ გეწყინებათ და ორატორების უმეტესი ნაწილის სიტყვები ასეთი იყო: ამხანაგები საკითხს არ ეხებოდნენ კონკრეტულად, არ იძლეოდნენ კონკრეტულ მითითებებს იმ მდგომარეობის გამოსასწორებლად, რომელშიაც ჩვენ ვართ.

შემდეგ, ამხანაგებო, არავინ არ შეჩერებულა იმაზე, თუ როგორ ცხოვრობენ ჩვენი კოლექტივები, რა საკითხები აღელვებთ მათ, რა სტკივათ და რა ღონისძიებები უნდა ვიხმაროთ საქმის გამოსასწორებლად. ნუ დაგავიწყდებათ, რომ კოლექტივებში დღეს დიდი ბრძოლაა, ბრძოლაა კოლექტივებსა და მათ ირგვლივ შემორტყმულ გლეხებს შორის, ბრძოლა თვით კოლექტივებს შიგნით. ყოველივე ამის შესახებ აქ თითქმის არაფერი თქმულა, ეს ძალიან ცუდი მოვლენაა. რას უნდა მიეწეროს ეს? მე მგონია, ამის მიზეზია ის, რომ ჩვენ შევასუსტეთ ყურადღება კოლექტივიზაციისადმი. იყო შეცდომები, გადამახინჯებები, ამის შესახებ დიდი აურ-ზაური ავტეხეთ, შემდეგ ხელახალი კამპანიები ჩავატარეთ და ახლა კი გვგონია, რომ მუშაობა ნორმალურ კალაპოტში ჩადგა. მაგრამ ჩვენ ყოველდღიურად ვღებულობთ ცნობებს, რომ ადგილებზე ჯერ კიდევ ყველაფერი რიგზე არ არის, იქ ბევრ სამწუხარო მოვლენებს აქვს ადგილი, დღესაც ბევრი ტკივილი აწუხებთ კოლმეურნეობებს. როგორ ფიქრობთ, ამას წამლობა არ უნდა? ჩვენ ეხლავე უნდა მივაქციოთ ყურადღება ამ გარემოებას, თვითეულმა თქვენგანმა უნდა შეისწავლოს, თუ რა ბრძოლა სწარმოებს კოლექტივებში და მათ გარეთ. აი, მაგალითად, აიღეთ ასეთი შემთხვევა: საყოველთაო მოვლენაა, რომ კოლექტივებიდან გასული გლეხკაცობა თავის შრომის ანაზღაურებას თხოულობს. ამ ნიადაგზე დიდი უკმაყოფილებაა. გატარებულია თუ არა ცხოვრებაში წესდება, რომელიც ჩვენ გვაქვს მიღებული და რომელზედაც ლაპარაკი იყო, რომ უეჭველად უნდა გატარდესო? ჩვენ გვაქვს ცნობები, რომ მართალია ზოგიერთ კოლმეურნეობებში ფორმალურად მიღებულია წესდება, მაგრამ არსებითად ის ცხოვრებაში არ გატარებულა. ამ საკითხს სწორი მიდგომა, სწორი გაგება უნდა.

ჩვენ დაპირება ვიცით, მაგრამ დანაპირების შესრულებაზე ხშირად თავს არ ვიწუხებთ. თქვენ გეხსომებათ, გუშინ გამოვიდა ამხანაგი ხეივს რაიონიდან, უმთავრესად მეცხვარეობის რაიონია, და სთქვა, რომ ჩვენ დაგვპირდნენ ტრაქტორებს და სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღებს, მაგრამ არაფერი არ შესრულებულა. ასეთ დაპირებას ბევრგან ჰქონდა ადგილი. კოლექტივიზაციის ჩატარების დროს გლეხებს ეუბნებოდნენ: ოღონდ კი შედით კოლექტივში და ყველაფერი გექნებათ: სურსათი, ფართალი და საერთოდ, რაც კი გინდათ მოგეცემათო. ეს დაუშვებელია. მე არ ვამბობ, რომ დაპირება არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ დაპირებაც არის და დაპირებაც, გლეხს თუ რამეს დაპირდები, ის უეჭველად მოგთხოვს დანაპირების შესრულებას.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ბრიგადების როლი კოლმეურნეობათა მშენებლობაში. ვის შეუძლია უარყოს, რომ მუშათა ბრიგადებმა დიდი სამსახური გაუწიეს საქმეს? ეს ყველასათვის ცხადია, მაგრამ, ამხანაგებო, ისიც უდავოა, რომ მუშათა ბრიგადებში აღმოჩნდნენ უღირსი ელემენტებიც, რომლებიც საქმეს ამახინჯებდნენ. ამაზე ითქმის: „ერთ კასრ თაფლს ერთი კოვზი კუპრი გააფუჭებსო". აიღეთ მაგალითად ასეთი შემთხვევა: სოფელ კარდანახში (კახეთის ოლქი) მუშათა ბრიგადების ხელმძღვანელობით გაჩეხილ იქნა 8 ჰექტარი ვენახი იმ მოსაზრებით, რომ ეს თურმე საჭირო იყო გზის გაფართოებისათვის. თავისთავად ცხადია, რომ ასეთი დანაშაულებრივი მოქმედება უკმაყოფილებას იწვევდა გლეხებში. ისინი სამართლიანად ეუბნებოდნენ ბრიგადირებს: თქვე ოჯახაშენებულებო, ჯერ ნახევარი ქცევა ვენახი მაინც გაგეშენებინათ და შემდეგ შესდგომოდით გაჩეხვას.

ამხ. ქვანიასა და ცხოვრებაშვილის შესახებ

ეხლა მე შევეხები ზოგიერთ ამხანაგების გამოსვლას. პირველ ყოვლისა მე უნდა შევეხო ამხ. ქვანიას გამოსვლას. ამხ. ქვანიას უყვარს თვითკრიტიკა. ეს მეტად მოსაწონი საქმეა. მეც ამ საზომით უნდა მიუდგე მის გამოსვლას ყრილობაზე. ამხ. ქვანიამ თავის სიტყვაში ცეკას ანგარიშის გარშემო განაცხადა: „აქ ამბობდენ თითქოს ჩვენ ზუგდიდის მაზრაში გასულ წელს 20 პროც.-მდე განსაზოგადოებული მეურნეობები გვქონდა. ეს არ არის სწორი. შარშან კოლმეურნეობის პროცენტი ჩვენში 3 პროც.-ს არ აღემატებოდა. ამ გაზაფხულზე ჩვენ კოლმეურნეობებში გავაერთიანეთ გლეხობის 35 პროც.-ტი. გაცხრილვის შემდეგ დაგვრჩა 15,5 პროცენტი. დამერწმუნეთ, რომ ეს ზუგდიდის მაზრის პირობებში მიღწევაა"-ო.

ამის შემდეგ მე მინდა წავიკითხო აქ ის ოფიციალური მოხსენება, რომელიც გამოგზავნილია ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის მიერ ამხ. ქვანიას, როგორც სამაზრო კომიტეტის პასუხისმგებელ მდივნის, ხელმოწერით, საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას სახელზე. მოხსენებაში ნათქვამია, რომ მიმდინარე წლის თებერვალში, ე. ი. 1930 წელს, როდესაც ჩვენში „თავბრუდახვევა" ტემპით სწარმოებდა საკოლმეურნეო მშენებლობა, ზუგდიდის მაზრაში კოლექტივების რიცხვი უდრის 45 პროცენტსო. ეს ციფრი მოხსენებაში ორჯერ არის განმეორებული, ასე რომ უნდა ვიფიქროთ აქ შეცდომა არ არის. ამასთანავე ამხ. ქვანია აღნიშნავს ამავე მოხსენებაში, რომ გასული წლის დამლევს, როდესაც ზუგდიდის მაზრაში ჩატარებულ იქნა კოლექტივიზაციისა და მოსავლის დღე, კოლმეურნეობათა რიცხვი მთელს მაზრაში უდრიდა 19 პროცენტსო. აი ამხანაგებო, სწორედ ამ ციფრებზე ემყარებოდა საქართველოს კომპარტიის ცეკას პლენუმი, რომელმაც საჭიროდ სცნო სხვა რაიონებთან ერთად ზუგდიდის მაზრაც ყოფილიყო მთლიან კოლექტივიზაციაზე გადაყვანილი. ეხლა კი ამხანაგი ქვანია ამბობს, რომ მართალია, ჩვენ მაზრაში კოლმეურნეობათა რაოდენობა 15 პროცენტამდე ჩამოვიდა, მაგრამ ეს უნდა ჩაითვალოს მიღწევადო. რაღაცა ასე არ გამოდის, ამხანაგებო, მართალია, ზუგდიდის მაზრაში არის საუკეთესო კოლექტივები, მაგალითად სოფ. ფახულანის კოლექტივი, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აქ არც თუ ისე დიდი მიღწევებია. საჭიროა ვილაპარაკოთ იმაზე, რაც სინამდვილეში არის. მე ამით სრულიადაც არ მაქვს სურვილი ვაწყენინო ვისმეს, მაგრამ ეს უნდა იქნას აღნიშნული.

მეორე ორატორი, რომლის გამოსვლაც ყურადღების ღირსია, არის ამხ. ცხოვრებაშვილი გორის ოლქიდან. მისმა გამოსვლამ გუშინ ცუდი შთაბეჭდილება დასტოვა. მან მეტად კარგი სურათი დაგვიხატა, განაცხადა: „თესვა ბოლშევიკურად დავამთავრეთ, დაშვებული შეცდომები გამოვასწორეთ, 500 ჰექტარზე ხილის ბაღი გავაშენეთ, მოსახლეობის 35 პროც. გაერთიანებულია კოლექტივებში. ყველა ეს კოლექტივები საფუძვლიანი კოლექტივებიაო". ეს არ ვარგა, ამხ. ცხოვრებაშვილო, გაფერადება აქ არაა საჭირო. ამ ყრილობას ნამდვილი თვითკრიტიკის ნიშნის ქვეშ ვატარებთ, ეს, მართლაც, პირველი ყრილობაა, რომელზედაც ასე მკაცრად, ულმობლად ვაკრიტიკებთ ჩვენს მუშაობას. აქ კი ამხ. ცხოვრებაშვილი გამოდის და საქმეს ისე გვიხატავს, თითქოს ყველაფერი რიგზე იყოს. მე ხელთ მაქვს ფაქტები, თუ როგორ ტარდებოდა კოლექტივიზაცია გორის ოლქში. ავიღოთ, თუ გნებავთ სტალინისის რაიონი. მოგეხსენებათ, სტალინისის რაიონი მუშათა ცენტრია. იქ გვაქვს სატრაქტორო სადგური, ამასთანავე ეს კუთხე უმთავრესად ხორბლეულის რაიონია. ყველაფერი ეს ხელს უწყობდა კოლექტივიზაციას.მაგრამ როგორ ხდებოდა კოლექტივების მოწყობა? მე მოვიყვან რამდენიმე ფაქტს. სულ რაღაც 15 დღის განმავლობაში სტალინისის რაიონში კოლექტივში შეიყვანეს გლეხობის 95 პროც. ასეთი აჩქარება პირდაპირ იშვიათია. მერე როგორ მოხდა ეს? რასაკვირველია, ადმინისტრატიული დაწოლით. განკულაკების შესახებ დადგენილებები გამოქვეყნდათ იმავე კრებებზე, რომლებზედაც ირჩეოდა კოლექტივების შექმნის საკითხი. თუ რა გავლენას მოახდენდა ეს გლეხობაზე, ამას ყველა კარგად მიხვდება. ასეთი ტემპი რასაკვირველია, კარგ შედეგს არ მოიტანდა და არც მოიტანა. ეს თავის თავად ცხადია. ეხლა შევეხოთ, თუ როგორ ხდებოდა განკულაკება. სოფელ ქვემო ყორნისში გააკულაკეს 10 მოსახლე. ამ 10 მოსახლიდან საშუალო გლეხი გამოდგა 7, რომელთაგან 4 მაშინვე გადაასახლეს. საშუალო გლეხებმა, რომლებიც თავდაპირველად, არ ვიტყვი დიდი ენტუზიაზმით, მაგრამ მაინც კოლექტივში შესვლის მსურველნი იყვნენ, ამ ამბის შემდეგ უკან დაიხიეს. ამხანაგმა ცხოვრებაშვილმა განაცხადა: „ჩვენ გავაშენეთ 500 ჰექტარზე ბაღიო". კარგი და მშვენიერი, მაგრამ საკითხავია რისთ არ აღნიშნა მან, თუ რა მოხდა რუისის რაიონში, სადაც საუკეთესო სამრეწველო ხასიათის ბაღები 300-800 საჟენიან ნაკვეთებად დააქუცმაცეს? ეს არავის ეპატიება. ამას ჩვენი მტრები კულაკებიც კი გამოიყენებენ.

ღარიბები მოითხოვენ, რომ საშუალო გლეხებმა მთელი თავისი ქონება შემოიტანონ კოლექტივებში, საშუალო კი ამას გაურბის და ამ ნიადაგზე ხდება უთანხმოება მათ შორის. რატომ ხდება ეს? იმიტომ, რომ ჩვენ ამ წინააღმდეგობას ჯეროვან ყურადღებას არ ვაქცევთ. კარგი, რომ სამეცნიერო საგამოკვლევო ინსტიტუტმა გამოგზავნა კომისია და გამოიკვლია ეს საკითხები, თორემ ამხანაგები მათ შესახებ, როგორც სჩანს, აქაც არაფერს იტყოდნენ.

ქალები აქტიურად გამოდიან და ეუბნებიან ქმრებს — გაგეყრებით, თუ კოლექტივებს თავი არ დაანებეთო. რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ რომ აქ გამოვიდეთ და ვსთქვათ, რომ ყველაფერი კარგათ არისთქო, არ იქნება მართალი. გამოკვლევა ამტკიცებს, რომ შრომის საკითხი კოლმეურნეობებში არ არის მოწესრიგებული, ღარიბები არღვევენ შრომის დისციპლინას, ამას უყურებს საშუალო გლეხი და მას კოლექტივზე გული უცრუვდება. არიან კოლექტივები, სადაც გარეთ სამუშაოზე გასულ გლეხს უფლება არა აქვს აღებული ხელფასი თავისთვის მოიხმაროს, მან იგი უნდა შეიტანოს კოლექტივის სალაროში. მაგალითად, ოსიაურის კოლექტივის გამგეობას დადგენილება გამოუტანია: როცა კოლექტივის წევრი სამუშაოზე გადის, მან ქირა კოლექტივის სალაროში უნდა შეიტანოს, თვითონ კი ეს დღე სამუშაო დღედ ეწერება. ეს ყოვლად დაუშვებელია. ამის შემდეგ ვინ გავა სამუშაოზე? ცხადია, არავინ.

გარდა ამისა გორის ოლქის მდგომარეობის დასახასიათებლად საჭიროა მოვიყვანოთ შემდეგი ფაქტები: თვით გორის რაიონში განკულაკებულ იქნა 75 მეურნე. მათ შორის საშუალო გლეხი იყო 44 და ღარიბები 3. ხაშურის რაიონში განკულაკებულ იქნა 36 მეურნე, მათ შორის საშუალო — 31. კასპის რაიონში განკულაკებულ იქნა 31 მეურნე, მათ შორის საშუალო — 30 და ღარიბი — 2. ამ ფაქტების შემდეგ ამხანაგებო, სრულიადაც არ არის საჭირო სინამდვილის შეფერადება. ეხლა საჭიროა სწორად ავსწონ-დავსწონოთ მდგომარეობა და ამის მიხედვით დავსახოთ პრაქტიკული ღონისძიებანი.

კოოპერაციისა და საკოლმეურნეო ურთიერთობა

შემდეგ, აქ გამოვიდა ამხ. გვარამია და შეეხო საწარმოო კოოპერაციის და კოლმეურნეობათა სისტემას შორის ურთიერთ დამოკიდებულებას. ამ მხრით გაუგებრობას აქვს ადგილი. აქ არსებობს ორგანიზაციული შეუთანხმებლობა. ამხ. გვარამია სამართლიანად აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ სინამდვილეში აქა-იქ კოოპერაციის და კოლმეურნეობათა მუშაკები მტრულად უყურებენ ერთი მეორეს, რაც ცუდ გავლენას ახდენს როგორც ერთზე, ისე მეორეზე, ამხანაგი წინადადებას იძლევა ერთი საერთო ცენტრის შექმნის შესახებ. იგი იძლევა ორგანიზაციულ სქემას, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ერთიანი ხელმძღვანელობა ამ შემთხვევაში. ეს საკითხი ეხლა მუშავდება საბჭოთა კავშირის მასშტაბით, და ჩვენი ცენტრ. კომიტეტიც შეეცდება დააჩქაროს მისი გადაჭრა.

ნუ აჰყვებით კლასობრივი მტრის პროვოკაციას

მე მინდა შევეხო კიდევ ამხ. ფანცულაიას (ლანჩხუთის მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონი) გამოსვლას. მან სხვათა შორის, განაცხადა: „ამხანაგებო, მე მინდა შევეხო კოლმეურნეობის მშენებლობის ნაკლს და იმას, თუ რა უშლიდა მას ხელს. ჩვენ გვქონდა ბევრი სიძნელე. პირველი სიძნელე საბჭოთა მამულებში უნდა ვეძიოთ. ერთი ღერი ასანთით გლეხები აკეთებდნენ იქ დღეში 9-11 მანეთს. საბჭოთა მამულებს ქონდათ ეკალი და ჯაგნარი და ერთი ასანთის ღერით გლეხობა ასე დიდ ხელფასს ღებულობდა. ამან შექმნა ის, რომ კოლმეურნეობის წევრები იქ ამჯობინებდნენ მუშაობას. სახელმწიფო ფული უკაიროთოთ არ უნდა იფლანგებოდეს, როდესაც იქ ქირა 3-4 მანეთზე დავიდა, გლეხობა კოლმეურნეობას დაუბრუნდა".

აქ რაღაც დიდი გაუგებრობაა. მე ვფიქრობ, რომ ის, რასაც ამხ. ფანცულაია ამბობს, კოლმეურნეობის მტრების მიერ გამოგონილი ჭორი და პროვოკაციაა. არასოდეს „საქართველოს ჩაი"-ს საზოგადოებას ასეთი ხელფასი არ აძლევდა მუშებს, და არც შეეძლო მიეცა. მუშის დღიური ხელფასი ჩაის საბჭოთა მეურნეობებში არ ასცილებია 4-5 მანეთს, და ეს იმ შემთხვევაში, როცა გლეხები მუშაობდნენ ნარდით დღეში 9-10 საათის განმავლობაში. ყველაფერი ეს განზრახ არის შეთხზული, რათა შუღლი ჩამოაგდონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შორის. დეე ჩვენი ამხანაგები ნუ წამოეგებიან მტრის მიერ გადმოსროლილ ანკესზე.

ყურადღება ინდივიდუალ მეურნეებს

როგორი განწყობილებაა დღეს კოლმეურნეობებსა და გარეთ მყოფ გლეხებს შორის? აქაც ყველაფერი არ არის რიგზე. სხვათა შორის, დღეს გაზეთ „კომუნისტში" მოთავსებულია ერთი წერილი: „გარდატეხა არ მომხდარა". მოვიყვანოთ ზოგიერთი ადგილები ამ წერილიდან: „ჩვენს განკარგულებაში მყოფი ცნობებით მტკიცდება, რომ ზოგიერთ რაიონებში და სოფლებში ადგილი აქვს ინდივიდუალური მეურნე გლეხებთან დამოკიდებულების ყოვლად უმსგავსო ფაქტებს: ბორჩალოს, გორისა და კახეთის მთელ რიგ სოფლების სახ.-სამ. კამპანიის გეგმებში გათვალისწინებული არ იქნა ინდივიდუალურ მეურნეობისათვის ორგანიზაციული და სამეურნეო დახმარების გაწევის საკითხები. გარდა ამისა, სათესლე და ფულად კრედიტების განაწილების დროს სრულიად ავიწყდებათ ინდივიდუალური მეურნეობანი. თითქმის ყველა რაიონებში ერთნაირი მდგომარეობაა ინდივიდუალურ მეურნეობათა თესლით დაკმაყოფილების მხრივ. უმეტეს შემთხვევებში თესლი სრულიად არ ეძლევა ინდივიდუალურ მეურნე ღარიბ გლეხებს".

ამნაირად, ზოგიერთ რაიონებში ინდივიდუალურ მეურნე გლეხებს არ უწევენ სათანადო დახმარებას, არ აძლევენ სესხს, არ აძლევენ თესლს. კოლექტივიდან გამოსულ გლეხებს არ უბრუნებენ მიწის იმ ნაკვეთებს, რომლებიც მათ განკარგულებაში იყო. აი რა სწერია ამის შესახებ იმავე წერილში: „კიდევ უარესი მდგომარეობაა იმ გლეხების მიმართ, რომელნიც არასწორად და იძულებით შექმნილ კოლექტივებიდან გავიდნენ. კოლექტივებიდან გასულ გლეხების მიმართ ზოგიერთ რაიონებში ადგილი აქვს უხეშად მიდგომის აღმაშფოთებელ ფაქტებს. მათ უმრავლეს შემთხვევებში არ უბრუნებენ განსაზოგადოებულ თესლს და არ აძლევენ თავისი მიწის სამაგიერო ნაკვეთს.

არის აგრეთვე „შურისძიების" და „სამაგიეროს გადახდის" სხვა მაგალითები, რომელნიც ნათლად ადასტურებენ კოლექტივებიდან გასულ გლეხებისათვის უხეშად და უკანონოდ მოპყრობის შემთხვევებს".

ეს მეტად დამაფიქრებელია. შემდეგ სწერია: „გარდა ამისა, ინდივიდუალურ მეურნეთათვის და განსაკუთრებით კოლექტივებიდან თავიანთი სურვილით გასულთათვის შეუფერებელი მოპყრობა აძლიერებს კულაკების გავლენას და აღიდებს მის მავნებლურ შანსებს. კულაკობა მარჯვედ სარგებლობს ინდივიდუალურ მეურნე გლეხებისათვის ადგილობრივ ორგანიზაციების მხრივ არასწორად მოპყრობით და იგი ფართოდ იყენებს ღარიბ-საშუალო გლეხებში ზემოხსენებულ გარემოებით გამოწვეულ უკმაყოფილებას".

აი, ამხანაგებო ამას უნდა გაეწიოს ანგარიში იმიტომ, რომ ჩვენ დღეს საქართველოში კოლექტივებს გარეშე გვყავს ღარიბ და საშუალო გლეხების 80 პროც.

დღეს სწორედ შურისძიებებს აქვს ადგილი: „რისთვის გადი კოლექტივიდან, შენ არაფერი გერგება, თუ სიმინდია—ეს კოლექტივში უნდა იყუოსო". აი, ასეთი მიდგომა საკითხისადმი დაუშვებელი არის. ჩვენ არ უნდა გავამწვავოთ საკითხი. მართალია ჩვენ ვიცით, რომ გლეხები უეჭველად უნდა შევიდნენ კოლექტივში, მაგრამ არა ისეთი წესით, რა წესითაც აქამდე შეიყვანეს.

აქ გამოვიდა ამხ. გვასალია და განაცხადა, რომ საკითხი პურეულითა და ხორცით მომარაგების შესახებ არ არის გადაჭრილი. შემდეგ ის აცხადებს: ჩვენთვის უნდა გამოეგზავნათ 600 ათასი ფუთი სიმინდი, ამის მაგივრად მხოლოდ ნახევარი მივიღეთ და, თუ მივიღებთ დანარჩენს, პასუხს არ ვაგებთ იმისათვის, რაც ზუგდიდის მაზრის კოლექტივებში მოხდებაო. აქედან ჩვენ ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ თუ ზუგდიდის მაზრაში 300 ათასი ფუთი სიმინდი არ იქნა გაგზავნილი, მაშინ იქ კოლმეურნეობები დაინგრევა. ასე საკითხის დაყენება არ ვარგა. სიმინდი ზუგდიდს ესაჭიროება ; აგრეთვე ქუთაისს, სამტრედიას, ყოფ. შორაპნის მაზრას, სენაკის მაზრას და სხვ. შესაძლებლობის ფარგლებში ყველას დავაკმაყოფილებთ, რის საშუალებაც არ გვექნება, იმას კი ვერავის შევპირდებით.

ერთი გარემოება კიდევ. ზოგიერთი ორგანიზაციები არ იჩენენ საკმაო ყურადღებას კოლმეურნეობათა მშენებლობისადმი. მე გადმომცეს ერთი ფაქტი: შარშან შემოდგომაზე აჭარისტანის კოლმეურნეობის ცენტრს ბიუჯეტის ხაზით მიეცა 11 ათასი მანეთი, რომელიც გაგზავნილ იქნა აჭარისტანის მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის სახელზე. წარმოიდგინეთ, იქ ყოფილა ვინმე კეკელიძე, რომელსაც ეს სესხი დაუმალავს და არ გადაუცია დანიშნულებისამებრ. როდესაც ეს ამბავი შეიტყო კოლმეურნეობის ცენტრმა, გაასაჩივრა თბილისში, მაგრამ თანხა იმდენად დიდხანს იდო გამოუყენებლად, რომ კრედიტი დაიხურა.

კოლმეურნეობისადმი ცუდათ მოპყრობას მოწმობს აგრეთვე ის ფაქტი, რომ კოლმეურნეობის ცენტრი გამოძევებულია ბინიდან, სხვა ბინა არ მიუციათ და ის დღეს სადღაც დერეფანში არის მოთავსებული.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კოლმეურნეობების გამგეობებში ავტორიტეტიანი საქმის მცოდნე უპარტიო გლეხების ჩაბმას, მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ ზოგიერთ კუთხეებში ეს ასე არ ხდება. ეს კი დაუშვებელია. ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ ამ საქმეში ჩავაბათ როგორც პარტიული, ისე უპარტიო გლეხობა; ჩვენში ბევრია გამოცდილი, მცოდნე და ამ საქმით დაინტერესებული უპარტიო გლეხი; რათ არ უნდა გამოვიყენოთ ისინი?

შემდეგ, მარტო იმის თქმა საკმარისი არაა, რომ ამდენი გაკეთდა, ამდენი არის გაერთიანებულიო. ვიმეორებ ეს არ კმარა, ეხლა საჭიროა ვიცოდეთ, სად რა ხდება, სად რა სულისკვეთებაა. აი რა საკითხებს უნდა ექცეოდეს ყურადღება, აი რა უნდა იქნეს შესწავლილი.

ამხანაგებო, ზოგ კოლმეურნეობებში სხვათა შორის აი რა ნიადაგზეა გამოწვეული საშუალო გლეხების უკმაყოფილება. ჩვენ ვამბობთ, რომ კოლმეურნეობაში აუცილებლად უნდა ჩამოყალიბებულ იქნას ღარიბთა ჯგუფები. ეს გარემოება საშუალო გლეხს აღელვებს. ის ამაში ხედავს რაღაც შეთქმულებას მის წინააღმდეგ. იყო შემთხვევა, რომ საშუალო გლეხები მიდიოდენ ღარიბების კრებებზე, ღარიბები მათ არ უშვებდნენ, ამიტომ საშუალო გლეხები მიდიოდნენ და ცალკე აწყობდნენ კრებებს. უნდა ითქვას, რომ ღარიბთა ჯგუფები კოლექტივებში ის არ არიან, რაც საბჭოებში. რას წარმოადგენს ღარიბთა ჯგუფები კოლექტივში? მათ მოვალეობას შეადგენს სწორედ იმ უთანხმოების მოსპობა, რომელიც ღარიბთა და საშუალო გლეხთა შორის განხდა. ღარიბები კი ფიქრობენ, რომ ყველაფერი უნდა გაერთიანდეს კოლმეურნეობაში, ეს ასე არ არის, ეს უნდა აუხსნათ ღარიბებს. რასაკვირველია, კოლმეურნეობაში არის თანასწორობა, მაგრამ ზოგს ჰგონია კოლმეურნეობა—ეს სოციალიზმიაო. ერთმა ამხანაგმა საკავშირო ყრილობაზე განაცხადა, რომ მე ვიყავი თქვენ კოლმეურნეობაში, მაგრამ იქ ვერაფერი სოციალიზმი ვერ ვნახეო. უნდა იცოდეთ ამხანაგებო, რომ კოლმეურნეობა სოციალიზმის მხოლოდ სკოლაა და არა სოციალიზმი.

შეცდომის გულწრფელი აღიარება უზრუნველყოფს მის გამოსწორებას

ეხლა, რაც შეეხება თვითკრიტიკას. აქ კიდევ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი. შეცდომა იმდენად არ არის საშიში, რამდენადაც ამ შეცდომის არ ცნობა, ჯიუტობა. თუ შეცდომა გულწრფელად აღიარე, ისშემდეგ შეგიძლია გამოიყენო როგორც გაკვეთილი, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ამ შეცდომას ფორმალურად ბევრჯერ ცნობენ. გულწრფელად კი არა.

ამხანაგებო, კიდევ ერთხელ უნდა განვაცხადო, რომ კულაკები და ანტისაბჭოთა პარტიები ჩვენში მოქმედებენ, არ ისვენებენ და არც მოისვენებენ, სანამ ფიზიკურად არ განადგურდებიან. ეს ბრძოლა, რომელიც დღეს სწარმოებს, როგორც ვამბობდი ჩემს მოხსენებაში, მართლაც გადამწყვეტი ბრძოლაა. ეს ბრძოლა არა ისეთია, როგორიც იყო წინეთ. აქ კულაკები ყოველგვარ ზომებს მიმართავენ, მოიყვანა იქნება ის, პროვოკაცია თუ სხვა. ნუ დაგვავიწყდება, რომ ქალების ორგანიზატორობაც მათ კარგად ჰქონიათ მოწყობილი. სამწუხაროდ, ჩვენ აქ სუსტათ შევიქენით. განა ჩვენ არ გვაქვს მეტი უფლება, რომ ქალების ორგანიზატორად ჩვენ გამოვიდეთ? ეს დიდი ნაკლია. ის, რომ ჩვენ ვერ გამოვიდეთ ქალების ორგანიზატორებად, იმათ ხელმძღვანელებად, ეს ნიშნავს ჩამორჩენილობას, მასებისგან ჩამოშორებას. ამ მდგომარეობას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. ქალთა შორის მუშაობა ერთ ძირითად ამოცანად უნდა დავისახოთ, ქალები აქტიურად უნდა ჩავაბათ საკოლმეურნეო მოძრაობაში, მათი აქტივობა კოლმეურნეობათა სასარგებლოდ უნდა წავმართოთ.

აი, ამხანაგებო, ის საკითხები, რომლებზედაც მე მინდოდა შემეჩერებინა თქვენი ყურადღება. მე ვათავებ საბოლოო სიტყვას ამხ. სტალინის წერილში მოყვანილ შემდეგ მითითებით:

„ხელმძღვანელობის ხელოვნება სერიოზული საქმეა. არ უნდა ჩამორჩე მოძრაობას, რადგან ჩამორჩენა ნიშნავს მასებისაგან მოწყვეტას, მაგრამ არ ვარგა არც წინ გასწრება, რადგან წინ გასწრება ნიშნავს კავშირის დაკარგვას მასებთან. ვისაც სურს უხელმძღვანელოს მოძრაობას და ამასთანავე შეინარჩუნოს კავშირი მილიონიან მასებთან, მან უნდა აწარმოოს ბრძოლა ორ ფრონტზე—ჩამორჩენილობის წინააღმდეგ და წინ გასწრებულთა წინააღმდეგაც". (ხანგრძლივი ტაში).

სამზადისი პროფინტერნის მე-5 კონგრესისათვის

11 ივნისს საქ. პროფსაბჭოს დიდ დარბაზში შესდგა თბილისის პროფაქტივის გაფართოებული საქალაქო კრება, რომელზედაც საერთაშორისო პროფმოძრაობის მდგომარეობისა და პროფინტერნის მომავალ მე-5 კონგრესის (რომელიც გაიხსნება 15 აგვისტოს) ამოცანების შესახებ, მოხსენება გააკეთა პროფინტერნის ცენტრალური საბჭოს წევრმა ამხ. რუბინშტეინმა. ლათინური ამერიკის პროფკავშირების მდგომარეობისა და მათი იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კრებაზე მოხსენება გააკეთა ლათინური ამერიკის პროფკავშირების წარმომადგენელმა პროფინტერნში ამხ. ორნანდომ.

ორატორებს აუდიტორია მქუხარე ტაშით შეეგება. მოხსენებების გარშემო გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რის შედეგად კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ „ეხლა როდესაც წინააღმდეგობა კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის განუწყვეტლივ იზრდება, როდესაც ძლიერდება მსოფლიო ეკონომიური კრიზისი, რომელიც ძირს უთხრის კაპიტალისტურ სტაბილიზაციას, როდესაც მოწინავე კაპიტალისტურ და კოლონიალურ (ინდოეთი, ჩინეთი) ქვეყნებში მწვავდება კლასობრივი ბრძოლა, იზრდება უმუშევართა რიცხვი, ფართოვდება და ძლიერდება რევოლიუციური მოძრაობა, როდესაც თან სდევს მუშათა მასების გამემარცხენობა, ხოლო მეორეს მხრივ საბჭოთა კავშირში დღითი-დღე ფართოვდება სოციალისტური მშენებლობა და 5 წლიანი გეგმის საგრძნობი ნაწილი უკვე განხორციელებულია, ამ დროს პროფინტერნის მე-5 კონგრესს უაღრესად დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. მან ჯამი უნდა გაუკეთოს რევოლიუციონური პროფორგანიზაციების მთელ წარსულ მუშაობას, შეაფასოს ეს მუშაობა ყოველ მხრივ და დასახოს მომავალი გადამწყვეტი ბრძოლების სწორი ხაზი და ამით ხელი შეუწყოს იმპერიალიზმისა და მათი დამქაშების, სოციალ-ფაშისტების საბოლოოდ დამარცხებას და მთელ მსოფლიოში პროლეტარულ დიქტატურის დამყარებას".

სოც. უზრუნველყოფის დაწესებულებებში

მომუშავეთა თათბირი

11 ივნისს თბილისში გაიხსნა სოც. უზრუნველყოფის სამაზრო და საოლქო განყოფილებათა წარმომადგენლების რესპუბლიკანური თათბირი, რომელიც მოწვეულია სოც.-უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის ინიციატივით.

სოციალური უზრუნველყოფის სახ. კომისარმა ამხ. ვ. ვაშაკიძემ სოციალური უზრუნველყოფის საქმის მდგომარეობის შესახებ გაკეთებულ მოხსენებაში აღნიშნა, რომ 1928—29 სამეურნეო წელთან შედარებით მიმდინარე სამეურნეო წლის განმავლობაში სოციალური უზრუნველყოფის საქმისათვის გადადებული თანხები საგრძნობლად შემცირდა. გასულ სამეურნეო წელში კომისარიატს დიდი შემოსავალი ჰქონდა სხვადასხვა სათამაშოებიდან, მაგრამ შემდეგ ეს სათამაშოები დაიხურა და შემოსავალმაც იკლო. სამაგიეროთ მიმდინარე სამეურნეო წლის ბიუჯეტი გადიდებულ იქნა ერთი ორად, მაგრამ მოთხოვნილება ისე დიდია, რომ კომისარიატი ვერ ახერხებს მოთხოვნილების ნახევრის დაფარვასაც კი.

სულ მთელ საქართველოში სოციალური უზრუნველყოფაზე აყვანილია 11.835 კაცი. გარდა ამისა პერსონალური პენსიები ეძლევა 826 კაცს. თანხების სიმცირის გამო პენსიები არ ეძლევა 7,337 ისეთ მოქალაქეს, რომელთაც უფლება აქვთ მიიღონ პენსია.

კომისარიატის მიერ მთელ რესპუბლიკაში მოწყობილია 6 საინვალიდო სახლი, რომელშიაც მოთავსებულია და სახელმწიფოს კმაყოფაზე სცხოვრობს 527 კაცი. მოწყობილია აგრეთვე 44 არტელი, რომელშიაც გაერთიანებულია 1750 ინვალიდი. არტელის წევრ-ინვალიდების საშუალო თვიური ხელფასი უდრის 77 მან. 50 კაპ.

შემდეგ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ადგილებზე სოციალური უზრუნველყოფის საქმე მიჩნეულია სასხვათაშორისო საქმეთ და მის ჯანსაღ ნიადაგზე დაყენებას არავინ აქცევს ყურადღებას. სამხრეთ-ოსეთში, მაგალითად, სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება სრულებით გააუქმეს და მისი ფუნქციები გადასცეს დამხმარე სალაროს, რომელიც რა თქმა უნდა, სრულებითაც არაა ამ საქმისთვის მოწყობილი. კახეთის საოლქო აღმასკომმა სოც. - უზრუნველყოფის საქმე უფრო ორიგინალურად მოაგვარა. იქ გააუქმეს სოც.-უზრუნველყოფის განყოფილება და მისი ფუნქციები გადასცეს სამაზრო გლეხკომს. გორის ოლქში განყოფილება გააუქმეს, ხოლო მისი ფუნქციები არავისთვის არ გადაუციათ.

დასასრულ, მომხსენებელი შეჩერდა მოხუც გლეხთა უზრუნველყოფის საკითხზე და აღნიშნა, რომ ამ მხრივ კომისარიატმა სათანადო სახსრების უქონლობის გამო ვერ შესძლო სათანადო პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა, მომავალ სამეურნეო წლიდან გადაწყვეტილია სახელმწიფოს უზრუნველყოფაზე აყვანილ იქნეს 14.000 მოხუცი გლეხი.

თათბირის პირველ სხდომაზევე გაიხსნა კამათი ამხ. ვ. ვაშაკიძის მოხსენების გარშემო. ორატორებმა აღნიშნეს, რომ სოციალური უზრუნველყოფის კომისარიატი ვერ უწევდა ადგილებს შესაფერ ხელმძღვანელობას და თუ მთელ რიგ ოლქებში და მაზრებში სოც. უზრუნველყოფის განყოფილებები გააუქმეს ამაში ერთგვარი დანაშაული კომისარიატსაც მიუძღვის.

კამათის დამთავრების შემდეგ თათბირმა მოისმინა აჭარისტანის სოც. უზრუნველყოფის გამგის. წარმომადგენლის ამხ. ქადაგიძის მოხსენება.

ქუთაის-წყალტუბოს რკინის გზა

ა.-კ. საგეგმო კომისიის შუამდგომლობა

ამიერ - კავკასიის საგეგმო კომისიამ შუამდგომლობა აღძრა ა.-კ. სახკომსაბჭოს წინაშე, რათა მან განკარგულება მისცეს ამიერ-კავკასიაში ახალი რკინის გზის ხაზების სამშენებლო სამმართველოს, რომ ამ უკანასკნელმა რაც შეიძლება მოკლე ხანში დაამთავროს საჭირო წინასწარი გამოკვლევები სამტრედია - მათხოჯის რკინის გზის ხაზის გასაგრძელებლად ქუთაისამდე.

აღნიშნულმა რკინის გზამ უნდა გაიაროს კურორტი წყალტუბო, სოფ. გუმბრი და შემდეგ ქალ. ქუთაისი, ხოლო საბოლოო ანგარიშში რკინის გზის ახალი ხაზი შეუერთდება ბაქო-ბათომის მაგისტრალს ბროწეულასთან.

თუ გამოკვლევების შედეგათ დადასტურდა, რომ სამტრედია - მათხოჯის რკინიგზის ხაზის გაგრძელება ქუთაისამდე ეკონომიურათ ხელსაყრელია, რკინის გზის მშენებლობა დაიწყება მომავალი წლიდანვე იმ ვარაუდით, რომ ერთ წელიწადში ხაზი მზად იქნეს სოფ. გუმბრამდე ქუთაისამდე.

ა.-კ. სამთო-ქიმიურმა ტრესტმა მომავალი წლისათვის გადადო 500.000 მანეთი, რომელიც უნდა მოხმარდეს გუმბრის ტრანსპორტის მოგვარების საქმეს. ამ შემთხვევაში, თუ გადაწყდა რკინის გზის გაყვანა. ეს თანხა გადმოცემული იქნება რკინის გზის სამშენებლო სამუშაოების შესასრულებლად.

დავრაზმოთ ღარიბი და საშუალო გლეხობა მოსავლის დაცვის სადარაჯოზე

გავაუმჯობესოთ სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების მოვლა-გამოყენება; მოვამზადოთ ტრაქტორისტთა ახალი კადრები

საქართველოში შენდება სამი ახალი სამანქანო-სატრაქტორო სადგური

მოსავლის დაცვის სადარაჯოზე

გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის დასრულების მოახლოვებასთან დაკავშირებით მთელ რიგ ადგილებში შემჩნეულია ყურადღების შესუსტება თესვის დამთავრების და აღნიშნული კამპანიის შემდგომი ამოცანებისადმი. ზოგიერთი ორგანიზაციები დამშვიდებას მიეცნენ და არ სწარმოებს ბრძოლა თესვის უკანასკნელი დღეების წარმატებით გამოყენებისათვის.

სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ამოცანებისადმი ჩვენი ყურადღების ასეთ დემობილიზაციას გადაჭრით ბოლო უნდა მოეღოს და მთელი ენერგიით უნდა ვეცადოთ აღნიშნული კამპანიის ბოლომდე მისაყვანად.

უპირველესად ყოვლისა საჭიროა სიმინდის თესვის საქმის განგრძობა იმ ადგილებში, სადაც კიდევ შესაძლებელია მისი თესვა, ამას ხელს უწყობს უკანასკნელი დამდგარი წვიმიანი ამინდები და ეს გარემოება უნდა გამოვიყენოთ.

მავნებლებთან ბრძოლის საქმე ვერ მიდის ნაყოფიერად. გორის ოლქში და კახეთში კალიის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში გლეხობის ფართო მასების ჩაბმა ვერ მოახერხეს და ამის გამო კალიის წინააღმდეგ ბრძოლა სათანადო ნაყოფს ვერ იღებს. გარდა ამისა კალიასთან მებრძოლი რაზმები არ არიან უზრუნველყოფილი სათანადო მასალებით და მოწყობილობით, რაც კიდევ უფრო აძნელებს მოსავლის ამ საშიშარი მავნებლის მოსპობას.

საჭიროა გადამჭრელი ზომების მიღება კალიის წინააღმდეგ მებრძოლი რაზმების გასაძლიერებლად და ამ საქმეში ადგილობრივი მშრომელი მოსახლეობის ჩასაბმელად. მთლიანად უნდა განხორციელდეს მთავრობის ის დადგენილება, რომელიც მავნებლებთან საბრძოლველად მოსახლეობის შრომითი ვალის [?] გამოყენებას შეეხება და რაც დიდ დახმარებას გაუწევს კალიის წინააღმდეგ მებრძოლ ორგანიზაციებს.

დანაშაულებრივ უპასუხისმგებლობას აქვს ადგილი სარწყავი არხების გამოყენების დარგში. ბიუროკრატიული დაუდევრობა აფერხებს ალაზნის და ტირიფონის არხის სარწყავად გამოყენებას. აი როგორი შინაარსის დეპეშას უგზავნის სიღნაღის რაიაღმასკომი კახეთის ოლქაღმასკომს: „ალაზნის არხის სამმართველოს ბამბის ნათესების ფართობზე უნდა გაეყვანა წვრილი სარწყავი არხები; დღემდე მეტი ნაწილი ბამბის ნათესებისა დარჩენილია აღნიშნული წვრილი არხების გარეშე. ამისათვის მიეცათ განკარგულება, რათა ბამბის მთელ ფართობზე გაყვანილ იქნეს მოსარწყავი არხები, წინააღმდეგ შემთხვევაში ბამბის კულტურის ნათესებს დაღუპვა მოელის".

ეს ცნობა ამტკიცებს იმ გარემოებას, რომ ჩვენს სამელიორაციო სისტემის აპარატში ადგილებზე დაბუდებულია ბიუროკრატიზმი, რომელიც აბრკოლებს უდიდეს სარწყავი არხების ნაყოფიერად გამოყენების საქმეს. წელს გვალვები ისევე ზიანს აყენებს ნათესებს და სარწყავი არხების მაქსიმალურად გამოყენება უსათუოდ გვესაჭიროება.

არც მოსავლის აკრეფის საქმეა ნაყოფიერად მომზადებული. ჩვენი თელაველი კორესპონდენტის წერილი, რომელიც ამ ორი დღის წინად გამოქვეყნდა—მოწმობს საგრძნობ ჩამორჩენას ამ მხრივ.

საჭიროა გადაუდებელი ზომების მიღება მოსავლის ასაკრეფი იარაღ-მანქანების ადრე მისაწოდებლად ადგილებისათვის. უნდა მოისპოს ისეთი მდგომარეობა, როდესაც სალეწი, სამკალი მანქანები და სხვა მოწყობილობანი რკინის გზის სადგურებზე ყრია და მას დროზე არ აწოდებენ მომხმარებს ადგილზე. იარაღ-მანქანების დანიშნულებისამებრ მიწოდებასთან ერთად საჭიროა იმ მანქანების დროზე შეკეთება, რომელიც ადგილებზე მოიპოვება და რომლის გამოყენებაც შეიძლება მოსავლის აკრებისათვის.

ამასთანავე საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების ხელმძღვანელ ორგანოებმა უნდა შეიმუშაონ მოსავლის აკრეფის ხაზობრივი გეგმები; ასეთი გეგმები დიდ პრაქტიკულ დახმარებას გაუწევს ადგილობრივ ორგანიზაციებს და მუშაკებს მოსავლის აკრების მწყობრად ჩატარების საქმეში.

ყველა ამ კითხვების დროულად მომზადებაზეა დამოკიდებული სასოფლო-სამეურნეო კამპანიის საბოლოო ეფექტი და არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ ყურადღების შენელება აღნიშნული კამპანიის მორიგ ამოცანებისადმი.

დავასრულოთ თესვა, უზრუნველვყოთ მავნებლებთან ბრძოლა, რაციონალურად გამოვიყენოთ სარწყავი არხები და ვემზადოთ მოსავლის აკრების მწყობრად ჩატარებისათვის.

ა—ძე.

8 ახალი სამანქანო-სატრაქტორო სადგური

ა.-კ. მიწადმოქმედების სახ. კომისარიატმა წინადადება მისცა „ტრაქტორცენტრი"-ს ა.-კ. განყოფილებას დადოს ა.-კ. რესპუბლიკათა მიწადმოქმედების სახ. კომისარიატებთან ხელშეკრულებები 8 ახალი სამანქანო-სატრაქტორო სადგურის აგების შესახებ.

ორი სადგური აგებული უნდა იქნეს სომხეთში (ლენინაკანის და ულუხანლუს რაიონებში), სამი აზერბეიჯანში (გეოქჩაიში, ასტრახან-ბაზარსკში და საბირაბადში) და სამი საქართველოში (შირაქის, ზუგდიდის და ლანჩხუთის რაიონებში).

მიწადმოქმედების სახ. კომისარიატებს წინადადება მიეცათ ერთი კვირის განმავლობაში გამოყონ მიწის ნაკვეთები ხსენებული სადგურების მოსაწყობად. სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მოსაწყობად გადადებულია 1 მილიონი მანეთი; ეს თანხა გამოყენებული იქნება, როგორც უკვე არსებული სადგურების გასაუმჯობესებლად, ისე ახალი სადგურების მოსაწყობად.

მეტი ყურადღება თივის დამზადებას

საქონლის საკვების საკითხის მოგვარებას ჩვენში აქამდე არა აქვს მიქცეული ჯეროვანი ყურადღება. ყველას კარგად ახსოვს, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში, ჩვენში ადგილი ჰქონდა საქონლის საკვების დიდ სიმცირეს, რის გამოც გაწყდა [?] და წვრილფეხა საქონლის ხულილი [?]. მიუხედავად ასეთი მწვავე გამოცდილებისა, როგორც ცალკე მეურნეობანი, ისე ცენტრალური ორგანიზაციები არ ღებულობენ საჭირო ზომებს საქონლის საკვების დროზე და საკმაო რაოდენობით მოსამარაგებლად. ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ისეთი საკვების მომარაგებას, როგორიც არის ბზე, ჩალა, კოპტონი და სხვა.

ამ გარემოებას ბოლო უნდა მოეღოს და როგორც თითოეულმა ცალკე მეურნეობამ, ისე ცენტრალურმა ორგანიზაციებმა უნდა მიიღონ გადამჭრელი ზომები საქონლის საკვების საკითხის საფუძვლიანად გადასაწყვეტად.

გასულ წელს საქართველოში დამზადებული იქნა 900 ათასამდე ფუთი თივა. ცხადია თივის დამზადება, რომ წესიერად ყოფილიყო დაყენებული გაცილებით მეტი რაოდენობის დამზადება შეიძლებოდა და აღარ იქნებოდა საკვების ისეთი სიმცირე, როგორიც გასულ წელს გვქონდა. მიმდინარე წლის გეგმით საქართველოში განზრახულია 20 ათასი ტონა, ანუ 1.250 ათასი ფუთი თივის დამზადება. მართალია, ეს გეგმა გასული წლის დამზადებასთან შედარებით თითქმის 35 პროცენტით მეტია, მაგრამ იგი სავსებით რეალურია და დამამზადებელმა ორგანიზაციებმა გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ ამ გეგმის არამც თუ მთლიანად, არამედ გადაჭარბებით შესასრულებლად.

ამასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აქამდე მიტოვებულ რაიონებს, როგორიც არის ტირიფონის ველი, ახალციხე-ახალქალაქის მაზრები და სხვ. ამ რაიონებისათვის განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა მით უფრო საჭიროა, რომ ყარაიას ველზე, რომელიც ჩვენი მთავარი თივის მომცემი რაიონია, მომავალში გაბატონებულ ადგილს დაიჭერენ სხვა ტექნიკური კულტურები და, მაშასადამე, თივის მოსავალი იქ თანდათანობით შემცირდება.

გარდა ამისა სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე თივის დამზადების გაუმჯობესებას. თივის დამზადება ჩვენში აქამდე პრიმიტიულად სწარმოებს. დამზადების დროს ადგილზე რჩება ბალახის ფოთოლის მეტი რაოდენობა, რომელიც წარმოადგენს საუკეთესო საკვებ მასალას და დამზადებული თივის უმეტეს ნაწილს შეადგენენ ღეროები, რომლებიც გაცილებით დაბალი ხარისხის საკვები მასალაა; ჩვენში თივის დამზადების საქმის გასაუმჯობესებლად აქამდე სრულიად არაფერი არ არის გაკეთებული.

დროა ამ საკითხს მიექცეს ყურადღება და ჩვენი სათიბების ბალახი მაქსიმალური სარგებლიანობით გამოვიყენოთ. ამასთან ერთად სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს სხვა საკვები მასალის დამზადების გაუმჯობესებას, რომ საბოლოოდ მოგვარებულ იქნას ჩვენი საქონლის გამოკვება ზამთარში და საგაზაფხულო სასოფლო სამეურნეო კამპანიების დროს აღარ დაგვეჭირდეს დროსა და ენერგიის ხარჯვა საქონლის საკვების საძებრათ.

ნ.—ძე.

სანამ უნდა გაგრძელდეს ასე

მივხედოთ ტრაქტორებს და სას.-სამ. მანქანებს

„ტრაქტორის დღე"-ს ჩატარებამდე სულ რამდენიმე დღე დაგვრჩა. ამ დღის ჩატარებამდე შტაბმა ადგილებზე მიავლინა დამხმარე ბრიგადები და სპეციალისტები, გამოსცა ლოზუნგები და ბროშურა „რა უნდა იცოდეს ტრაქტორისტ-მეხვემ". შტაბის უკანასკნელმა სხდომამ აღნიშნა, რომ ჩვენი გაზეთები ძალზე სუსტად აშუქებენ ამ საკითხს.

ბრიგადებიდან მიღებული მასალებიდან ნათლად სჩანს, რომ მთელ რიგ ადგილებში არსებობს ტრაქტორებისადმი დაუდევრობა, ტრაქტორის უთავბოლოთ გამოყენება, კოლონების ხელმძღვანელები არ გრძნობენ პასუხისმგებლობას, თვით ტრაქტორისტები კი ოდნავადაც არ ფიქრობენ ტრაქტორის მიზანშეწონილად გამოყენებაზე.

ვილაპარაკოთ ფაქტებით:

— ლაგოდეხში არის ტრაქტორთა კოლონა, სადაც 28 ტრაქტორი მუშაობს, აქედან მუშაობს 13 ტრაქტორი შირაქის ველზე, 9 ტრაქტორი კი ათი დღეა შეუკეთებლად სდგას და მის შეკეთებაზე არავინ ფიქრობს, 6 ტრაქტორი, სრულიად ჯანსაღი, ცის ანაბარად არის მიტოვებული, ის არ არის გამოყენებული. კოლონის ეზოში ყრია 5 გუთანი, 1 სამკელი მანქანა და იჟანგება, ეს მაშინ, როცა კოლონას იარაღ-მანქანებისათვის საუკეთესო თავშესაფარი აქვს და ცარიელია—გვწერს იქ მივლენილი ამხანაგი.

ვინ ხელმძღვანელობს ამ კოლონას? იქნებ არ ყავს მას პატრონი? არა, მას ხელმძღვანელობს ყველასაგან ცნობილი და საპატიო ორგანიზაცია—ლაგოდეხის რაიმეხნდგეთა [?] კავშირი.

განცვიფრებაში მოდიხარ კაცი, როცა კითხულობ ზემოდ მოყვანილ ფაქტებს და ძალაუნებურად თავისთავს უსვამ კითხვას—ნუ თუ ლაგოდეხის რაიმეხნდგეთა კავშირი ისე ჩამორჩენილია, რომ მან არ იცის როგორ უნდა ტრაქტორის და მანქანა-იარაღის მოვლა?

აი სუფსის (გურია) ტრაქტორთა კოლონა ჩამორჩება ლაგოდეხს უთავბოლობაში. ბრიგადის მოხსენებიდან გვწერს:

— „სუფსის ტრაქტორთა კოლონის ტრაქტორები უნუგეშო მდგომარეობაშია, ერთი ტრაქტორი დაზიანებულია, მას სწირდება რაღაც პატარა რკინა, მისი მოტანა ვერვინ შეიძლო. ტრაქტორები, რომლებიც გასული არიან მინდვრად ხნავენ უგემოთ და ცუდათ. თითქმის ყველა გუთანი გატეხილია. ტრაქტორისტები გულგრილად ეკიდებიან თავიანთ საქმეს. ხშირად აცდენენ დროს. ტრაქტორის ფილონ ძალზე ცუდათ. სანამ ტრაქტორში სრულიად არ გამოილევა საწვავი მასალა, მანამ მომარაგებაზე არავინ ფიქრობს, რის გამო ტრაქტორები ხშირად მთელი დღე და კვირა სდგას. ტრაქტორისტები არ არიან მომზადებული და სხვა".

როგორც სჩანს სუფსის კოლონა მოკლებულია ხელმძღვანელობას, ეს იქიდანაც სჩანს, რომ კოლონაში ჯერ ბრიგადაც კი არ არის ჩამოყალიბებული, „ტრაქტორის დღის" ჩატარებისა და მანქანა-იარაღების რაციონალურად გამოყენების გამოკვლევისათვის.

ასეთივე მდგომარეობაა ოზურგეთში (აფხაზეთი), ალუშტში [?] (კახეთი), ქობულეთში და სხვ. კიდევ შეიძლებოდა მთელ რიგ მაგალითიო ფაქტების დასახელება, მაგრამ ეს შორს წაგვიყვანდა. მდგომარეობა ნათელ სურათს გვაძლევს. ტრაქტორების და სასოფლო სამეურნეო მანქანა-იარაღების მოვლის საქმე უყურადღებოდ არის მიტოვებული.

მიუხედავად იმისა, რომ „ტრაქტორის დღის" ჩამტარებელმა შტაბმა ამ ათი დღის წინათ დაუგზავნა ადგილებს დირექტივები და მასალები, საბჭოთა მეურნეობაში ჯერ არც კი ჩამოყალიბებულა მუშათა ბრიგადები. მუშათა კომიტეტები ძალზე სუსტად მუშაობენ ტრაქტორისტებს შორის. ვერ დარაზმეს ტრაქტორისტები სოციალისტური და დამკვრელობის ფართო გაშლის ლოზუნგის ქვეშ. არც მათი შრომის პირობებია დაცული. შრომის ნაყოფიერება და დისციპლინის განმტკიცებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

მაგალითად, შირაქის ველის საბჭოთა მეურნეობაში, რომელიც 10-ათას ჰექტარს შეიცავს 28 ტრაქტორი მუშაობს, წითელწყაროს მეურნეობაში მათი არსებობაც კი არ იციან.

ეს იმას ნიშნავს, რომ სოფლის მუშკომები და სხვა სამეურნეო ორგანოები ჯერ კიდევ ვერ გადაახალისეს და მუშაობენ ძველი ფორმებით და მეთოდებით. მათ დაივიწყეს ლოზუნგი „პირით წარმოებისაკენ", „ახლოს მასებთან" [?].

ყველაფერი ეს ჩვენს წინაშე სერიოზულად სვამს საკითხს—ტრაქტორებისა და ტრაქტორისტებისადმი მეტი ყურადღების მიქცევის.

ჩვენ უფრო უნდა გავშალოთ მუშაობა „ტრაქტორის დღის" ჩასატარებლად, რომ სასოფლო მეურნეობის მუშების, მოჯამაგირეების და მშრომელ გლეხობის ფართო მასების უშუალო მონაწილეობით შევქმნათ ტრაქტორების შემოწმება, მისი რაციონალურად გამოყენების და მოვლა-პატრონობის შედეგის გამოკვლევა.

უნდა მოვსპოთ ის უთავბოლობა და ბიუროკრატიული მიდგომა მანქანებისადმი, რასაც დღეს აქვს ადგილი და სასოფლო-სამეურნეო მანქანების მოხმარა უნდა ჩავაყენოთ წესიერ კალაპოტში.

ამას გვავალებს ჩვენ სოფლის მეურნეობის სოციალისტურ ნიადაგზე გადასვლის და მასიური კოლექტივიზაციის პრაქტიკული ამოცანები.

შ. ჯანბერიძე

პატიმრების შრომა საბჭოთა მეურნეობაში

თბილისის განაპირა უბანში სილანლუში [?] რამდენიმე სადგურის მახლობლად არის გაშლილი ადგილი, სადაც ამ რამდენიმე წლის წინად კერძო მესაკუთრეები იწოდებოდნენ [?] მებაღე-მებოსტნეებად [?]. ისინი მთლიანად ვერ ამუშავებდნენ ამ ვეებერთელა ადგილს და მისი უდიდესი ნაწილი გამოუყენებელი იყო.



ჯიშიანი ბუღა „პრიმერა", რომელიც იწონის 50 ფუთს

1925 წლიდან ამიერ-კავკასიის საქ. პოლიტსამმართველომ სილანლუის [?] რაიონში მოაწყო საბჭოთა მეურნეობა და გადასცა სამუშაოდ 250 კაცს. ამ რიცხვში შედიან აგრეთვე ისეთი პატიმრები, რომლებიც შეუძლიათ სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების მართვა-შეკეთება.

საბჭოთა მეურნეობას სულ უჭირავს 650 ჰექტარამდე მიწა, რომელზედაც გაშენებულია ბაღ-ბოსტანი. აქვეა მოწყობილი ჯიშიან საქონლის ფერმა. აქ ინახავენ და ამრავლებენ ძროხებს, ღორებს, ცხენებს და ჯიშიან ქათმებს, როგორც ინკუბატორის საშუალებით, ისე ჩვეულებრივი წესით.

საბჭოთა მეურნეობაში პატიმრები თავისუფალნი არიან. თვით პატიმრებიდან ამორჩეული პირები ასრულებენ ათისთავის მოვალეობას. ათისთავის განკარგულებაში მყოფი პატიმრები სავსებით ემორჩილებიან მას.

სამუშაო დრო განსაზღვრულია 8 საათით.

მომუშავე პატიმრებს აქვთ საერთო საცხოვრებელი ბინა, სამზარეულო და სასადილო. მათ ეძლევათ სპეცტანსაცმელი, ფეხსაცმლები და სხვადასხვა ნივთები.

აგრონომი და საბჭოთა მეურნეობის უფროსი ამხ. წეჩელაძე [?] ხშირად ესაუბრება პატიმრებს სოფლის მეურნეობის საკითხებზე, აცნობს მათ სხვადასხვა კულტურების მოვლას და მცენარეების რიგზე დათესვას. პატიმრები ეცნობიან სასოფლო სამეურნეო მანქანებს და ეჩვევიან მათზე მუშაობას.

პატიმრებს აქვთ თავიანთი ამხანაგური სასამართლო, სადაც ასამართლებენ მათ, ვინც დაარღვევს მუშაობის პირობებს და მეურნეობაში შემოღებულ წესრიგს.

საბჭოთა მეურნეობას აქვს ინკუბატორი — 7.000 კვერცხისათვის, მალე ექნებათ ორი ინკუბატ. თითო 25.000 კვერცხისათვის. ამჟამად მეურნეობას ყავს 1.000 ჯიშიანი ქათამი, (ჯიშიანი ბუღები) თითო ბუღა იწონის ნახევარ ტონას, მათ შორის ბუღა „პრიმერა" (ღუხოლის [?] ჯიშისა) იწონის 50 ფუთს, 128 მეწველი ძროხა, 60 ხბო, 100 კურდღლის ბაჟია [?], 250 საუკეთესო ჯიშის ღორი. ამასთანავე საბჭოთა მეურნეობას აქვს 4.000 ცხ. ძალიანი ელექტრო-მოტორი, რომელთაც მდ. მტკვრიდან ამოაქვთ წყალი და რწყავენ მიწას.

მიმდინარე წლისათვის საბჭ. მეურნეობა მოგვცემს 1.000 საუკეთესო ჯიშის ღორს; 40.000 ფუთ ნადიდეგ [?] კარტოფილს; 30.000 ფუთ კომბოსტოს; 1.000 ფუთ ნადიდეგ პამიდორს; 1.500.000 კვერცხს, 20.000-მდე ფუთ რძეს. აქედან ცხადია, თუ რა დიდ დახმარებას გაუწევს ეს საბჭოთა მეურნეობა მუშათა მომარაგების საქმეს.

ჯიშიანი ქათმები

საბჭოთა მეურნეობა დიდ სამსახურს უწევს პატიმრებს, აჩვევს რა მათ რეგულიარულ შრომას და აცნობს მიწის რაციონალურად დამუშავებას. ამასთანავე დიდი ყურადღება ექცევა პატიმართა პოლიტიკურ აღზრდას. ჩამოყალიბებულია პოლიტწრე, წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო ჯგუფი და სხვა.

აღნიშნულ მეურნეობიდან სოფლებს უბრუნდებიან კვალიფიციური მეურნენი. ამ მეურნეობაში შრომა—გასწორების პრინციპი სამაგალითოთაა დაყენებული.

შ. შურცხვანიძე [?]

როგორ მუშაობენ ტრაქტორები

ბორჩალოს სამანქანო - სატრაქტორო სადგურის ტრაქტორთა ზოგი კოლონების მუშაობის შემოწმებამ გამოაშკარავა შემდეგი:

პატარა შულავერში არის მეოთხე ტრაქტორთა კოლონა, რომელსაც მუშაობა გეგმიანად აქვს დაყენებული.

აღნიშნულ კოლონაში ამჟამად მუშაობს 8 ტრაქტორი. განმტკიცებულია შრომის დისციპლინა, გაცდენებს არ აქვს ადგილი.

გაიურთში [?] არსებობს პირველი კოლონა, რომელსაც ხელმძღვანელობს მუშა მაჩაბლიშვილი, მას მაგალითად აქვს დაყენებული ტრაქტორების მუშაობა. სოციალისტური შეჯიბრების დროს მიიღო პირველობა წესიერად და კარგად ხვნაში, ტრაქტორის კარგად მოვლაში, საწვავ მასალის დაზოგვაში და სხვ.

მეორე კოლონა მუშაობს სოფ. ფახრალოში, რომელიც წესიერად მუშაობს, მაგრამ შეჯიბრება მდგომიარდა [?]. კავშირის არც კი დაუსვამს საკითხი ტრაქტორისტებს შორის სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის შესახებ.

ერთი ტრაქტორი უმოქმედოდ სდგას, რადგან უმნიშვნელო ნაწილის უქონლობის გამო. ხშირია გაცდენები, გამცლელ „მეხანიკ"-ს ზედამხედველობა სრულიად არ არსებობს ტრაქტორებზე.

სოფელ აზისკენში მუშაობს „დორძონი", რომელსაც გაფუჭებული აქვს ღერძი". მისი შეკეთება არ არის ძნელი, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევს. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ სოფლის მუშკომის მუშაობა ძალზე სუსტია ტრაქტორისტებს შორის.

ბრიგადის წევრები: ბაქრაძე, გოგიაძე.

ტრაქტორისტები დააჯილდოვეს

(ქობულეთი, აჭარისტანი)

ქობულეთის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში ამჟამად მუშაობს ორი ტრაქტორი. ექვსი კი სახელოსნოშია შესაკეთებლად. ტრაქტორების შეკეთება სწარმოებს ძალზე სწრაფად.

ტრაქტორისტებს შორის სოციალისტური და დამკვრელობა ფართოდაა გაშლილი. სამმა ტრაქტორისტმა ჯილდოთ მიიღო საბჭოთა მეურნეობა „გიგანტ"-ში გაგზავნა და დათვალიერება, რომლებიც უკვე გაემგზავრნენ.

როგორ ეპყრობა საბჭოთა მეურნეობა კოლმეურნეობებს? ამ მხრივ გვაქვს მიღწევა. კოლმეურნეობებს უფასოდ მოუხნეს სათესი მიწები და ყველა თავისუფალ დროს მუშაობენ კოლექტივის მიწებზე.

„ტრაქტორის დღის" ჩატარებისათვის მზადება კი სუსტად მიმდინარეობს. მუშკომს ჯერ არ გაუშლია მუშაობა.

კულტმუშაკი.

სამხედრო ლიტერატურის შესახებ

გასულ სასწავლო წელს მტკიცე საძირკველი ჩაეყარა სამოქალაქო სკოლების გასამხედროების საქმეს. თბილისისა და პროვინციის 86 სასწავლებლებში (აქედან—30 ტექნიკუმი, 4 საბჭოთა პარტსკოლა, 2 მუშფაკი, 3 პროფესიის სკოლა და 47 მეორე საფეხურის სკოლა) შემოღებული იქნა სამხედრო საგნების სწავლება. ხსენებულ სასწავლებლებში სამხედრო საგნებს გადიოდა 2649 მოწაფე. მომავალში დიდათ გაიზრდება იმ სკოლების რიცხვი, სადაც შემოღებული იქნება სამხედრო საგნების სავალდებულო სწავლება, გაიზრდება, რა თქმა უნდა, იმ მოწაფეთა რიცხვიც, რომლებიც წითელი არმიის რიგებში ყოფნის დროს შეუწყობენ ხელს წითელარმიელთა ცოდნის დონის ამაღლებას. ეს გარემოება გვავალებს დიდი ყურადღებით მოვეპყრათ სამოქალაქო სკოლების გასამხედროებას და ამ სკოლებში სამხედრო საგნების სწავლების სათანადო სიმაღლეზე დაყენებას.

უპირველეს ყოვლისა უნდა ვიზრუნოთ სამხედრო სახელმძღვანელოების გამოცემაზე. დღევანდლამდე ქართულ ენაზე არ მოგვეპოვება არც ერთი რიგიანი სახელმძღვანელო სამხედრო საქმის შესასწავლად. ეს გარემოება დიდათ აფერხებს სამხედრო საქმის შესწავლას და თუ მომავალ სასწავლო წლისათვის მდგომარეობა ამ მხრივ არ შეიცვალა, შეიძლება თამამად ითქვას, რომ სამხედრო საგნების შესწავლა სამოქალაქო სკოლებში ჩავარდება საფრთხეში. უნდა ვიზრუნოთ სამხედრო ლიტერატურის გამოცემაზედაც, ურომლისოდაც შეუძლებელია სამხედრო საქმის რიგიანად შესწავლა. დღევანდლამდე სამხედრო ლიტერატურის და სახელმძღვანელოების გამოცემის საქმე იმყოფება ფრიად უნუგეშო მდგომარეობაში. სამხედრო წიგნებს სცემს „სახელგამი", „შრომა", „წითელი არმიის" რედაქცია, საქავიაქიმი [?], ავიაქიმის თბილისის საბჭო და აგრეთვე ავიაქიმის სხვა საბჭოები. ამ გარემოებას შეაქვს არევ-დარევა სამხედრო ლიტერატურის გამოცემლობაში, რადგან არ არის ისეთი ორგანო, რომელიც გაუწევს საერთო ხელმძღვანელობას სამხედრო ლიტერატურის გამოცემლობას და სამხედრო წიგნების გავრცელებას. დიდი არევ-დარევაა ამის გამო სამხედრო ტერმინოლოგიაშიც. ყოველი ავტორი ხმარობს ისეთ ტერმინს, რომელიც მას მოესურვება. საკმარისია გადახედოთ დღევანდლამდე გამოცემულ სამხედრო წიგნებს, რომ დარწმუნდეთ ამაში.

აუცილებლად საჭიროა, რომ სამხედრო წიგნის გამოცემლობა იყვეს ერთ რომელიმე გამოცემლობის ხელში. საჭიროა, რომ სახელგამთან დაარსდეს სამხედრო სექტორი, რომელიც გაუწევს ხელმძღვანელობას სამხედრო წიგნის გამოცემლობას. ამ გზით შესაძლებელი იქნება სამხედრო ლიტერატურის გამოცემის მოწესრიგება, ტერმინოლოგიის საკითხის მოგვარება და მკითხველთათვის რიგიანად დამუშავებულ სამხედრო წიგნის მიწოდება.

მხედარი

ცნობები კოლექტივიზაციის ფრონტიდან

(ჩვენი საქ. კორესპონდენტებისა და ა.-კ. დეპეშ. სააგენტოსაგან)

ახალ წესდებაზე გადასვლა

ცაგერი, 12 ივნისი. (საქ. კორ.) ცაგერის რაიონის ყველა სასოფლო-სამეურნეო არტელები და გვირაბის მეზღვართა [?] ამხანაგობა 28 მაისს გადაყვანილი იქნენ საბოლოოდ დამტკიცებულ ახალ წესდებაზე. წევრებს გაეცნო შრომის ორგანიზაციის საკითხები. ერთხმად მიღებულია წესდების ყველა მუხლები. ადგილობრივი პირობების გამო სამუშაოები ოთხ თანრიგად არის დაყოფილი. საწარმოო გეგმების შედგენა ოც ივნისამდე დამთავრდება. დაგვიანების მიზეზია რაიონში აგრონომების და ინსტრუქტორების უქონლობა.

ცაგერის რაიკავშირს ჰყავს ერთი აგრონომ-ტექნიკოსი, რომელიც ვერ უძღვება არტელებს. საჭიროა ზომების მიღება.

გვალვამ თესვა შეაჩერა

ოზურგეთი, 11 ივნისი (საქ. კორ.) უკანასკნელ დღეებში გვალვების გამო თესვა შეჩერებული იყო. 6 ივნისს მოვიდა წვიმა. თესვის დაჩქარების მიზნით, სამაზრო კოლმეურნეობათა ბიურომ სასწრაფოდ დაგზავნა თემებში პასუხისმგებელი ამხანაგები თესვის დაკვრითი წესით დასამთავრებლად. მუშაობა გაცხოველებით სწარმოებს.

მავნებლები

ოზურგეთი, 11 ივნისი. (საქ. კორ.) გურიის დაბალეთ რაიონებში დიდი გვალვების გამო გავრცელდა მავნებლები (გაზრა და სხვ.). მთელ რიგ თემებში სიმინდის ნათესები განადგურებულია. სუფსის მთლიან კოლექტივიზაციის თემში მავნებლებმა გააფუჭეს 160 ჰექტარი ხამართლი [?] სიმინდი. მავნებლების წინააღმდეგ საბრძოლველად არავითარ ზომებს არ ღებულობენ.

სიმინდი დაგვიანებით მიიღეს

ოზურგეთი 11 ივნისი. (საქ. კორ.) ოზურგეთის მიწადმოქმედების განყოფილებამ ორი თვის წინად დაკვეთილი 1000 ფუთი ხელექტური [?] სიმინდი ეხლა მიიღო, როცა თესვა სრულდება. ამ სიმინდის დათესვა განზრახულია იმ ადგილებში, რომლებიც მავნებლებმა გაანადგურეს.

საპაიო გადასახადის აკრება

ოზურგეთი, 11 ივნისი. (საქ. კორ.) კოლმეურნეობებში საპაიო გადასახადის შეტანის ვადათ დაწესებულია 20 ივნისი. საპაიო გადასახადი აკრეფილი აქვთ: მამათს—70 პროც., ჯუმათს—80 პროც.; გურიანთს—70 პროც., და ლიხას—90 პროც. დანარჩენ კოლექტივებშიც გადასახადის შეტანა სწრაფი ტემპით სწარმოებს.

რა ხდება ადგილებზე

თელავ - ახმეტის რკინისგზა

თელავი, 12 ივნისი. თელავში ჩამოვიდა ინჟინერთა ჯგუფი თელავ-ახმეტის რკინისგზის საფუძვლის [?] ჩასაყრელად. (ადს)

გზის გაყვანა როკის უღელტეხილზე

ცხინვალი, 12 ივნისი. როკის უღელტეხილზე გზის გაყვანის შესახებ საკავშირო სახკომსაბჭოს კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, გეოლოგიური — საგამოძიებო სამუშაოებისათვის გადადებულია 800 ათასი მანეთი. (ადს)

სამკურნალო მცენარეთა შეძენა

თელავი, 11 ივნისი. თელავის სარაიონო მემინდვრეობის კავშირმა დაიწყო სამკურნალო მცენარეების შეძენა. მოსახლეობისაგან სამკურნალო მცენარეთა მისაღებად რაიონში დაარსდა სპეციალური პუნქტები. (ადს).

კურსებზე გაგზავნა

თელავი, 11 ივნისი. თელავის რაიაღმასკომის განათლების განყოფილებამ თელავის ათწლედის უკანასკნელი ჯგუფის მოწაფეები გაგზავნა თბილისში სკოლის ასაკამდე განათლების კურსებზე.

კურსების დამთავრების შემდეგ მსმენელები გაიგზავნებიან სკოლის ასაკამდე განათლების საქმის ხელმძღვანელებად თელავის რაიონში. (ადს).

გუმბრინის ქარხანა

აგებული იქნება ს. გუმბრში!

ამიერ - კავკასიის სამთო-ქიმიური ტრესტის ცნობებით გუმბრინის, ანუ ფლორიდინის ქარხნის ასაგებ ადგილათ ქალ. ქუთაისის მახლობლად ამორჩეულია სოფ. გუმბრი, სადაც მოიპოვება გუმბრინის თიხის ბუდობები.

ქარხნის მშენებლობა დაწყებული იქნება მომავალი შემოდგომიდან. ერთი წლის განმავლობაში ქარხანა სავსებით დამთავრებული უნდა იქნეს, რომ 1931-32 წლიდან შესაძლებელი გახდეს მისი ამუშავება. ქარხნის ამუშავების შემდეგ შეწყვეტილი იქნება ფლორიდინის იმპორტი ამერიკიდან და მის მაგიერ ნავთის პროდუქტების წმენდა იწარმოებს გუმბრინით. ნავთის პროდუქტების გუმბრინით წმენდის ცდები უკვე ჩატარდა და გამოირკვა, რომ გუმბრინი ამერიკულ ფლორიდინს არა თუ არ ჩამოუვარდება, არამედ მასზე უკეთესიც არის. ამჟამად გუმბრინს უკვე ხმარობენ ნავთის გასაწმენდათ. ქუთაისში მუშაობს გუმბრინის გადამამუშავებელი ქარხანა, რომლის მთელი პროდუქცია (8 ტონა თვეში) სავსებით სადდება [?].

გუმბრინის ახალი ქარხნის აგების შემდეგ გუმბრინის მთელი ის რაოდენობა, რაც გადარჩება საბჭოთა კავშირის ნავთის მრეწველობას, გატანილი იქნება უცხოეთის ბაზარზე.

დანაკარგებთან ბრძოლის გაძლიერება საწარმოო გეგმის შესრულების ერთ-ერთი პირობაა

სამეურნეო მუშაკები უყურადღებოდ სტოვებენ მუშათა საქმიან წინადადებებს

ქუთაისის მაუდის ფაბრიკამ მაისში საწარმოო გეგმა 6,6 პროც. გადაჭარბებით შეასრულა

სამეურნეო მუშაკებს დაავიწყდათ

დანაკარგებთან ბრძოლის აუცილებლობა

ქიმიკოსთა კავშირში გაერთიანებულ საწარმოებში საკითხი დანაკარგებთან ბრძოლის შესახებ ცხოველი ენერგიით იქნა განხილული. შედეგიც საკმაოდ კარგი მივიღეთ—შემოვიდა 104 წინადადება, რომელთა უმრავლესობა ფრიად საქმიანი იყო. მაგრამ მიუხედავად ქარხკომების და უმაღლესი პროფესიონალური ორგანიზაციის მოთხოვნილებისა, სამეურნეო მუშაკები უმრავლეს საწარმოებში დღემდისაც არ შესდგომიან შემოსული წინადადებების ეკონომიური ეფექტიანობის გამორკვევას. ასეთი დაუდევრობით კი, რა თქმა უნდა, მუშებს ეკარგებათ წინადადების შეტანის ხალისი.

აუცილებელია ერთხელ კიდევ გადაჭრით მოეთხოვოს პასუხი ქიმკომბინატის იმ სამეურნეო მუშაკებს, რომლებიც აჭიანურებენ მუშათა საქმიანი წინადადებების განხილვას და ამ გზით ხელს უშლიან დანაკარგებთან ბრძოლის წარმატებით ჩატარებას.

მაისის გეგმის შესრულება და მაუდის ფაბრიკის მომავალი პერსპექტივები

(ქუთაისი)

ქუთაისის მაუდის ფაბრიკას მაისში 23 ნამუშევარი დღის განმავლობაში უნდა დაემზადებინა 98.624 კილო ნომერი ნართი, 21496 მეტრი ხამი და 18.247 მეტრი მაუდი. ნამდვილად კი ამავე ხნის განმავლობაში დაამზადა 1144311 კილო-ნომერი ნართი, 22.155 მეტრი ხამი და 18.414 მეტრი მაუდი და ამრიგად საწარმოო გეგმა პროდუქციის რაოდენობის მხრივ საშუალოთ 6,6 პროცენტის გადაჭარბებით შესრულდა. პროდუქციის გამოშვებასთან ერთად მაუდის ხარისხიც შესაფერისად [?] მატყლის მიხედვით დამაკმაყოფილებელია.

დანარჩენი ტექნიკური მაჩვენებლებიც იძლევა პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გარანტიას.

ფაბრიკას მაისში კიდევ უფრო მეტი წარმატების მიღება შეეძლო, რომ აბჭესის მოხებით მთავარი საპრეტურო განყოფილება 8 საათით არ შეეჩერებინათ [?].

აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ საერთოდ აბჭესი თავის ენერგიით საკმაოდ ვერ აკმაყოფილებს ქუთ. წარმოებას. ფაბრიკაში ხშირია შემთხვევა, აბჭესის ენერგიით მანქანების არა სწორი მოძრაობის, ზოგ შემთხვევაში ენერგიის უქონლობის გამო ცდენებს შეჩერებასაც აქვს ადგილი. მასთან ერთად ენერგია წარმოებას ძვირი უჯდება, კილოვატი —16 კაპ. იმ დროს, როდესაც თვით ქარხნის ადგილობრივი ენერგია უჯდება — 9-10 კაპ. ცხადია, ქარხნის შეჩერებასთან ერთად ენერგიის სიძვირე ხელს უშლის პროდუქციის თვითღირებულების გადიდებას. ამიტომ მთელი წლიური გეგმის გადაჭარბებით შესასრულებლად ამ თავითვე უნდა მოგვარდეს აღნიშნული საკითხი. აბჭესთან მდგომარეობის მოგვარებამდე წარმოებები უნდა შეუდგნენ საკუთარ ენერგიის განაყენებასაც [?].

ფაბრიკაში წარმოებითი მუშაობასთან ერთად გაძლიერებულია ფაბრიკის სარეკონსტრუქციო მუშაობა. მოკლე დროში დამთავრდება მთავარი კორპუსები: საქსოვი და საპრეტურო განყოფილებებისათვის.

ახლად აგებული კორპუსებისათვის ახალი მანქანების ნაწილი უკვე მიღებულია საზღვარგარეთიდან და ნაწილიც გზაშია. კორპუსებში მანქანების დადგმა დამთავრდება მიმდინარე წლის შემოდგომაზე.

21 საქსოვი დაზგის ნაცვლად, ამუშავდება მრავალმაქოვიანი 48 ცალი საქსოვი დაზგა. სამი მოძველებული ხელეფექტორის ნაცვლად, რომელიც ამზადებს სხვადასხვა ნართის ნართს, ამუშავდება 7 ხელექტორი, აგრეთვე ექვსი აპარატი, სამი მომუშავე აპარატის ნაცვლად. გარდა ამისა დაიდგმება მაუდის სარეცხი და სათელი ახალი მანქანები—ორი.

მომავალი 1930-31 წლის გეგმით ფაბრიკაში დაიდგმება ნართის მეტმავი „შლისტოკის" კარბონიზაციის და დეკატირიოვის მანქანები, რომლებიც მაუდის დამუშავებას აუმჯობესებს, აძლევს მას სირბილეს და სიწმინდეს.

ფაბრიკა სრული რეკონსტრუქციის შემდეგ წლიურად დაამუშავებს 44 ათას ფუთ სხვადასხვა ჯიშის მატყლს და აქედან დაამზადებს 434,4456 მეტრ მაუდს და 67.750 კგ. საზონ [?] ნართს. ფაბრიკაში იმუშავებს 500-მდე მუშა-მოსამსახურე. ამჟამად ფაბრიკაში მოწყობილია პროფ-ტექნიკური კურსები.

ალ. შენ—ია.

28,7 პროცენტი 10,2 პროც. ნაცვლად

რ. ლუქსემბურგის სახელობის თამბაქოს პირველ ფაბრიკას საწარმოო გეგმით აპრილში პროდუქციის თვითღირებულება უნდა შემცირებოდა—10,7 პროცენტით, ფაქტიურად კი თვითღირებულება შემცირებულია 28,7 პროცენტით.

თამბაქოს მეორე ფაბრიკაში პროდუქციის თვითღირებულების შემცირება აპრილში გეგმით გათვალისწინებული იყო 13,2 პროც. სინამდვილეში ფაბრიკამ თვითღირებულება შეამცირა 28,7 პროც.

პროდუქციის თვითღირებულების საგრძნობლად შემცირებას უმთავრესად ხელი შეუწყო მუშაობის რაციონალიზაციამ. თუ წინად ერთი ხელოსანი მუშა-ქალი მხოლოდ ერთ მანქანას ემსახურებოდა, ეხლა ის 2—8 მანქანას ემსახურება. უკანასკნელ დროს 2-8 მანქანიდან გადავიდნენ 4 მანქანის სამსახურზე.

საერთო სტანდარტის შემოღებამ, რომელმაც შეამცირა მასალების ხარჯვითი ნორმა, საგრძნობლად იმოქმედა პროდუქციის თვითღირებულების შემცირებაზე. ყაიხებში [?] უკვე გატარებულია რაციონალიზატორული ღონისძიებები, რამაც დიდებითი ეფექტი მოგვცა თვითღირებულების შემცირების საქმეში. შემცირდა ქარხნის საერთო-ადმინისტრატიული ხარჯებიც. პროდუქციის ზრდამ თავისთავად შეამცირა თვითღირებულებაც.

უნდა აღინიშნოს, რომ საერთოდ თამბაქოს ქარხნების მუშებმა, საწარმოო გეგმის გადაჭარბებით შესრულების გარდა, დიდი ყურადღება მიაქციეს პროდუქციის თვითღირებულების შემცირებასაც. ნაწარმოების ხარისხის გაუმჯობესებაში უმთავრესად მაღალ ხარისხის პაპიროსებში გვაქვს აგრეთვე საგრძნობი მიღწევები.

ვ. მთ—შვილი.

განვამტკიცოთ მიღწეული შედეგები

სტალინის სახელობის ორთქლმავალთა და ვაგონების შემკეთებელ ქარხნის საამქრომ მაისში კაპიტალური შეკეთებიდან გამოუშვა 8 ორთქლმავალი. წლიური გეგმის მიხედვით კი უნდა გაკეთებულიყო 7. ამასთან ერთად დამატებით გამოუშვა სამი ორთქლმავალი საშუალო შეკეთებიდან, რაც უდრის ორი ორთქლმავლის კაპიტალურ შეკეთებას. გამოშვებულია აგრეთვე შემთხვევითი შეკეთებიდან ერთი ორთქლმავალი. ყველა ეს ნამუშევარი რომ შევაჯამოთ, 10 ორთქლმავლის კაპიტალურ შეკეთებას უტოლდება [?]. ისიც უნდა მოხდეს, ვინაიდან მომავალი წლის გეგმა ძალზე გადიდებულია და თუ აქედანვე არ შევეჩვიეთ რაციონალურად მუშაობას, მერე გაგვიძნელდება დასახული გეგმის შესრულება. ამიტომ მუშები დიდი ენთუზიაზმით მუშაობენ.

თუ კიდევ არ შეაფერხა საქმე ეგრედწოდებულმა ტარიფის შემფასებელმა ბიურომ, რომელმაც დიდი უკმაყოფილება გამოიწვია მუშებში ამ რამოდენიმე თვის წინად თავისი უტაქტო მოქმედებით. ეს უკანასკნელი ვითომდა სატარიფო განაკვეთში კორექტივების შეტანით, სინამდვილეში 20 პროცენტამდე აკლებდა ამა თუ იმ ჯგუფს, ვინაიდან მან ეს პროც. დანიშნულ კოეფიციენტს გადააჭარბა. მაგრამ იმას კი აღარ უწევენ ანგარიშს, რომ ნაცვლად 5 ნახევარი ორთქლმავალისა, გამოვიდა 9-10 ორთქლმავალი, წინად, როცა ეს ახლანდელი კოეფიციენტი იქნა გამომუშავებული, ნორმით 5 ნახევარი ორთქლმავლის გამოშვება იყო გათვალისწინებული. ამით ხომ წარმოება გაიზარდა. ამავე დროს წინად ერთი ორთქლმავლის შეკეთება უჯდებოდა 26.000 მ. ახლა უჯდება 21.000 მან. ნაკლები. ასეთ მიღწევებთან, რომ მუშამ 20% კოეფიციენტი გადააჭარბოს, განა ამით წარმოება იზარალებს? პირიქით, მუშები უფრო წახალისდება, დაინტერესდება კიდევ უფრო გაადიდოს გამომუშავება და საწარმოო გეგმაც გადაჭარბებით შესრულდეს. ტარიფის მეთვალყურე ბიუროს მუშაკებმა უნდა იცოდნენ, რომ ქალის ჩიჩქნით მეცლება არ გაძლება [?]. თქვენს მიერ დაკლებული კაპეიკებით წარმოებას იმდენი არ მოემატება, რამდენსაც მუშის წახალისებიდან და საქმის დაინტერესებიდან.

შ. ბარბაქაძე.

აღმოვფხვრათ დეფექტები

ხე-ტყის დამამზადებელ ორგანიზაციის მუშაობაში

მშენებლობაში დასახული გეგმის შესრულებისათვის ერთ-ერთი ძირითად პირობას შეადგენს სამშენებლო მასალების და პირველ რიგში კი ხე-ტყის მასალის თავის დროზე მომარაგება. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა ტყეებით მდიდარია და აქ სათანადო მუშაობის წარმოებით თავისუფლად შეიძლება არა მარტო ჩვენი საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, არამედ ხე-ტყის მასალების ექსპორტის ფართო ნიადაგზე დაყენებაც, საქართველოში ფართოდ გაშლილ მშენებლობას საგრძნობლად აფერხებს ხე-ტყის მასალის სიმცირე. ეს გარემოება უმთავრესად უნდა მიეწეროს ხე-ტყის დამამზადებელი ორგანიზაციების სუსტ მუშაობას, რაც თვალსაჩინოდ გამოაშკარავდა უკანასკნელი დღეების განმავლობაში.

როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, 15 მაისიდან დამამზადებელი ორგანიზაციები საქართველოში ატარებენ ხე-ტყის დამზადებისა და დაცურების ერთთვეურს. ერთთვეურის უმთავრეს დანიშნულებას შეადგენს გაცხოველის ხე-ტყის დასამზადებელ მუშაობა, გამოამჟღავნოს ყველა ის დეფექტები, რომლებიც აფერხებენ ხე-ტყის დამზადებას და ამ გზით მომავალისათვის მტკიცე ნიადაგი მოამზადოს სატყეო მეურნეობის ფართოდ გაშლისათვის.

ერთთვეურის საბოლოო შედეგებზე, რომელიც 15 ივნისს დამთავრდება, ჯერ-ჯერობით ლაპარაკი ნაადრევია, მაგრამ ის ცნობები, რომლებიც ჩვენი გაზეთის ფურცლებზე უკვე გვქონდა გამოქვეყნებული ნათლად ადასტურებენ, რომ ჩვენს სატყეო მეურნეობას საერთოდ და კერძოდ დამამზადებელ ორგანიზაციების მუშაობას მთელი რიგი დეფექტები ახასიათებენ.

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს ხე-ტყის დამზადების საქმეში არსებული პარალელიზმი. როგორც ვიცით ხე-ტყის დამზადებას ჩვენში რამდენიმე ორგანიზაცია აწარმოებს, რომლებიც ხშირად თავისდა უნებურად ერთმანეთის ხელისშემშლელად გამოდიან, რასაც ზოგჯერ მის და ახალციხის სატყეო რაიონებში მომხდარი მაგალითები მოწმობენ.

ხე-ტყის დამზადების საქმეში მნიშვნელოვან შეფერხებას იწვევს აგრეთვე საჭირო მუშახელის და გადასაზიდი საშუალებების ნაკლებობა. რით უნდა აიხსნას მუშა-ხელის ნაკლებობა? ნუ თუ ჩვენში შეუძლებელია ხე-ტყის დამზადებისათვის საჭირო კადრების გამონახვა? რა თქმა უნდა შესაძლებელია თუ დამამზადებელი ორგანიზაციები ამის შესახებ თავის დროზე მიიღებენ საჭირო ღონისძიებებს. მაგრამ ეს უკანასკნელნი მხოლოდ მაშინ იწყებენ მუშა-ხელის ძებნას, როდესაც სამუშაო სეზონი უკვე დაწყებულია. არის შემთხვევები აგრეთვე ერთი დამამზადებელი ორგანიზაციის მიერ დაქირავებული მუშა-ხელის მეორე ორგანიზაციის მიერ გადაბირების, რაც იწვევს არასაჭირო კონკურენციას და ხელს უწყობს ხე-ტყის დამზადების საქმეში თვითღირებულების გადიდებას.

ხე-ტყის დამზადებაში დასახული გეგმის შესრულებისათვის და ნაყოფიერი მუშაობისათვის არანაკლები მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მუშების უზრუნველყოფას სურსათ-სანოვაგით, საცხოვრებელი ბინებით, მუშათა შორის კულტურულ-განმანათლებელი მუშაობის გაშლას, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლას და სხვ.

როგორია მდგომარეობა ამ მხრივ ხე-ტყის დამამზადებელ მუშებს შორის? ფრიად არადამაკმაყოფილებელი. სამომხმარებლო კოოპერაცია თითქმის არავითარ ზომებს არ იღებს ხე-ტყის დამამზადებელ მუშების სურსათ-სანოვაგით მომარაგებისათვის. ხე-ტყის დამამზადებელ რაიონებში, სადაც რამდენიმე ასეული მუშა აწარმოებს მუშაობას, კოოპერაციას არა აქვს გახსნილი მოძრავი სავაჭრო პუნქტები, სასადილოებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ამ ნიადაგზე სათანადო კვებას მოკლებული მუშის შრომის ნაყოფიერება კი თავისთავად ცხადია დაბალი იქნება და არის კიდეცა.

ხე-ტყის დამამზადებელ მუშებს შორის მუშაობის პირობების გამო იშვიათი მოვლენა არ არის დეზერტირობა, რომ არაფერი ვთქვათ ჩვეულებრივ დაავადებების შესახებ, ხოლო ჯანმრთელობის ორგანოები ხე-ტყის მუშებისათვის სამედიცინო დახმარების მოწესრიგების საქმეში დაუშვებელ გულგრილობას იჩენენ. საჭირო სამედიცინო დახმარება ამ სოფლების ნამდვილი მნიშვნელობით მუშებს ადგილობრივ არ ეწევათ სამედიცინო პერსონალისა და მედიკამენტების უქონლობის გამო.

რაც შეეხება საწარმოო გეგმების მუშებისათვის გაცნობას, ამ მხრივაც სავალალო მდგომარეობაა. საწარმოო გეგმები არ ეცნობათ არა მარტო ტყეში მომუშავეებს, არამედ ხე-ტყის სახერხ ქარხნებში მომუშავე მუშებსაც, რაც ნათლად გამოირკვა ზუგდიდის ხე-ტყის სახერხ ქარხანაში მოწყობილი კავალერიის „თავდასხმის" დროს.

აი ზოგიერთი ის უმთავრესი დეფექტები, რომლებიც ხელს უშლიან ხე-ტყის დამზადებას და რომელთა გამოსწორებისათვის ხელმძღვანელ ორგანოებმა უნდა მიიღონ გადამჭრელი ზომები.

ხე-ტყის დამზადება-დაცურების ერთთვეურის დროს აღმოჩენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრით [?] მტკიცე საფუძველი უნდა ჩაეყაროს სატყეო მეურნეობის შემდგომ განვითარებას.

ნ.—ძე.

შრომის ენთუზიასტების დაჯილდოება

ორჯონიკიძის სახელობის კლუბში შესდგა დეპოსა და სადგურ თბილისის სავაგონო პარკის მუშა-მოსამსახურეთა საწარმოო საღამო. რკინის გზის უბნის ერთი წლის მუშაობის შედეგების და სოციალისტური შეჯიბრების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ალელიძემ.

განსაკუთრებით უკანასკნელ ხანებში—განაცხადა მომხსენებელმა,—გვაქვს მთელი რიგი მიღწევები წარმოების დარგში. მშრომელებმა მისამ საერთოთ შეითვისა სოც. შეჯიბრების მნიშვნელობა, რომლის შედეგათ ჩვენ მივიღეთ საწარმოო გეგმის გადაჭარბებით შესრულება. გეგმით გათვალისწინებული ოთხი ორთქლმავლის შეკეთების ნაცვლად ყოველთვიურად შეკეთებული იქნა 6 ორთქლმავალი, ხოლო მაისში შეკეთებულია 7 ორთქლმავალი. ორთქლმავლების საერთო რაოდენობასთან შედარებით დაზიანებულ ორთქლმავლების რაოდენობა გეგმით გათვალისწინებული 15 პროცენტის ნაცვლად უდრის 14,3 პროცენტს. ერთი დღე-ღამის განმავლობაში ორთქლმავლების გარბენმა გათვალისწინებულ გეგმას გადააჭარბა 12,9 პროცენტით და ამჟამად უდრის 184,1 კილომეტრს. ორთქლმავლების შეკეთების თვითღირებულება შემცირდა გეგმით გათვალისწინებულ შემცირების 11,5 პროცენტით. ამჟამად თითო ორთქლმავლის შეკეთება უჯდება 644 მან. 40 კაპ. ხელსაწყოების დაკარგვის შემთხვევები შემცირებულია 23 პროც. დღეების გაცდენა 48 კაც-დღიდან შემცირდა 21 კაც-დღემდე.

მაგრამ ამ მიღწევებთან ერთად უსათუოდ უნდა აღინიშნოს ნაკლოვანებებიც: მაგალითად, მუშათა მთელი მასის ჩაუბმელობა სოც. შეჯიბრებაში (ამჟამად შეჯიბრებაში ჩაბმულია მუშა-მოსამსახურეთა 83 პროც.), შრომის დისციპლინის ნაწილობრივი შესუსტება, ადმინისტრაციის არა საკმაო მონაწილეობა სოციალისტურ შეჯიბრებაში, […] სუსტად დაყენება, შეკეთების არადამაკმაყოფილებელი ხარისხი, რაც იწვევს შეკეთების კვლავ განმეორებას, რომლის შედეგად ადგილი აქვს ორთქლმავლების გზაზე დაზიანებას. (მიმდინარე წლის მეორე კვარტალში—6-ჯერ ჰქონდა ადგილი ზემოხსენებულ შემთხვევებს), სოციალისტური შეჯიბრების და დამკვრელობის მიზნებისა და მნიშვნელობის შესახებ პროფორგანიზაციები მუშებს შორის ვერ აწარმოებენ სათანადო ახსნა-განმარტებას, ამის გამო სოციალისტურ შეჯიბრებაში ზოგ შემთხვევაში [?] ... მაგ.: სავაგონო პარკის დამლაგებლებს შორის დადებულ ხელშეკრულებაში შეტანილი იყო მხოლოდ ორთქლმავლების განმეორებითი შეკეთების აღმოფხვრის შესახებ. დამლაგებლებს კი ორთქლმავლების შეკეთებასთან არავითარი საერთო არ აქვთ. არა საკმაო ენერგიით სწარმოებს ბრძოლა სათბობი მასალის დაკარგვის, ორთქლმავლების სათადარიგო ნაწილების და ხელსაწყოების გაუფრთხილებელი მოპყრობის წინააღმდეგ და სხვ.

დასასრულ საწარმოო საღამოზე დააჯილდოვეს საუკეთესო დამკვრელები და ბრიგადები, აგრეთვე მთელი რიგი მუშები და ბრიგადები შეტანილ იქნენ შავ დაფაზე. ამხ. მახარაშვილის ზეინკალების ბრიგადამ მიიღო გარდამავალი დროშა და ნიშნები. ამხ. მახარაშვილის მექვაბეთა ბრიგადამ მიიღო ლენინის ბიუსტი, მეზეინკალეთა ბრიგადამ ლენინის სურათი. 12 მუშა დაჯილდოვებულ იქნა რევოლუციონური მშრომელთა ნიშნებით. მახარაშვილის ბრიგადამ და ხარაბამ ჩერჩიკიძემ თავიანთი თავი გამოაცხადეს საქ. კ. პ. (ბ) მე-16 პარტყრილობის სახელობის დამკვრელებად.

სავაგონო პარკის მუშა-მოსამსახურეთა შორის გარდამავალი დროშა მიიღო ამხ. ეგიანის ბრიგადამ (ვაგონების გამრეცხი) და სამგზავრო ვაგონების პარკის ნარდათ მომუშავე ზეინკლების ბრიგადამ. მთელი რიგი დამკვრელები შეტანილ იქნენ წითელ დაფაზე.

უ. ქ.

საკლუბო მუშაობაში გარდატეხა არ მომხდარა

ფაბქარხკომების საარჩევნო კამპანიაში კლუბები სუსტ მონაწილეობას ღებულობენ

კლუბები პირით წარმოებისაკენ

პროფკავშირების მუშაობის გარდაქმნა ლოზუნგით „პირი წარმოებისაკენ", ცხადია, კლუბებზეც ვრცელდება, კლუბებმა უნდა გარდაქმნან თავიანთი მუშაობა ამ ლოზუნგის შესაფერად. კლუბები უნდა გადაიქცნენ ისეთ ადგილებად, სადაც იწარმოებს მუშების აღზრდა, სადაც მუშები შესძლებენ მთლიანად გაეცნონ წარმოებას.

საკავშირო საკლუბო თათბირმა დასახა საკლუბო მუშაობის ახალი გზები. თათბირმა აღნიშნა, რომ საკლუბო მუშაობა კულტმუშაობის ყველაზე მეტად ჩამორჩენილ მხარეს წარმოადგენს. მრავალი პროფორგანიზაცია ზერელედ უცქერის კულტმუშაობას. კლუბი მოსწყდა, გადაიქცა წარმოებას, სამქროს, საზოგადო საცხოვრებელ ადგილებს. კულტურული კადრები უმთავრესად უცხო ელემენტებისაგან შესდგებიან.

გათვალისწინებულია თუ არა კლუბების წარსული მუშაობის გაკვეთილები, აწარმოებენ თუ არა კლუბები თავიანთი მუშაობის გარდაქმნას საკავშირო კულტთათბირის დადგენილებათა საფუძველზე? უნდა ითქვას, რომ არა.

საქართველოში, კერძოდ თბილისში კლუბებმა უკვე დაიწყეს საზაფხულო მუშაობა. წინად თითოეული კლუბი დამოუკიდებლად მუშაობდა, თვითვე ადგენდა პროგრამას და 90 პროცენტით ხალტურა გამოდიოდა. რომელი კლუბიც უფრო მდიდარი იყო, მას უკეთესი პროგრამა ჰქონდა და მეტი „სახელგანთქმული" მსახიობებიც შეეძლო მიეწვია. ღარიბი კლუბები კი კმაყოფილდებოდნენ ისეთი „გასტროლიორების" მოწვევით, რომლებიც განდევნილი იყვნენ მუშათა კლუბებიდან არამატერიალური და ანტი-საბჭოთა რეპერტუარისათვის. საქართველოს პროფსაბჭოს თაოსნობით, მოეწყო და 1-ლი ივნისიდან მუშაობას შეუდგა ცენტრალური საკონცერტო ბიურო, რომელიც მუშათა კლუბებს მიაწოდებს არტისტებს. რეპერტუარი წინასწარ განხილული იქნება სამხატვრო-პოლიტიკური სექციის მიერ. ამჟამად საკონცერტო ბიურო მოლაპარაკებას აწარმოებს მოსკოვისა და ლენინგრადის მთელ რიგ ისეთ მსახიობებთან, რომლებიც ყველაზე უფრო შესაფერი არიან მუშათა კლუბებისათვის. ყოველ შემთხვევაში [?] … რომ საკონცერტო ბიურო გააჯანსაღებს ჩვენს მუშათა ესტრადას.

მუშათა კლუბებისათვის კარგი მსახიობების მიცემა—ეს საკლუბო მუშაობის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია. მასიური კულტმუშაობის ძირითადი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ყოველდღიურად ხდებოდეს მუშათა მასების სულიერი განწყობილების გათვალისწინება, მეტი ყურადღება მიექცეს უმთავრეს პოლიტიკურ ამოცანებს, წაყვანილ იქნას მასები სიძნელეების დაძლევის გზით. კლუბის მუშაკებს ჯერ კიდევ არა აქვთ ეს შეგნებული და ძველებურად ფიქრობენ: მთავარი რაც არის, ესე იგი მსახიობები—უკვე გვყავს. საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილება აცხადებს, რომ საკლუბო მუშაობაში გარდატეხა უკვე დაიწყო. მაგრამ რაში გამოიხატა ეს გარდატეხა? რკინისგზელთა კავშირი, რომელსაც თბილისში ორი კარგი კლუბი—პლეხანოვის სახელობის და ს. ორჯონიკიძის სახელობის—მოეპოვება. მხოლოდ ახლა დაიწყო თავისი საკლუბო მუშაობის გარდაქმნის პირველი ცდები. თუმცა ნაკლები მასშტაბით, მაგრამ გარდაქმნის ცდებს აწარმოებს მბეჭდავთა კლუბი და მელითონეთა კლუბიც, რომელიც ტრანსპორტელების კლუბთან შეერთდა.

დანარჩენი კლუბები მუშაობას აწარმოებენ კამპანიიდან კამპანიამდე და ამავე დროს აწარმოებენ ძლიერ ცუდად.

უმნიშვნელოვანესმა პოლიტიკურმა კამპანიამ—ფაბქარხკომების საანგარიშო-საარჩევნო კამპანიამ საკლუბო მუშაობაში ვერ ჰპოვა საკმაო გამოხატულება. მთელი რიგი კლუბები დაკმაყოფილდნენ მით, რომ დაამზადეს პლაკატები, ლოზუნგები და დაუთმეს შენობა კრებებისათვის. შედარებით კარგად ემსახურება კამპანიის საქმეს მბეჭდავთა კლუბი. მან მოაწყო სპეციალური კუთხეები, რომლებშიც წარმოდგენილია საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის მსვლელობა მთელ კავშირში.

კავშირის მიერ შექმნილი წრეები უწევენ კულტურულ სამსახურს კამპანიას. მშენებელთა კავშირში კამპანიისათვის კულტსამსახურის გაწევის საქმეში დიდ მონაწილეობას იღებენ კავშირის თვითმოქმედი წრეები, განსაკუთრებით ლურჯბლუზელთა წრე „მენები" [?], რომელიც სპეციალური პროგრამით გამოდის.

კინო-კლუბის შემოსავლის წყაროს წარმოადგენს, მაგრამ ეს შემოსავლიანი წყარო რომ სასარგებლო და აღმზრდელ წყაროდაც გადაიქცეს, ამაზე კლუბები არ ზრუნავენ, თუმცა ამის დიდი შესაძლებლობა არსებობს. თუ რამდენად გონივრად შეიძლება კინოს გამოყენება, ამის მაგალითი გვიჩვენა მელითონეთა კლუბმაც. აქ სურათ „ოდა"-ს გასინჯვის დროს მოხდა აგრეთვე მისი დაწვრილებითი განმარტება და გასინჯვის დამსწრე ყველა მუშებმა აღნიშნეს, რომ ეს მეთოდი ძლიერ კარგია.

ახლო მომავალში დაიწყება და ივლისის დამლევამდე გაგრძელდება კოლექტივების სამხატვრო მუშაობის დათვალიერება. ეს უეჭველია ხელს შეუწყობს საკლუბო წრეების მუშაობის გაუმჯობესებას.

ძლიერ მწვავედ დგას კლუბის კულტმუშაკების კადრების საკითხი. პროფკავშირები არავითარ ზომებს არ იღებენ მათ მოსამზადებლად.

კლუბების გამგეობათა შემადგენლობა საფუძვლიან გაუმჯობესებას მოითხოვს. ხშირად ისე ხდება, რომ საუკეთესო მუშები არ არიან ჩაბმული საკლუბო მუშაობაში და კლუბის გამგეობებში სხდებიან ისეთები, რომელთაც არა აქვთ არც პოლიტიკური და არც საწარმოო მომზადება.

ყოველივე აქედან დასკვნა მხოლოდ ერთია: კლუბები მჭიდროდ უნდა დაუკავშირდნენ წარმოებას. კლუბები პასუხისმგებელი უნდა იყვნენ სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესრულების საქმეში, მათ უნდა აწარმოონ ბრძოლა სოციალისტური მშენებლობისათვის. უნდა მიაღწიონ იმას, რომ კულტურულ-პოლიტიკური მუშაობის სისტემა მოეფინოს მუშების მთელ ას პროცენტს. გადაჭრით უნდა დაისვას საჩვენებელი კლუბების შექმნის საკითხი.

დამკვრელები უნდა გადაიქცნენ კლუბის ბატონ-პატრონად.

კალი.

რკინისგზელთა კლუბებმა პირი იბრუნეს

მუშათა კლუბების წინაშე ახალი ამოცანები ისმება.

ამისდა მიხედვით მუშათა კლუბების წინაშე წამოიჭრა საკითხი, რომ მათ გარდაქმნან თავიანთი მუშაობა ახალ საფუძვლებზე, აეღოთ კურსი წარმოებაზე, შეჭრილიყვნენ წარმოებაში და სოფლად და იქ გაეშალათ თავისი საქმიანობა.

შესძლეს თუ არა მუშათა კლუბებმა ამ მნიშვნელოვანი ამოცანის შესრულება?

არა, აქამდე ვერ შესძლეს მათ ამის გაკეთება და უნდა ვიფიქროთ, ვერც შესძლებენ ამას ახლო მომავალში, რადგან პროფორგანიზაციების ხელმძღვანელობა მათზე მოიკოჭლებს.

კლუბების უმეტესი ნაწილი ძველებური მეთოდებით განაგრძობს მუშაობას. მათი მუშაობის აპარატი აქამდე ვერ სცილდება კლუბის ვიწრო ჩარჩოებს და შედეგი ამისა კი ის არის, რომ მათ წინაშე წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხები უყურადღებოდ და გადაუჭრელი რჩებიან.

სხვა კლუბებთან შედარებით, რკინისგზელთა კლუბებმა უფრო შესძლეს აეღოთ ახალი მომენტისათვის, მათ შესძლეს გადაეხალისებინათ თავისი მუშაობა.

შეიძლება ითქვას, რომ საკლუბო მუშაობის მთავარ მომენტში მათ მნიშვნელოვნად იბრუნეს პირი წარმოებისაკენ და ეხმაურებიან ყველა წამოჭრილ საკითხს.

ფაბქარხადგილკომების გადარჩევის კამპანიაში ორჯონიკიძის და პლეხანოვის სახელობის კლუბებმა მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარეს. კლუბებმა უზრუნველყვეს წარმოებები და ადგილკომები სააგიტაციო-საპროპაგანდო მასალებით. მოიწვიეს ყველა ადგილკომების საერთო კრება, სადაც დაამუშავეს გადარჩევის საკითხები, ამავე საკითხს დაამუშავებდნენ წარმოებებში ჯგუფურ კრებებზე და ამ შემთხვევაში შესაფერისი პროგრამის მიხედვით კლუბებს სამსახური უწიეს მუშებს. კლუბებში მოეწყო ცნობათა ბიუროები, გადარჩევასთან დაკავშირებით გამოუშვეს სპეციალური კედლის გაზეთები, მაგრამ აქ უნდა აღინიშნოს, რომ რედკოლეგიებმა ვერ გამოიჩინეს სათანადო ცოდნა და უნარი ამ საკითხებში. მათი მუშაობა უფერულია. კლუბებმა შესძლეს დაეპყროთ მუშათა მასები წარმოებებში შესვენების საათებში, სადაც მათ უწევენ სამსახურს და აძლევენ ახსნა-განმარტებებს სხვადასხვა საკითხებზე.

საწარმოო საკითხების მხრივაც ამ კლუბების მუშაობას ვერ დავემდურებით, გარდა იმისა, რომ მათი მუშაობა ადგილკომების გადარჩევის კამპანიაში მიმდინარეობს საწარმოო ხასიათის საკითხების გაშუქების ნიშნით, ამასთანავე მათ აქვთ ცალკე მიღწევებიც ამ დარგში. მაგალითად, ორჯონიკიძის სახელობის კლუბმა მოაწყო ორი საწარმოო ხასიათის საღამო სტალინის სახელობის ქარხნის თბილისის დეპოს და ვაგონების პარკის მუშებისათვის. ამ საღამოებზე შეაჯამეს სოციალისტური შეჯიბრების და საწარმოო-საფინანსო გეგმის შესრულების ნახევარი წლის შედეგები. ამავე დროს, მისცეს სათანადო საწარმოო ხასიათის პროგრამა. კლუბი გამოეხმაურა დამკვრელობასაც. მან ჩაატარა სპეციალური მოხსენება მათთვის და მოაწყო საუკეთესო დამკვრელების სურათების გამოფენა.

პლეხანოვის სახელობის კლუბმა აიღო შეფობა წარმოებაზე, გამოჰყო ბრიგადები, რომლებიც ემსახურებიან ცალკე ცეხებს. დასვენების [?] საათებში ეწყობა საწარმოო კონცერტები წარმოებებში და სხ.

შედარებით მოიკოჭლებს ამ კლუბების მუშაობა სასოფლო-სამეურნეო კამპანიის საკითხების გარშემო. ამ მუშაობას ისინი მხოლოდ ეხლა უდგებიან. ორჯონიკიძის სახ. კლუბმა მხოლოდ ეხლა შეუდგა სპეციალური კუთხის მოწყობას. ამ დარგში აღსანიშნავია გორის კლუბის მუშაობა. მას მჭიდრო კავშირი აქვს დამყარებული გორის ოლქის 22 სოფელთან, რომელთაც კლუბი ემსახურება. კლუბი გადის ამ სოფლებში, აწყობს იქ წარმოდგენებს, უშვებს სპეციალურ გაზეთებს და სხვ.

ასეთი მდგომარეობაა რკინისგზელთა კლუბებში. კურსი წარმოებაზე უკვე აღებულია, საჭიროა ამ კურსის უფრო გაღრმავება და ამაში მათ უპირველეს ყოვლისა უნდა დაეხმარონ ხელმძღვანელი პროფესიონალური ორგანიზაციები.

ტონი.

მუშაობა მოისუსტებს

(შავი ზღვის რკინის გზა)

შავი ზღვის რკინის გზაზე და ენგურის ქაღალდის ქარხნის აღმშენებლობაზე ჩაბმულია 2.000-მდე მუშა-მოსამსახურე. გასულ წელთან შედარებით მუშებში კულტმუშაობა მოისუსტებს. თუ შარშან მუშებისათვის იყო სადგ. ინგურში მუშათა კლუბი, სადაც სისტემატიურად იმართებოდა წარმოდგენები, გამოდიოდა კედლის გაზეთი, ვრცელდებოდა მუშათა ფართო ფენებში სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთები, დღეს ასეთებს ადგილი არა აქვს. ხელმძღვანელი კომიტეტი და მუშათა ადგილკომები კულტმუშაობას ჩამორჩენილი არიან. ეს გარემოება იმას მოწმობს, რომ შავი ზღვის რკინის გზაზე ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა სოციალისტურ შეჯიბრებას და მუშათა ენთუზიაზმს.

ჯ. შეროზია.

კლუბები სდუმან

(ფოთი)

ფოთის მუშათა კლუბები სავსებით ვერ უძღვებიან შესაფერ მორიგ კამპანიებს. კლუბის დარბაზში არ არის გაკრული ლოზუნგები სოციალისტურ შეჯიბრებაზე, დამკვრელობაზე, ფაბქარხადგილკომების გადარჩევაზე, და სხვა. ტრანსპორტზე მომუშავეთა კლუბი, ცენტრ. მუშათა კლუბი და წყალთა მეურნეობის მუშათა კლუბი სავსებით ჩამორჩნენ ფაბქარხადგილკომების საგადარჩევო კამპანიისათვის მოსამზადებელ მუშაობას. ისინი არავითარ კულტურულ სამსახურს აღნიშნულ კამპანიას არ უწევენ. ფოთის პრობბიუროს ეკისრება მუშათა კლუბებისათვის ხელმძღვანელობა, მაგრამ ისიც როგორც სჩანს ტკბილ ძილს მისცემია.

პროფმუშაკი.

ქრონიკა

წვრილი მრეწველობის აღწერის შედეგები

დამთავრდა წვრილი მრეწველობის აღწერა თბილისის ოლქში. წინასწარი ცნობებით თბილისსა და მის ოლქში სულ არის 8.156 წვრილი მრეწველობა, აქედან მარტო თბილისში ით ვლება 4.662 მეურნეობა.

ყველა მეურნეობაში ჩაბმულ პირთა რიცხვი უდრის 15.541, აქედან დაქირავებულები შეადგენენ 2664.

საერთო რიცხვიდან თბილისში მუშაობს 9.844 კაცი.

წვრილ მეურნეობათა ნაწილი გაერთიანებულია არტელებში, სადაც მუშაობს 3.090 კაცი.

წვრილ მეურნეობებში მომუშავეთა 22.3 პრ. შეადგენენ ქალები.

მთელ ოლქში არსებულ წვრილ მეურნეობათა წლიური პროდუქცია აღემატება 32.944.300 მანეთს.

სამკურნალო ქსელის გაფართოება

ამჟამად საქართველოში არსებობს 83 საავადმყოფო, აქედან ქალაქებში—60 და სოფლებში—23. ჯანმრთელობის სახ. კომისარიატმა უკვე შეუდგა სამკურნალო დაწესებულებების ქსელის გაფართოებას. წელს რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში გაიხსნება სამი ახალი საავადმყოფო, ამას გარდა არსებულ საავადმყოფოებში გადიდებული იქნება საწოლების რიცხვი.

სასადილოები საბინაო ამხანაგობებთან

„ბინათკავშირმა“ საბინაო ამხანაგობასთან № 16 გახსნა სასადილო, სადაც ყოველდღიურად მზადდება 500 სადილი. ასეთივე სასადილოები ახლო ხანში მოეწყობა კიდევ 5 ამხანაგობასთან.

ღამის სანატორიუმები

ჯანმრთელობის სახ. კომისარიატმა გადაწყვიტა სამრეწველო რაიონებში მუშებისათვის გახსნას ღამის სანატორიუმები. სანატორიუმებში მკურნალობას გაუწევენ სუსტი ჯანმრთელობის მუშებს.

თბილისის ალმასკომში

➔ საავადმყოფო ყაზბეგში. თბ. ალმასკომმა დაადგინა ყაზბეგში გახსნას საავადმყოფო.

➔ საბურთალოს კლუბის შესაკეთებლად ალმასკომმა გადასდო 1.000 მანეთი.

სხვადასხვა

➔ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პირველი კურსის ყველა სტუდენტები და მეორე კურსის კომკავშირელი სტუდენტები დღეს 12 საათზე უნდა გამოცხადდნენ ინსტიტუტში ბორჩალოში გამგზავრებასთან დაკავშირებით.

შემთხვევები

➔ დაჯახება. კლარა ცეტკინის ქუჩაზე მიმავალი ტრამვაის ვაგონი № 57 (მარშრუტი №4) ასცდა ლიანდაგს და დაეჯახა ელექტრონის ბოძს. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა.

საბჭოს ქუჩაზე მიმავალი ტრამვაის ვაგონი (მარშრუტი № 14) დაეჯახა წინ მიმავალ ტრამვაის ვაგონი (მარშრუტი № 14) დაეჯახა წინ მიმავალ ტრამვაის ვაგონს. დაჯახების დროს დაშავდა ორი მგზავრი.

➔ ქძაფის შესხმა. მოქ. ილია ნამთარაშვილმა (მეჩ. გრიბოედოვის ქუჩაზე № 21) ეჭვიანობის ნიადაგზე თავის ცოლს ესტარ მოშიაშვილს სახეში შეასხა ქძაფი. ბოროტმოქმედი შეიპყრეს.

➔ ქურდობა. გაქურდეს ევგენი ბაქრაძის ბინა (მალაკის ქუჩა № 31), საიდანაც წაიღეს 250 მან. საოჯახო ნივთები. ასევე მზარეულიშვილის ბინიდან (ელიტის ქუჩა № 89) მოიპარეს 1400 მანეთის ნივთები. გაქურდეს სიმონ ამიროვის ბინა (მთის შესახვევი № 3), საიდანაც წაიღეს 280 მან. ნივთები.

ხელოვნება

როგორი იქნება სახელმწ. ოპერის მომავალი სეზონი

სახელმწიფო ოპერის დირექცია შეუდგა სამზადისს მომავალი სეზონისათვის. თეატრის დირექტორი ვ. თანიშვილი ამჟამად მოსკოვში იმყოფება, სადაც მოლაპარაკებას აწარმოებს მომღერლებთან მათი თბილისში მოწვევის შესახებ.

სამხატვრო-პოლიტიკურ საბჭოს მიერ დამტკიცებულ გეგმის მიხედვით, მომავალი სეზონი განვლილ სეზონზე ბევრად უფრო საინტერესო უნდა იყოს. გადაწყვეტილია მთელ რიგ გამოჩენილ ძალების მოწვევა. ოპერის სამხატვრო ნაწილის გამგეთ და მთავარ რეჟისორათ განზრახულია მოწვეული იქნეს საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი საუკეთესო სოოპერო რეჟისორი სმოლიჩი. დირიჟორებად მოწვეულნი იქნებიან ი. ფალიაშვილი, მელიქ-ფაშაევი, რომელმაც უმაღლესი კვალიფიკაციით დაამთავრა ლენინგრადის კონსერვატორიის სადირიჟორო კლასი, და გოლოვანოვი (გასტროლიორად).

დიდი ყურადღება აქვს მიქცეული ბალეტის შემადგენლობის და რეპერტუარის გადახალისებას. მოლაპარაკება სწარმოებს ლენინგრადის სახელ. ოპერის მსახიობებთან სემიონოვთან და სემიონოვასთან მათი თბილისში მოწვევის შესახებ. გადაწყვეტილია დადგმული იქნეს ბალეტი „ფეხბურთელი“, რომელიც დიდი წარმატებით მიდის მოსკოვის დიდ თეატრში.

რაც შეეხება რეპერტუარს, მიღებულია ზომები მის გადასახალისებლად. უკვე ცნობილ ოპერებთან ერთად დაიდგმება რამდენიმე ოპერა, რომლებიც უკანასკნელ წლებში არ დადგმულა თბილისში (ეგვიპტური, რიმსკი-კორსაკოვი და სხვები). დადგმული იქნება აგრეთვე ზოგიერთი ახალი თანამედროვე ოპერა, რომელიც უფრო მიზანშეწონილად იქნება ცნობილი სამხატვრო საბჭოს მიერ.

განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული მუშა-მაყურებლის დაახლოებას და მასთან კავშირის განმტკიცებას. ამ მიზნით ფართოდ იქნება გავრცელებული საბონემენტო სისტემა. მომავალ სეზონში ყველა წარმოდგენები აბონემენტიანი იქნება. ამ მიზნით, რათა მუშა-მაყურებელს გაუადვილდეს აბონემენტის შეძენა, ლენრაიონში იხსნება სპეციალური საბონემენტო სალარო. ჩვეულებრივ აბონემენტებთან ერთად გამოშვებული იქნება მუშათა აბონემენტები უფრო ხელმისაწვდომ ფასებში. აბონემენტების გავრცელება დაიწყება ივლისის შუა რიცხვებიდან. ამ დროისათვის უკვე გამოცხადებული იქნება ოპერის დასის ული შემადგენლობა.

ადგილობრივი ახალგაზრდა ძალების მოსამზადებლად და ოპერის საქმიანობაში ჩასაბმელად სახელმწიფო ოპერასთან არსდება სპეციალური სახელოსნო, სადაც ახალგაზრდა მომღერლებთან იმეცადინებენ თეატრის საუკეთესო დირიჟორები და რეჟისორები.

საგასტროლო სისტემა რჩება მომავალი სეზონშიაც, მხოლოდ გასტროლიორების რიცხვი შემცირებულია. გასტროლიორებად მოწვეულნი იქნებიან ალ. პიროგოვი, მ. რეიზენი, მიგაი, სტეპანოვა, კოზლოვსკი, პეჩკოვსკი და სხვ.

სეზონი გაიხსნება 15 ოქტომბერს.

➔ მეცხანრომის მუშაკთა კლუბში (ყოფ. „სტელა“) დღეს გაიმართება გარმონისტების სიმფონიური კონცერტი. ხვალ, 14 ივნისს, ცეცხლიანი კარნავალი და მომღერალთა გუნდების შეჯიბრება.

➔ მხატვართა კრება. 15 ივნისს ხელოვნების სასახლეში საღამოს 7 საათზე შესდგება საქ. რევ. მხატვართა ასოციაციის „სარმა“-ს წევრთა საერთო კრება. დღის წესრიგში სდგას მოხსენება თემაზე „თანამედროვე მხატვრობის თემატიკა“.

მეცნიერება და ტეხნიკა

მე-87 ელემენტი

ალაბამის შტატის (შეერთებული შტატები) პოლიტექნიკური ინსტიტუტის თანამშრომლებმა ალისონმა და მერფიმ დღემდე აღმოუჩენელ ელემენტის № 87-ის კვალი შენიშნეს ნაკლებად გავრცელებულ მინერალებში—ლეპიდოლიტსა და პოლიუციტში, ამ მინერალების 4 ნიმუშის გამოკვლევამ გამოაამჟღავნა, როგორც სჩანს, ამ ელემენტის დამახასიათებელი რეაქციები.

შემდეგი ნაბიჯი იქნება № 87 ელემენტის გამოყოფა ხსენებულ მინერალებიდან და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ ახალი ელემენტი მართლა აღმოჩენილია. თუ ეს მოხერხდა, მაშინ მენდელეევის პერიოდული სისტემის 92 ელემენტიდან აღმოუჩენელი დარჩება მხოლოდ ელემენტი № 85, რომელიც ეკუთვნის გალოიდების ჯგუფს (ქლორი, ფტორი, ბრომი და იოდი).

„იკონოფონ“

მეცხრამეტე საუკუნის უტოპისტების ოცნება—საუბარი და ერთმანეთის დანახვა ათეულ და ასეულ კილომეტრის მანძილზე—განხორციელებას უახლოვდება. ამერიკიდან მიღებულია ცნობები საინტერესო ცდების შესახებ, რომლებიც ბელლის სატელეფონო და სატელეგრაფო კომპანიის ჩაატარა. გამოსცადეს ამ კომპანიის თანამშრომლების მიერ გამოგონებული აპარატი, რომელსაც იკონოფონი უწოდეს. ეს აპარატი შესაძლებლად ხდის ტელეფონით ლაპარაკთან ერთად ერთმანეთის დანახვას მოსაუბრეთა მიერ. ჩვეულებრივი სატელეფონო აპარატი „იკონოფონ“-ში შეცვლილია ხმის გამაძლიერებლით. ის პირი, რომელსაც საუბარი სურს, ჯდება ნარინჯისფრად ძლიერ განათებულ ეკრანის წინ. ამ ეკრანზე ჩნდება მისი თანამოსაუბრის სურათი, ხმის გამაძლიერებელში კი ისმის მისი სიტყვები. პირველი ცდის შედეგები სავსებით დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა: ხმა ისმოდა კარგად და თანამოსაუბრის სურათიც გარკვევით სჩანდა.

ახალი ორთქლმავალი

გერმანიის სარკინიგზო უწყება სცდის მაღალი წნევით მომუშავე ახალ ორთქლმავალს, რომელიც, გერმანელი სპეციალისტების აზრით, გადატრიალებას მოახდენს რკინის გზის ტრანსპორტში.

ახალი ორთქლმავლის ქვაბები იძლევიან ორთქლს, რომლის წნევა კვ. დიუმზე უდრის 1.450 ინგლისურ გირვანქას. მაღალი წნევის ქვაბი წარმოადგენს ფოლადის მილების სისტემას, რომლებიც ცეცხლის სანთებ განყოფილებაში გადიან. მაღალი წნევის ქვაბიდან ორთქლი მიდის მაღალი წნევის ცილინდრებში, საიდანაც გადადის დაბალი წნევის ქვაბებში. აქ ის თბება და მიდის დაბალი წნევის ცილინდრებში, დაბალი წნევის ცილინდრებში ნამუშევარი ორთქლი ცივდება კონდენსატორში. ახალი ორთქლმავალი, ჩვეულებრივ ორთქლმავალთან შედარებით, იძლევა საწვავი მასალის 40 პროც. ეკონომიას. იგი ორჯერ მეტ მანძილს გადის საწვავი მასალის ერთი და იგივე მარაგით, ვიდრე ჩვეულებრივი ორთქლმავალი.

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

სოფლის აგრონომიულ რწმუნებულთა დებულების დამტკიცების შესახებ

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოადგენენ:

1. დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება სოფლის აგრონომიულ რწმუნებულთა შესახებ.

2. მიენდოს აფხაზეთის სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს გამოსცენ ანალოგიური დებულებანი.

3. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. იანვრის 6-ის დადგენილებით დამტკიცებული „სასოფლო საბჭოებთან არსებულ სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირების დებულების“ მე-18 მუხ. (კან. კრ. 1930 წ. მე-3 №-რი, მუხ. 31), მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 18 აგრორწმუნებულნი მოქმედობენ განსაკუთრებული დებულების თანახმად“.

4. გაუქმებულ იქნეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. აპრილის 5-ის დადგენილება“ აგრორწმუნებულთა ინსტიტუტის დაარსების შესახებ“ (კან. კრ. 1929 წ. მე-11 №-რი, მუხ. 94).

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. ოდორია.**

1930 წ. მაისის 6.
თბილისი—სასახლე.

დებულება

სოფლის აგრონომიულ რწმუნებულთა შესახებ

რათა ღარიბ და საშუალო გლეხთა ფართო მასები უშუალოდ ჩაებნენ მოსავლიანობის გასადიდებლად წარმოებულ მუშაობაში და აგრეთვე, რათა საზოგადოებრივი კონტროლი გაეწიოს ცალკეული მეურნეობების მიერ ამ აგროტეხნიკურ ღონისძიებათა სისწორით და თავის დროზე განხორციელებას, რაც საკონტრაქტაციო ხელშეკრულების წესით უნდა იქნეს გატარებული, და სავალდებულო აგრო-დადგენილებათა შესრულებას,—არსდება სოფლის აგრონომიულ რწმუნებულთა (აგრორწმუნებულთა) ინსტიტუტი შემდეგ საფუძვლებზე:

1. ყოველი სოფელი, კოლექტიური მეურნეობა, კოოპერატიული შენაერთი და სასოფლო ამხანაგობა (სასოფლო-სამეურნეო საწარმოო შენაერთი) ირჩევს აგრორწმუნებულს.

2. აგრორწმუნებულებად აირჩევიან კოლექტიურ მეურნეობათა, კოოპერატივისა, ქალთა დელეგატებისა, მოჯამაგირეთა, ღარიბთა და საშუალო გლეხთა აქტივის იმათ პირთაგან, რომლებიც ცნობილ არიან აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეებად, რომელთაც იციან სოფლის ეკონომიკა და რომლებიც მოპოვებული აქვთ გლეხთა შორის ავტორიტეტი და ნდობა.

3. აგრორწმუნებულთა არჩევაში მონაწილეობას იღებენ მხოლოდ საარჩევნო უფლების მქონე პირნი.

4. აგრორწმუნებულნი აირჩევიან ერთი წლის ვადით; ხოლო ამომრჩეველთ უფლება აქვთ ვადის გასვლამდე უკან გაიწვიონ ისინი უმოქმედობისათვის.

5. აგრორწმუნებულნი აირჩევიან სოფლის საერთო კრებაზე ისეთი ვარაუდით, რომ 50 კომლზე მოდიოდეს ერთი აგრორწმუნებული, ხოლო იმ სოფელში, სადაც 50 კომლზე ნაკლები მოსახლეობაა, აირჩევა ერთი აგრორწმუნებული.

შენიშვნა: კოლექტიურ მეურნეობებში, კოოპერატიულ შენაერთებში და სასოფლო ამხანაგობებში აგრორწმუნებულნი აირჩევიან სათანადო შენაერთის საერთო კრებებზე.

6. აგრორწმუნებულნი მუშაობენ სასოფლო საბჭოებთან არსებულ სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირების უშუალო ხელმძღვანელობით და ადგილობრივი აგრონომის მეთვალყურეობით. (აგრორწმუნებულნი მოვალენი არიან ანგარიში წარუდგინონ სასოფლო საბჭოებს და თავიანთ ამომრჩევლებს.

შენიშვნა: სასოფლო საბჭოს შეუძლიან როცა სურს მაშინ მოისმინოს აგრორწმუნებულის მისი მუშაობის ანგარიში, ხოლო ამომრჩევლებს ანგარიში ისინი წარუდგენენ წელიწადში ორჯერ მაინც.

7. აგრორწმუნებულთ დაეკისრებათ:

ა) თვალყური ადევნონ, რათა ცალკეულმა მეურნეობებმა და მათმა შენაერთებმა განახორციელონ სასოფლო საბჭ. ყველა ის დადგენილება, რაც მიმართულია სოფლის სოციალისტურ გარდაქმნისაკენ.

ბ) მოაწყონ ორგანიზაციულად ღარიბთა და საშუალო გლეხთა მასები მათი მეურნეობების კოლექტივიზაციის განსახორციელებლად, მოსავლიანობის გასადიდებლად, ნათესი სივრცის გასადიდებლად და მეურნეობების წარმოების ტეხნიკის გასაუმჯობესებლად საჭირო ღონისძიებათა ჩატარებისათვის;

გ) შეამოწმონ აგრომინიმუმისა და სხვა იმ აგროკულტურულ-საწარმოო ხასიათის ვალდებულებათა აღსრულება, რაც იკისრეს ცალკეულმა მეურნეობებმა და მათმა შენაერთებმა, აგრეთვე შეამოწმონ საერთო კრებებისა, ამომრჩეველთა და სხვ. დადგენილებების აღსრულება, რამდენადაც ეს დადგენილებები ეხება მოსავლიანობის გადიდებისა და მეურნეობის წარმოების ტეხნიკის გაუმჯობესებას.

8. უკეთუ ცალკეული მეურნეობები და მათი შენაერთები არ ასრულებენ ან შეასრულებენ აგრო-საწარმოო მოთხოვნათ, აგრორწმუნებული მისცემს მათ სათანადო დირექტივებს მის მიერ უახლოეს აგრონომისაგან მიღებული ინსტრუქციის საფუძველზე.

უკეთუ ცალკეული მეურნეობები და მათი შენაერთები არ შეასრულებენ მათ მიერ ნაკისრებ აგრო-საწარმოო ხასიათის ვალდებულებებს თუ დადგენილებებს, აგრორწმუნებული აცნობებს ამას სასოფლო საბჭოს, აგრონომს ან სოფლის მოქალაქეთა საერთო კრებას სათანადო ზეგავლენის ღონისძიებათა მისაღებად.

9. აგრორწმუნებულნი შედიან სასოფლო საბჭოსთან არსებული სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირის შედგენილობაში ამ თათბირის წევრთა უფლებით.

10. აგრორწმუნებულნი უახლოესი თანაშემწენი არიან აგრონომისა, რომლისაგანაც ისინი მიიღებენ მათი მუშაობისათვის საჭირო ყველა დირექტივას და განმარტებას.

11. აგრორწმუნებულთა სოფლად მუშაობისა და გამოცდილების გაერთიანებისა და შეჯამებისათვის სასოფლო საბჭოებთან და საოლქო აღმასრულებელ კომიტეტებთან პერიოდულად, საგაზაფხულო და საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო კამპანიების წინ, მოიწვევა აგრორწმუნებულთა თათბირები.

12. ადგილობრივი სადგილმამულო ორგანოებს აგრონომიულ პერსონალს დაეკისრება ხელმძღვანელობა და ინსტრუქტირება გაუწიოს აგ.-რწმუნებ. და აღმოუჩინოს მათ დამარება საყოველთაო პრაქტიკულ მუშაობაში.

13. აგრორწმუნებულნი იღებენ იმ ორგანიზაციის ხარჯით, რომლისგანაც ისინი არიან არჩეულნი, გაზეთს „კოლექტივიზაცია“ და ბროშურებს სოფლის მეურნეობის ტეხნიკის ამა თუ იმ საკითხის შესახებ, რამდენადაც ამას აქვს არსებითი მნიშვნელობა მათი მოქმედების რაიონისათვის.

14. აგრორწმუნებულნი მუშაობენ საზოგადოებრივი დატვირთვის წესით და მათ გასამრჯელო არ ეძლევათ.

იმ აგრორწმუნებულს, რომელიც გამოიჩენს განსაკუთრებული აქტივობას მისთვის დაკისრებულ მოვალეობათა აღსრულებაში, სასოფლო საბჭოს დადგენილებით, შეიძლება მიენიჭოს ისეთი შეღავათი და უპირატესობა, რაც ხელს შეუწყობს მისი მეურნეობის გაუმჯობესებას, როგორიც არის მაგალითად: მიღება პირველ რიგში წინდა ჯიშის თესლისა, სესხისა შეღავათიან პირობებზე, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და სხვ.

ხოლო კოლექტიურ მეურნეობასთან მომქმედ აგრორწმუნებულს შეიძლება მიეცეს გასამრჯელო საპრემიო ფონდიდან საოლქო (სამაზრო) აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით.

პარტიული კალენდარი

დღეს, 13 ივნისს, საღამოს 7 საათზე რკ. გზ. მე-8 შრ. სკოლაში შესდგება განათ. მუშაკთა კავშირის ლენ-რაიონის კომუჯრედის დახურული სხდომა კომკავშირთან ერთად.

დღეს, საღამოს 6 საათზე, მოწვეულია სახელმწიფო უნივერსიტეტის სოც. ეკ. ფაკულტეტის კომუჯრედის კრება. კრებაზე დასწრება ევალებათ აგრეთვე სოც. ეკ. ფაკულტეტის კომკავშირის უჯრედების წევრებსაც. კრება შესდგება სტუდენტთა კლუბში.

თბილისის მუშკოოპის გამგეობის სამუშაო აპარატი

შესდგა თბილისის მუშკოოპის ახლად არჩეულ გამგეობის სხდომა. სხდომაზე მოხდა ფუნქციების განაწილება გამგეობის წევრთა შორის.

მუშკოოპის გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. ერისთავი. მასვე დაევალა ორგანიზაციის საერთო ადმინისტრატიული ხელმძღვანელობა. გამგეობის თავმჯდომარის თანაშემწედ არჩეულია ამხ. ბეჟანოვი (ყოფ. „ზაკტპო“-ს გამგეობის თავმჯდომარე); მას დაევალა სავაჭრო სექტორის და კოოპერატიული აღმშენებლობის ხელმძღვანელობა.

სანგარიშო - საფინანსო აპარატის ხელმძღვანელობა დაეკისრა გამგეობის წევრს ამხ. მელჩარსკს, საორგანიზაციო, კულტურულ-ყოფაცხოვრებითი, რაციონალიზაციის საკითხების და პურის წვენების სექციის ხელმძღვანელობა დაევალა ამხ. ხავა ორჯონიკიძეს და საზოგადოებრივი კვების საბჭოთა მეურნეობის მშენებლობის და პურის ცხობის საქმის ხელმძღვანელობა ამხ. მელიქ-დადაევს.

სამხედრო და სატრანსპორტო სექციების ხელმძღვანელობა დაეკისრა ამხ. კვიტინს.

აბრეშუმის პარკის დამზადება

აბრეშუმის პარკს დაამზადებს მეაბრე შუმეობის კოოპ. კავშირი

საქართველოს სახკომსაბჭოს დადგენილებით, აბრეშუმის პარკის დამზადება საქართველოში მიმდინარე წლიდან ევალება სას.-სამ. კოოპერაციის სისტემაში შემავალ მეაბრეშუმეობის კავშირის საორგანიზაციო ბიუროს.

მეაბრეშუმეობის კავშირის საორგანიზაციო ბიუროს წინადადება მიეცა შეაკეთოს ძველი და მოაწყოს ახალი ფარდულები პარკის დამზადების რაიონებში. პარკის მექანიკური სახმობების შეკეთება დავალებული აქვს „საქართველოს აბრეშუმს“. საორგანიზაციო ბიურომ დამზადებული პარკის მთელი რაოდენობა უნდა გადასცეს „საქართველოს აბრეშუმს“.

სპეკულიანტი ქარხნის დირექტორად

საქ. ქიმიკოსთა კავშირმა სახარხნო-საფაბრიკო კომიტეტების გადასარჩევად ბათომში მიავლინა ბრიგადა.

ბრიგადამ ადგილობრივ მრავალი დეფექტები აღმოაჩინა როგორც საქ.-საფაბრიკო კომიტეტების მუშაობაში, ისე მეურნეობის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობაში. ზოგიერთი ქარხნის ადმინისტრაცია უხეშად ეპყრობა მუშებს, ანგარიშს არ უწევს წარმოების გასაუმჯობესებლად მათ მიერ შეტანილ წინადადებებს და აჩქმობს მუშების ინიციატივას.

ასეთი არანორმალური მდგომარეობა აღმოჩნდა ბათომის სადღეღინო ქარხანაში, რომლის დირექტორი კრასნევის ტერორს ქვეშ სჭყვდა დაჩაგრული მუშები.

ბრიგადამ საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტის გადარჩევასთან დაკავშირებით მოიწვია აღნიშნულ ქარხნის მუშების კრება, მაგრამ მუშები ისე იყვნენ დაშინებულნი, რომ ვერც ერთმა ვერ გაბედა ქარხანაში არსებულ დეფექტებზე ლაპარაკი და დირექტორის მხილება.

ბრიგადა იძულებული გახდა კრება გადადო. მეორე კრების მოწვევამდე ბრიგადამ მუშებში გასწია შესაფერი აგიტაცია და წაახალისა ისინი უშიშრად ეთქვათ ყველაფერი.

მეორე კრებაზე მართლაც გამოვიდა 14 მუშა, რომლებმაც სასტიკად გააკრიტიკეს დირექტორის მოქმედება. მათი გამოსვლიდან გამოირკვა, რომ დირექტორი ეწინააღმდეგება მუშების საქმიან წინადადებებს, ქარხნიდან ერეკება აქტიურ მუშებს, ხელს არ უწყობს სოცშეჯიბრებას და აფარებს მუშების შრომის პირობებს.

დირექტორის ასეთ მოქმედების შესახებ „საბჭოთა აჭარისტანში“ დაიბეჭდა წერილი, რომლის ავტორობა კრასნევმა დასწამა მუშა დოლბანოვს და სამუშაოდან მოხსნა იგი. დირექტორმა მუშკორს არც ეს სასჯელი აკმარა და დოლბანოვი რომ არსად დაეშვათ სამუშაოთ, მას მისცა „მგლის ბილეთი“.

საქმის გამოსარკვევად მისულ დოლბანოვს დირექტორმა სცემა და კაბინეტიდან გააგდო.

კრების მეორე დღეს გაცოფებული დირექტორი კრასნევი თავს დაესხა მუშებს: დოლბანოვს, ჭანიშვილს, ჩოტაშვილს და ჯულარკავას და დაუწყო მათ უხეში სიტყვებით ლანძღვა. დირექტორი მუშებს დაექადნა სამუშაოდან მოხსნით.

ბრიგადამ მიიღო შესაფერი ზომები დირექტორის ასალაგმავად და მისი პირობების გამოსააშკარავებლად.

და ვინ აღმოჩნდა კრასნევი? ყოფილი სპეკულიანტი, გამფლანგველი და საბჭოთა ხელისუფლების დაუძინებელი მტერი.

კრასიევმა კოოპერაციაში მუშაობის დროს გაფლანგავს 20.000 მანეთი, რისთვისაც მისი საქმე სასამართლოშია.

ბრიგადების შუამდგომლობით, სათანადო ორგანოებმა კრასნევი უკვე მოხსნეს თანამდებობიდან. ახლო ხანში მოხდება მისი საჯარო გასამართლება მუშების კრებაზე.

წმენდის შედეგები

თბ. ალმასკომის „ახალშენი“-ს აპარატის წმენდა

თბილისის ალმასკომის „ახალშენის“ (ყოფილი „სამშენი“) აპარატის გამწმენდმა კომისიამ დაამთავრა მუშაობა და წმენდის შედეგები 10 ივნისს გამოაქვეყნა ხსენებულ დაწესებულებათა თანამშრომლების საერთო კრებაზე.

გამწმენდ კომისიის დასკვნით ყოფილ „სამშენის“ აპარატის მუშაობაში ადგილი ჰქონდა მთელ რიგ დეფექტებს, როგორიც არის ტეხნიკურ ხელმძღვანელობის სისუსტე, რომელმაც საგრძნობი ზარალი მიაყენა „ახალშენს“. ბუხჰალტერიის საქმის არეულ-დარევა და სრული ჩამორჩენა; სამმართ. ვერ უწევდა ხელმძღვანელობას ადგილებს; აპარატში ადგილი ჰქონდა თანამშრომლების ხულიგნურ გამოსვლებს, არ არის აღმოფხვრილი ბიუროკრატიზმი და საქმის გაჭიანურება. სამუშაოებზე არ არის გატარებული სოც. შეჯიბრება; გამოირკვა აგრეთვე, რომ დამკვრელ ბრიგადებში არ არის ჩაბმული რაიონებში მომუშავე მუშა - მოსამსახურეთა უმრავლესობა და ვინც არის, ისინიც ვერ ამართლებენ დამკვრელების სახელწოდებას. მაშ შემდეგ, რაც მოხდა ყოფილ „სამშენის“ აპარატის რეორგანიზაცია „ახალშენის“ აპარატს ეტყობა გაუმჯობესება, რაც გამოიხატება სოც. შეჯიბრის ნაწილობრივ გაშლაში და სხვ.

მიუხედავად ამისა, ყოფ. „სამშენის“ აპარატის დეფექტები ზეგავლენას ახდენს „ახალშენის“ აპარატის მუშაობაზე. ზემოხსენებული დეფექტების აღმოფხვრის მიზნით, კომისიამ „ახალშენის“ ადმინისტრაციას და სამმართველოს მისცა სათანადო მითითებები.

კომისიის დადგენილებით სამსახურიდან მოხსნილი არიან მე-2 კატეგორიით: **სოლომონ ისაკის-ძე არუთინოვი, ვასილ ილარიაონის-ძე შეიშვილი**, როგორც თანამდებობისათვის შეუფერებელნი.

მე-3 კატეგორიით მოხსნილი არიან **არჩილ ბესარიონის-ძე დათიკაშვილი** (უფ. სტატისტიკოსი), რომელსაც საქმის უცოდინარობის გამო არეული აქვს საქმეები. **ერვანდ ვასილის ძე ხარაჯიშვილი** ინტრიგანი შემჩნეულ იქნა ყალბი ციფრების შედგენაში, არ უვლის სახელმწიფო ქონებას, (მან „გაასაჩუქრა“ „ახალშენის“ ცემენტი); **ლევან პავლეს-ძე კარანაძე** — სამსახურისადმი გულგრილობისათვის შემჩნეული ქეთარის გადაკეთებაში, სალაროში შესატანი ფული მოიხმარა თავის საჭიროებისათვის; **ნიკოლოზ ვლადიმერის-ძე გძელიშვილი** (ბუხჰალტერი) სამსახურს ბოროტად იყენებს, ნარდ სამუშაოებს აძლევს ნათესავებს, დაწესებულებაში აწყობს ხულიგნურ გამოსვლებს და სცემა თანამშრომელს.

გამწმენდმა კომისიამ გარდა ამისა 13 თანამშრომელს სხვადასხვა ბოროტმოქმედების გამო გამოუცხადა საყვედური, მისცა გაფრთხილება და სხვ.

გამწმენდი კომისიის შემადგენლობა: ი. დუდიაშვილი (თავმჯდომარე), ო. დგებუაძე (მდივანი), პაპიკიანი, მუსერიძე, ი. სირეძე, ვ. სუბულავა, ტ. ხარაზიანი (წევრები).

ვინ გააძევეს მილიციის რიგებიდან

მესამე რაიონის მილიციის მუშაკთა გამწმენდმა კომისიამ დაამთავრა მუშაობა.

გამწმენდი კომისიის დადგენილებით სამსახურიდან პირველ კატეგორიით მოხსნილნი არიან: **დავით წერეთელი** (უმცროსი მილიციონერი), რომელსაც ბრალად ედება სამსახურისადმი გულგრილობა და თავისი წარსულის დამალვა წმენდის დროს; **გიორგი გეგელიანცი**, როგორც უდისციპლინო, ხელისუფლების სახელის გამტეხი და სისტემატიური ლოთობს, თავისი სანგარიშო წიგნაკით ნაცნობის გასასყიდად გამოატანინა დეფიციტიანი საქონელი; **ნესტორ კორშია**, რომელმაც დამალა თავისი წარსული (იგი ძველად მსახურობდა პოლიციაში); **ელიზბარ ყანჩელი**, როგორც არასაბჭოთა ელემენტი.

მეორე კატეგორიით მოხსნილი არიან: **შალვა დოხაძე** (უფროსი მილიციონერი) უფლების გადამეტებისათვის, ლოთობისა და სამსახურისადმი გულგრილობისათვის; **ილია გოგოლაძე** (უმცროსი მილიციონერი) უდისციპლინო, ლოთი, სამსახურში დაგვიანებით ცხადდება, მოქალაქეებს ეპყრობა უხეშად და კავშირი აქვს ვაჭრებთან; **გიორგი ბოლოთაევი** (უმცროსი მილიციონერი) როგორც უდისციპლინო, ლოთი, უხეში. მას კავშირი აქვს ვაჭრებთან; **მიხეილ გოშიაშვილი**, სამსახური სადმი იჩენს გულგრილობას, არის უდისციპლინო, შემჩნეულია დეფიციტიან საქონლის გაყიდვაში და წმენდის დროს დამალა თავისი წარსული; **ალექსანდრე გიგაური**, სამსახურისადმი გულგრილობისათვის და უდისციპლინობისათვის; **მუშეღ ანტონიანი**, უდისციპლინობისათვის, ქურდობისათვის, ამხანაგებს ეპყრობა უხეშად; **პეტრე კვინტრაძე**, როგორც მილიციის სახელის გამტეხი, შემჩნეული იყო ქურდობაში; **დემეტრე ხუბაშვილი**, უდისციპლინო, სამსახურისადმი გულგრილი; **ილია სოტნიკოვი**, როგორც ქურდი და უდისციპლინო; **მიხეილ გლებოვი** (უფროსი მილიციონერი), დაპატიმრებული იყო ქურდობისათვის.

მესამე კატეგორიით სამსახურიდან მოხსნილი არის: **გიორგი გიგოლაევი**, სამსახურისადმი გულგრილობისათვის.

გარდა ამისა მთელ რიგ თანამშრომლებს გამოეცხადა საყვედური, გაფრთხილება და სხვ.

საზაფხულო საბანაო ვერის პარკში

დამთავრდა ვერის პარკში საზაფხულო საბანაოს მოწყობა.

თბილისის ალმასკომის პრეზიდიუმმა ვერის პარკში შესასვლელ გადასახადათ ყველასათვის დააწესა 5 კაპეიკი. საბანაოთ შესვლები იხდიან: პროფკავშირის წევრები—15 კაპეიკს, არა კავშირის წევრები—25 კ., ბავშვები 6-დან 10 წლამდე და წითელარმიელები—5 კაპ. მოზარდები პარკში შესასვლელი არ გადახდებათ. ბავშვები 6 წლამდე მშობლების თანხლებით შედიან უფასოდ. მთელ სეზონში ბილეთი ღირს 13 მან., სეზონური ბილეთით შეუძლიათ ისარგებლონ ერთ დღის ოჯახის ყველა წევრებმა.

საბანაოს აქვს განყოფილებები ქალებისათვის და კაცებისათვის. საბანო აუზებში გაშვებული იქნება გასუფთავებული და დეზინფექციაქმნილი წყალი. საბანაოსთან მოწყობილია შხეფები (დუში), საბანაოში სისუფთავის დაცვას მეთვალყურეობას გაუწევს ექიმი. საბანაოთ დამშვებულნი არ იქნებიან კანით ავადმყოფნი. საბანაოსთან მოწყობილია მზის საბაზანო მოედანი.

ალმასკომმა დაავალა წყალზე დამხმარე საზოგადოებას კეთილმოწ. განყოფილებასთან ერთად პარკში დადგას სკამები, გამწვანოს ხეივნები და მოაწყოს გასართობი მოედნები. პარკში დაუკრავს მუსიკა. საბანაო გაიხსნება 15 ივნისს.

რკინის გზებზე

ა.-კ. რკინის გზის მუშაობა ივნისში გაუარესდა. შემთხვევების რიცხვმა იმატა. — ამან შეაფერხა მატარებლების ნორმალური მოძრაობა. და საექსპორტო ნავთის პროდუქტების გადაზიდვა.

უკანასკნელ ხანებში ა.-კ. რკინის გზაზე შემთხვევების რიცხვი ძალზე გაიზარდა. არ გავა დღე, რომ არ მოხდეს 10-15 შემთხვევა. შემთხვევები იწვევენ მოძრაობის შეწყვეტას რამდენიმე საათით და შლიან მატარებლების მოძრაობის ცხრილს.

შემთხვევებს უმეტესად ადგილი აქვს გზის მეორე და მესამე საექსპლოატაციო რაიონების ფარგლებში და მათი ანალიზი ნათლად მოწმობს, რომ შემთხვევების გაზრდის გამოწვეულია გზის აგენტების მიერ დისციპლინის მასიურად დარღვევით და ხაზებზე მომუშავე ადმინისტრაციის სუსტი ხელმძღვანელობით.

ამის გამო ივნისში გზის მუშაობა გაუარესდა. გაუარესებულია ვაგონების და განსაკუთრებით ცისტერნების ბრუნვა. ეს მუშაობა თითქმის ყოველდღიურად უფრო და უფრო უარესდება, რადგან შემთხვევების რიცხვი არ კლებულობს და ჩაშლით ემუქრება საექსპორტო ნავთის პროდუქტების გადაზიდვის პროგრამის შესრულებას. ამას ნათლად მოწმობს ის, რომ უკანასკნელ დღეებში ჩაუხშნელი დარჩა 500-ზე მეტი ცისტერნა ნავთი.

ასეთი მდგომარეობის გამოსწორება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხაზებზე მომუშავე გზის აგენტები მიიღებენ სათანადო ენერგიულ ზომებს.

აქეთკენ მოუწოდებს მათ გზის დირექცია და აფრთხილებს, რომ მუშაობის ჩაშლაში შემჩნეული პირები მიცემული იქნებიან სასტიკ პასუხისგებაში.

მგზავრების კვება ცუდად არის დაყენებული

აძ-კ. რკინის გზის დირექციას მოსდის დიდძალი საჩივრები იმის შესახებ, რომ გზაზე მგზავრების კვების საქმე ძალზე გაუარესდა.

კერძო ვაჭრების ბუფეტებიდან გაძევების შემდეგ, მგზავრების კვების საქმე გადაეცა ა.-კ. სატრანსპორტო კოოპერაციას, რომელსაც უნდა გაეხსნა გზაზე სულ 104 ბუფეტი. კოოპერაციამ ვერ შესძლო ამ დავალების შესრულება. მან გახსნა ბუფეტები მხოლოდ 27 სადგურში და იქაც ვერ შესძლო საქმის სათანადო ნიადაგზე დაყენება. სპეციალურმა გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ ბუფეტების უმეტესი ნაწილი ცუდ მდგომარეობაშია.

პროდუქტების მარაგი არ მოიპოვება და თუ არის ცუდი ხარისხისაა. ჭურჭელი მოუკავლია, თეთრეული და ჭურჭლეული ანტისანიტარულ მდგომარეობაშია და სხვ.

ეხლა, როდესაც ა.-კ. სატრანსპორტო კოოპერაცია, როგორც დამოუკიდებელი ორგანიზაცია გაუქმდა და მისი ფუნქციები გადაეცა საერთო - სამოქალაქო კოოპერაციას, მოსალოდნელია მგზავრების კვების კიდევ უფრო გაუარესება, თუ დროზე არ იქნა მიღებული სათანადო ზომები.

ამის შესახებ ა.-კ. რკ. გზის დირექციამ წარუდგინა საქ. სახკომსაბჭოს შესაფერისი მოხსენება და სთხოვა, რომ წინადადება მისცეს კოოპორგანიზაციებს, რომლებიც ხელმძღვანელობენ რკინის გზელთათვის სამსახურის გაწევა, რათა უკანასკნელებმა მიიღონ ზომები რკინის გზაზე ბუფეტების ქსელის გასაფართოებლად და მგზავრების კვების საქმის გასაუმჯობესებლად.

შემთხვევები გახშირდა

ამ უკანასკნელი ერთი თვის განმავლობაში მატარებლების მოძრაობა შედარებით ნორმალურ კალაპოტში იყო ჩაყენებული. ადგილი არ ჰქონდა მნიშვნელოვან შემთხვევებს, რომლებიც გამოიწვევდნენ მოძრაობის სერიოზულ შეფერხებას.

უკანასკნელად კი მდგომარეობა გაუარესდა. გზაზე ყოველდღიურად ადგილი აქვს 10-15 შემთხვევას. მართალია, ამ შემთხვევებს გზისთვის დიდი მატერიალური ზარალი არ მოუყენებიათ, მაგრამ ისინი საგრძნობლად უშლიან ხელს მატარებლების ნორმალურ მოძრაობას.

მთელ რიგ პუნქტებში ადგილი ჰქონდა მატარებლების გაწყვეტას, ორთქლმავლების გაფუჭებას, ორთქლმავლებზე წყლის და საწვავი მასალების გამოლევის შემთხვევებს. ყველაფერი ეს გამოწვეულია გზის აგენტების უყურადღებობით და მოძრაობა შემადგენლობების შეკეთების ცუდი ხარისხით.

გზის დირექციამ ამ გარემოებას მიაქცია სათანადო ყურადღება. საექსპლოატაციო რაიონებს მიცემული აქვთ წინადადება შექმნილ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

სახელმწიფო ოპერის თეატრი

ქართული დრამის თეატრი კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით

გასტროლები თბილისში

პარასკევს, 13 ივნისს,	შაბათს, 14 ივნისს,	კვირას, 15 ივნისს,
კარლო კალაძე	კარლ გუცკოვი	ქ. კალაძე
როგორ	**ურიელ აკოსტა**	**ხატიჯე**
მე-2 აბონემენტის წარმოდგენა	აბონემენტის გარეშე	მე-5 აბონემენტის

ნაწილი ბილეთებისა დატოვებულია გასასყიდათ. წარმოდგენის დასაწყისი საღამოს 8 ¼ საათზე. სალარო ღიაა დილის 12—4 საათ., საღამოს 6—9 საათამდე.

ნ. 876 თეატრის დირექტორი ქ. კალაძე.

აპოლო 1-ლი სეანსის დასაწყისი 5 ს. 50 წ.	მხატვრული სურათი **ქორწინება** ნ. გოგოლის მოთხრობის „ღამე შობის წინ“ მიხედვით	**პალასი** 1-ლი სეანსის დასაწყისი 6 ს. 30 წ.	**პატი და პატაშონი** ახალ კომედიაში **პარიჟის დასაწყისი**
სპარტაკი ყოფ. არფასტო	მხატვრული კინო-მოთხრობა **მოპირდაპირე ქარი** ლავრენევის პიესის „დღებიან დღეები“-ს მიხედვით	**რ. ლიუქსემბურგის** სახ. (ყოფ. მინიონი)	ჟენი იუგო, სენბურგი, ვ. კრაუსი სურათში **მკვდარი მარყუჯი**
ხოლეი 1-ლი სეანსის დასაწყისი 5 ს. 50 წ.	ამერიკული კომედია **ჩიკაგო**	**დარბაზი** 1-ლი სეანსის დასაწყისი 6 ს. 30 წ.	კომედია **ბედნიერების ნალი** იუმორისტ რაზდოლინის გასტროლების მეორე კვირა

მალე: საზაფხულო კინო „ეთერის“ და „აპოლო“-ს („დარბაზი“-ს ბაღში) გახსნა

თანახმად სრულიად საქ. საბჭ. ცენტ. აღმასრულებელი კომიტეტის და საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომისართა საბჭოს 1923 წლ. 15 მარტის № 12 ცირკულიარისა, აღმინგანის მმაჩის ბიურო აცხადებს, რომ მოქ. **იოსებ თეოფილეს ძე გიგინეიშვილმა** თავისი გვარი გამოიცვალა ახალ გვარზე **თარგამაძე-ზე.**

მმაჩის ბიუროს გამგე სიამაშვილი. საქმის მწარმოებელი კოვზირიძე. 3208

თანახმად სრულიად საქ. საბჭ. ცენტ. აღმასრულებელი კომიტეტის და საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომისართა საბჭოს 1923 წლ. 15 მარტის № 12 ცირკულიარისა, აღმინგანის მმაჩის ბიურო აცხადებს, რომ მოქ. **სერგო ალექსის ძე დაუჯიანცმა** თავისი გვარი გამოიცვალა ახალ გვარზე **თავდგირიძე-ზე.**

მმაჩის ბიუროს გამგე სიამაშვილი. საქმის მწარმოებელი კოვზირიძე. 3214

ვინ არის დამნაშავე?

...სურათის სიუჟეტი აგებულია ტრაგიკულ საყოფაცხოვრებო შემთხვევაზე, რომელიც არც ისე დიდი ხანია, რაც მოხდა ლენინგრადში.

ნ. 871

ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის მუშებისა და მოსამსახურეების საყურადღებოდ

გაზ. „კომუნისტ“-ზე

და საბჭოთა კავშირის ყველა ჟურნალ-გაზეთებზე ხელისმოწერა მიიღება:

1. საბჭოთა მეურნეობის კანტორაში ამხ. თედორე ბაიკოვთან.
2. საალმშენებლო განყოფილებაში ამხ. მაქს სპექტორთან
3. სამწეო ნაწილში (ეხო) ამხ. მოისწრაფეიშვილთან
4. ფაბრიკაში ამხ. ლეუმინახთან და ოლღა ბაიკოვასთან
5. ჩაის პლანტაციებზე ამხ. ადამიასთან (კანტორაში)
6. საცდელ სადგურზე ამხ. ჩიქობავასთან
7. სავაჭრო პუნქტში ამხ. დურსუნ ნაკაშიძესთან.

თავის დროზე ხელისმოწერა უზრუნველყოფს გაზეთის წესიერ მიღებას. ხელი მოაწერეთ არა უგვიანეს 20-25 ივნისისა. 0—1

სრულიად საკავშირო გაერთიანება „ცვეტმეტზოლოტო“

ამიერ-კავკასიის კანტორა.

სწარმოებს ოქროს მიღება ნამტვრევების, ზოდების და ფულის სახით სამრეწველო საქონელზე, ფქვილზე, შაქარზე, ყავაზე, მანუფაქტურაზე, უცხოეთის გალანტერეაზე, პარფიუმერიაზე და სხვებზე გადასაცვლელად.

მაღაზია—სომხის ბაზარი № 8. ნ. 862 3—2

„აზნეფტსტროი“-ს და „მაშინოტრესტ“-ის მუშების საყურადღებოდ

ხელისმოწერა ბათომში გაზ. „კომუნისტ“-ზე და საბჭოთა კავშირის ყველა ჟურნალ-გაზეთებზე მიიღება:

„აზნეფტსტროი“-ს ხაზით

1) მექანიკური სახელოსნოს შემდუღებელ საამქროში ამხ. რიჟიკოვასთან და ხასაიანთან
2) ვ. დ. რუბანოვის საამქროში ამხ. ვიქტორ ვარავასთან
3) გურევიჩის სამონტაჟო საამქროში ამხ. ვლ. დოდონოვთან
4) სამწეო ნაწილში ამხ. ა. ანგურსკისთან
5) ინჟ. ინდრიკსონის ელექტრო-სამონტაჟო საამქროში ამხ. პეტრე რიჟიკოვთან
6) ბელიკის საამქროში ამხ. სტ. თალიაშვილთან
7) გრაფსკის საამქროში ამხ. კ. სერედასთან

ნავთის გადამამუშავებელი ქარხნის ხაზით

1) ქარხნის კანტორაში ამხ. ა. ჩილინგაროვთან
2) ქარხანაში ამხ. ო. ტერ-ოგანოვთან

„მაშინოსტრესტი“-ს ხაზით

1) სახელოსნოებში ამხ. ბელკოვთან და ნადარეიშვილთან
2) მე-2 დადგმულობაში ამხ. დობრობოტოვთან
3) მე-4 დადგმულობაში ამხ. კუდინოვთან

გაზეთებს დაარიგებენ სპეციალური გაზეთის დამტარებლები სახაუზმო დასვენებამდე.

თავის დროზე ხელისმოწერა უზრუნველყოფს გაზეთის წესიერ მიღებას.

ხელი მოაწერეთ არა უგვიანეს 20—25 ივნისისა. 0—1

ქვემოდ ჩამოთვლილი დოკუმენტები

(დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს გაუქმებულად

— ხონის ტეხნიკუმის დამთავრების მოწმობა № 69 შალვა ჯანჯღავას სახელზე. 3195
— კავშირის წიგნაკი № 42506—ქიარიმ საფარ ოღლის სახელზე. 3217
— პარტ-წიგნაკი № 0856959 ილია ბალიაძის სახელზე. 3204
— ატესტატი № 50 გაცემული ქ. ქიათურის ტეხნიკუმიდან მერი გრიგოლის ასული ტყემალაძის სახელზე. 3205
— ატესტატი, გაცემ. ხონის ტეხნიკუმიდან—ლიუბა ქაზინაძის სახ. 3203
— მეტრიკული ამონაწერი № 372 არსენ სირბილაძის სახელზე. 3199
— პურის წიგნაკი იროდი გძელიშვილის სახელზე. 3201
— კავშირის წიგნ. № 13/31227 პეტრე ვასილის ძე ხომასურიძის სახ. 3206
— მუშკოოპის წიგნაკი № 77770 შუშანიკა მიხეილის ასული მჭედლიშვილის სახელზე. 3213
— პურის წიგნაკები №№ 9027 და 6535 ნიკოლოზ ზაალის ძე მჭედლიშვილის სახელზე. 3212
— სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი და მელითონეთა კავშირის წიგნაკი სერგო ასლანის ძე ზარატიშვილის სახელზე. 3218
— მეტრიკული ამონაწერი ილიკო ალექსის ძე ვაშაკიძის სახელზე. 3216
— ზაკტპოს წიგნაკი № 762 მათე მანაგაძის სახელზე. 3215
— მუშკოოპის წიგნაკი № 18663 ვანო თევდორაძის სახელზე. 3221
— პირადობის მოწმობა № 83 - პროკოფი ხუხიას სახელზე. 3910
— ზაკტპოს წიგნაკი (საბაშვო) იაკობ ადამიას სახელზე. 3210
— კავშირის წიგნაკი № 13/23510 ვარლამ ჩიკვაიძეს სახელზე. 3210
— ზაკტპოს წიგნაკი № 38430 ანტონ ჯიქურიძის სახელზე. 3211
— მეტრიკული ამონაწერი—ვახტანგ დოლიძეს სახელზე. 3189
— სამხედრო წიგნაკი, გაცემული აბაშის სამხედრო მაგიდის მიერ, ევგენი სოლომონის ძე ტალიკაძეს სახელზე. 3191
— ოჯახობის პირადობის მოწმობა № 228—გრიგოლი გვენცაძის სახ. 3192
— მუშკოოპის საწევრო წიგნაკი—გერასიმე მელაძის სახელზე. 3190
— პურის წიგნაკი აიკაზ მხიტარიანის სახელზე. 3194
— პურის წიგნაკი კოლია ევგენის ძე ჯღარკავას სახელზე. 3193
— ხონის ინდ. მექ. ტეხნიკუმის კურს დამთავრების მოწმობა—შალვა გიორგის ძე ჯანჯღავას სახელზე. 3195

თავზარდაცემული მშობლები: კალისტრატე და ალექსანდრა ნადარაიები, მამიდა ბაბილინა ნადარაია, ბაბუა პავლე და ბებია თებრო, ბიძები: კლიმენტი ცოლშვილით რასათი და დოდოთი და ვარლამი ცოლით, სტეფანე ნადარაია ცოლშვილით, უახლოეს მეგობრები ალექსანდრე ცომაია და ივანე ლორთქიფანიძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობრებს, რომ 11 ივნისს უეცრად გარდაიცვალა

პატარა ეთიკო

დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე დღეს, 13 ივნისს. გამოსვენება კლარა ცეტკინის ქუჩიდან № 10, 3 საათზე. 3223

მუდამ ცრემლ-შეუშრობელი მშობლები ანიჩქა და ანდრო ქოიავები თავისი პატარა მერიკოთი და ვენერათი აუწყებენ ნაცნობებს, მეგობრებს და ნათესავებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

პაწია ზურიკო

დაკრძალვა 13 ივნისს, სად. აბაშაში. 3222

დამწუხრებულნი და ნინო, სიძე მიშა მახნიაშვილები, დები: თამარა და ევგენა შუშანაშვილები, დეიდა ანა ქმარშვილით გიორგობიანები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

მარო (მარუსა) გიორგის ასული შუშანაშვილი

გამოსვენება საბჭოს ქ. № 1. დღეს, 5 საათზე, კუკიის სასაფლაოზე. 3207

მეუღლე ნინო მექანარი, დედობილი ანა გრიგოლის ასული, ძმები: ვანო, სანდრო და სოსო, დები: მარო და ნუნუ თარხნიშვილები ულრმეს მადლობას უძღვნიან ყველა დაწესებულებებს, თანამშრომლებს, ნაცნობ-მეგობრებს, რომელთაც გაიზიარეს მათი განუზომელი მწუხარება

ესტატე (ტატეგო) გიორგის-ძე თარხნიშვილის

უდროოდ დაკარგვის გამო. 3202

ჩოხატაურის ათწლედის პედსაბჭო და მოწაფეები მწუხარებას გამოსთქვამენ აქტიურ და კარგ ამხანაგის, მეთთე ჯგუფის მოწაფის

რებეკა (თამარა) სილოვანის ას. გერიძის

უდროოდ გარდაცვალების გამო. დაკრძალვა მოხდა ახალშენში (გურია) 12 ივნისს. 3222

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფნი შვილები თამარა და შოთა, მამა ვანო და მარო, ძმა სოსო და მეუღლე მარო აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი და დაუვიწყარი

ნინო ივანეს ასულ უავლაშვილის

გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, საღამოს 7 საათზე. (სასამართლოს ქ. № 22). (ე)

სულ მოკლე ხანში ვასწორებ ზედ წერაში

რუსულ და ქართულ ენებზე პროფ. კოსოდოს მეთოდით. ტურგენევის ქუჩა № 4 (მე-9 კომისარიატი), კბილის ექიმის ფონ-ბრენერის ბინა, შესავალი ეზოდან. 3219

მასწავლებლები უმაღლესი სიდნით ამზადებენ მოწაფეებს:

სპეც-ტეხნიკუმებისათვის, მუშფაკებისათვის და საბუხჰალტრო კურსებზე შესასვლელად.

პირობების გაგება 4—7 საათამდე კარგარეთელის ქ. № 3-A, ბინა № 2 (ყოფ. პიროგოვის ქ. კინო აპოლლოს მახლობლად). 0—

ექიმები და სამკურნალო დაწესებულებები

პ. ს. ფონ-ირეთელი პლეხანოვის პრ. № 10 (ყ. ვორონცოვის მოედანის მახლობლად). სპეციალურად ხაშარდე-სასქესო, ვენერიული, კანის, ქირურგიული ავადმყოფობანი, სიფილისი და სხვ. (სქესობრივი უძლურება, ტრიპერის, სიფილისის, ბუასილიდა სიმსივნეთა მკურნალობა). ავადმყოფების მიღება დილის 8—12 საათამდე და საღ. 5—8 საათ. ქალების მიღება დღის 1—2 საათ. 13—10

ი. ვ. ხანდამოვი იღებს სპეციალურად სიფილისი ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება: 8—11 საათამდე დილით და 6—8 საათამდე საღამოს, ძნელაძის ქ. № 35 (ყოფ. საპიორის). 25—1

ი. ი. გერიშვილი ვენერიული, საშარდე-სასქესო ორგანოების სიფილისისა და კანის ავადმყოფობა დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოე“-ს პირდაპირ, ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—1

დ. ს. რიჟინაშვილი კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა, პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 ს. და 5—7 საათ. საღ. მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის პრ.-კუთხე. ტელ. 25—63. 25—2

დ. ლ. თევზაძე ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებათა—ხმის და მეტყველების მოშლილობათა. ეზოფაგოსკოპია და ბრონქოსკოპია აქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-ტერაპიული მეთოდებით მკურნალობა. მიღება: საღამოს 5—7 საათ. გარდა კვირა დღეებისა. ჯონქაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩის) სოლოლ. ტელ. 25—73. 25—1

ნ. კონტოროვიჩი თმის მკურნალობა და სამკურნალო კოსმეტიკა ძერჟინსკის ქ. № 9. ყოფ. პეტრე დიდის ქ.) თმის, ფერის მჭამელას, ჭორფლის, მეჭეჭის, ნაოჭის და სხვ. მკურნალობა. ელექტრონის შუქით სამკურნალო უახლესი აპარატებისა და საშუალებების გამოყენება. მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

გ. ნ. ონანოვი სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი. სქესობრივი უძლურების წამლობა. ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9-დან 11 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე. კ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) სახ. № 3. 25—1

ა. ვ. მიკაბერიძე პარიზში 1923 წ. დაამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი“ მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ. ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19. იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8 დე. შესასვლელი ძნელაძის შესახვევიდან. 25—1

პ. ი. ჯალალოვი ავადმყოფების მიღება (კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914“ ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა. მამაკაცთა მიღება: დილით—7—8 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. 25—1

ქ. ქუთაისი ო. ვ. აკოფაშვილი შინაგანი სნეულება—სპეციალურად ფილტვების ავადმყოფობა. ბროსეს ქ. № 7, (მესამე საბჭოთა აფთიაქის გვერდით). 13—1

ლოგოპედი ა. ა. პაიშაური ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა. ასწორებს ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს. იღებს, საღამოს 5—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ., (ყოფ. ელისაბედის) № 132 ტელ. 26—01. 25—

ნინო მირიანაშვილი ექიმი—ვენეროლოგი იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს ტრიპერი სიფილისი, შესხმა „914“ (ქალებს და ბავშვებს) საღამოს 6—8 საათამდე. მოსკოვის ქუჩა № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14—23. 25—1

ფიზიატრიისა და კურორტოლოგიის სახ. ინსტიტუტი

მიხა ცხაკაიას სახელობისა (ლენინის ქ., № 49).

მკურნალობა ამბულატორიული და სტაციონალური

მკურნალობის ფიზიკური მეთოდების ყველა სახეები: ელექტრომკურნალობა, ნახშირ-მჟავას აბაზანები, სინათლით მკურნალობა მექანოთერაპია, რენტგენორადიო-თერაპია, ინგალაცია, რენტგენოდიაგნოსტიკა

შინაგან სნეულებათა მკურნალობა (სპეციალურად გულის, ნივთიერებათა გაცვლის, საჭმლის მომნელებელი ორგანოების, რევმატიული დაავადებანი და სხვ.) ნერვიული და ქალის სნეულებანი.

კონსულტაცია ქალის სნეულებაზე დღის 12—1 საათამდე. პროფ. ლამბარაშვილი—სამშ. და პარასკ., შინაგან სნეულებებზე—12 საათ. დოც. ი. კონიაშვილი—სამშ. და პარასკ., ნერვიულ ავადმყ.—11—12 ს. ექ. გ. პონდოევი—ყოველდღე.

ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე დილის 10 საათიდან დღის 1 საათამდე

ავადმყოფთა ჩაწერა დილის 8-დან 10 საათამდე.

საღამოს ავადმყოფთა მიღება 5-დან 8 საათამდე, კვირას გარდა. ავადმყოფთა ჩაწერა 4-დან 7-ნახ. საათამდე, კვირას გარდა.

ნერვიულ ავადმყ.—7—8 საათ. პროფ. ს. ყიფშიძე—ყოველდღე. შინაგან სნეულ.—5 6 საათ. ექიმი ნ. ყიფშიძე—ყოველდღე. ქალის სნეულ. და სამეანო—5—6 საათ. ექ. ს. ხებასტიანსკი—ყოველდღე. ყურის, ყელი, ცხვირი 7—8 საათ. პროფ. ნ. ახპიხოვი—სამშ., ხუთშ. და შაბ. 7—8 საათ. ექიმი დ. თევზაძე ორშ., ოთხშ. და პარასკ. უროლოგია და ქირურგია 7—8 საათ. პროფ. ა. წულუკიძე ყოველდღე. ბავშვთა ავადმყ.—5—6 საათ. ექიმი ი. ლორთქიფანიძე—ყოველდღე.

ქირა ავადმყოფთა გასინჯვისათვის პოლიკლინიკაში: პროფკავშირის წევრებისათვის 1 მან., სხვებისათვის—2 მანეთი.

ყოველგვარი კლინიკურ-დიაგნოსტიური ანალიზების მიღება. მკურნალობის პირობების გაგება შეიძლება ინსტიტუტის კანცელარიაში, აგრეთვე წერილობით და ტელეფონით 15—87.

25—1 ნ. .819